გამომცემლობა „იბისი“, თბილისი
Ibis Verlag Tbilisi
2012

Dieses Werk wurde herausgegeben mit
freundlicher Unterstützung von
BUNDESKANZLERAMT KUNST

Robert Schneider
Schlafes Bruder

რობერტ შნაიდერი
სიკვდილის ძმა

გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა

რედაქტორი: მარიკა ჯანიკაშვილი

საავტორო უფლება შეთანხმებულია

Philipp Reclam jun. GmbH & Co.KG, Stuttgart

Erste Georgische Übersetzung
© Ibis Verlag 2012

პირველი ქართული თარგმანი
გამომცემლობა იბისი, 2012

ISBN 978-9941-9080-8-8

Robert Schneider

Schlafes Bruder

Georgisch von

Maia Mirianashvili

რობერტ შნაიდერი
სიკვდილის ძმა

გერმანულიდან თარგმნა
მაია მირიანაშვილმა

პასკალის გულისცემა

ვინც შეყვარებულია, ბილი არ შეუძლია

ესაა ამბავი იოჰანეს ელიას ალდერისა, რომელმაც თავი მოიკლა 22 წლის ასაკში და ასე გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ გამომშვიდობებოდა ძილს.

მას ენით აუწერელი, უიღბლო სიყვარული წვავდა თავისი ბიძაშვილის, ელზბეტის მიმართ. წამით არ აძლევდა თავს ძილის უფლებას, ლამობდა, როგორმე ჩასწვდომოდა ამ აუხდენელი სიყვარულის საიდუმლოს. და ბოლომდე, თავის საზარელ აღსასრულამდე, მამაცურად იზიარებდა აზრს, რომ ძილზე დახარჯული დრო მისი შეუწყნარებელი ფლანგვაა და ცოდვა, რისთვისაც პასუხი მოგვეთხოვება განსაწმენდელში. რადგან მძინარე ადამიანი მკვდარია და ჭეშმარიტი, რეალური ცხოვრებით არ ცხოვრობს. მისი აზრით, ძველ თქმულებებში ტყუილად არ უწოდებდნენ „ძილსა“ და „სიკვდილს“ და-ძმას. როგორ შეგიძლია ნრფელი გულით ამტკიცო, რომ უსასრულოდ გიყვარს ქალი, როცა ეს სიყვარული შენში მხოლოდ დღისით ცოცხლობს და ისევე ხანმოკლეა, როგორც ფიქრი მასზე? სულაც არაა მართალი, რომ მძინარეს შეუძლია სიყვარული.

ასე ფიქრობდა იოჰანეს ელიას ალდერი და მისი

გასაოცარი აღსასრულიც სწორედ ამ დიდებული სიყვარულისთვის გაღებული ხარკი იყო. ამ ნაწარმოებში გვსურს, სწორედ ამ ადამიანის სამყარო, მისი უიღბლო ცხოვრება აღვწეროთ.

უკანასკნელი თავი

1912 წელს, როცა კოსმა ალდერი, მთიანი სოფლის, ეშბერგის, უკანასკნელი მცხოვრები შუა ფორალბერგში, თავის გავერანებულ კარ-მიდამოში შიმშილისგან კვდებოდა, მეზობელი სოფლის გიოცბერგის მოხუცებმაც კი არ იცოდნენ, რომ იქ, ზემოთ, ჯერ კიდევ ცხოვრობდა სულიერი არსება. მაგრამ ბუნებამ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ წაეშალა იქ ადამიანის არსებობის ყოველგვარი კვალი. კაცი იფიქრებდა, რომ ის მოკრძალებით იცდიდა, ვიდრე ამ სოფლის უკანასკნელ მცხოვრებს დაგვიანებული სიკვდილი ეწვეოდა, რათა შემდგომ მთელი სიძლიერითა და დაუნდობლობით დასცემოდა უპატრონოდ მიტოვებულ სოფელს და ის ყველაფერი, რაც ადამიანმა მთელი ასწლეულის განმავლობაში ბუნებას წაართვა, ბოლოს და ბოლოს, უკან დაებრუნებინა. იგი დაეუფლა შარაგზებს, ბილიკებს, კარმიდამოებს — ყველაფერს ეკლიანი ბუჩქები მოედო, აღგავა მიწისაგან პირისა დამწვარ ნაგებობათა ნარჩენები, საძირკვლის ქვები ხავსით დათრთვილა. ჯიუტი მოხუცის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გამძვინვარდა ფრიალო მთიან სავარგულებზე და ახალი ტყით გააშენა.

ერთი საუკუნის განმავლობაში მესამე ხანძრის შემდეგ ღამის ელვარებამ აპენცელის მოსახლეობაც კი ააფორიაქა. ლამპარტერები და ალდერები, ეშბერგში დარჩენილი უკანასკნელი გვარის წარმომადგენლები, მიხვდნენ: ღმერთს არ სურდა, რომ აქ ადამიანებს ეცხოვრათ. მესამე ხანძრის დროს, 5 სექტემბერს, ღამით თორმეტი ადამიანი დაიწვა თავის საწოლში, ბოსელში კი — ორმოცდარვა სული საქონელი. მთელი წინა დღე ჯოჯოხეთურად ცხელი ქარი აჭრიალებდა გადახურულ კოჭებს, ქარიშხალი ხეებს ხრიდა და მთელ ტყეს ტკაცატკუცი გაუდიოდა, რაც იმას მოწმობდა, რომ ათასხმიანმა ხარხარმა მომავალი უბედურება ამცნო მათ. მესამე ხანძრის დროს ვერც ერთმა მცხოვრებმა ვერ გაბედა ვერც კერიაში ცეცხლის დანთება და ვერც სალოცავად სანთლის ანთება. ყველამ იცოდა, ბავშვიც კი გრძნობდა მოხუცებულთა ცივ მკაცრ თვალებში, რა უბედურების მოტანა შეეძლო ცეცხლს ქარბორბალას თარეშისას. ერთი ლამპარტერთაგანი, რომელსაც უკვე გამოცდილი ჰქონდა მეორე ხანძარი და ბუნდოვნად პირველიც ახსოვდა, ერთი ეზოდან მეორეში დარბოდა და ყველას უკრძალავდა ჭრაქის ანთებას. იპარებოდა ხან ფარდულში, ხან საკუჭნაოებში, ყოველ კუთხეს ამოწმებდა, მაგრამ არანაირი ცეცხლის ნაპერწკალიც კი არ აღმოუჩენია. ის ყნოსავდა ღუმლის მილებს, მაგრამ კვამლის სუნიც არ უგრძვნია საიდანმე. ორ საათზე დამშვიდებული ლამპარტერი თავის ნალზე დაწვა და დაიძინა.

ერთი საათიც არ იყო გასული, დაახლოებით სამ

საათზე, მთელი სოფელი და მიმდებარე ტყე მთლად გადაიბუგა. წმინდა ვოლფგანგის ეკლესიიდან მაღლა კლდეებისკენ და ტყის სიღრმეში, კლდოვან მთის თხემამდე, ქარი წუილით ერეკებოდა მოგუგუნე ცეცხლის ალს.

მესამე ხანძრის ღამეს გადარჩენილი ხალხი ყვირილით ეძებდა ხსნას ნაკადულის ვინრო კალაპოტში, მრისხანებისა და სასონარკვეთილებისგან ხან ხარხარებდნენ, ხანაც ტიროდნენ. შემდეგ კი რაინის ხეობისკენ დაიძრნენ, სადაც ალბათ სამათხოვროდ გაუხდებოდათ საქმე, ზოგი კი ლუკმაპურის საშოვნელად მოჯამაგირედ დაუდგებოდა ვინმეს.

კოსმა ალდერი კი, რომელიც იმ 12 დამწვარ მცხოვრებს შორის ეგონათ, რომელთათვისაც უკვე პარაკლისი გადაიხადეს, ერთადერთი იყო, ვინც თავის გადაბუგულ კარმიდამოში დარჩა. მას ნესტიან სარდაფში ეძინა. ჩვეულებად ჰქონდა იქ დამარხულ თავის ქალიშვილთან ესაუბრა.

კოსმას ქალიშვილმა მუცელი მოიშალა და გიოცბერგის მღვდელმა ვერ გაბედა მისთვის წესის აგება. როცა კოსმამ იხილა, ღვთის მოვლენილი განსაცდელი, გადაწყვიტა, თავის მშობლიურ კერაზე დარჩენილიყო და ასე უმოქმედოდ დალოდებოდა თავის განკითხვის დღეს. ოცი წელი იჯდა ის ნანგრევებს შორის, არც უცდია კარმიდამოს აღდგენა, ვიდრე სიკვდილმა არ მოაკითხა და შიმშილისგან ქანცგაწყვეტილი, დასუსტებული თავისი კალთის ქვეშ შეიფარა. ის საკვების უქონლობის გამო როდი

მოკვდა, არამედ სიჯიუტის და კიდევ იმიტომ, რომ მობეზრდა, აღარ უნდოდა, სიცოცხლეს ჩაბღაუჭებოდა.

და აი უკანასკნელმა ეშბერგელმა კიდევ ერთხელ აჩვენა სამყაროს ხასიათის დამღუპველი ჭირვეულობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ახასიათებდა მთელ სოფელს და რომელსაც თავის საბოლოო გაქრობას უნდა უმადლოდეს.

ჯერ არ დამადგმულნი

ჩვენი სურვილია, ამ წიგნში აღვწეროთ ლამპარტერებისა და ალდერების ცხოვრება, წეს-ჩვეულებანი. მახვილგონივრულად გავხსნათ ასწლეულობით გადაჯაჭვულ ამ ორ საგვარეულოს შორის არსებული კვანძი. ასევე ჯანსაღი პატრიარქალური ყოფიერების ნიშან-თვისებად ვაღიაროთ სისხლის აღრევის მახინჯი კვალი (დიდთავიანობა, ქვედა ტუჩის მეტხორციანობა ნიკაპთან). სწორედ ესაა სამამულო ისტორიის იმ მოცლილი მოყვარულის ამოცანა, რომელიც მთელი სულითა და გულით მიისწრაფვის, ჩასწვდეს თავიანთი წინაპრების სულს. ალბათ დროის ფუჭი ფლანგვა იქნებოდა მოგვეთხრო ეშბერგელი გლეხების უფერული ერთფეროვანი ცხოვრება, შეხლა-შემოხლა, თავისებური ფანატიკური, რწმენისადმი განსაკუთრებული ერთგულება, ყოველგვარი სიახლისადმი უკიდურესი შეურიგებლობა, თუ არა ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ალდერების

გვარში დაიბადა ისეთი დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, რომლის სიტყვით გადმოცემაც კი შეუძლებელია. ბიჭს იოჰანეს ელიასი ერქვა.

მისი ცხოვრების აღწერა სხვა არაფერია, თუ არა იმ ადამიანთა შეცდომებისა და დაუდევრობის სამწუხარო ნუსხა, რომლებმაც შენიშნეს ბიჭში დიდი ტალანტი, მაგრამ უსულგულობით თუ ეჭვიანობით ან იქნებ უგუნურებით დასაღუპავად განირეს. მათ შორის იყო უპირველესად ფელდბერგის ტაძრის ორგანისტი გოლერი (რომლის ფერფლის ექსჰუმაცია უნდა მოეხდინათ და ქარისთვის გაეტანებინათ, რომ განკითხვის დღეს სამყაროს ხელმეორედ არ მოვლენოდა). ესაა საყვედური ღვთის მიმართ, რომელმაც სწორედ ამ ყმაწვილში, ეშბერგელი გლეხის შვილში, ჩადო ფასდაუდებელი მუსიკალური ნიჭი. ღმერთს კი უნდა სცოდნოდა, რომ ამ მუსიკის წვდომას მოკლებულ უცხო მხარეს ვერც ბიჭი და ვერც მისი ნიჭი ვერასოდეს პოვებდა ღირსეულ დაფასებას და ვერ მიაღწევდა სრულყოფილებას. უფრო მეტიც, ღმერთის სურვილი იყო ალბათ ისიც, რომ ეს ყმაწვილი, იოჰანეს ელიასი, აუხდენელი სიყვარულის ნექტრით მოეცვა და ნაადრევად წაერთმია მისთვის სიცოცხლე. ღმერთმა შექმნა ის მუსიკოსად, მაგრამ არ მისცა შესაძლებლობა, თუნდაც ერთი ტაქტი მაინც გადაეტანა ქაღალდზე. ის ამ მხარეში, როგორც უნდა ეოცნება ამაზე, ვერასოდეს შეძლებდა ნოტების წერა-კითხვის სწავლას. ადამიანებმა კი — ღვთის ეს გულუბრყვილო, დალოცვილი (სხვა სიტყვას ვერც

მოვძებნით ამ შემთხვევაში) ჩანაფიქრი — სატანურად დააგვირგვინეს.

იოჰანეს ელიასის სულისშემძვრელმა ბედისწერამ ძალზე დაგვანაღვლიანა და ჩაგვაფიქრა იმაზე, თუ რამდენი ბრწყინვალე ტალანტი: ფილოსოფოსი, მოაზროვნე, პოეტი, მხატვარი თუ მუსიკოსი, დაკარგა ამ სამყარომ მხოლოდ იმის გამო, რომ არ მიეცათ საშუალება, სათანადო განათლება მიეღოთ. ალბათ კადნიერებად ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით: სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ სოკრატე ვერ გახდებოდა ძლიერი მოაზროვნე, იესო — ადამიანების სათაყვანებელი, ვერც ლეონარდო და მოცარტი ვერ მიაღწევდნენ ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს, თუ მათ სრულყოფილებისკენ მიმავალ გზას სხვა ადამიანები განსაზღვრავდნენ. მართლაც, ვწუხვართ ამ უცნობ დაბადებულთა, მაგრამ ცხოვრებაში შეუმდგართა გამო, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება იოჰანეს ელიასი.

დამადენა

წმინდა იოანეს დღეს, შუადღის შემდეგ, ზეფ ალდერმა სამჯერ გადაკვეთა ოთახის ზღურბლი, სადაც მშობიარობის ტკივილებისგან იტანჯებოდა მისი ცოლი. მაგრამ მისი მეორე შვილი ჯიუტობდა, მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა ბუნებას, თითქოს არ სურდა მოვლენოდა ამ სამყაროს. როგორ არ იჭინთებოდა საბრალო ქალი, როგორ არ იჭერდა მუცელზე ხელებს, რა ჯოჯოხეთურ ტკივილებს არ

უძლებდა, მაგრამ ბავშვი არა და არ იბადებოდა.

ზეფს სუნთქვა ეკვროდა. ჰაერი ზეფინას ოფლისა და სისხლის სუნით იყო გაჯერებული. ზეფმა ფანჯარა ისე მძლავრად გამოხსნა, ლამის მთელი ოთახი შეზანზარდა, ფანჯრის ჩარჩოებმა, იატაკმა ზრიალი დაიწყო, საწოლამდეც კი მიაღწია და მელოგინეს თავიც შეურხია. მან ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეეძლო, რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მეუღლისთვის ტანჯვა. ზეფი არ იყო ფუჭ სიტყვებს ჩვეული. ივნისის იმ დღეს ისეთი პაპანაქება სიცხე იყო, რომ ვერც გამოღებული ფანჯრიდან შემოსულმა ჰაერის ნაკადმა გააგრილა იქაურობა. ზეფი შორს, გზას გასცქეროდა, საიდანაც მეანი ქალი უნდა მოსულიყო.

უკვე ორი საათი იყო გასული, იქნებ მეტიც, რაც ზეფმა გიოცბერგში ბიჭი გააგზავნა. როგორც იქნა, გამოჩნდა მთაზე, მოსახვევში მეანი, ძლივს მოათრევდა ტყავის წითელ ჩანთას, რომელიც მხარზე გადაეკიდა. უკან ზეფის ვაჟიშვილი მოჰყვებოდა კვალდაკვალ. ზეფმა ფანჯარა მიაჯახუნა, ცოლს მიუახლოვდა, წყლის დოქს ჩახედა, სუფთა ჭიქა აავსო წყლით და გარეთ გავიდა. უხმოდ ლოცულობდა ცოლისთვის. ხომ შეეძლო ეთქვა ცოლისთვის, რომ უკვე მოდიოდა მეანი ქალი, მაგრამ ზეფი არ იყო ლაპარაკს ჩვეული. უაზროდ იდგა ყურთამდე ღია კარში, ელოდა მეან ქალს. როცა აქოშინებული, გაოფლიანებული ქალი, როგორც იქნა, შინ შევიდა, აჩვენა, სად იდგა ღვინით სავსე დოქი. იქვე იდო ასევე ერთი დღის გასამრჯელო, ოცი ვერცხლის მონეტაც.

შემდეგ ანახა მშობიარის ოთახი, თვითონ კი თავის ვაჟთან ერთად მეზობელ სახლში წავიდა.

მშობიარე ლამის ყვირილისგან ჩაბჟირდა. მეანი ქალი უღიმღამოდ, აუჩქარებლად შეუდგა თავის საქმეს. სამჯერ წაიფორხილა ვიწრო კიბეზე. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი გეგმა, ალდერებისკენ მომავალ გზაზე რომ დაისახა, განეხორციელებინა:

„ეს ბოლო მომშობიარებაა. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, ოცდაერთი წლის. გარდა ამისა, ნაზი ხელები მაქვს. სხვამაც კი აღნიშნა ეს. ასე რომ, მეანის საქმე ამ ნაზ ხელებს არ შეეფერება“ — ფიქრობდა გოგონა და შუბლშეჭმუხნილი დადიოდა, აუჩქარებლად ალაგებდა პირსაბანზე ხელსაწყოებს, ზუსტად იმ თანამიმდევრობით, როგორც ინსბრუკის სამეანო სკოლაში ასწავლეს: ბუნიკი შესასხურებლად, მაშები, საშვილოსნოს ბუნიკი, კათეტერი და ბოლოს ჭიპლარის მოსაჭრელი მაკრატელი.

ზეფინა კი გამწარებული გაჰკიოდა. მეანი გოგო კი ისევ თავისთვის ფიქრობდა: „კარგი იქნება პურის მცხობლად დამეწყო მუშაობა. უფასო პურითაც უზრუნველმყოფს და მაღალი დღიური შემოსავლითაც, სულ მცირე, 30 ვერცხლის მონეტა. სამრევლოს წევრებთანაც არ მექნება გაუთავებელი დავა საშობაო მორიგეობის ფულზე, რომელიც ფელდბერგის სასამართლოს გადაწყვეტილებით მე მერგო. სამრევლოს მოხელე კი ცდილობს, უნამუსო ხერხებით წინააღმდეგობა გამიწიოს, მაგრამ ვერ მიართვეს! ამიერიდან მოუწევთ სხვა მეანი ქალის მოძებნა. საინტერესოა, რას იზამენ?! საერთოდაც,

მოხელე მას ვერაფერს უბრძანებს. ჯავრს თუ იყრის იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინ ცეკვაზე ცივი უარი უთხრა. ამის გამო გადაეკიდა. რა მისი ბრალია, გაბრტყელებული სიფათი და თხის ფეხები თუ აქვს".

ზეფინა ტკივილისაგან იტანჯებოდა.

ის კი ისევ აგრძელებდა ფიქრს: „თანაც სრულიად დასაშვებია, უფრო ხელსაყრელი საქმეც ვიშოვო. ორი კვირის წინ ხომ მქონდა შემოთავაზება ჰიოტინგიდან, ფრანც ჰირშისგან. რა თქმა უნდა, წერილობითი ფორმით. თანაც ფრანც ჰირში გაცილებით განათლებული ადამიანია, ვიდრე ეს დრუნჩიანი, პატარა გაბღენძილი ჩინოვნიკი.

ბოლოს და ბოლოს, ფრანც ჰირში წარმოსადეგი ადამიანი მაინცაა, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას მის კუზს. ჩემთვის მთავარი ხასიათია, მხოლოდ ამას ვაფასებ ადამიანში. ამასთან ინსბრუკი ასეთი მიყრუებული ადგილი არაა. თუმცა აბა ეს იმ ადამიანმა რა იცის, რომელიც მთელი ცხოვრება დორნბერგს არ გასცილებია. ეს კი აქედან სამი საათის სავალზეა. ისე, ფრანც ჰირშს შეიძლება უარიც ვუთხრა. თუ დავფიქრდებით, კუზი, მართლაც, სერიოზული სიმახინჯეა, მე კი სანდომიანი სახე და ნაზი ხელები მაქვს. ფელდფებელმა ცენკერმაც ხომ მითხრა ეს, თან ჯარისკაცულად დაიფიცა კიდეც". მეან გოგოს ბაგეებზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ, როგორც კი ჰირშის კუზი წარმოიდგინა, მაშინვე გაუქრა.

ზეფინა ტკივილისგან წიოდა.

„ეჰ, რომ არა ეს კუზი, ისე სხვა მხრივ მართლაც შემეფერება. ფილტვების საქმეც მთლად წესრიგში

რომ ვერ აქვს, ესეც ვიცი. (მერე რა!) დიდი ამბავი! ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის ხასიათს აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ ამას ვაფასებ. ისე, ჰირში, მგონი, ცოტა ჭკუაზეც ვერ უნდა იყოს, რასაც ვერ ვიტყვით ფელდფებელ ცენკერზე. თუმცა ამას მინაც არ აქვს, აი ფრანც ჰირში კი ამ მხრივ მართლაც რომ შეძლებული კაცია. ან იქნებ ვცადო კეთილშობილურ ბიურგერულ ოჯახში მოვეწყო მორბედად. ყოველ შემთხვევაში, ასე მაინც დაცული ვიქნები მძიმე ცხოვრებისგან. თუ საღამომდე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ, ქალწულ წმინდა მარიამის გულის ძმათა სვლას უნდა შევუერთდე უდელბერგისკენ, გულდასმით ვილოცო ღვთისმშობლის წინაშე და კეთილი რჩევა ვთხოვო. რაც უნდა იყოს, ინსბრუკში გადასვლა კარგი საქმე იქნება. მაგრამ წასვლის წინ არც კი შემრცხვება, აუცილებლად ვეტყვი იმ დრუნჩიანს ერთ-ორ საკადრის სიტყვას".

ზეფინა კი ისევ ტიროდა.

„ყველაფერს ჯობს, ისე მოვიქცე, როგორც დედამ მასწავლა — ადამიანები გარეგნობით კი არ განვსაჯო, არამედ ხასიათით. ჰოდა, მეც ასე მოვიქცევი. რაც მართალია, მართალია, ფელდფებელი ცენკერი გაუთავებლად მასხრობს, სულ დაკრეჭილი აქვს პირი. ფრანც ჰირში ჰიოტინგიდან კი არც იღიმება".

როცა მან სისხლისაგან გაუღენთილი ზეწარი აიღო, ჩვილი ჭიპლარის ნაგლეჯით ზეფინას მუხლებზე იწვა. შეშინებულმა მეანმა აიყვანა ბავშვი, პირსაბანთან მიიყვანა და აკანკალებული ხელით გადაუჭრა ჭიპლარი. გაფაციცებული აკვირდებოდა

ბავშვს, შიშით ყურს უგდებდა მის სუნთქვას, ბოლოს შეანჯღრია, თან უტყაპუნებდა.

ბავშვი არ ყვიროდა. მან ისევ შემოარტყა, გულს მიაყურადა, კიდევ უცემდა თუ არა ნამცეცა გული. სასოწარკვეთილმა წამოიწყო „Te Deum", ჯერ ჩუმად, მაგრამ შეშინებული თანდათან ხმას უწევდა. უცებ იგრძნო, მის ხელში როგორ შეირხა პატარა მოკუნტული სხეული. ერთხელ, მერე მეორედაც და ისევ შეწყდა. გოგონამ ყური მიადო გულზე და მიხვდა, რომ ეს პატარა ნამცეცა ცოცხალი იყო. მისმა ლოცვამ გადაარჩინა.

მეანს თავში აზრადაც არ მოსვლია ბავშვის სქესი გაერკვია. ასე იყო თუ ისე, მან მაგისტრატის მოხელეს მოახსენა, რომ იოზეფსა და აგატე ალდერს ღმერთმა ბიჭი უბოძა. და დახეთ, გამოიცნო კიდეც.

აქ, კი დავტოვებთ მეან გოგონას თავის ყბედ სულთან მარტოს. ის ამ ამბავში აღარსად შეგხვდება. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ იოჰანეს ელიასის დაბადება მის სამეანო პრაქტიკაში მართლაც ბოლო შემთხვევა იყო. მალე ის ინსბრუკში გადასახლდა, სადაც გათხოვდა. აჯობებდა, ფელდფებელ ცენკერს თუ გაჰყვებოდა, მაგრამ ფრანც ჰირშის ცოლობა არჩია. არჩევანი ხასიათის სასარგებლოდ გააკეთა. მათ შვილი არ შესძენიათ, ფრანც ჰირში 1809 წელს ჭლექით გარდაიცვალა. ქვრივი მეორედ გათხოვდა, მოგვიანებით — მესამედაც. და რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მესამედ იმ დრუნჩიან, თხისფეხება მაგისტრატის მოხელეს გაჰყვა გიოცბერგიდან.

სადღაც 1859 წელს ამ ქალის კვალი უკვე

იკარგება. მითითებულ დრომდე ერთი წლით ადრე ჯერ კიდევ იხსენებდნენ მემკვიდრეობაზე დავასთან დაკავშირებულ საბუთებში. თუ როგორი იყო მისი უკანასკნელი დღეები, ამაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში, ის დიდი მუსიკოსის დაბადებას შეესწრო.

მერე ვინ არ იამაყებდა თავის უბრალო ცხოვრებაში ამ ფაქტით? მაგრამ მაშინ ყურში ხმამაღლაც რომ ჩაგეძახა მისთვის, რომ 1803 წელს წმინდა იოანეს დღე ორი სასწაულით აღინიშნებოდა — ადამიანის დაბადებითა და დედამიწაზე გენიოსის მოვლენით, ის მაინც ვერაფერს მიხვდებოდა. ვერც ზეფინა, გასისხლიანებულ საწოლში რომ იწვა, ვერც ზეფი, ვერც მათი უფროსი ვაჟი ბევრს ვერას გაიგებდნენ. მაგრამ ყველაზე საშინელება მაინც ისაა, რომ, როცა ბიჭის ნიჭი გამოაშკარავდა, მაშინაც კი არავის სურდა ამის გაგება.

მაჯშვილის მამა

ფრიად პატივცემული ბატონი ვიკარი ელიას ბენცერი განსაკუთრებული ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, უყვარდა მგზნებარე ცხოვრება, ქალებში გართობა. სწორედ დაუოკებელმა ვნებამ მიიყვანა ის სიკვდილამდე. აი ამის შესახებ გვინდა მოგიყვეთ შემდეგში. ვიკარი ბენცერი წარმოშობით ჰოენბერგიდან, რაინის ხეობიდან იყო. ეს ადგილი კი უხსოვარი დროიდან ცრუმორწმუნეობითა და

ათასნაირი ჯადოქრობით იყო ცნობილი. ვიკარი, შესაძლოა, მოესწრო კიდეც ფორალბერგში უკანასკნელი ჯადოქრის დაწვას. ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა ბავშვობაში. სწორედ ეს წარუშლელი შთაბეჭდილება გახდა მისი თეოლოგიის ქვაკუთხედი. თავის ქადაგებებში ამ კოცონზე დაუსრულებლად უმეორებდა ეშბერგელ მრევლს. მისი მგზნებარე მჭევრმეტყველებისგან მრევლს ყურები ჰქონდა გამოჭედილი, ლამის თავები დასკდომოდათ. ზოგს უკვე თვალწინ უდგებოდა, როგორ უკიდებდნენ ცეცხლს, როგორ მიათრევდნენ ცოცხლებს კოცონისკენ. და თუ კვირადღის სახარების კითხვისას ვიკარ ბენცერს შესაძლებლობა ეძლეოდა, ბავშვობის ეს მოგონება გაეხსენებინა, ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მგზნებარე ფანტაზიის წყალობით კვრინჩხის ბუჩქების ეპიზოდიც კი შეეძლო ჰოენბერგის ჯადოქრის დაწვის სცენად გადაექცია.

საღვთო ტექსტის განმარტების მსგავსმა ექსპერიმენტებმა, ვიკარის ანთებულმა, მგზნებარე ქადაგებებმა ეშბერგში ადამიანები ლამის კაცისკვლამდე მიიყვანა. ამას მოჰყვა ის, რომ სამმა ლამპარტერმა დიდმარხვის წინადღეს ჩალისგან დამზადებული კუდიანი ჯადოქრის ნაცვლად გადაწყვიტა, ცეცხლში ვინმე ცილი ლამპარტერი ჩაეგდო, მეტსახელად სულების გამომწვევი ცილი.

ეს მოხუცი ქვრივი, რომელმაც მთელი ცხოვრება სრულ სიმარტოვეში გაატარა, სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ათასი უცნაური ჭორი დადიოდა მასზე. ამბობდნენ, რომ მას ეშბერგელ მიცვალებულებთან

საუბარი შეეძლო. ამ გასაოცარ ნიჭს ქვრივი იმით ხსნიდა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი ღმერთთან ახლოს იყო, ვიდრე სხვა თანასოფლელების, სწორედ ამიტომ შეეძლო საიქიოს მყოფი სულების წუხილის გაგონება, თუმცა მხოლოდ ნათელ ვარსკვლავიან ღამეს, რადგან ცის ღრუბლიანი საფარველი მკვდრების ხმებს ახშობდა. ყველას სჯეროდა მისი. აი მაშინ კი, როცა ეშბერგელებს ამცნო, რომ მას აღმოსავლეთიდან გამოეცხადნენ ვიღაც მავრები, ქალი და კაცი, ქვანახშირივით შავი კანით, სახით, კიდურებითა და კბილებით, უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი მის ავბედით უნარზე.

სწორედ მაშინ მოხუცს თავში აზრად მოუვიდა სულთა აღრიცხვა, მიცვალებულებთან თავისი საქმიანი კავშირის კატალოგის შედგენა, რაც, მისი აზრით, სიბერეში პენსიით მაინც უზრუნველყოფდა. მან იცოდა, რომ, ვიდრე მიცვალებული სამოთხეს მიაღწევდა, განსაწმენდელის ცეცხლი უნდა გაევლო. კატალოგის წარმოება კი ცოცხლებს აიძულებდა, დაუყოვნებლად ეზრუნათ გარდაცვლილი ნათესავების სულის ხსნისთვის. ეშბერგში კი ყველა ყველას ენათესავებოდა. ერთხელაც სულებთან მოსაუბრე ცილმა თავის ეზოში ერთი ლამპარტერი გააოგნა, როცა აცნობა, რომ მამამისი იყო მასთან ტირილითა და გოდებით. ცილისგან ვალად აღებული შვიდი საჟენი დაჭრილი შეშა მოსვენებას არ აძლევდა. და კიდევ: ეშბერგელ მიცვალებულებთან უთვალავი სეანსის შემდეგ ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლამის ყოველი მოსახლე, ლამპარტერი იქნებოდა ეს თუ

ალდერი, მისი მოვალე იყო. ვალების ნუსხა ერთ დიდ მუქარის გამომხატველ ლოცვად იქცა:

„რვა კვერცხი, ათ „მამაო ჩვენოდ“;

სამი გირვანქა თაფლის სანთელი, ორმოცდაათი „ავე მარია“;

ორმოცდაათი კილო ჭარხლის ფოთოლი და ათი მესა;

ათი წყრთა ტილო და რვა ფსალმუნი“ და ასე შემდეგ.

არანაირი ლანძღვა, არანაირი საჩივარი ვიკართან მასზე არ ჭრიდა. ეშბერგის მოსახლეობას ჯერ არ ახსოვდა, ამდენი მსხვერპლი შეენიროს ვინმესთვის: უამრავი თაფლის სანთელი, პატრუქი თუ სადღესასწაულო მესა. სოფლის პატარა ეკლესიაში ასე თავგამოდებით ჯერ არასოდეს ულოციათ.

ამგვარად მოარგო ცილმა ღვთისმოსაობას პრაქტიკული სარგებელი. ერთი სიტყვით, ერთადერთი და პირველი პენსიონერი იყო მთელ ფორალბერგში. ეს გახლდათ ამ ქალის მიმართ ეშბერგელების სიძულვილის მიზეზი. საუბედუროდ, იმ ხანებში ეშბერგის კარტოფილის ნარგავებს დიდი ზიანი მიაყენა უცნაურმა და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ იქ გამძვინვარებულმა ეპიდემიამ. ბოლქვებს ერთ ღამეში უჩნდებოდა ღრუები და ისე იკუმშებოდა, ლამის თხილის ზომის ხდებოდა.

შესაძლებელია, ასე იყო ან კიდევ სულაც არა, მაგრამ ერთხელაც სიცილითა და ყიჟინით მიადგნენ მოხუცის ეზოს და ცილი ნეხვის საზიდრით წაიყვანეს

ალტიგომში, სადაც კოცონის დასანთებად უკვე ყველაფერი მოემზადებინათ. ქალმა იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, აღრიალდა და იფიცებოდა, რომ ყველას უკან დაუბრუნებდა, რაც ეკუთვნოდათ. მაგრამ ერთმა ალდერთაგანმა ანთებული თვალებით და რკინისებრი ხმით შეახსენა მათ ვიკარის ქადაგებები, რითაც იქ მყოფთ გამბედაობა შემატა, რადგან ზოგი უკვე მზად იყო უკანდასახევად. როცა მოხუცი დააბეს, ის ისევ ყვიროდა, მაგრამ ნაცემს პირიდან ხმა აღარ ამოსდიოდა. დანაოჭებულ ლოყებზე მარილი ეწებებოდა, ტუჩის კუთხეებიდან სისხლიანი ნერწყვი სდიოდა. ცეცხლის ალი ღამეს ანათებდა. ზოგმა ქუდი ჩამოიფხატა სახეზე, სახეს მალავდა, რომ არ ეცნოთ. ძონძებში გახვეულ მოხუცს მუშტებს აყრიდნენ, ბავშვებიც კი ცდილობდნენ ეჩქმიტათ. ვიღაცამ თავშალი მოაძრო მოხუცს და ყველამ დაინახა, რომ ცილი მელოტი იყო. და ვისაც აქამდე ეჭვი ეპარებოდა, უკვე აშკარად დარწმუნდა, რომ მათ წინაშე ნამდვილი ჯადოქარი იდგა. ვიღაც მუშტებს ურტყამდა გამხდარ მუცელსა და ჩამომხმარ მკერდში. მოხუცს ტანსაცმელი შემოაფლითეს, ყველაფერი ისე უნდოდათ გაეკეთებინათ, როგორც ვიკარი აღწერდა თავის ქადაგებებში. უცბად უცნობმა საზარელი ხმით იყვირა: შავი ჭირი! შავი ჭირი! ეპიდემია! შემდეგ კი ჩუმად გასრიალდა მოყინულ თოვლის ზედაპირზე და სიბნელეში გაუჩინარდა. მუგუზლიდან მიწაზე დაცვენილი ნაპერწკლებივით ყველა აქეთ-იქით მიმოიფანტა. ამ ვითომდა შავი ჭირის საფრთხემ მოხუცს რამდენიმე

კვირით გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

როცა ალდერებს შორის ყველაზე ყბედმა ამის შესახებ ვიკარს მოახსენა, მოძღვარმა საზეიმოდ დადო პირობა, რომ ასეთ მგზნებარე ქადაგებებს ამიერიდან მისგან ველარ მოისმენდნენ. ამბის მიმტანი კი ამ სიტყვებით გაისტუმრა: ღვთაებრივი სამების წყალობით ეკლესიის მქადაგებლის იგავები მართალი არ უნდა გეგონოსო. ყბედსაც უკვე ეჭვი შეეპარა მოძღვრის სიტყვის უტყუარ ჭეშმარიტებაში. ბრძნული გადაწყვეტილება დიდხანს არა, მაგრამ მაინც ძალაში რჩებოდა. ვიკარი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ მისი მრევლის ღვთისმოშიშობამ იკლო. კვირადღის ლოცვებს მხოლოდ ქალები ესწრებიან, — უსაყვედურა მან ხალხს, — ისიც კრიალოსნით, რაც ღვთის რწმენას ეწინააღმდეგება, ზიარების დროს თამბაქოს ღეჭავენ, ზოგიერთი კადნიერის ჩაცინება გუნდში სიმღერისას სულ არ შეეფერება ღვთიურ განწყობას, გარდა ამისა, ეკლესიას ბოლო ორ კვირაში მხოლოდ რვა ვერცხლის მონეტა შესწირეს. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, — მას ალდერების ქალიშვილები ჰყავდა მხედველობაში, — სახლებში ცეკვებს მართავენ, სპირტიან სასმელებსაც ეძალებიან. თუ უახლოეს ხანებში ეს სამარცხვინო მდგომარეობა არ გამოსწორდება, ის უარს იტყვის თავის საზეიმო დაპირებაზე. მან გადაწყვიტა მოემზადებინა ქადაგება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ჭკუაზე მოიყვანდა მრევლს და მათ გულგრილობას წერტილს დაუსვამდა. ეს საბედისწერო ქადაგება ვიკარს აზრად მოუვიდა 1800

წელს, სამება დღეს, თავის სამრევლოს მეურნეობაში მდებარე ბოსელში. მას ჩვევად ჰქონდა ამ ბოსელში შესვლა, როცა რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოეფიქრებინა. მოსწონდა ფიქრი ბოსლის დახშულ ჰაერში, ძროხების, თხების, ღორებისა და ქათმების გარემოცვაში. ის დიდხანს იჯდა იქ, სანამ თავში სათანადო აზრი არ მოუვიდოდა. ახლაც კარგა ხანს მოუწია ჯდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველი ლოგიკური ხიდის გადება სახარებასა და თავის ქადაგებას შორის ვერ მოახერხა. როცა უკვე ლამის საჯდომი გაუშეშდა ჯდომისგან, უკმაყოფილოდ ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ძროხის ნეხვშიც ფეხი ჩადგა. ფეხი დაუცდა, გულაღმა დაეცა და თავი კასრს მიახეთქა. კასრი, აი ისიც, მან მიაგნო აზრს! დენთიანი კასრი! ნაპოლეონის ჯარისკაცებმა მარადიორობისას ტყეში დაკარგეს ეს კასრი, ვიკარმა კი აქ, ბოსელში მოათრია. ის ფრთხილად შეეხო შუბლზე დამჯდარ ბავშვის მუშტისოდენა კოპს და ცოტა გაბრაზდა, მაინცდამაინც ამ ხერხით რომ მიიყვანა სულიწმიდამ ამ აზრამდე. ღამით ვიკარი ჰაინც ლამპარტერის კარმიდამოს მიადგა. ის იყო ეშბერგის მნათე. ვიკარი მანამ დარჩა მასთან, ვიდრე მთელი სანთელი არ ჩაიწვა.

სამება დღეს ყველაფერი, საბედისწეროდ, სულ სხვაგვარად წარიმართა. მართალია, ზოგი გააოცა იატაკზე გაჭიმულმა ზონარმა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. თუმცა ერთმა დაზარალებულმა, რომელსაც თმა შეეტრუსა, მოგვიანებით გაიხსენა უცნაური კასრი.

მეზობელს გვერდშიც კი გაჰკრა იდაყვი და უთხრა:

— უყურე ერთი, ის თავად ლოთობს ღვთის სახლში.

როცა ვიკარი „უფალო შეგვიწყალეს“ ამბობდა, მას ხმა რაღაცნაირად უკანკალებდა. ეკლესიის მსახური კი ამტკიცებდა, რომ მნათე სწორედ ამ დროს ქვიშის საათით ხელში გავარდა ტაძრიდან.

— ახლა, — გრგვინავდა ვიკარი, — სამების განმწმენდი ცეცხლი შეიძლება გადაიქცეს ყველაფრის შთანმთქმელ ჯოჯოხეთის ცეცხლის ალად. ბელზებელი (სატანის სახელი ივრითის ტრადიციებით) ძლიერია და სიამაყის გამო ტაძრის კართანაც არ შეჩერდება. ყველაფრის განადგურება შეუძლია, ერთხელ თუ დაეპატრონა სულებს. ეს კი, ვაი, რომ უკვე მოხდა ეშბერგში. ცოტაც და ყველაფერი კვამლში გაეხვევა და გაქრება. ამ სიტყვებმა შეძრა ეკლესიაში მყოფნი. ერთმა დაკვირვებულმა ალდერთაგანმა ფელდბერგის გენერალურ ვიკარიატში მიიტანა ამბავი, რომ დიდად პატივცემული ვიკარი მეტისმეტად ხშირად ახსენებდა დაწვას, ნგრევას, კვამლსა და გოგირდს.

სამ გლეხს, რომლებიც ეკლესიის უკანა მერხზე ისხდნენ, აფეთქებისგან ყურის აპკები დაუსკდა, გუნდში თავხედური სიცილი წამიერად მიჩუმდა. ყველაზე უარესი კართან მდგომთ დაემართათ. ერთს ნამსხვრევებად ქცეული ფიცრებისგან ფეხები მოსტყდა, მეორეს — ბარძაყი, მესამეს ყურებიდან წასკდა სისხლი, რომელიც თეთრ კედელზე ჯვრის გამოსახულებასაც კი შეეშხეფა. არც მნათეს გაუმართლა. ის მხოლოდ დავალებას ასრულებდა

და, მიუხედავად ვიკარის გაფრთხილებისა, ძალიან ახლოს იდგა პატრუქიდან გამოსულ ცეცხლთან. ჰაინც ლამპარტერმა მხედველობა დაკარგა, სულ დაიწვებოდა, შიშით გორვა-გორვით ცვრიან ბალახამდე რომ არ მიეღწია. თავზარდაცემული მრევლი ყვირილით გარბოდა ტაძრიდან, ისე, რომ ვიკარის კურთხევას არავინ დალოდებია.

ეშბერგის მცხოვრებლებმა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოებს მიმართეს ფელდბერგში. მთავარმა ვიკარმა განაცხადა, რომ ეს წმინდა ეკლესიური საქმე იყო და გზასაცდენილი ძმა საღვთო სასამართლოს წინაშე წარდგებოდა. ასეც მოხდა.

ვიკარს წლიური შემოსავალი — სამას ორმოცდაათი გულდენი — გაუნახევრეს. ის და ეშბერგის ყველა მომავალი მოძღვარი გადაიყვანეს Coorator Expositus-ის რანგში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველანაირი გადაწყვეტილება გიოცბერგის ვიკართან უნდა შეეთანხმებინა. მართალია, ვიკარი თავს იცავდა თავისი უბადლო მჭევრმეტყველებით, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამების დოგმატი ნებას არ აძლევს, მქადაგებლის ყოველი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით იქნეს გაგებული, მაგრამ ვერც ამან უშველა. იმ კვირადღიდან, რომელიც ხალხს მეხსიერებაში გოგირდის სახელწოდებით ჩარჩა, სამი კვირის შემდეგ ვიკარმა დატოვა ეშბერგი. მოძღვრის კარზე წარწერილი ორიოდე სიტყვა იუწყებოდა, რომ ის ჰოენბერგში დასასვენებლად გაემგზავრა. რვა თვე განიცდიდნენ ეშბერგელები

სასულიერო მზრუნველობის საჭიროებას. რვა თვის შემდეგ კი ვიკარი მოულოდნელად ისევ გამოცხადდა. დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ „ახალი ცხოვრების“ წინაშე ბრძენი მოძღვარივით წარმდგარიყო. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება მხოლოდ გადაწყვეტილებად დარჩა.

ეს ყველაფერი იოჰანეს ელიასის დაბადებამდე სამი წლით ადრე ხდებოდა. მკითხველს, რომელიც აქამდე მოგვყვა, უფლება აქვს იკითხოს: რა საჭირო იყო ასე დაწვრილებით მგზნებარე ვიკარზე ლაპარაკი და რატომ არ დავიწყეთ თავიდანვე ამ საოცარ ბავშვზე მოყოლა? მკითხველი ნუ იჩქარებს ამ კითხვის დასმას.

ბავშვის დაბადებიდან ორი კვირის შემდეგ ეშბერგის ეკლესიაში, რომელიც გაგაოცებდათ თავისი ორსაგდულიანი სპილენძის კარით, ორმაგი სარტყლით, თორმეტი ანჯამით, ორი ნათლობა ჩატარდა. ორ ბიჭს ნათლავდნენ ალდერების გვარიდან, რომელსაც უკვე არაერთი ათწლეულია, შიდა მტრობა ჰქონდა. პირველ მათგანს, ჩვენთვის უკვე ცნობილ ჩვილს, სახელად დაარქვეს იოჰანეს ელიასი, მეორეს კი, რომელიც ხუთი დღის შემდეგ დაიბადა, პეტერ ელიასი. პეტერი ამქვეყნად ალბერგელმა მეანმა, ვეგერშმა, მოავლინა. შეამჩნევდით, რომ სახელი ელიასი გარკვეულწილად მომაბეზრებლად მეორდება, და აი რატომ.

სწორედ იმ სამების შემდეგ ელიას ბენცერი თავს მიიჩნევდა არა მარტო მოძღვრად, არამედ ყველა ეშბერგელის შვილებისთვის ქრისტეს მიერ

მოვლენილ მამად. როგორც ჩანს, ამ სიტყვის წმინდა საეკლესიო მნიშვნელობა უბრალოდ მის პირდაპირ მნიშვნელობაში აერია, რადგან სულ მალე ეშბერგში დაიბადა რამდენიმე ქერათმიანი ბავშვი, რომლებიც, როგორც ამბობენ, ფრიად პატივცემული ბატონი ვიკარის შვილები იყვნენ. გარდა ამისა, უაზრო პატივმოყვარეობით შეპყრობილი ვიკარი უკვდავებაზე ოცნებობდა. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ მგზნებარე სიტყვები ქრება, აი სახელი კი — მარადიულია. ამიტომაც წესად შემოიღო: ყველა ახალდაბადებული მამრობითი სქესის ჩვილის ნათლობისას მეორე სახელად ელიასი დაერქმიათ.

ნათლობამ ვიწრო ნათესაურ წრეში ჩაიარა. იოჰანეს ელიასის ახლობლები სამოციქულო მხარეს ისხდნენ, პეტერ ელისაისა კი — სახარების. ვიკარმა სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც წყლის ძალა ცეცხლისას შეადარა. სიტყვა საკმაოდ გაუგრძელდა, თითქოს ის გარკვეულ კრძალვას განიცდიდა ნათლობის წინაშე. როცა მან, ბოლოს და ბოლოს, ხელი ჩაყო მირონში და ჩვილის სტაფილოსფერ-წითელ შუბლზე ჯვრის გამოსახვა დააპირა, მღვდელმსახურს ხელი ისე აუკანკალდა, რომ იძულებული გახდა შეჩერებულიყო. შეეშინდა, უსუსური არსებისთვის რამე არ დაეზიანებინა. ამ დროს მისი მზერა უნებურად ზეფინას მზერას წააწყდა, ორივე შეცბუნდა და გაწითლდა. საბედნიეროდ, ორგანმა დაიწყო ნათლობის ქორალის დაკვრა. იოჰანეს ელიასი მყისვე გამოეხმაურა კივილით. ეს იყო მისი აღტაცების შეძახილი ორგანის ხმის გამო, თითქოს

მუსიკის აღმოჩენას ზეიმობდა. ზეფი, მამამისი კი ამ დროს კუშტი სახით, სკამზე მოიხარა, მზერა დახარა. ხოლო, როცა ჩვილმა კივილი მორთო, ზეფს ურჟოლამ მთელ ტანში დაუარა.

„დალახვროს ეშმაკმა! ნეტავ რა სჭირს ბავშვს?! აი, ხმაც ამას ჰქვია“ — გაიფიქრა ზეფმა. ყურები ისე მაგრად დაიცო, რომ ხელებზე ძარღვები დაებურცა.

პეტერ ელიასი, ნულფ ალდერის ვაჟი, კი არ კიოდა. მაშინვე გამოვლინდა მისი ხასიათი. პეტერ ელიასს არც არასოდეს უყვირია და არც არასოდეს უტირია. თუ ერთ შემთხვევას არ ჩავთვლით, რომლის შესახებაც მოგვიანებით დაწვრილებით მოგითხრობთ.

სამი დღის შემდეგ ელიას ბენცერი საშინლად მოკვდა. ტყეში, ეშბერგის მახლობლად, მაღლა, კლდოვან ხეობაში, სადაც, როგორც ჩანს, ადრეული ანწლისთვის ასულიყო, რადგან მის გვერდით მოწითალო ლაფნის კალათა იპოვეს. ასე იყო თუ ისე, ვიკარს უბედურება შეემთხვა — კლდიდან გადმოვარდა. მისი დასახიჩრებული სხეული ქვების გროვაში იპოვეს. მარჯვენა ბარძაყიდან თეთრი ძვალი გამოსჩროდა, მარცხენა ბარძაყი კი სხეულიდან შორს, ქვებს შორის, ეგდო.

სოფელში მის თვითმკვლელობაზე გავრცელდა ხმა. კიდევ ერთი უცნაური ფაქტია აღსანიშნავი. ზეფინას ბავშვის დაბადების მოწმობა აცაბაცა იყო დაწერილი, იმ დროს, როცა მეორე ბავშვის მოწმობა გულმოდგინედ გამოყვანილი ასოებით იყო შედგენილი. თუმცა მეტის თქმა ამაზე არ შეგვიძლია.

რაინიდან წამოსული ნისლი მთელი დღე გადაჰფენოდა ზეფ ალდერის კარმიდამოს. ტყეს ნისლი ჭირხლივით დასცემოდა, ნაძვის ტოტები ვერცხლისფერ წიწვებად აებურძგნა და ცივი ორთქლის წვეთებად ჩამოსწოლოდა ხეებს სამხრეთიდან. ამ დღეს მზეც და მთვარეც ერთმანეთის პირდაპირ გაყინულიყო ცისკიდურზე: მთვარე — როგორც მოტეხილი მასპინძელი, მზე კი — როგორც მზრუნველი დედის ლოყა. ბავშვი თავისთვის სკამზე იჯდა ფანჯარასთან, რომელიც ზეფინას ორი საკეტით დაეკეტა. მისი მზერა ქვემოთ, ტყისკენ იყო მიპყრობილი, იქ, სადაც მდინარე ემერი რაკრაკებდა. ბავშვს სული ეხუთებოდა, ქვემოთ, მდინარისკენ, მიუწევდა გული.

შუაღამისას ფიფქების უხილავმა ხმამ გააღვიძა. სიხარულისგან გაგიჟებულმა ფანჯრისკენ ისკუპა, ფართოდ გააღო და ხარბად შეისრუტა ეს უხილავი ბგერები, მერე განთიადამდე ასე იდგა. იმ დროისთვის მისი ძმა ფრიცი ოთახში მასთან ერთად აღარ იწვა. მშობლებმა ის თავიანთთან გადაიყვანეს, რათა ამ გრძნეულებით შეკრული, მოჯადოებული ბავშვისგან დაეცვათ. დილაადრიან, როცა ბავშვი დედამ ფანჯარასთან იპოვა, ელიასს უკვე შუბლი ენვოდა. ამის შემდეგ 10 დღე ლოგინში იწვა. ბავშვს მხოლოდ სიცხე როდი წვავდა, ის რაღაც უსაზღვრო, აუხსნელ სიხარულსაც შეეპყრო. მთელ ნაშუადღევს საეკლესიო სიმღერებს მღეროდა.

იმ დროისთვის მას ბევრი არაფერი გაეგებოდა. არ ესმოდა, რატომ უნდა გაჩუმებულიყო, როცა სახლში ვინმე უცხო შემოდიოდა. ძმას კი უფლება ჰქონდა, მოესმინა მისთვის. არ ესმოდა, დედამისს რატომ არ უნდოდა, ფანტელების სიმღერისთვის მოესმინა მასთან ერთად. არც ის ესმოდა, დედა რატომ არ რთავდა ნებას დაძინებისას მისი ყურის ბიბილოსთვის მოეკიდა ხელი. როცა დედა მას სიმღერას უშლიდა, განმგმირავად, ჩაბჟირებამდე ტიროდა. ასეთ დროს იძულებული ხდებოდნენ, ნება მიეცათ, თუნდაც ღამით ემღერა.

მოვიდა დრო ამ ბავშვის საიდუმლო გავამჟღავნოთ, სხვაგვარად ზეფინას უცნაური ქცევის ახსნა შეუძლებელია. ელიასს გასაოცარი გამყივანი ხმა ჰქონდა. როგორც მისი ბიძა, ოსკარ ალდერი, ადგილობრივი სკოლის ორგანისტი და მასწავლებელი, ამტკიცებდა, მედიცინის თვალსაზრისით, ეს ფენომენი აუხსნელი იყო. ბავშვს ეს თანდაყოლილი ჰქონდა. როცა ის ლაპარაკს იწყებდა, მხოლოდ წვრილი, სტვენის მსგავსი ხმა ამოსდიოდა. ხმას თითქოს არ ძალუძდა სუფთა სალაპარაკო ინტონაციად ჩამოყალიბება, ის ერთსა და იმავე ხმაზე უსტვენდა. ჯერ კიდევ ნათლობისას აუტყდა ზეფს ამ ხმის გამო ჟრჟოლა. ის ამაში შეჩვენებას, სირცხვილს ხედავდა. ეკლესიაში მას არაფერი უთქვამს, არც იყო ფუჭ ლაპარაკს ჩვეული.

იმ დღეს, როცა მზე და მთვარე ცის კამარაზე ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს იყო, ხუთი წლის ელიასი ჩუმად გაიპარა ოთახიდან. რაღაც უხმობდა

თავისკენ. გული ქვემოთ მიუწევდა.

მისთვის არავის ეცალა. ეშბერგში საერთოდ არ იწუხებდნენ თავს ბავშვებზე ფიქრით. ამას წინათაც ჭექა-ქუხილის დროს ერთი მცირეწლოვანი ალდერთაგანი ადიდებულ ემერში დაიხრჩო. დედამისმა მხოლოდ ეს თქვა: ყველას, რაც უწერია, არ ასცდება. ღმერთმა ბავშვი თავის დროზე წაიყვანაო.

ავდრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ზეფი მდინარიდან ნაპირზე გამორიყულს მიადგა. ბევრი ჩადიოდა ავდრის შემდეგ მდინარესთან, იმ იმედით, რომ იქ რამე გამოსადეგს იპოვიდა. თუ ვინმე რამეს იპოვიდა, მისი კუთვნილება ხდებოდა. ტყის გაყოფა გაუთავებელი დავის საბაბი იყო მოსახლეობაში. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ წყალს მეზობლის ტყის მასივიდან უამინდობისას დიდი ნაძვი შეეძლო სხვა მხარეს გაერიყა. საშოვარზე მდინარესთან წასვლისას, ელიასსაც ეძლეოდა საშუალება, მამას გაჰყოლოდა. იქ ბიჭმა ერთი ადგილი აღმოაჩინა, უფრო სწორად, წყლით შემოსაზღვრული ქვა, რომელიც საოცრად იზიდავდა თავისკენ. ზეფს თვალში მოხვდა, რომ ბავშვმა, რომელიც ქვიშასა და ლამში თავისთვის ფუსფუსებდა, უცბად თავი გვერდზე გადააგდო და გაისუსა, თითქოს დაძაბული რაღაცას უგდებდა ყურს. მოულოდნელად კი უხილავმა ძალამ აიძულა, წამომხტარიყო და მაღლა სანაპიროზე, რიყის იქით ამძვრალიყო. იქ კი ყველაფერი: შლამი, დამპალი ფოთლები, ბალახი, კენჭები თავისებურ ბგერებად იქცა. ზეფმა ბავშვს დაუძახა, შეახსენა, რომ ამ მივარდნილ ადგილას მარტო არ იყო. მამის ხმამ

ისე შეაშინა ბავშვი, რომ გულამოსკვნილი ატირდა, კარგა ხანს ვერ დამშვიდდა. გეგონება, იმ ქვას შეეზარდა, სადაც იდგა, ადგილიდან არ იძვროდა. ზეფი იძულებული გახდა, ძალით ჩამოეყვანა და შინ წაეყვანა.

ამ ყოველივეზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს საოცრება მთლად ნათელ ცაზე მეხივით არ გავარდნილა. ბავშვი ნელ-ნელა ამჟღავნებდა თავის ნიჭს.

ელიასს გამუდმებით ქვემოთ, იმ ქვისკენ მიუწევდა გული, ქვა თავისკენ უხმობდა. ერთხელაც ის ჩუმად დაეშვა კიბეებზე და კალოს გავლით თბილი ჰაერით გაჯერებულ ბოსელში შეიპარა. იქიდან მიდიოდა პატარა საცალფეხო ბილიკი, რომელიც სახლის ფანჯრებიდან არ მოჩანდა. სირბილით დაეშვა ბილიკზე. მანამ გარბოდა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ მშობლის თვალი იქ ვეღარ მისწვდებოდა. სიხარულისგან თან უსტვენდა. ფეხი დაუსხლტა, ლამის მდინარეში ჩავარდა. ზეფი ამ დროს მეზობლის კარმიდამოში იყო და თვალი მოჰკრა მდინარისპირა მდელოზე ნამცეცა არსებას. ზეფმა ხელი პირთან მიიტანა და ის იყო, ხმამაღლა დაყვირება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, არ უნდოდა, ბავშვისთვის სიხარულით აღსავსე მარტოობა დაერღვია. ზეფმა თვალი მიაშტერა ტყის ბნელ კლდეს, რომლის იქითაც ბავშვი თვალს მიეფარა. შემდეგ ხელი სტაცა ფინალს და გამძვინვარებულმა მხრჩოლავ ნაკელის გროვაში ჩაასო.

„დალახვროს ეშმაკმა, ნეტა რა სჭირს ამ ბავშვს?!“

— გაიფიქრა მან.

ბავშვი კი ისევ ისე მიაბიჯებდა, ცდილობდა, ფეხი არ დასცდენოდა ჭირხლით დაფარულ მიწაზე. უკვე ნახევარი საათი მიცუნცულებდა ასე. ცეკვა-ცეკვით დახტოდა ქვებზე, მარჯვედ შემოუარა ჯერ ერთ ჩანჩქერს, მერე — მეორეს. არაერთხელ შეჩერდა და ყური მიუგდო, რადგან ვერა და ვერ ძღებოდა თოვლის ფანტელების დაცემის წკრიალა ხმით, უსასრულო ნაკადად რომ მიედინებოდა ძირს. ელიასმა ანცად მიმოფანტა თავისი მძიმე ფეხსაცმლით თოვლი, უხაროდა, ხრაშუნით აქეთ-იქით რომ ცვიოდა. ჰაერი აივსო მრავალფეროვანი ხმით, ჯერ მსგავსი არასოდეს მოუსმენია. იმ ღამით ფანჯრიდან მოსმენილი თოვლის ფანტელების მუსიკა ბუნების ამ გრანდიოზულ კონცერტს ვერც შეედრებოდა.

ელიასი სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა. სულ უფრო და უფრო მაღლა ექაჩებოდა შარვალს, მამის ფეტრის ქუდს თვალებზე იფხატებდა. ეს ქუდი ერთხელ შემთხვევით ჩამოიფხატა და მას შემდეგ აღარ იშორებდა. მღელვარე ღამეების დროს ხარბად ყნოსავდა ამ ქუდს, სანამ არ დამშვიდდებოდა ხოლმე. ქუდს ოფლის სუნი სდიოდა. ამ ქუდით მუშაობდა მამა ბოსელში, ნეხვის სუნში.

რაც უფრო უახლოვდებოდა ელიასი წყლით შემოსაზღვრულ ქვას, მით უფრო მოუსვენრად უცემდა გული. ბავშვს ეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი: საკუთარი ნაბიჯების ხმა, ტოტების ლანალუწი, წყლის რაკრაკი მდინარე ემერის ყინულქვეშ, გასაოცარი ძალით, თავისებური

ბგერებით ეგებებოდა მას. როცა ელიასი, როგორც იქნა, ქვაზე აფოფხდა, მან საკუთარი გულიდან ამომავალი გუგუნი გაიგონა. თითქოს წინ მომავალი გადაეშალა, უცბად სიმღერა წამოიწყო. და მოხდა საოცრება: სწორედ იმ დღეს ელიასმა სამყაროს ხმა გაიგონა. სიცივისგან თავი ეყინებოდა და ქუდი კიდევ უფრო მაგრად ჩამოიწია თავზე. უცბად რაღაცამ ისე უბიძგა ყურის აპკზე, რომ დარეტიანებული დაეცა თოვლში. ბოლოს, რაც დაინახა, ეს იყო მთლად გასისხლიანებული ქერა თმის ბღუჯა. დაცემისას სმენა კიდევ უფრო გაუმძაფრდა. პატარა სხეულმა მოულოდნელად ფორმა შეიცვალა. თვალები ისე გაუფართოვდა, ლამის შუბლისკენ აეჭიმა, წამწამებიც თან გაიყოლა და მისი ბუნებრივი, მელანქოლიური, მომწვანო წვიმის წვეთისფერი სადღაც გაქრა, რაღაც საზარელ სიყვითლეში გადაიზარდა. ბავშვს კისერი სულ გაუშეშდა, მწვავე ტკივილს გრძნობდა, კეფით ცივ, უხეშ თოვლს მიეწება. ხერხემალი რკალისებურად დაეკლაკნა, ჭიპიდან სისხლის ნაკადი წამოუვიდა. მას საშინელი სახე ჰქონდა, აუტანელი ტკივილისაგან ლამის შეშლილს დაემსგავსა და შემზარავად კიოდა. ყბა წინ გამოვარდნოდა და ტუჩების ადგილზე მხოლოდ ორი უსისხლო ხაზიღა მოუჩანდა. ბავშვს ერთიმეორის მიყოლებით ყველა კბილი ჩამოსცვივდა, რადგან ღრძილიც აღარ ჰქონდა. რთული ასახსნელია, საერთოდ ჭკუიდან რომ არ შეიშალა, არ გაგიჟდა. შემდეგ კი, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ბავშვს სასქესო ორგანო მთლად დაეჭიმა და სისხლნარევ შარდთან ერთად ნაადრევმა სპერმამ

იფეთქა. ამ საშინელ წამებაში ელიასის სხეულმა ყველანაირი ექსკრემენტი გამოყო. ის, რაც მან ამის შემდეგ გაიგო, იყო გრგვინვა, მისი გულის გრგვინვა. გრგვინვა დღეისა თუ ხვალისა. ალბათ უკვე დაკარგა დროის შეგრძნებაც. არავინ იცის, რამდენ ხანს იწვა ელიასი ასე თოვლში. ადამიანური საზომით მხოლოდ წუთები, ღვთიურით კი, შესაძლოა, მთელი წლებიც. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ეს უჩვეულო მდგომარეობა.

ყოველი ხმაური, ჩუჩუნი, შრიალი, ზუზუნი, წკრიალი სულ სხვაგვარად ეცხადებოდა. ჯერ ასე არასოდეს გაუგონია. ელიასს არა მარტო ესმოდა, არამედ ხედავდა კიდეც ამ ბგერებს. ის ამ ხმების უფსკრულში იჭრებოდა და მათ გიგანტურ მთებად წარმოიდგენდა. ბავშვი თავისი სისხლის თქრიალსაც ხედავდა, თმების შრიალსაც, ისეთი გამალებული, განმგმირავი სუნთქვა ჰქონდა, ლამის ნესტოები დაგლეჯოდა, ქარსაც არ შეეძლო, ასე ესუნთქა. კუჭის სიმჟავე, ბუყბუყი ერთმანეთს შერწყმოდა. ნაწლავებში რაღაც დუდუნებდა, შიშინებდა მრავალ ხმაზე...

და ბოლოს, თითქოს ეს ყოველივე ერთ დიდ ყურად იქცაო იმ ადგილას, სადაც ბიჭი იწვა. ხმა სადღაც შორს გავრცელდა, სიღრმისეულ ლანდშაფტებს მისწვდა. ბიჭის სხეულის ბგერითი კულისებიდან მზარდი სიჩქარით ჩნდებოდა შთამბეჭდავი ხმოვანი დეკორაციები, არნახული სილამაზის და შიშის მომგვრელი სურათები — ავდარი, ქარიშხალი, ზღვა, უდაბნოები.

ამ საოცარ, უამრავ ხმაში ელიასმა მყისვე შეიცნო თავისი მამის გულისცემა. მაგრამ მამას გული ისე არარითმულად უცემდა, ელიასი უგონოდ რომ არ ნოლილიყო, ახლა სასონარკვეთილება შეიპყრობდა. ღმერთი კი უსაზღვრო სისასტიკეს იჩენდა და განსაცდელს განსაცდელზე უმატებდა.

ბავშვს თავს ნაკადებად ატყდებოდა წარმოუდგენელი სიძლიერის ბგერებისა და ხმაურის სტიქია. ყოველივე ერთმანეთში არეულიყო: გულის უწესრიგო გუგუნი, ძვლების ტკაცუნი, სისხლის ჩხრიალი არტერიებში, გამშრალი, მოკუმული ტუჩების შეხება, კბილების ღრჭიალი, კაწკაწი, სლოკინი, ოხვრა, ნერწყვის ყლაპვა, ხველა, ცხვირის მოხოცვა, ბოყინი, კუჭის წვენის ბუყბუყი, შარდის ხმაურიანი ჩხრიალი, თმის შრიალი, უცნაური ჩუჩუნი, შარიშური, ნაზი მღერა, კუნთების თრთოლა, ცხოველებისა თუ ადამიანების დაჭიმულ ძარღვებში სისხლის ძახილი, რომ აღარაფერი ვთქვათ, დედამიწაზე თუ მიწის ქვეშ ადამიანების და სხვა ქმნილებების ხმებისა და ბგერების აუტანელ ქაოსზე. სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა მის სმენაში: აურზაური, ღრიანცელი, ლანძღვა, ჩურჩული, სიმღერა, კვნესა, ღრიალი, სუნთქვა, ტირილი თუ ქვითინი, ქოშინი თუ ფაჩუნი. და ამ წარმოუდგენელ სიჩუმეში, როცა სახმო სიმები ჯერ კიდევ განაგრძობდა ახლახან წარმოთქმული სიტყვის მთელი ძალით ვიბრირებას, აზრთა გუგუნიც კი არ ეპარებოდა ბავშვის სმენას. ეს ხმები კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხატოვანი ხდებოდა. დაიწყო

ბგერებისა და ჩქამების ენით აუწერელი კონცერტი, რომელთაც ბუნების ქმნილებები უთვალავი სოლისტივით გამოსცემდნენ: დუდუნი, კიკინი, ფრუტუნი, ბღავილი, ღრუტუნი, წკმუტუნი, წრიპინი, სტვენა, ყეფა, კნავილი, ხორხოცი, ჩხავილი, ფრთების ტყლაშუნი, ჟღურტული, თრთოლა, მიწის ხმაური... ბავშვის მზერა უფრო და უფრო შორ სივრცესაც სწვდებოდა. ელიასმა ზღვის ბინადარნიც დაინახა: დელფინების სიმღერა, ვეშაპთა სიკვდილთან შერკინება, გუნდად შეგროვილი თევზების ბგერები, პლანქტონების წრიპინი, ქვირითის დაყრისას გამოცემული ხმები, ჩანჩქერთა ჩქაფუნი, მთის ქანთა რღვევა, ლავის თვალისმომჭრელი თუხთუხი, ზღვის მოქცევა, წყლის ლაპარაკი, ღრუბელთა გუგუნი, ჭექა თუ ბუნების ყოველი გაფაჩუნება და ბუტბუტი... შეუძლებელია ამ ყოველივეს სიტყვით გადმოცემა.

ბავშვი იმდენად დასუსტდა, ლამის ჩაიძირა სამყაროს ამ ხმაურში, მაგრამ ის უძლებდა... რა უნდა ყოფილიყო ეს: ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ყრუ გულისცემა ეშბერგიდან. გონს მოსულ ელიასს ყველაფერი დაავიწყდა, რაც ნახა და მოისმინა. მხოლოდ ერთი რამ ჩარჩა ღრმად მეხსიერებაში: ეს იყო იმ არსების გულის ფეთქვა, რომელიც სამუდამოდ მას ეკუთვნოდა. ეს იყო მისი მომავალი შეყვარებულის გულისცემა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ გაუძლო ელიასმა ამ გამაოგნებელ, უცნაურ რიტმს, ასევე დაუჯერებელია, რომ ბავშვი ჭკუიდან არ შეიშალა.

ის, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო,

აუცილებლად დაყრუვდებოდა. ყოვლად გაუგებარია, მაგრამ მას სმენა სრულებით არ დაზიანებია. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენთვის ცნობილი არაა.

სმენის ამ საშინელი გამოცდის შემდეგ ბავშვს გაუქრა სხეულის დაზიანებები. თვალის გუგებსაც დაუბრუნდა თავისი ფორმა, ხერხემალი გაუსწორდა, სხეულის მოკრუნჩხულმა ასომაც უწინდელი სახე დაიბრუნა, გამოვარდნილი ყბაც თავის ადგილზე ჩაუჯდა, თვალის გუგების სიყვითლე გაუქრა და ისევ მწვანე, მელანქოლიური ფერი დაიბრუნა, რაც მის თვალებს წვიმის წვეთებს ამსგავსებდა. თმა კულულებად დაეფინა კეფაზე, მხოლოდ კბილები დასცვივდა, მაგრამ ამ ნაკლმაც მცირე ხანს გასტანა — ახალმა კბილებმა იწყო ამოსვლა. ამ ამბის შემდეგ კიდევ სხვა ცვილილებებიც განიცადა ბავშვმა, რაც არანაკლები იდუმალებით იყო მოცული. სუსტი ხმა უფრო გაუძლიერდა, დღითი დღე უძლიერდებოდა და თავისებური სილამაზეც ემატებოდა. ბავშვს სრულხმოვანი ბანი აღმოაჩნდა. ამ მეტამორფოზამ იმდენად ააფორიაქა სოფელი, რომ მშობლებმა სირცხვილის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეს, ბავშვი ავზნიანივით ჩაეკეტათ.

იმ ამბის შემდეგ სხვა ცვლილებები იმით გამოიხატა, რომ საფეთქლებზე, ზედა ტუჩზე, ნიკაპზე, იღლიის ღრმულებში, საზარდულთან ჭაბუკობის ასაკისათვის დამახასიათებელი ღინღლი გაუჩნდა. ელიას ალდერი უკვე მოწიფულობის ნიშნებს ავლენდა.

დღემდე გაურკვეველი რჩება, როგორ იპოვა

საერთოდ გზა სახლამდე. თავდაპირველად ჰაინცინმა დაინახა, ზეფის სახლში სალაყბოდ რომ იყო მისული. სამზარეულოში ბოლის სუნი ტრიალებდა, სადილად შეჭამანდის კერძს ამზადებდა ზეფინა. ის კერასთან იდგა და დიდი კოვზით ურევდა საჭმელს. ჰო, ამ ბავშვს ღვთის რისხვა დაატყდა თავს, ამაში დღითი დღე ვრწმუნდები, — ჩაილაპარაკა მან. ჰაინცინი შეუსაბამოდ დიდ თავს აქნევდა და მოწყენილობისგან ფანჯრის დაორთქლილ მინას თითს უსვამდა.

— ვგრძნობდი, — განაგრძო ზეფინამ, — რომ აქ რაღაც ვერ იყო რიგზე. დღე-დღეზე ვიყავი, მაგრამ ვფიქრობდი, მეჩვენებოდა.

უცებ ჰაინცინმა მთელი ხმით იღრიალა:

— ღმერთო ჩემო, ბავშვი მთლად შიშველია ამ თოვლში. შიშველი!

ტაფა ხმაურით დაენარცხა იატაკს, კარი ხმაურით გაიღო. ზეფინა ბორძიკ-ბორძიკითა და სრიალით გაქანდა ქვემოთ, თოვლიანი ფერდობისკენ. ხელები გაშალა და ბავშვს ისე მძლავრად შემოხვია მკლავები, ლამის გაგუდა. მაშინვე სამზარეულოში წაიყვანა და ხის მაგიდაზე დააწვინა. როცა ზეფინა და ჰაინცინი ბავშვის შიშველ სხეულს დააკვირდნენ, ორივეს სახეზე სირცხვილმა გადაჰკრა. პატარა ასო აგზნებულ მდგომარეობაში ჰქონდა. შეშინებული ზეფინა თეთრეულის კარადისკენ გავარდა, ხელი დაავლო რაღაც ტილოს და ნაჩქარევად გადაატრიალა ბავშვი, რათა სასირცხვო დაეფარა ჰაინცინის დაჟინებული მზერისაგან. ის-ის იყო უნდა გაეხვია ბავშვი და, ეტყობა, ხელი მაგრად მოუხვდა სასქესო

ორგანოზე, რის გამოც ბავშვმა ხმამაღლა იყვირა.

— ღმერთო ჩემო, აი ხმაც ამას ჰქვია, ნამდვილი ირემივით ბღავის, — პირჯვარი გადაიწერა ჰაინცინმა და გადაწყვიტა, რაც შეიძლება ჩქარა მოშორებოდა ამ ცოდვიან კერას.

წასვლისას, რა თქმა უნდა, ყველაწმიდა დაიფიცა, რომ ზეფის სახლში ნანახზე არავის მოუყვებოდა. მაგრამ კვირადღეს უკვე ყველა შემხვედრი ეჭვის თვალით უყურებდა ცოლ-ქმარ ალდერებს. ზოგიერთი ქალი გულში ამაყობდა კიდეც, რომ მათ თავიანთ ქმრებს იქნებ დაუნი ბავშვი გაუჩინეს, მაგრამ არა ყვითელთვალება ეშმაკი. ერთმა ფეხმძიმე ქალმა, ნულფინმა, რომელიც მეხუთე თვეში იყო, ლოცვა დაიწყო და აღთქმა დადო, რომ, თუ მისი ნაყოფი ფიზიკურადაც და სულიერადაც ჯანმრთელი დაიბადებოდა, ქალწულ მარიამს, ვიდრე ცოცხალი იქნებოდა, ყვავილების თაიგულს მიუტანდა ყოველ თვე საკურთხეველთან.

მოგვიანებით ზეფინა ქმარს გამოუტყდა, იმ დღეს შიშველი ბავშვი როგორ ამოიყვანა თოვლიდან. განსაკუთრებით მის სასირცხო ორგანოზე გაამახვილა ყურადღება. ხომ შეიძლება არც არავის გაეგო ეს ამბავი, თავისით ხომ ვერავინ მიხვდებოდა. ბავშვს მალე ამოუვიდა ისევ თმა, კბილები. მაგრამ ლაპარაკსა და სინანულს რა აზრი ჰქონდა ახლა. ელიასი გამოცანად რჩებოდა მშობლებისთვის. მთელ ეშბერგში ამ ბავშვზე ჩურჩულებდნენ. იმ ავბედითი შემთხვევის შემდეგ ცოლ-ქმარი პირველი რამდენიმე ღამე თავიანთ საძინებელში კი არ დაწვნენ, არამედ

თავლაში, შუაში კი ფრიცი ეწვათ. ზეფინას დილამდე თვალი არ მოუხუჭავს, ფიქრებით, მისი აზრით, ეშმაკეულ ბავშვს დასტრიალებდა. და როცა თავის ქმარს გაუზიარა, რასაც ფიქრობდა, ერჩივნა, ბავშვს სახურავიდან დამპალი სარი დასცემოდა ან ემერში დამხრჩვალიყო, ან მარქენალ ძროხას გამოეფატრა, ამაზე ზეფმა ისე მაგრად ჩასცხო მუშტი, რომ ყბა ამოუგდო. ამის შემდეგ შეწყვიტეს ამ ბავშვზე ყოველგვარი ლაპარაკი. ზეფინას ძალიანაც რომ სდომოდა რამის თქმა, ვეღარც ბედავდა. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, რომ ყველაფერი კარგად შემოტრიალდებოდა. ამაზე კი შემდეგ თავში მოგიყვებით.

ჩაკეტილი

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ესოდენ უცნაურად და, ამავე დროს, სასტიკი მეთოდებით გააძლიერა ელიასის სმენა, ბავშვის გულში სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ ჭორები მის გარშემო არ დამცხრალა. ალდერებს სირცხვილისა და შიშის გამო ბავშვი ჩაკეტილი ჰყავდათ და არ იშურებდნენ მისთვის სილას, მუშტს, ჯოხს, უხეშობას. ბავშვს მათ უკითხავად ოთახის დატოვების უფლება არ ჰქონდა.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ მშვიდ ოჯახში ცხოვრება მთელი თავისი სისასტიკით შეიჭრა. თითქმის ყველა მათმა ნათესავმა და ეს კი ლამის მთელი ეშბერგი იყო, მაინცდამაინც ახლა მოისურვა თავიანთი საყვარელი ნათესავების

მონახულება. ცნობისმოყვარენი მოდიოდნენ სახლში, გაცხოველებულ ინტერესს ავლენდნენ საქონლის ჯანმრთელობაზე, უქებდნენ ზედმიწევნით სუფთა ბოსელს, ხარბად ისრუტავდნენ მშრალი თივის სურნელს, მადიანად ეძალებოდნენ მასპინძლის მირთმეულ ხილის ღვინოს, აღტაცებაში მოდიოდნენ ზეფინას მონესრიგებული სამზარეულოთი და ყოველივე ამის შემდეგ საბრალო ბავშვის ამბავს კითხულობდნენ. იმედოვნებდნენ, რომ ამ ეშმაკის ფეხს საკუთარი თვალით ნახავდნენ, მაგრამ ზეფი და ზეფინა მონოტონურად უპასუხებდნენ:

— ბიჭი ავადაა, ტიფი აქვს.

ბოლო ხანებში მისულ სტუმრებს უკვე თვალში მოხვდათ, რომ მაგიდაზე აღარ ედგათ მწკლარტე ღვინო, ბავშვსაც მეტისმეტად გაუხანგრძლივდა ავადმყოფობა. და როცა ერთხელაც კარის ზღურბლს მათმა დაუძინებელმა მტერმა, ნულფ ალდერმა, გადმოაბიჯა, ზეფს მოთმინების ფიალა აევსო. ორივე ხელით ჩაებღაუჭა მოსულს და ნამქერში მოისროლა.

მშობლების ნალაპარაკებით შეგულიანებულმა ეშბერგელმა ბავშვებმაც მიზნად დაისახეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეეღწიათ ამ წყეულ სახლში. ბიჭის ოთახის ფანჯარა გარედანვე ამოიცნეს. ყველანი იქ შეიკრიბნენ და გულიანად იცინეს ელიასზე და მის თვალებზე, ხმამაღლა უყვიროდნენ — ძროხის შარდს მიგიგავს ეგ თვალებიო. ელიასს გულმა ვერ გაუძლო, რომ ფანჯარასთან არ მისულიყო და თავისი ხმის დემონსტრირება არ მოეხდინა. ბავშვების ხმა მან ჯერ კიდევ მაშინ გაიგო, როცა ცეკვა-ცეკვით

ვიკარის სახლს ჩაუარეს. ელიასმა თავი ლეიბში ჩარგო და ელოდა, როდის დასრულდებოდა ეს შემზარავი ლანძღვა-გინება, მაგრამ ამას ბოლო არ უჩანდა. როგორ არ დაიცო ყურებზე ხელი, მაინც ესმოდა: „ყვითელთვალება ეშმაკო". ელიასმა ვეღარ მოითმინა, ფანჯარასთან მიიჭრა, ფართოდ გამოაღო და ისეთი კივილი დაატეხა იქ მყოფთ, რომ შეშინებულები და აღრიალებულები ქარივით გაცვივდნენ. ამ ამბის შემდეგ განუწყვეტლად ამას იმეორებდნენ: ყვითელი ავი სული გამოგვეცხადაო.

მხოლოდ ერთი მათგანი არ აჰყვა ამ შიშს, ის იქ, ფანჯრის ქვემოთ, დარჩა. მას პეტერ ელიასს ეძახდნენ. ეს იყო ნულფა ალდერის ვაჟი. როგორც გვახსოვს, ის ელიასთან ერთად მოინათლა ეკლესიაში. პეტერი იდგა ფანჯრის ქვეშ და ადგილიდან არ იძვროდა. არა იმიტომ, რომ შიშისაგან გაშეშდა, არა. ის რაღაც ცივმა აღტაცებამ მოიცვა, სრულიად განსხვავებული ადამიანი რომ დაინახა. გაოგნდა, ეს პატარა უცნაური არსება ხმამაღალ გოდებას რომ მოჰყვა. მისი გოდება ისე გლეჯდა იმ გაზაფხულის საღამოს ნაფლეთებად, რომ იქ, ქვემოთ, ნორჩმა ბალახმა თავი ჩაქინდრა და ახლომდებარე ტყეც თითქოს ატირდა. პეტერი ადგილზე გაშეშებული, პირდაღებული, ცივი მზერით შეჰყურებდა მაღლა მდგომს. იმ დღიდან პეტერი ცდილობდა, როგორმე ელიასის ნდობა დაემსახურებინა, რათა დამეგობრებოდა. თავდაპირველად ყოველ საღამოს იდგა ფანჯრის ქვეშ. შემდეგ იშვითად მოდიოდა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ურყევი იყო. მას არ სჭირდებოდა

დასტვენა ან ბუსავით კივილი, რომ თავისი მოსვლა ემცნო, ელიასი უკვე ელოდებოდა მას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პეტერი ერთადერთი იყო ელიასის ცხოვრებაში, რომელმაც მასში გენიოსი შეიცნო. ის გრძნობდა, რომ ელიასი რაღაც განსაკუთრებული, დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. და რადგან ეს გრძნობა პეტერს მთელი ცხოვრება განუშორებლად სდევდა, ცდილობდა კიდეც, რამენაირად დაეჯაბნა ელიასი. ელიასი კი გულუბრყვილოდ, მადლიერების გრძნობით სრულად მიენდო მას და ყველაფერში ემორჩილებოდა. ის ფიქრობდა, რომ პეტერი იყო ერთადერთი, ვინც ის ცხოვრების მძიმე წუთებში არ მიატოვა. ელიასს უყვარდა პეტერი.

ზეფინა უგულებელყოფდა ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო მისი ნაადრევად მოწიფული შვილის განვითარებისათვის. ის მას არც ელაპარაკებოდა, შეჭამანდიან ჯამს კარის ზღურბლთან დგამდა, გეგონება, კატა იყო. მასთან ურთიერთობის ეშინოდა. როგორც ეშბერგელ ქალთა უმრავლესობა, მისთვისაც უცხო იყო დედობრივი სინაზე, საალერსო სიტყვები. სულაც არ ზრუნავდა ბავშვის სისუფთავეზე, ბიჭი სრულ სიბინძურეში ჰყავდა. ტილიც კი გაუჩნდა. უწინ ბავშვებს, ჩვეულებისამებრ, ყოველ შაბათს აბანავებდა. ჯერ კიდევ გოგონა რომ იყო, სულ იმაზე ოცნებობდა, ეკლესიაში გაკრიალებული ტანსაცმლით როგორ მიიყვანდა ბავშვებს, სუფთა, წუნდაუდებელი საყელოებით. ახლა კი თავი აიშვა ზეფინამ. გაუხეშდა. მისი ზედმიწევნით მოწესრიგებული სამზარეულოც კი უკვე დავიწყებას მიეცა.

ერთხელ შეეცადა ისევ ძველ იმედებსა და ოცნებებს დაბრუნებოდა, მოეშორებინა ეს დაღლილობა, უხალისობა, მღეროდა ქალიშვილობის დროინდელ სიმღერებს, მაგრამ ამან არც მეტი, არც ნაკლები მხოლოდ რამდენიმე დღემ გასტანა.

ჰაინცინმა, მნათეს ცოლმა, ურჩია ზეფინას ბავშვისთვის რამე მალამო წაეცხო. მაისის ერთ დილას, როცა ირგვლივ ყველაფერი მწვანედ ბიბინებდა, ზეფინამ გაიფიქრა: „რა სიმწვანეა ირგვლივ. ალბათ არსებობს ბუნებაში რაღაც საშუალება, რომ ელიასის თვალებსაც დაუბრუნდეს თავისი სიმწვანე“. და მას უკვე მოუვიდა კიდეც აზრი. პირველად გამოიყენა ბაბუაწვერას ფოთლები. ჰაინცინმა ნერწყვით დაასველა ფოთლები და ბავშვს დახუჭულ ქუთუთოებზე წაუსვა. ბიჭი მთელი დღე უმოძრაოდ იწვა. საღამოთი მოხსნეს გამშრალი ფოთლები. ელოდნენ, რომ ელიასის ყვითელ თვალებს ბაბუაწვერას სიმწვანე რაღაცას უშველიდა, მაგრამ ყვითლად ჩამწვარ სანთელსაც არ შეეძლო ელიასის თვალების სიყვითლის დაჯაბნა.

დილით ადრე ისევ შეუდგნენ საქმეს, დადიოდნენ მდელო-მდელო, ბოსტან-ბოსტან, თითქმის შუადღემდე გაავსეს წინსაფრები ათასნაირი ბალახით, რომელთაც მწვანედ შეღებვის უნარი ჰქონდა. არც ერთწლოვანი ნაძვი გამორჩათ. მუყაითმა ქალებმა საკმაოდ ბევრი ნაძვის ტოტი დაამტვრიეს. ჰაინცინმა ურჩია, ჯერ ნაძვით დაეწყო. ახალგაზრდა ყლორტები ადუღებულ წყალში მოხარშეს და როცა ნახარში ბიჭის ქუთუთოებზე დაადეს, საბრალომ მძიმე დამწვრობა

მიიღო. ის იყო, მოურჩა დამწვარი კანი, რომ ჰაინცინმა ახლა ახალი მეთოდი მოიგონა ელიასის თვალებისთვის მწვანე ფერის დასაბრუნებლად.

ეს აზრი მას შემთხვევით მოუვიდა თავში, როცა საქონლისთვის ბალახს თიბავდა. „რადგან ბიჭის ავადმყოფობა შინაგანიდან მომდინარეობს, — გაიფიქრა მან, — ღმერთო ჩემო, შინაგანს უნდა უმკურნალონ". მან აიღო წვნიანის თეფში, გახეხა არყისა და წიფლის ხის ქერქები, შეურია კატაბალახა, სიმინდის ფოთლებიც დაამატა, ახლად მონველილი ძროხის რძის ორი კოვზი. ამ ნარევმა ბავშვს კუჭის სპაზმი დამართა. ახლა ამ ავადყოფობის განკურნებას შეუდგნენ ქალები, მაგრამ ბავშვმა ვეღარ მოითმინა და ისე ხმამაღლა იღრიალა, რომ ქალები გარეთ გაცვივდნენ. რადგან ჰაინცინის მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, ელიასის დედა იშვიათადღა გადადიოდა მეზობელთან. ბევრი საქმე მაქვსო, იმიზეზებდა ის, ვითომდა შეწუხებული.

ორი ზამთარი იცხოვრა ელიასმა ჩაკეტილ ოთახში. დროდადრო მოდიოდა პეტერი, ჩუმად იდგა ფანჯრის ქვეშ და მაღლა იყურებოდა. იდგა ასე რამდენიმე ხანს და ისევ მიდიოდა. ამ ოჯახის დაუძინებელმა მტრებმა — მამამისმა, ძმებმა — ვერაფრით შეძლეს, ვერც ცემით, ბავშვისთვის მოეშლევინებინათ იქ მისვლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, საეჭვოა, ბიჭებს ერთმანეთისთვის ორიოდე სიტყვა ეთქვათ. ერთხელაც პეტერის უდრეკ ერთგულებას ელიასმა ნდობით უპასუხა.

აღდგომის შემდეგი კვირა იყო. ელიასს ზიარება

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნდა მიეღო, მაგრამ დედამისმა ეს ვიკარს გადაადებინა. ამ წელსაც უნდოდა დედამისს გადავადება, ამიტომ ვიკარს უთხრა — ბავშვი ავადაა, ფეხზე ძლივს დგას, ხროტინებს და თავში საშინელი ჩხვლეტები აქვსო. ამჯერად ვიკარმა აღარ დაუჯერა და გადაწყვიტა, თავად მისულიყო ზეფ ალდერის სახლში. ვიკარი ბოიერლაინი მეტისმეტად კეთილი კაცი იყო, გამხდარი, უჩვეულოდ გრძელი ცხვირი ჰქონდა. რადგან მან მშვიდი ლაპარაკით მშობლები ვერ დაითანხმა, მისთვის უჩვეულო უხეშ ტონზე გადავიდა და მათი სიჯიუტე დაგმო. არც ამან გაჭრა, ზეფი და ზეფინა ჯიუტად ისევ თავისაზე იდგნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვიკარი დაემუქრა, რომ ამ მომაკვდინებელი ცოდვისთვის მათ ჯოჯოხეთური ტანჯვა ელოდათ, ზეფი დასთანხმდა. ზეფინა კი ისევ ჯიუტად იმეორებდა: ჩემთვის სულერთია, თუნდაც შამფურზე ამაგონ ჯოჯოხეთის ცეცხლში, ბიჭი ზიარებაზე არ წავაო.

ალბათ წვრილმანების გამოტოვება მოგვიწევს, რაც ზიარებაზე მოხდა: როცა ბავშვმა ბანით სიმღერა დაიწყო, ყველამ პირი დააღო, გაოცებული მრევლი დადუმებული მისჩერებოდა მას. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზიარებაზე არც ერთ მოსული ისე მხურვალე გულით არ შეგებებია ქრისტეს, როგორც ელიას ალდერი. მაგრამ ზიარების შემდეგ, საერთო ტრაპეზზე, ბავშვი აღარ იყო. შემდგომში ზეფინამ ბავშვს უფლება მისცა ევლო მესაზე, მაგრამ ეკლესიაში უნდა გამოჩენილიყო

მხოლოდ მეორე „უფალო შეგვიწყალეზე“ და ვიკარის დალოცვამდე ისევ გამქრალიყო იქიდან. დედამ უბრძანა, რომ ის სამოციქულოს მხარეს, უკანა სკამზე, უნდა მჯდარიყო, სადაც კვირაობით მოხუცები ჩუმად თვლემდნენ, ხანდახან თუთუნს ღეჭავდნენ ხოლმე.

გვინდა რამდენიმე სიტყვით ჩვენი გმირის დედას შევეხოთ. მან უცნაური შვილის გამო სიცოცხლის ხალისი დაკარგა. რასაც ახლა მოგითხრობთ, ეს ეფუძნება ერთ ეპიზოდს, რომელიც მოხდა იმავე წლის სამება დღეს.

სამებაზე ტაძრის კურთხევა მიმდინარეობდა და ხშირად დღესასწაული შფოთითა და ჩხუბით, სისხლიანი ხოცვა-ჟლეტითაც კი მთავრდებოდა. წლის ამ ერთადერთ დღეს ადგილობრივი გლეხობა იკრიბებოდა ეკლესიის გვერდით მდებარე მინდორზე, სადაც ღორულად ჭამდნენ და უფასო ალუბლის ნაყენს სვამდნენ. წესისამებრ, ამ საეკლესიო დღესასწაულზე წირვა ჯერ გარეთ, სუფთა ჰაერზე უნდა ჩაეტარებინათ. საკურთხეველი ზიზილასა და ბაბუაწვერას ლამაზი ყვავილებით იყო მორთული. ასევე მინდორზე ყვავილებით იყო გამოსახული ორი სიტყვა: AVE MARIA, მაგრამ ღამით მინდორზე ვიღაცის ძროხა შეიპარა და ასო R გადააყირავა. ამან ძალიან გააბრაზა ვიკარი, რომელიც განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა წმინდა მარიამს, ახალგაზრდობაში კი ღვთისმშობლის გულის ახალგაზრდული კონგრეგაციის წევრი იყო. ვიკარი ცდილობდა, ისევ აღედგინა ასო. მედავითნეები იღრიჭებოდნენ, წყლით კურთხევისას, ცხვირს განზე სწევდნენ, რომ ვიკარის

ხელს არ შეხებოდნენ. საერთოდ, ეს იყო დიდი და ამაღელვებელი რიტუალი. სადღესასწაულო ლოცვა-კურთხევისას, როცა შემოწირულობათა ყუთი გამოჩნდებოდა, გლეხები ისე ღრიალებდნენ „Tedeum", თითქოს სამიკიტნოში ან თივით დატვირთულ ურემზე ისხდნენ.

წირვის შემდეგ კი დღესასწაული დაიწყო. სოფლის მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად დაისწავლა დაუსრულებელი ოდა კაიზერის სახლის სადიდებლად. ამ ლექსის შემთხზველი გახლდათ ერთი კაცი, რომელსაც მიქელ მენახშირეს ეძახდნენ, რადგან ალტიგის კარმიდამოში ნახშირის ორმო გამოწვა. ამ კაცს ჩვენს წიგნში კიდევ შევხვდებით. თითოეულ მოსწავლეს უნდა წაეკითხა გრანდიოზული პოემის ორი სტროფი, თან მასში გადმოცემული შინაარსი უნდა განესახიერებინათ. როცა რიგი ელიასზე მიდგა, ზოგიერთ მაყურებელს უკვე დაემანჭა სახე. ბიჭი იდგა მაყურებლის წინაშე, თავზე ზიზილის გვირგვინი ედგა და დაიწყო მხატვრულად ლექსის კითხვა. როცა მისმა რბილმა, მსახიობურმა ბანმა დასჭექა, სოფლის მცხოვრებთ ისეთი ხარხარი აუტყდათ, გიოცბერგამდე ჩააღწევდა მათი ხმა. ელიასს ენა ჩაუვარდა და გაშტერებული მისჩერებოდა იქ მყოფთ, რომელნიც, თავის მხრივ, მისი თვალების სიყვითლით იყვნენ მოჯადოებულნი. უცბად ზეფინას სუნთქვა შეეკრა და გულშეღონებული იატაკზე დაეცა. ელიასი, გეგონება, ფიცარნაგს შეეზარდაო, ადგილიდან ვერ იძვროდა, სანამ მასწავლებელმა არ გადმოიყვანა. ზოგმა ღრიალი მორთო: Tackapo! Tackapo! (მახინჯო).

მხოლოდ მაშინ გაჩერდნენ, როცა გამოვიდა ბატონი ფოკო, რომელიც ცნობილი იყო ცეცხლის ყლაპვით. ცეცხლის დანახვამ სოფლის ხალხს 1800 წელს, კვირადღეს, მომხდარი ხანძარი გაახსენა. სიცილით კარისკენ უთითებდნენ ერთმანეთს. მოხუცი ლამპარტერი კი, რომელიც მაშინ დაბრმავდა, ძველ კარგ დროზე სინანულს გამოთქვამდა: რაღაა აქ სალაპარაკო, რაც ვიკარი ბენცერი დაიღუპა, მას შემდეგ ეშბერგში საინტერესო აღარაფერი მომხდარა, — ამოიოხრა მოხუცმა.

მალე ზეფინა სულ დაუძლურდა. ის საერთოდ აღარ ბანაობდა, მთელი კვირები, სიმინდის ფაფის გარდა, არაფერს ამზადებდა, ყველაფერზე გულაცრუებული ამით იყორავდა მუცელს. ზეფინა საშინლად გასუქდა. მას აღარ შეეძლო ზეფთან წოლა. თუმცა მას შემდეგ, რაც გასუქდა, აღარც ზეფს ჰქონდა მასთან დაწოლის სურვილი. „მაკე ღორივით გასუქდა" — ერთ მეგობარს დასცდა ზეფის ნათქვამი, რომელსაც აღარ შეეძლო ამ ქალის სიყვარული. არადა ის სულ ოცდაშვიდი წლის იყო. თანაც ქალს კიდევ ერთი უცნაურობა დასჩემდა: ლოცვითა და სიმღერით ღამღამობით დახეტიალობდა ეშბერგში, გომბეშოებს სანთლებს უნთებდა, ტიტველი გორაობდა შემოდგომის ბალახზე, შიშველ მუცელზე ნეხვზე დახვეულ ხოჭოებს ისვამდა, სასირცხოს თიხით ივსებდა, ბოლოს მარცხნა ლოყიდან ხორცის ნაჭერი მოიჭრა და დიდის ამბით ბალიშზე დასვენებული ეკლესიაში მიიტანა. თავისი რელიკვია დადო წმინდა ევსევიას წინ, რომელსაც, როგორც ჩანს, ასევე თავისი სხეულიდან მოჭრილი

ადგილი ბრესნერბერგიდან ვიქტორსბერგამდე უტარებია. წმინდა ევსევიას ხელში ვიღაც არამზადების მიერ მოკვეთილი საკუთარი თავი ეჭირა. ზეფინა მის წინაშე მუხლებზე დამხობილი საათობით ლოცულობდა. განუწყვეტლად ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა: რად გამომიგზავნა ღმერთმა ასეთი ბავშვი? ჭკუასუსტი რომ ებოძებინა, სოფელი ხომ ამაზე არას იტყოდა. სამწუხაროდ, ერთი წლის შემდეგ, როცა ის უკვე მდგომარეობიდან გამოვიდა და კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი, აუსრულდა კიდეც ეს სურვილი მესამე ბავშვის შეძენისას. რამდენად უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, დედამისის სიგიჟე ელიასისთვის ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა — მან თავისუფლება მოიპოვა. ალდერების სახლში კი, მიუხედავად ამისა, ყველაფერი ისევ თავის რიგზე მიდიოდა.

რას აკეთებდა ზეფი, როცა ხედავდა, რომ მის შვილს სულიერი თანადგომა, თანაგრძნობა სჭირდებოდა? ხშირად ატირებული ელიასი მამას მკერდზე ეხუტებოდა, იმ იმედით, რომ მამა გულში ჩაიკრავდა და უსიტყვოდ დაამშვიდებდა. მაგრამ ზეფს არ ჰქონდა ამის ძალა, ის მხოლოდ დუმდა.

და მისი ძმა ფრიცი? აქ, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ის ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ფრიცი იმდენად უმნიშვნელო ადამიანი იყო, რომ აჯობებს, საერთოდ გვერდს თუ ავუვლით. ჩვენამდე მის ნათქვამ ერთ სიტყვასაც არ მოუღწევია და რომც მოეღწია, არანაირ ინტერესს არ აღძრავდა.

ჩვენი გმირის ადრეული ბავშვობის სურათი თანდათან წყვდიადში იკარგება. თუმცა მას ჰქონდა ასევე სიხარულის ნამები, რომელთა დამალვაც მკითხველისთვის არაფრით არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით უნდა დავუბრუნდეთ 1800 წლის გაზაფხულს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ხუთი წლის იყო.

ეს მოხდა აპრილის წვიმიან დღეს. სადღაც სადილობის ჟამს ელიასი თავისი ოთახის ფანჯარასთან იდგა და უყურებდა, მაღლა მთაზე ქოშინით როგორ ადიოდა ერთი უცნობი ქალი. ქალის წითელი ტყავის ჩანთით ის მაშინვე მიხვდა, რომ მეანი იყო. ელიასმა ფანჯარა გამოხსნა, რომ დაენახა, საით მიდიოდა ქალი. მაგრამ ქალი თვალს მიეფარა. ელიასი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ამით თავს საფრთხეში იგდებდა, ფანჯრის რაფაზე აძვრა და დაინახა, რომ ქალმა ნულფა ალდერის სახლისკენ გადაუხვია. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, როცა ელიასი თავის ლეიბზე ინვა, უცებ კეფაში საშინელი ტკივილი იგრძნო, გულში ჩხვლეტა და სუნთქვა შეეკრა.

— ღმერთო, ღმერთო, რა არის ეს? — იღრიალა მან ღრმა, ხორხისმიერი ხმით, ერთდროულად ტიროდა და იცინოდა კიდეც. თავზარდაცემული ფეხზე წამოხტა, ჩარაზულ კარს მუშტები დაუშინა, ფანჯარას ეცა, შუშა გატეხა და სადღაც შორს, ტყისკენ, სადაც მდინარე ედერი მიედინებოდა, თავისი მჭექარე ხმით გასძახა:

— არ გაჩუმდე, ოღონდ არ გაჩუმდე!

იმ დღეს ვირგინა ალდერმა, ნულფინმა თავის

ქმარს გოგონა გაუჩინა, ჯანმრთელი სულითა და ხორცით. ნათლობისას ელზბეტი დაარქვეს. იმ დღის შემდეგ წმინდა მარიამის საკურთხეველთან ყოველ კვირადღეს მინდვრის ყვავილების ლამაზი თაიგული იდო. ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ეს ყვავილები დაჭკნებოდა.

ელიასი სიხარულით გულამოსკვნილი ტიროდა. ის მთელი არსებით ხარობდა, ზეიმობდა, რადგან ლამაზ გულისცემა ესმოდა. ელიასს ეგონა, სამოთხეს ხედავდა:

— ოღონდ არ გაჩუმდე! — კვნესოდა ის და ტყის შორეული მხარისკენ გზავნიდა თავის ხმას, იქ, სადაც პირველად ეზიარა საუცხოო ხმებს. ეს იყო პატარა ელზბეტის გულის ფეთქვა — მისი სიყვარულის ხმა.

ხმა, ცხოველმი და ორგანი

ათი წლის ის უკვე მონიფული მამაკაცი იყო. თმა შეუთხელდა, შუბლის ორივე მხარეს მელოტი ადგილი მოუჩანდა. მას სურდა, რომ თანატოლებს ჰგვანებოდა, ამიტომ სანთლით იწვავდა ნიკაპზე ამოსულ ღინღლს, იმ იმედით, რომ წვერი აღარ ამოუვიდოდა. ასე რომ, მას თავს დაატყდა ფიზიკური მომწიფების მთელი ნაკადი. ელიასს ხმაც და გარეგნობაც მამაკაცის ჰქონდა, მაგრამ სიმაღლით 10 წლის ბავშვი იყო. მას სურდა, ბავშვად დარჩენილიყო და ბავშვის ხმით ელაპარაკა. ელიასს საკუთარი გარეგნობის შესახებ გარშემო ისეთი უცნაურობები ესმოდა, რომ ამას მისი გონება ვერ სწვდებოდა. და რომ ის ამ ტყუილის და

ლანძღვა-გინების მორევში არ ჩაიძირა, ამას თავის კეთილ გულს უნდა უმადლოდეს, კიდევ იმ შინაგან ძალას, რაც მას იმედს არ აკარგვინებდა.

მაგრამ უჩვეულოსა და უცნაურსაც კაცი, თუ ყოველდღე ხედავს, ეჩვევა, ასე რომ, მალე სოფელიც შეეჩვია ამ მამაკაც-ბავშვის სახეს. სკოლაში დიდად არც გამოირჩეოდა, იმდენ რაქიტიანსა და დიდთავას შორის რომ იჯდა ერთი საცოდავი, ყვითლად ანთებული თვალებით. ერთხელაც სოფლის მასწავლებლის, ოსკარ ალდერის, ყურადღება მიიქცია ზეფინას ბავშვების სიგამხდრემ, ჩაშავებულმა თვალის უპეებმა. ზეფინას ხომ უკვე კარგა ხანია სახლში სადილი არ მოუმზადებია, წყალწყალა სიმინდის ფაფის გარდა. ოსკარ ალდერი იძულებული გახდა, რაღაც დროის განმავლობაში ზეფინას ბავშვების გამოკვებაზე ეზრუნა. როცა ზეფინა ისევ გონს მოეგო, მისი ბავშვებიც გამოცოცხლდნენ.

ამასობაში ზოგიერთ ავხორც დედაკაცს ელიასის მამაკაცურობაზე ეჭირა თვალი. ელიასს არ ესმოდა მათი გადაკრული ნათქვამის. ის უბრალოდ ცდილობდა, გვერდი აევლო ამ ქალებისთვის. განსაკუთრებით ერთი იყო ამ პატარა მამაკაცით გატაცებული. მას ბურგას ეძახდნენ. ის მარტო ცხოვრობდა. საბედო ფრანგებმა მოუკლეს. ბურგას უყვარდა ცხოვრება, კაცები, ამიტომაც იქცა სოფლის მეძავად. სოფელში მოთქმა-მოთქმა დადიოდა მასზე, რადგან ის კვირადღეს ეკლესიაში არ დადიოდა. იქნებ ევლო კიდეც ეკლესიაში, გაუთხოვარი ქალებისთვის განკუთვნილი წინა სკამისთვის რომ არ ყოფილიყო

განწირული. ეს სკამი სამარცხვინო ბოძივით იყო და მხოლოდ იმით განსხვავდებოდა სხვებისგან, რომ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იდგა. ამ სკამზე უნდა მსხდარიყვნენ ის დედაკაცები, რომელთაც შვილები არ ჰყავდათ. ბურგას არაერთხელ მოეშალა მუცელი, ამის შესახებ მთელმა სოფელმა იცოდა.

მას შემდეგ, რაც ელიასმა სამება დღეს ის საშინელი რამ გადაიტანა, გადაწყვიტა, ხალხში ერთი სიტყვაც არ ეთქვა. ამან აიძულა ის, საკუთარ იდუმალ ოცნებებში ჩაკეტილიყო. მას უკვე სძულდა საკუთარი თავი და თავისი ბანი ხმა. როცა სკოლაში საღვთო რჯულის გაკვეთილზე ყვებოდა, ყველანაირად ცდილობდა, ღრმად ჩაესუნთქა ჰაერი და ჩურჩულით ელაპარაკა. არტიკულაციის ამგვარი ხერხი მას დიდ ძალისხმევად უჯდებოდა, ამიტომაც მალე თავის ტკივილები დაეწყო და ამან მთლად დაადუმა.

დარდის გასაქარვებლად ქვემოთ, ემერისკენ, მიდიოდა, სადაც ერთხელ წყალში დიდი ქვა აღმოაჩინა. იქ არ ეშინოდა, რომ ვინმე გაიგებდა მის ხმას და დაიწყო ხმის დახვეწა. პირველ ხანებში მრავალსაათიანი კივილით იფარგლებოდა, ის გაჰკიოდა უკანასკნელი ძალის გამოლევამდე. ამ გზით სურდა, თავისი ხმიდან განედევნა ბანის მაღალი ტონები და მხოლოდ ბავშვური სოპრანო შეენარჩუნებინა. ელიასი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ამან მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ხმა ჩაეხრინწა. იმედგაცრუებული ელიასი ატირდა, წყალში ფეხები ჩაუშვა და მაღლა მოჩუხჩუხე ჩანჩქერს მიაშტერდა. უაზროდ შესცქეროდა წყლის

შხეფებს, დაუსრულებელ ნაკადად რომ მოედინებოდა მთის ნაკადულიდან.

ივნისის ერთ საღამოს, ორი დღით ადრე, ვიდრე თერთმეტი წელი შეუსრულდებოდა, ჩვეულებისამებრ, თავის საყვარელ ქვაზე იჯდა და უიმედოდ შესცქეროდა მთიდან მოჩხრიალე წყალს. უცბად აღმოაჩინა, რომ წყალი ყოველთვის ზემოდან ქვემოთ მოედინება და ქვაც ქვემოთ მოგორავს, წვიმის წვეთებიც დაბლა, მიწაზე ცვივა, თვით მინდვრის ყვავილიც კი დროთა განმავლობაში მიწისკენ იხრება. მან აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი და გადაწყვიტა, თავისი ხმა იმ დონემდე მიეყვანა, რომ შეძლებოდა ზემოდან ქვემოთ, სიღრმისკენ ესრიალა. რამდენიმე საათის გავარჯიშების შემდეგ უკვე შეეძლო ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკი.

და მოხდა რაღაც საოცრებაც: როცა მან სცადა ყველაზე მაღალი რეგისტრები გამოეცა, ბუჩქნარიდან მელიის ბოკვერი გამოვარდა და სრულიად მოულოდნელად ბიჭს პირდაპირ სახეში შეხედა. შემდეგ ისკუპა და მის ფეხებთან გაჩნდა. ბიჭს შეეშინდა, მისმა შეკრთომამ მელიაც შეაშინა და ისევ ბუჩქნარში გაუჩინარდა. შემდეგ ისევ გამოყო თავი, მაგრამ იქვე, შორიახლო გაჩერდა. ჩანჩქერის გვერდით, ნესტიან თხრილებშიც რაღაც აფრთხრიალდა. მოულოდნელად გამოღვიძებული ღამურებიც ჰაერში აწრიალდნენ და ვეღარაფრით მშვიდდებოდნენ. როცა ერთი მათგანი პირდაპირ ელიასისკენ გამოფრინდა, ქვის ბრტყელ ზედაპირზე ტყაპანით დაეცა და თავისი ნაცრისფრად მოლაპლაპე

თათებით ზედ მიეწება, ელიასს შეეშინდა. სწორედ ამ დროს ეშბერგის ძაღლებმაც ატეხეს გნიასი და მათი მრავალხმიანი ყეფა დიდხანს აღარ გაჩუმებულა. ცოტა ხნის შემდეგ ქვაზე ორი ლაქებიანი სალამანდრა აცოცდა, აშკარად შემცბარნი ჩანდნენ, ეგონათ, მზე ამოდიოდა.

ელიასმა შეძლო, — სხვაგვარად ალბათ ამ ფენომენს ვერც ავხსნით, — მიეღწია ბგერითი სიხშირისთვის, რომელიც ცხოველთა სმენისთვის ადვილი გასაგები იყო და ღამურების ულტრაბგერულ დიაპაზონშიც შეაღწია. მას ისეთი ხმა ჰქონდა, რომელიც ადამიანთათვის გაუგებარი იყო, მაგრამ ცხოველებს ესმოდათ მისი.

იმ დღეებში ოსკარ ალდერმა რაღაც ცვლილება აღმოაჩინა ამ ბავშვ-კაცში. ელიასს უკვე აღარ შეეძლო მერხზე მშვიდად ჯდომა, გამუდმებით ცქმუტავდა. როგორღაც დაფაც კი გატეხა. როცა ერთხელ მასწავლებელმა სთხოვა, ეპასუხა კითხვაზე, რომელიც არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა, ის სადღაც შორს იყო ფიქრებით წასული და არც გაუგია კითხვა. ამან მასწავლებელი საგონებელში ჩააგდო: აქამდე ელიასი არასოდეს აყოვნებდა პასუხს. ბევრჯერ გაკვირვებულიც კი დარჩენილა ამ ბავშვის მეხსიერებით არა მარტო ის, არამედ თვით გრძელცხვირა ვიკარიც. ბიჭმა ისე კარგად იცოდა საღვთო წერილი, ორივე აღთქმიდან ყველა სახელი და სიუჟეტი, რომ ვიკარი იძულებული იყო, გონება დაეძაბა და ბრწყინვალე პასუხის აზრს ბოლომდე ჩასწვდომოდა. ხალხმა შენიშნა, რომ გაკვეთილების

შემდეგ ვიკარი ხშირად ჩაუჯდებოდა ხოლმე ბიბლიას და ხელახლა კითხულობდა ამა თუ იმ ადგილს. ვიკარი ბოიერლაინი სიამოვნებით გაუშვებდა ელიასს ფელდბერგის სამონასტრო სკოლაში სასწავლებლად, მაგრამ მამამისის წინააღმდეგობას წააწყდა: „ძროხის მოსაწველად, ნეხვის ასაღებად რა სწავლა-განათლებაა საჭიროო“, — უთხრა მას ზეფმა. რა თქმა უნდა, მართალიც იყო. ახლა კი ბიჭი თითქოს სულ შეცვალესო. მან ბავშვს ეს თავხედურ გამოწვევად ჩაუთვალა. გადაწყვიტა, ამ თავხედობისთვის საყვარელი მოსწავლისთვის თითებზე ათჯერ დაერტყა როზგი. ელიასს კი ამ დროს თავისი ახლად შემუშავებული ხმის გამოცდა სურდა. ოსკარ ალდერი სულაც არ იყო მკაცრი მასწავლებელი. როზგს იშვიათად იყენებდა. თუმცა ერთხელ სასტიკად დასაჯა ერთ-ერთი ლამპარტერი, რომელმაც გულუბრყვილოდ „თხის ფურთხი“ უწოდა. ამის გამო ოსკარმა ის იატაკზე დასცა და ფეხებით დაუწყო ცემა. იმდენი ურტყა, ვიდრე არ დაასისხლიანა. სხვა მოსწავლეებმა კი ნაცემი ლამპარტერის თმა იატაკიდან მოაგროვეს და თავიანთი ნადავლი ზეიმით ჩადეს თიხის ჭურჭელში. ამ ამბის შემდეგ პატარა ლამპარტერი, როგორც კი მასწავლებლის მზერას იგრძნობდა, შიშისაგან ენა ებმოდა. ეს ზადი მას მთელი ცხოვრება გაჰყვა. ელიასმა კი შიში არ გამოამჟღავნა, არც დაბნეულა, აშკარად გამოჩნდა აქ ეშბერგელის ჯიუტი ხასიათი, რომელიც ერთხელ თუ აიწყვეტს, მორჩა.

ელიასი ყოველდღე ჩადიოდა წყალში აღმოჩენილ

თავის ქვასთან და დაუღალავად ხვეწდა ხმას. სხვადასხვა ტონალობას სცდიდა, სიმღერას ყვირილს ანაცვლებდა, რაც უცხო მსმენელისთვის ავის მომასწავებლად ჟღერდა. მან ახლახან თავის თავში უჩვეულო ნიჭი აღმოაჩინა — მას სხვების ხმების მიბაძვის უნარი ჰქონდა. ამაზე შემდეგი ეპიზოდი მოგვითხობს:

1815 წელს, სახელდობრ, როცა ქრისტეს ამაღლების დღესასწაულს აღნიშნავდნენ, სოფელში, უპირველეს ყოვლისა კი, ბრმა ჰაინც ლამპარტერის სახლში, თავისებური რელიგიური მისტერიები იმართებოდა. დაიწყო იმით, რომ ბრმამ განიზრახა საქონლის საძოვრად მესრით შემოეღობა ტყისპირა ადგილი, სადაც საზღვარი გადიოდა მისი და ზეფის მიწებს შორის. ისმის კითხვა: შეეძლო კი ბრმა ადამიანს სხვის დაუხმარებლად მესერის გაკეთება?

ჰაინცინმა, როცა ერთ წვიმიან კვირადღეს თავის და ზეფის კარმიდამოს თვალი მოავლო, თავში ერთმა აზრმა გაუელვა — ხომ შეიძლება მესერი გადაიწიოს... და თავისი იდეა ჰაინცსაც გაუზიარა.

მეორე დღეს დაინახეს, რომ ბრმა ჰაინცს თავისი საზღვარი, რაც შეიძლება შორს გადაჰქონდა. ჰაინცინიც შორიახლოს იმალებოდა. ფრთხილად, ისე, რომ სხვას არ დაენახა, მითითებებს აძლევდა ბრმას. ზეფი მიუხვდა ამ ხრიკს, მაგრამ არაფერი უთქვამს. მართლაც, შესაშური მოთმინება გამოიჩინა და უხმოდ გადაადგილა ისევ ღობე. მეორე დილას არც ჰაინცს უთქვამს რამე, ასევე უჩუმრად გადასწია ღობე. ასე ჰაინცინი მეზობლის კარმიდამოს ხელში ჩაგდებას

ლამობდა. ეს დავა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

ერთ მშვენიერ საღამოს ბრმა კვლავ შეუდგა საქმიანობას ალდერების მიწაზე და უცბად ვიღაცის შემზარავი ხმა მოესმა, მსგავსი ცხოვრებაში ჯერ არ გაეგონა. ურო მაშინვე ხელიდან გაუვარდა, პირდაღებული მიწაზე დაემხო და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა.

— „ნუთუ მე, ამ საცოდავ ჭიაყელას, ანგელოზები დამელაპარაკნენ", — იფიქრა შეშფოთებულმა.

— რისთვის სცოდავ შენი მეზობლის წინაშე? მე, წინასწარმეტყველი ელიასი, გეუბნები, მოინანიე!

ამ სიტყვების გაგონებაზე, რომელსაც ჭექა-ქუხილი მოჰყვა, ჰაინცის გულში სიხარულმა იფეთქა, მიწაში ჩაასო თითები და სახეზე წაისვა.

— ბოროტი სული მაქვს, წინასწარმეტყველო, მაგრამ ნუ გამწირავთ დასაღუპავად მე ცოდვილს, დედაკაცმა შემაცდინა! — აქვითინდა ჰაინცი მავედრებელი ხმით და შეშინებული ფორთხვით გაეცალა იქაურობას.

რადგან ვიკარმა ჰაინცინი დელიკატური თავაზიანობით გარეთ მიაბრძანა, მან გადაწყვიტა, მომხდარის შესახებ რომში მიეწერა, რადგან მას თავისი აცრემლებული ქმრის სიტყვებში წამით არ ეპარებოდა ეჭვი, რომ თვით ელიას წინასწარმეტყველი გამოეცხადა ცეცხლოვანი ეტლით. ცოლმა აიძულა ბრმა, ეჩვენებინა ადგილი, სადაც ეს სასწაული მოხდა. როცა ჰაინცი სულ უფრო ღრმად შევიდა მეზობლის მიწაზე, ჰაინიცმა ქმარს მზრუნველობით მოჰკიდა ხელი და კიდევ უფრო შორს

წაიყვანა, ზუსტად კარტოფილის ნათესების შუაში. ქალმა თავად დაიწყო შემოღობვა. ეროს დარტყმის ხმა შუაღამემდე ისმოდა.

ვიკარმა ჰაინცინის დაჟინებული თხოვნა შეისმინა და მაინც მივიდა მათი მინდვრის საკურთხებლად. სოფლის აჯანყებას ცოტა აკლდა, რადგან ვერაფრით გაეგო, რატომ ითვლებოდა ეს გამოცხადება ჭეშმარიტებად. აკი სასწაული საკუთარ კარმიდამოში, მინდორსა თუტყეშიუბრალოდსიცრუეიყო. ჰაინცინის განზრახვა დღითი დღე შორს იჭრებოდა. ეშბერგელ ხის მჭრელს, მეტსახელად „მეტწილას", შეუკვეთა 14 ჯვარი და 14 შესაწირავი ყულაბა, რომლის დადგმასაც წმინდა წინასწარმეტყველის გამოცხადების ადგილას აპირებდა. ამგვარად ის ფიქრობდა, რომ გულკეთილ ადამიანს შეეძლო დაენახა არა მარტო მაცხოვრის ჯვარცმის მთელი გზა, არამედ იმ ადამიანის უზომო გასაჭირი, ვისაც ეს სასწაული გამოეცხადა. არც ისე გულუბრყვილო იყო, რადგან იცოდა — ვინც იხილავს, მხოლოდ ის დაიჯერებს. ამიტომაც პირდაპირ კვლებს შორის ჩადგა საკნის მსგავსი პატარა ქოხი უამინდობაში თავშესაფრად. იქ უნდა მდგარიყო ბრმა წინასწარმეტყველი გადაჯვარედინებული ხელებით, ზეცისკენ მზერააპყრობილი. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. რომში სასულიერო ხელისუფალთ მის წერილზე არ უპასუხიათ. „მეტწილამ" ჯვრებისა და ყულაბის ანგარიში წარუდგინა, რის გადასახდელადაც ცოლ-ქმარს თავის პირუტყვთან გამომშვიდობება მოუწევდა. ამის მერე ჰაინცი დიდხანს აღარ გამოჩენილა.

მას შემდეგ, რაც ელიასმა დაუღალავი ვარჯიშით ხმა გაიუმჯობესა, წარმოუდგენლად რბილ ბგერებს გამოსცემდა. ვიკარმა ბოიერლაინმა მას დაავალა კვირაობით მოციქულთა წერილები წაეკითხა. ამაზე დიდხანს გაჩერება ჩვენს გმირს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, რადგან მისმა ენით აუწერელმა მომხიბლავმა ხმამ იმდენად მოაჯადოვა მრევლი, რომ ყოველგვარი ღვთისმოსაობა გაუქრა. როგორც კი ეს მამაკაცური სახის ბავშვი იწყებდა კითხვას, ტაძრის ერთ მხარეს მლოცველთა სიმშვიდე ირღვეოდა: იწყებოდა სკამების ჭრიალი, საკვირადღეო ქვედატანების შრიალი, ლიფების გახსნის ტკაცუნი, წამდაუწუმ თმის სწორება, ზოგი ნერვიულად უკაკუნებდა ლოცვანს, ისმოდა ფეხსაცმელების იატაკზე დანარცხების ხმა. და ბოლოს, სულის მოსახსენებელ კვირადღეს, როცა ერთი ღრმად მოხუცებული ლამპარტერი მოციქულის სიტყვის წარმოთქმისას უგრძნობლად დაენარცხა იატაკს, ვიკარი ბოიერლაინი მიხვდა, რომ ელიასის კითხვა უმალ შეამცირებდა ღვთისმოსავთა განწყობას, ვიდრე წააქეზებდა. ზოგიერთმა ბიჭმა სერიოზულად გადაწყვიტა, ცემით დაესისხლიანებინათ მისი დათაფლული ბაგეები, რომლებმაც ასე აუბნია თავგზა მათ ქალებს. მადლობა ღმერთს, ელიასი გადაურჩა ამას. რადგან ლაყაფმა ალდერმა, თავისი ეჭვიანობით, წინასწარ გათქვა, რასაც გეგმავდნენ. თუმცა გასაგებია იმ კაცების სულიერი ამბოხი, რომელთა ცოლებიც ამ ანგელოზებრივი ხმის გაგონებაზე ცქმუტვასა და კაბების შრიალს იწყებდნენ ეკლესიაში.

თოთხმეტი წლის ასაკში მან სწავლა დაამთავრა და შეიძლება შემაძრწუნებელიც იყოს, მაგრამ თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი უკვე განვლო.

მკითხველი ამაოდ ელის საიდანმე რამე შემთხვევას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდებოდა ელიასის ამ უღიმღამო სოროდან ამოთრევა. ხომ შეიძლებოდა ვინმე სწავლულ მოგზაურს, განათლებულ მელომანს როგორღაც თავი ეშბერგში ამოეყო, ელიასისთვის ხელი გაემართა, მისი ხმა მოესმინა და გაკვირვებისგან წამოეძახა: „შეხედეთ ამას! მასზე ბევრი ალაპარაკდება!"

რა სიამოვნებით გავიზიარებდით ჩვენც იმას, თუ როგორ ემშვიდობება ელიასი მამისეულ სახლს, რომელიც არც არასოდეს ყოფილა მისთვის მშობლიური. ასევე მის გამომშვიდობებას ცხოველებთან: ფურირემთან, რომელსაც რეზი ერქვა, მაჩვთან — ვუნიბალთან, მელიის ლეკვთან — ლიპსთან, მედიდურ, გაბღენძილ სტვენიასთან! იმასაც სიამოვნებით წარმოვიდგენდით, როგორ გაემგზავრებოდა ფელდბერგში და თავისი საუცხოო ბანით მუსიკალურ ინსტიტუტში ფურორს მოახდენდა! იმასაც, რომ ისწავლიდა ნოტების კითხვას და ორგანზე დაკვრაში არა მარტო მოსწავლეებს აჯობებდა, არამედ თვით მაესტროსაც! რა სიხარულით წარმოვიდგენდით მის „პირველ კვარტეტს სიმებიანი ინსტრუმენტებისთვის", რა აღფრთოვანებით გადავფურცლავდით ალდერის ნაწარმოებების სიას, აღტაცებაში მოვიდოდით მისი ყოველი ოპუსით.

მაგრამ, ვაი, რომ აქ განათლებული მუსიკოსის მსგავსი არავინ ჩამოსულა, ერთადერთი, რაც აქ გაჩნდა — ეს იყო დაუფარავი შური.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს გმირს, რომელიც კვირაობით სამოციქულო წერილებს კითხულობდა, ამ წერილებს ერთნი ნეტარ ტანჯვამდე მიჰყავდა თავისი ხმით, მეორენი კი — გაცოფებამდე. ერთხელ, კვირადღის წირვის დროს, პატარა ტაძარში, მართლაც, უბედური შემთხვევა მოხდა, რაც არავითარ შემთხვევაში ელიასის ხმას არ უკავშირდება. რა უხამსადაც უნდა ყღერდეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მომხდარმა უბედურებამ ელიასს მუსიკისკენ გაუხსნა გზა, აიყვანა ამაღლებულ ადგილას, სადაც ორგანი იდგა.

ვარმუნდ ლამპარტერი, რომელიც ორგანის ჩასაბერთან უნდა მდგარიყო, საკმაოდ ზარმაცი ადამიანი იყო, ამასთან გაუთავებლად ლოთობდა. სწორედ იმ კვირადღეს ის კვლავ ავიდა თავის ადგილას, სიმთვრალისგან გვერდზე მოქცეული სახით. ოსკარ ალდერს მისი დაუყოვნებლად სახლში გაშვება უნდოდა, მაგრამ შეეშინდა, რომ ეს ლოთი დამრეც კიბეებზე ჩასვლას ვერ შეძლებდა. ლამპარტერი მაინც უაზრო სიჯიუტით მიიწევდა თავისი ადგილისკენ, ორგანთან, რათა ღვთის წინაშე საკვირაო ვალი მოეხადა. იმის გამო, რომ სურდა ვიკარის დაუსრულებელი ქადაგებისთვის ბოლო მოეღო, თავისი შემაღლებული ადგილიდან დაიწყო მრევლის დალოცვა. ამ დროს ვიღაც მასხარამ სახელოზე მოქაჩა, მან მაინც მოახერხა ხელი

გაეთავისუფლებინა და ლათინურად წაიმღერა. სწორედ მაშინ მოხდა უბედურებაც. მოულოდნელად ვარმუნდ ლამპარტერი ბარიერს გადაევლო და ქვის იატაკს დაენარცხა, იგი სასიკვდილოდ დაშავდა, მაგრამ წამიერი სიკვდილი არ ეწერა, მხოლოდ ათი დღის მტანჯველი, გულგამგმირავი ღრიალის შემდეგ ინება ღმერთმა მისი სულის მიბარება. ხოლო ქვის იატაკზე იმ ადგილას, სადაც ეს ვეებერთელა კაცი დაეცა, ვიკარმა ბრძანა, ასეთი წარწერა გაეკეთებინათ:

„საფლავში ეშმაკებმა წაიყვანეს, მისი დამსამარებელი ღვინო იყო“.

ეს სტრიქონები განსვენებულის ძმამ, მიხელ მენახშირემ, დაწერა. ვარმუნდის საშინელმა სიკვდილმა მის ცხოვრებაზე საოცარი გავლენა მოახდინა და სწორედ იმ დღიდან გადაწყვიტა, გულხელდაკრეფილი მჯდარიყო. საგონებელში ჩავარდნილ ცოლს მოზეიმე სახით გადასჩურჩულა, რომ ქვანახშირის ორმოში მოჩვენება გამოეცხადა — თითქოს შავი შაშვი დაელაპარაკა; მან ჩააგონა, რომ ამიერიდან მისთვის ჩვეულებრივი მამაკაცის სამუშაო არ ივარგებდა და თავისი მოწოდებით უნდა ემუშავა — სასულიერო ლექსები ეწერა. როგორც კი მიხელის ცოლი გონს მოეგო, ქმარს გაცისკროვნებულ სახეში მუშტები დაუშინა, მაგრამ მან ეს არაფრად ჩააგდო. ასე დაიწყო სასულიერო ლექსების წერა. კიდევ კარგი, ზოგიერთი კეთილი მეზობელი დროდადრო განიკითხავდა ხმელი პურით ან მძაღე კარაქით, ან ჭიქა მოხდილი რძით, თორემ მენახშირე თავისი

პოეტობით შიმშილისგან მოკვდებოდა.

ქრისტეშობის წინადღეს, 1815 წელს, ელიასს ჩააბარეს ხუთრეგისტრიანი ორგანის ჰაერსაბერი. ის მხოლოდ პედალს აჭერდა ფეხს, რაც მას, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობას აძლევდა, იდუმალებით მოცული ეს ინსტრუმენტი უფრო ახლოს შეესწავლა და ეგრძნო მისი სული. ორგანს ისე სრულყოფილად ფლობდა, როგორც არავინ, მის ყოველ წვრილმანში ერკვეოდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა ეკლესიაში ბოლო სკამზე ჰქონდა მისჯილი ჯდომა, მან ძირფესვიანად შეისწავლა ხუთივე რეგისტრი. ზუსტად შეეძლო გაერჩია ბგერები, წიფლის მილებიდან რომ გამოდიოდა. ის მიხვდა, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში რეგისტრები უფრო მეტი დატვირთვით მუშაობდა; ყოველ შემთხვევაში, უფრო ღრმა ჟღერადობა ჰქონდა, ვიდრე ზამთარში, როცა უფრო ნაზი და წვრილი ჟღერადობის ხმას გამოსცემდა. ამან იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ორგანს ჰქონდა რაღაც სულისმაგვარი და მას ყინვა ტკივილის აყენებდა, ისევე როგორც ადამიანს, რომელსაც სიცივეში ხელები ეთოშება. ღამღამობით, როცა ეშბერგის ზოგიერთ მცხოვრებს სიცივისგან ლამის ცხვირი ეყინებოდა, მას ერთი სული ჰქონდა, მამამისისთვის გამოერთმია უხეში ტილო, რომელსაც თივას აფარებდნენ ხოლმე და ორგანის შიშველი, დაუცველი მილები გაეხვია. მას ძალიან აწუხებდა მექანიკური შეუსაბამობა, თუმცა ასეთი გამოთქმები მაშინ მისთვის უცხო იყო. როგორც უნდა ყოფილიყო, ის ბიძასთან წავიდა და უთხრა, რომ ორგანი

ავად იყო, ხრინწი შეეყარა და ხმები აერია. ხმები ერთმანეთს ველარ ეწყობა ჟღერადობითო. ერთი მილი უფრო მაღალ ხმას გამოსცემს, მეორე კი — პირიქით, მეტისმეტად დაბალს. მას განსაკუთრებით „დაავადებული“ მილების დასახელებაც კი შეეძლო ბიძისთვის. უპირველეს ყოვლისა, ბოლოდან მესამეა, მარჯვენა მხარეს, მასში ბზარი გაჩნდა, — არწმუნებდა ის. ოსკარ ალდერს გაეცინა და თავი გადაიქნია. ვინაა ეს ბიჭი?! თავად ოსკარ ალდერმა ახლახან შეამოწმა და ააწყო ორგანი. ესლა მაკლია, ახლა ამ ლაწირაკმა მომცეს მითითებები!

მაგრამ ლაწირაკმა მაინც ჩააგდო ის ეჭვებში. საღამოს, ძროხების მოწველის შემდეგ, ოსკარი ტაძარში წავიდა, ავიდა ინსტრუმენტთან, გახსნა მარჯვენა ყუთი და აღმოაჩინა, რომ ბოლოდან მესამე სუბბანის მილი მართლაც გაპობილი იყო, სიგრძივი ბზარი ჰქონდა. მან დაიწყო ორგანის ჰაერით დატუმბვა, სამართავ კათედრასთან მიირბინა და დამატებითი რეგისტრის მთელი კლავიატურა შეამოწმა. ის ყოველ ნოტს იღებდა, მაგრამ ინსტურმენტს მოშლის ვერანაირ ნიშანწყალს ვერ ამჩნევდა. მაგრამ ეს ალბათ უფრო სიჯიუტის გამო, ჩვეულებრივად აღიქვამდა შეუსაბამო ტონებსაც.

მალე მან ინანა თავისი გადაწყვეტილება, ელიასი ორგანის ჰაერის ჩასაბერად რომ დააყენა, თუმცა ბავშვის მუშაობა საყვედურს, მართლაც, არ იმსახურებდა. ჰაერი თანაბრად იტუმბებოდა, ვარმუნდ ლამპარტერზე გაცილებით უკეთესადაც. ძალზე ხშირად, ზუსტად პათეტიკურ მომენტში

საბერველები უცებ საცოდავად იჭმუხნებოდნენ, რაღაც სიკვდილის წინა ხროტინს გამოსცემდნენ და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ლამპარტერს ხშირად ჩაეძინებოდა ხოლმე ამ უბრალო სამუშაოს დროს. რა ხშირად გაუწყვეტია დიდებული ფინალი, წამოდგებოდა და იტყოდა — დღეისთვის საკმარისია, შინ მივდივარ, კვირადღეს დასვენებაა დაწესებული და მეტი დაკვრა ცოდვაა.

ელიასი კი მომთმენი დამხმარე იყო. ყოველ კვირას ისეთი წესრიგით ალაგებდა ნოტებს კათედრაზე, რომ ადვილად და სწრაფად შეძლებოდა გადაფურცვლა. ის ორგანსაც მანამ აწვდიდა ჰაერს, ვიდრე მასწავლებელს არ მობეზრდებოდა დაკვრა და დაუმთავრებლად არასოდეს შეუწყვეტია. მაგრამ მასწავლებელს ეს ყველაფერი სულაც არ ახარებდა. ის გრძნობდა, რა სერიოზულობით აკვირდებოდა ბიჭი, როგორ ჭუტავდა თვალებს, თვალს ადევნებდა მისი ყოველი თითის მოძრაობას. ერთხელ ოსკარმა ისიც შენიშნა, რომ, როცა ის შეცდომას უშვებდა, ბიჭს სახეზე ტანჯვა ესახებოდა, კოპებს შეიკრავდა ხოლმე. ოსკარი ხედავდა, რომ ამ ეშმაკს შეცდომას ვერ გამოაპარებდა, ბიჭი ხელის ყოველ მოუქნელობას ან პედალზე ფეხის არასწორად დაჭერას ამჩნევდა. უკვე აუტანელი გახდა, როცა ერთხელ, კვირადღეს, ის დარწმუნდა, რომ თავის ძმისშვილს შეეძლო ყველა ხმა აეღო: სოპრანოდან დაწყებული ბანით დამთავრებული. დაზიანებული რეგისტრის ხმასაც კი თავისებურად ალამაზებდა, ცდებს ატარებდა ახალ-ახალი ტენორული შეკავებით ან სრულიად

ახალი ხმის დამუშავებით. ბიჭი ხშირად ოსკარისთვის სრულიად უცნობ ჟღერადობასაც კი გამოაცემინებდა ორგანს, რაც მასწავლებელს შიშს ჰგვრიდა. ჯერ კიდევ ვიკარი ბენცერის დროს ის ადამიანები, რომლებიც ღვთისმსახურებისას ირონიულად იცინოდნენ, ახლა მოკრძალებით ისხდნენ და ისმენდნენ ეკლესიის მსახურის ანგელოზისებრ გალობას. ეს უკვე მეტისმეტია! ორგანისტს ორგანზე დაკვრა სულაც აღარ ანიჭებდა სიამოვნებას, მან უკვე დაკარგა საკუთარი თავის პატივისცემა. ერთ კათხა ლუდს დალევდა თუ არა ვაიდმანის ტრაქტირში, იწყებდა წუწუნს: საღვთო მუსიკაში ეგებ დიდი ნიჭის პატრონი არ გახლავართ, მაგრამ რა ვქნა. ძალიანაც მინდა, კიდევ უფრო გავიწაფო და დავხელოვნდე ჩემს საქმეში, მაგრამ დიდი ოჯახი მაწევს კისერზე, ამავე დროს, მასწავლებლობაც მევალება. და ასე განაგრძობდა მანამ, სანამ მისი თანამოსაუბრე მის ქება-დიდებას არ მოჰყვებოდა.

— რატომ სწამებ საკუთარ თავს ასეთ ცილს? — გამამხნევებლად წამოიძახებდა ნულფ ალდერი და ოსკარ ალდერს ამქვეყნად ყველაზე ცნობილ ორგანისტად მიიჩნევდა. ოსკარ ალდერი კი ფიქრობდა, რომ ის მუსიკოსი მხოლოდ ღვთის წყალობით იყო. ნულფის საქებარი სიტყვები კი მის პატივმოყვარეობას მალამოდ ეცხებოდა.

შობამდე ორი კვირით ადრე ელიასმა ბიძას სთხოვა, რომ მისთვის ორგანზე დაკვრა ესწავლებინა. ოსკარი შეჰპირდა, რომ მოგვიანებით აუცილებლად ასწავლიდა. მაგრამ გულში გაიფიქრა, რომ ერთ

ნოტსაც არ ასწავლიდა ბიჭს. ეშბერგში მხოლოდ ის იყო და დარჩებოდა კიდეც ერთადერთ ორგანისტად. ეს ასე იყო და ასე იქნება — გადაწყვიტა მან.

მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება. აქ გვახსენდება 1829 წლის აღდგომა და გული სიხარულით გვევსება. აღდგომა დღეს ელიასმა გასაოცარი ოსტატობით შეასრულა პრელუდია, მსგავსი რამ ეშბერგის ცის ქვეშ მყოფთ არც არასოდეს სმენიათ.

მასწავლებელმა გადაწყვიტა, ორგანთან ასასვლელი კარი ჩაერაზა. გასაღებს ყოველთვის სხვადასხვა ადგილას მალავდა, რადგან კოშმარულ სიზმრებში ორგანთან გამუდმებით ამ პატარა კაცს ხედავდა; გასაღებს ხან სად გადამალავდა, ხან — სად. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ გასაღები წმინდა ევსევიას ქანდაკების თავში იდებოდა ან ნათლობის ემბაზში, ან ლოცვანის წიგნში. მაგრამ ელიასი გასაღებს, სადაც უნდა დაემალა ოსკარს, მაინც პოულობდა, ასევე — ორღანთან მისასვლელ გზას.

ღამით, შობამდე ოთხი დღით ადრე, ელიას ალდერი მალულად ავიდა ორგანთან და გასაღები წმ. ვოლფგანგის წმინდა ნაწილების კიდობანში იპოვა. ბავშვს სახეზე ოფლმა დაასხა, გული აუძგერდა, როცა ტაძარში კარის დასაკეტად მნათე შემოვიდა. ჰაინცმა ხელის ფათურით მოძებნა გასაღების ჭუჭრუტანა, ნაჩქარევად მოიხარა ქედი, წაიბუტბუტა: „უფალო იესო, მომიტევე მე ცოდვილსო“ და კარი გადაკეტა. ასე დარჩა ელიასი მარტო თავის ორგანთან — ამ იდუმალი ხმების ყუთთან — ერთად. ელიასმა გადაწია

კათედრის სახურავი, აანთო სანთელი, ცვილით დაამაგრა, პირჯვარი გადაისახა და უცებ ატირდა, თავადაც არ იცოდა, რატომ. არც ჩვენ ვიცით და ნურც შევეცდებით ამის გაგებას, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენს მუსიკოსს მარტოს დავტოვებთ და საშუალებას მივცემთ, დამშვიდდეს, სანამ ინსტრუმენტს პირველად ააჟღერებს.

გარეთ თბილი ქარი ანცობდა, ხეებს აშრიალებდა, ტოტებს ტკაცატკუცით ამტვრევდა, გამხმარ ფოთლებს აქეთ-იქით დააფრიალებდა. და ამ შობა საღამოს თითქოს არაფერი იყო შობისდარი.

პეტერი ფანჯარასთან იჯდა. უამინდობას ყურს უგდებდა, უმზერდა, ქარი როგორ აქანავებდა ნაძვის ტოტებს აქეთ-იქით, შემდეგ კი თავის დამახინჯებულ, შეშუპებულ ხელს დახედავდა და აუტანელი ტკივილისგან ტუჩებს იკვნეტდა. მან მთვარის გარშემო შემოვლებულ შარავანდს გახედა და უცბად რაღაც აზრი დაებადა: მამამ პეტერს ხელი მოსტეხა, რადგან მან ძირტკბილა და ტკბილეული მოიპარა. პეტერი ლამპასთან მივიდა და ცეცხლზე ხელები მოითბო, თუმცა სულაც არ სციოდა. მას თავში აზრად მოუვიდა, მამა ეცემა. ცემით მოეკლა. მან ისევ თავის დასიებულ ხელს დახედა და სისხლის დადენამდე დაიკვნიტა ტუჩები. პეტერმა წარმოიდგინა, როგორ მოკლა მამა.

ელიასმა ორგანი ჰაერით დატუმბა, ნაზად, სათუთად გადაუსვა ხელი კლავიატურას. ძირითად ნოტს ეძებდა და აი იპოვა კიდეც, თავისი საყვარელი ნოტი — დიდი ოქტავის ფა. თითებმა მკაფიოდ

შეიგრძნო სპილოს ძვლის კლავიშები, ზოგან კლავიში გატეხილი იყო, ხესაც ობი მოჰკიდებოდა. მას დიდხანს ეჭირა ფაზე ხელი და როცა აიღო, გეგონება, მსუბუქმა ამოოხვრამ ამოიკვნესაო. ელიასი კვლავ ჰაერის დასატუმბისკენ გაიქცა, შემდეგ ისევ კლავიატურას მიუჯდა და სხვადასხვა ბგერისაგან მელოდიის შექმნა დაიწყო. ელიასმა მუსიკა შეთხზა.

შთაგონებას ბოლო არ უჩანდა. შინაგანი მხურვალება არა და არ ცხრებოდა მასში, ასე გაგრძელდა მთელი ღამე. აი თითებმა იპოვა ფამაჟორი, მისი ხმა კი თითქოს უფრო ადრე მისწვდაო ელიასის სმენას. ელიასი საშობაო ქორალისთვის მუსიკას ეძებდა, ღიღინებდა სხვადასხვა ბგერას, ყველა რეგისტრის შესაძლებლობას სცდიდა და დაუღალავად ბერავდა საბერველებს. როცა საბოლოოდ მელოდია შეკრა, შემდეგ მის შელამაზებას შეუდგა. სადაც შეუსაბამოდ მიაჩნდა რომელიმე ბგერა, ცვლიდა, აჯერებდა სხვადასხვა ბგერას. როცა სანთელი სულ ჩაიწვა, ელიასმა მელოდიის შექმნაც დაასრულა. და ეს მელოდია ვიკარის ოქროს თასის ანარეკლივით იდუმალად ციალებდა, ასხივებდა. მალე მთელი კლავიატურა თავისთავად დამორჩილდა.

უცბად მას თვალწინ ზაფხულის დღის სურათი წარმოუდგა: ოცნებით აღსავსე ბალახში ეფლობოდა, აკვირდებოდა ორ პეპელას, როგორ დაფრინავდნენ ნარნარად, ლაღად. და ასე ძველ მელოდიაში ახალმა მელოდიამ დაიწყო სიცოცხლე. მერე ამ ორი პეპელასავით ერთმანეთს შეერწყა. თავდაპირველად ხმა, რომელსაც მარჯვენა ხელი გამოსცემდა,

ოდნავ მოფარფატე პეპელასავით თრთოდა, შემდეგ მარცხენა ხელიც შეუერთდა და ასე მაღლა-დაბლა ფრენა-ფრენით ერთიმეორეს შეერწყა. ელიასმა ორხმიანი მინიატურები შეთხზა; მინიატურები იმიტომ, რომ ორგანს ჰაერი არ ყოფნიდა, წარამარა ადგომა და ჩაბერვა უხდებოდა. აკადემიურად თუ ვიტყვით, ელიასმა აღმოაჩინა იმიტაციის კანონი. მაგრამ იმწუთას ეს რომ მისთვის ეთქვათ, მაშინვე თავს დაანებებდა დაკვრას, ეგონებოდა, რაღაც ცუდს სჩადიოდა.

ასე გაატარა მან მთელი ღამე ორგანთან. განთიადისას სევდა შემოაწვა. ვაითუ, მობეზრებოდა დაკვრა. მის სმენას კვლავ ენატრებოდა სრულქმნილი ხმები. ელიასმა იცოდა, რომ ეს ორგანის ბრალი იყო, იგი დაიღალა, დასნეულდა. ელიასი იატაკზე დაეშვა, აიღო სანთლის ნამწვავი და ინსტრუმენტს დათვალიერება დაუწყო, იკვლევდა მილებს, რომლებიც იმავე მასალისგან იყო გაკეთებული, რისგანაც მისი ფეხსაცმლის ძირები. ის უფრო და უფრო ცდილობდა, ინსტრუმენტის სიღრმეებში შეჭრილიყო, შეხებოდა ყოველ ხის მილსა თუ კლავიშს, ყველგან ყოფდა თავს, სწავლობდა თითოეული მილის ჟღერადობას. და აი აქ გამოვლინდა უფრო დიდი ხმის აშლილობა. ინსტრუმენტს მკურნალობა სჭირდებოდა, ელიასმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე განეკურნა ის. თავს ჩურჩულით არწმუნებდა, რომ არ მოისვენებდა, სანამ ამ ორგანის სულს არ მოარჩენდა. როცა გუმბათზე საათმა რვა დარეკა, მნათემ კარი გააღო გასანიავებლად. ელიასმა

მოასწრო თავისი ღამის საქმიანობის კვალის წაშლა, სანთლის ნაღვენთის გაწმენდა, მაღლა ორგანთან ასასვლელი კარის ჩარაზვა და გასაღების ისევ წმინდა ვოლფგანგისთვის დაბრუნება. ამის შემდეგ ის უჩუმრად გამოვიდა ტაძრიდან.

ზეფმა ბოსელში შეიხედა და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, რომ ყველა ძროხა უკვე მოწველილი იყო და თივას მიირთმევდნენ. უფრო მეტიც, ბიჭს რძის გაწურვაც მოესწრო. ნამძინარევმა ზეფმა სამადლობელი ლოცვა წაიბუტბუტა, რაზეც ელიასმა ამაყად უპასუხა: ამინ! შემდეგ ბიჭი დედის მდგომარეობით დაინტერესდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმრის თანაცხოვრება უკვე დიდი ხანია სიყვარულზე აღარ იყო დაფუძნებული, ზეფინა კვლავ დედის იმედებით ცხოვრობდა — მესამე მშობიარობა უკვე კარს იყო მომდგარი. ზეფმა დამამშვიდებლად დაუქნია თავი და მამა-შვილმა ილოცა, რომ ღმერთმა მათ სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა უბოძოს. მამა-შვილს უყვარდა ერთმანეთი. ეს ასე იყო და ბიჭი სიხარულისგან ლამის მზად იყო, მამას კისერზე ჩამოჰკიდებოდა. მისი თმის სუნი შეესუნთქა, როგორც ოდესღაც, ჯერ კიდევ პატარას, ღამით, როცა ეშინოდა, მამას ქუდის სუნს შეისუნთქავდა ხოლმე, იმ ქუდისას, რომლითაც ის ბოსელში მუშაობდა. და ეს სიმართლეა.

სოფელში მშრალი ქარი ბობოქრობდა, ყველაფერს ჯოჯოხეთური ცეკვით აბზრიალებდა, ვაშლის ხეებს ამტვრევდა, ფანჯრის მინებს ამსხვრევდა, ბოსლებს სახურავებს ხდიდა, მტვრის კორიანტელს აყენებდა, თივის ზვინს აქეთ-იქით ფანტავდა, გაშმაგებით აჯახუნებდა დარაბებს. ერთ-ერთ ლამპარტერს მარილით სავსე ურემი გადაუბრუნა თავის ორ ხართან ერთად. ლამპარტერი იძულებული გახდა, ხარები დაეკლა, რადგან მათ ფეხები მოემტვრათ. შობამდე ორი დღით ადრე შობის არანაირი ნიშანწყალი არ ჩანდა. ხან თითქოს წვიმას აპირებდა, მაგრამ ცა კვლავ ცისფერს გადაიკრავდა, ქარი ხან ღრუბლებს მორეკავდა, ხან გაფანტავდა. ბოსტნებში გამხმარი ფოთლები შრიალებდა, მდინარე ემერი ლამის მთლად დამშრალიყო. ცხოველები ტყეში წყურვილს ვერსად იკლავდნენ.

1815 წლის 14 დეკემბერს თითქოსდა ყველაფერი მიყუჩდა. ქარმა ჩრდილოეთისკენ იბრუნა პირი, ჩადგა, თუმცა ხანდახან სახლებისა და ფარდულების კედლები კვლავ ირყეოდა. თბილოდა და სიმშრალე იყო. ქუჩაში მსუბუქად ჩაცმულნი, პერანგის ამარა დადიოდნენ. ამ დღეებში ვერც ერთი ეშბერგელი ვერ ბედავდა ცეცხლის დანთებას, სალოცავად სანთელსაც კი ვერ ანთებდნენ. ყველამ იცოდა, მათ შორის ბავშვებმაც, მოზრდილების მკაცრი გაფრთხილებით, რა უბედურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა ცეცხლის დანთებას ქარიშხლის ასეთი თარეშისას — ამას

უთქმელადაც კითხულობდნენ მოხუცთა გაყინულ მზერაში. ერთ-ერთი ლამპარტერი შობის წინა დღეს სახლიდან სახლში დაძრწოდა, ყველას უშლიდა, ზოგჯერ ძალასაც იყენებდა, რომ ნაძვის ხეზე სანთლები არ აენთოთ. ის შეუმჩნევლად იპარებოდა ფანჯრებთან, იხედებოდა ოთახებსა და ბოსლებში, ცხვირს ყოფდა ღუმელის მილებში, კვამლის სუნი რომ შეეყნოსა. მაგრამ არსად ნაპერწკლის კვალიც არ ჩანდა. დამშვიდებული დაბრუნდა შინ, ჩაიცვა კვირადღის კოსტიუმი და ტაძარში წასასვლელად გაემზადა.

პეტრიფელზის ხეობაში, ღრუბლიანი ღამის ბინდბუნდში, ბუჩქებში პეტერ ალდერი იმალებოდა. ღმერთმა იცის, რამდენ ხანს იჯდა იქ. ხელში გამხმარი სოკო ეჭირა, რომლისთვისაც ერთი რომ მოეკიდებინა, მაშინვე აბურბურდებოდა. გვერდით თავისი დის საყვარელი კატა კრუტუნებდა. რომელიც ყოველთვის თან დაჰყავდა, როცა გული დამძიმებული ჰქონდა.

შიგადაშიგ ისევ თავის დასიებულ, დამახინჯებულ ხელს დასცქეროდა და ტკივილისგან ტუჩებს იკვნეტდა. არა, პატიებას არასოდეს სთხოვს, არასოდეს, შიმშილითაც რომ ამოხდეს სული. ხუთი ღამე, იქნებ მეტიც, ნესტიან ორმოებში იჯდა, ერთი ნატეხი პურიც კი არ ჰქონდა. არა, მამას თხოვნას არ დაუწყებს, მუხლებზე არ დაუჩოქებს, არც ქურდობაში გამოუტყდება, საშობაო წირვაზეც რომ ვერ წავიდეს. გეგმა უკვე მზად ჰქონდა. დღეს მამას მოკლავს. ამ ღამეს მამა უნდა ჩაძაღლდეს. პეტერი

ისევ თავის დამახინჯებულ ხელს დასცქეროდა და დასისხლიანებამდე იკვნეტდა ტუჩებს. თან თვალწინ ედგა, როგორ მოკლავდა მამამისს და უცბად ტკივილისგან თვალთ დაუბნელდა. მარტო მან რატომ უნდა აიტანოს ტკივილი? პეტერმა ქვა აიღო, მოკრუტუნე კატას ხელი დაავლო და თათი მოამტვრია. ცხოველი საშინლად აწკმუტუნდა, მას კი სიამოვნებას ანიჭებდა კატის წამება. დიახ, მეორე თათსაც დაუმახინჯებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეშბერგელი გლეხისთვის ქრისტეშობის დღესასწაული, მართლაც, მნიშვნელოვანი იყო. უკვე ადრიანადვე იწყებენ ამ დღეზე ლაპარაკსა და მზადებას. ამ მიყრუებულ ადგილას არსად ისე გაცხოველებული არ ზეიმობენ მხსნელის შობის დღეს, როგორც ეშბერგში. ყოველ წელს საზეიმო სანახაობის მოყვარული ზღვა ხალხი აწყდებოდა წირვამდე ორი საათით ადრე ტაძარს რაინის ხეობიდან. ტაძარი ძლივს იტევდა საზეიმოდ გამოწყობილ ხალხს. სკამებს ჭრიალი გაუდიოდა, სკამების მოსაპოვებლად ერთმანეთს ასწრებდნენ, ეს პატარა სალოცავი ლამის კრაზანას ბუდეს ემსგავსებოდა. ნულფ ალდერს ცოტა დააგვიანდა, მუშტებით მოუხდა გზის გაკვლევა, ვიდრე თავის ადგილამდე მიაღწევდა. ვისაც სიარული შეეძლო ამ დღეს, ყველა ეკლესიაში იყო. თითქმის მთელი სოფელი იქ შეიკრიბა. საგულდაგულოდ დაბანილ-დასუფთავებულებს სახეები უბრწინავდათ. თეთრად უქათქათებდათ გახამებული საყელოები, შრიალებდნენ სადღესასწაულო ქვედაბოლოები,

სიამაყით უბზინავდათ გულმოდგინედ დავარცხნილი ხუჭუჭა თმა. გაუთხოვრებისა და უცოლოების სკამებზეც ლამის ერთმანეთზე მიტმასნილები ისხდნენ, მთელ ტაძარში კი ვარდის ზეთის სუნი ტრიალებდა. დაიწყო საშობაო ღამის თევა, საეკლესიო ლექსების კითხვა, რომელიც მენახშირის დაწერილი იყო.

ლექსების კითხვა მიმდინარეობდა წარმოდგენის სახით, რომელიც სკოლის მოსწავლეების მიერ იყო მომზადებული. მარიამის როლს, ჩვეულებისამებრ, ის ქალი ასრულებდა, რომელიც, მართლაც, ფეხმძიმედ იყო და დღე-დღეზე ელოდა მომშობიარებას. ამ უცნაური წარმოდგენის წესი ჯერ კიდევ ვიკარ ბენცერის დროიდან მოსდგამდა სოფელს. და, რა თქმა უნდა, ამგვარ ყოველწლიურ დღესასწაულზე სავსებით მოსალოდნელი იყო, მარიამის როლის შემსრულებელს, მართლაც, დასწყებოდა წარმოდგენის მსვლელობისას მშობიარობა. სწორედ ეს აძლევდა ეშბერგელ ქალებს იმედს, რომ, თუ ჩვილი, მართლაც, ასეთ ბედნიერ საათს დაიბადებოდა, ღვთის წყალობას ეზიარებოდნენ. ზოგიერთი ისე ზუსტად ითვლიდა დღეს, რომ სპეციალურად ამთხვევდა 24 დეკემბერს. ასეთი წვრილმანებით ალბათ არც შევაწყენდით მკითხველს, საქმე ზეფინას რომ არ ეხებოდეს. ის, რომ დიდხანს მალავდა უცხო თვალისგან მუცელს, ალბათ ეპატიება. ამჯერად საქმეში ისევ მისი საუკეთესო მეგობარი, ჰაინცინი, ჩაერია. მან ურჩია სწორედ, რომ ღვთის წყალობა არ გაეშვა ხელიდან. ჩემი ელიასი, წინასწარმეტყველი

ელია, ვინ იქნება თავდები, რომ ქვეყანას სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი ბავშვი მოევლინება? მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა. ან იქნებ ტაძრის შემხუთველი ჰაერი გახდა მიზეზი, რომ ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო? დროდადრო გონდაკარგული ბავშვები უღონოდ ეცემოდნენ სკამზე, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი ყველას ძალას აცლიდა, მოხუცები კი უკვე მერამდენე დღეა, თავის საშინელ ტკივილს უჩიოდნენ. არაფერი მოასწავებდა საშობაო განწყობას.

გრძელცხვირა ვიკარი, ბოიერლაინიც ბოლო ხანს აშკარად გადაიღალა. გადაღლილს კი ღვთის მადლი ტოვებდა და მოხუცებულობის უძლურებასთან მარტო რჩებოდა. სასულიერო ტანისამოსით შემოსილი სიტყვაუხვი ბოიერლაინი არეულ-დარეულ შეკითხვებს უსვამდა მნათეს: თუ რა ლიტურგია უნდა შეესრულებინა დღეს — აღდგომის თუ შობის? მაგრამ პასუხს არც დალოდებია. მწყემსების მოქმედების შუაში უცბად წამოხტა, წინ გაიჭრა და აღდგომის „ალილუია" წამოიწყო. მადლობა ღმერთს, მნათე ჯერ კიდევ საღ გონზე იყო. მან ვიკარს ტანსაცმლის ბოლოზე მოქაჩა და მრავლისმეტყველი სახით წასჩურჩულა, რომ დღეს შობას ზეიმობდნენ. მაგრამ ყველაფერი უკუღმართად წარიმართა. ვიკარმა არ აცალა წარმოდგენის დასრულება, საზეიმო ხმით მოჰყვა გალობას: „Iosia in excelsis Deo". მაგრამ ოსკარ ალდერი იმწამსვე ჩააფრინდა თითებით კლავიატურას, რომ მაყურებლის თვალში ეს უხერხული სიტუაცია როგორმე შეერბილებინა.

როცა ვიკარმა უცბად სააღდგომო ჰიმნი წამოიწყო, — და მალევე დაავიწყდა, რას აკეთებდა, — ამასობაში ორგანმა ყველა რეგისტრი გამოიყენა და შობის ის მელოდია დაუკრა, რომელიც ასე ოსტატურად დახვეწა ელიასმა ღამით. ოსკარ ალდერმა ვერ შეძლო ძირითადი ტონის შენარჩუნება, მაგრამ გლეხები მიუხვდნენ და სიმღერით ხოტბა შეასხეს შობა ღამის სასწაულს.

რა ლამაზი სანახაობა იყო! როცა ხმები გაძლიერდა, მრევლის თვალებში სხივი ჩაიღვარა. ძარღვებში სისხლი აუდუღდათ და გამხიარულდნენ. ამდენი ადამიანი ერთ ხმაში მღეროდა და ხოტბა-დიდებას ასხამდა შობას:

„რა სიხარულით აღსავსე დღეა,
ყველასთვის, ვინც ღვთისას ისმენს!
ღვთის შვილი ზეციდან ჩამოვიდა,
ქალწულისგან შობილი ქრისტე დედამიწაზე ჩამოვიდა!"

უცბად სასულიერო სიმღერა სულის შემძვრელ გამყივან ხმაზე შეწყდა. ყველას ეგონა, ქალები კიოდნენ, მაგრამ კივილი ელიას ალდერს აღმოხდა გულიდან, რომელიც ამ დროს ორგანის საბურველებს ჰაერს აწვდიდა. „ხანძარი" — ყველას სმენას მისწვდა მისი ხმა. ორგანმა ერთი კი დაიღმუვლა და უცებ დადუმდა. შემაღლებული ადგილიდან გამოჩნდა ელიასის ფერწასული მონაცრისფრო სახე, ბიჭს ხმა უკანკალებდა, ისეთივე მქისე ხმა ამოსდიოდა, როგორიც ბავშვობაში ჰქონდა. ელზბეტი! ელზბეტი იწვის! მან იცოდა, რომ გოგონა ციების გამო ლოგინში

ინვა და იმ დღეს ლოგინიდან არ ამდგარა.

შემდეგ ყველამ დაინახა ხანძრის ანარეკლი. აღმოსავლეთის მხრიდან ფანჯარაში კაშკაშა სინათლე ჩანდა. ცეცხლოვანი ანგელოზი დაძრწოდა მთელ სოფელში. გეგონება, ის-ის იყო ჩამდგარ ქარსაც უბრძანა, რომ მყის გააფთრებულიყო, დაებერა და გაელვივებინა ცეცხლი ყველგან, სადაც გამწარებულმა პეტერმა ცეცხლი ნაუკიდა თივას. თითქოს ქარის ანგელოზს მიმართა, მანამ ებობოქრა, ვიდრე მთელი სოფლის ჩრდილო ნაწილს არ გადაბუგავდა ბალახის უკანასკნელ ღერომდე, ბოლო ბოსტნამდე თუ საძოვრამდე. პეტერს უნდოდა, მთელი ეშბერგული გვარი თუ მოდგმა შთაეგონებინა, რომ ღმერთს არ სურდა იქ ადამიანის ნახვა.

თორმეტანჯამიანი კარის სარგული დიდხანს არ იღებოდა. ხალხი ყვირილით გაცვივდა გარეთ. ერთი ჭედვა ატყდა, გასაოცარი ძალით აწვებოდნენ კარს. როგორც იქნა, კარი გახსნა ვიღაცის ძლიერმა ხელმა, თუმცა საშინელი ტკივილისგან აღრიალდა, რადგან ხელი ლურსმნებზე დაესერა. ხალხი კი ერთიმეორის გაწევ-გამოწევაში იყო, ზოგი ძირს ვარდებოდა, ითელებოდა, ზოგიც წივილ-კივილით გარბოდა გარეთ. ტაძარში მხოლოდ ერთი ქალი დარჩა. მისი გადათელილი შვილი ქვიშაქვის ფილაზე იწვა. ქალი ველურივით ატრიალებდა თვალის გუგებს და ხარხარებდა, ჩვილის გატეხილი თავიდან ტვინი წვეთ-წვეთ მოდიოდა. ბავშვის გადმოცვენილი კბილები ქალმა აიღო და კოცნა დაუწყო, გეგონება, ეს იყო მისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი მარგალიტის

მარცვლები.

ამ ღამის ტკივილის და საშინელების აღსაწერად სიტყვებიც არ გვყოფნის. ისევ ჩვენს გმირებს გავყვეთ, რადგან ყოველი მათგანის მდგომარეობის გადმოცემასა და მათთვის ნუგეშის ცემას მაინც ვერ შევძლებთ, როცა თვალწინ განადგურებული კარმიდამოები გადაეშლებათ, გადამწვარი სახლები, ცხოველები და ქონება.

ნულფა ალდერის სახლი ცეცხლში გიზგიზებდა. ცეცხლი უკვე მოსდებოდა ქარისგან მოდრეკილ ხეხილის ხეებს, ბალახიც იწვოდა. სახლის ფანჯრებთან მისვლასაც ვერ ბედავდნენ. სახლიდან წამოსული სიმხურვალე უკვე ღობესთან მდგომსაც კი სწვდებოდა და სუნთქვას უკრავდა. ელიასი ცდილობდა, გოგონას ყვირილი გაეგო, მაგრამ ჩუმი ტირილის ხმაც არ გაუგია. იმწუთას, როცა ნულფ ალდერი წყევლა-კრულვით იკლებდა ამის გამკეთებელს, თან ბოსლის აღმოსავლეთი კედლიდან ფიცრებს იღებდა, თუნდაც რომელიმე ცხოველი რომ გადაერჩინა, ნულფინა მას თმაში სწვდა, ყველაწმინდა დააფიცა, ევედრებოდა მათი ქალიშვილი დაეხსნა ცეცხლიდან. ნულფმა ცოლს ხელი ჰკრა და ნააქცია. მან კიდევ ერთი ფიცარი ამოიღო, შეიხედა ბოსელში და იქ კი აღებინა: შიგნით უკვე დამწვარი ხორცის მყრალი სუნი იდგა.

ამასობაში ელიასმა სახლის სამხრეთ მხარეს კიბე მიადგა. პირქვე გაწვა დაზიანებულ სახურავზე და შიშველი ხელებით დაიწყო ყავრის ამოგლეჯა. ჟანგიან ლურსმნებზე ხელები ეგლიჯებოდა, სისხლი სდიოდა,

მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. მან ფეხებით ჩაამტვრია სახურავის ფიცრები, ვიდრე ხვრელი არ გაჩნდა და ჩაძვრა. საბედნიეროდ, სიმინდის ტაროებზე დაეცა, ძირს რომ გაეშალათ გასახმობად. უცბად მას ჩუმი ხველების ხმა მოესმა. ელიასმა თვალები დახუჭა და დაძაბულმა ყური მიუგდო. დამწვარი ხის ტკაცატკუცსა და შიშინზე მიხვდა, რა მიმართულებით მიდიოდა ცეცხლი, და იმასაც, სახლის რომელი ნაწილი იყო ცეცხლმოდებული. გოგონა კვამლით სავსე ოთახში იპოვა. ის საწოლქვეშ იყო შემალული. კბილები ძონძებისგან შეკერილი თოჯინასთვის ჩაესო. ელიასმა ის საწოლის ქვეშიდან გამოიყვანა, ფეხზე დააყენა და გულზე მიიკრა.

აი, ელზბეტის გული სულ ახლოს აღმოჩნდა მის გულთან, მათი გულისცემა ერთმანეთს შეერწყა. და მაშინ იოჰანეს ელიას ალდერს ისეთი ძლიერი და სევდიანი ტირილი აუვარდა, თითქოს სიკვდილი მიეახლაო. ამ კივილმა წამიერად დააკარგვინა გოგონას გონი და ის უღონოდ მიეკრა მოზარდ სხეულს. ასე ახდა წინასწარმეტყველური ნიშანი, ელიასმა ამ ხუთი წლის წინ, ნაკადულთან ჯერ კიდევ დაუბადებელი გოგონას გულისცემა რომ გაიგონა. იმ ენით აუწერელ საშინელ ღამეს მას შეუყვარდა ელზბეტ ალდერი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ღმერთს კიდევ სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული ელიასისთვის.

პეტრიფელზის პატარა ხეობაში, ღარტაფში პეტერი — ადამიანთა მოდგმის დაკოდილი ნაშიერი — იმალებოდა. ცეცხლის ალი მის გაპოხილ თმაზე

ელვარებდა და გაოგნებისაგან პირდაღებული, თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ცეცხლში გახვეული სოფლის ჩრდილოეთ ნაწილს. ხელში კი მაგრად ჩაებღაუჭებინა გამხმარი სოკო. პეტერი ეზოებს ითვლიდა: ხუთი, ექვსი, დანიელ ლამპარტერის სახლი, ასევე მათე ალდერის, მეძავის სახლის იქითაც იწვოდა სახლები. აი დადგა მისი შურისძიების დროც. არა, მუხლებზე ვერ დააჩოქებენ, არც ქურდობაში გამოუტყდება მამას. დამნვარი სოფლის ანარეკლი კრთოდა მის თვალებში, ნიშნის მოგებით რომ აუწყლიანდა, გულღვარძლიანი ბიჭი თავისი დასახიჩრებული ხელებით იწმენდდა ცრემლებს და ლოცვას ბუტბუტებდა, მშვიდად იმეორებდა თავის თხოვნას: მამა მოკვდეს! მერე კი შეცვლილი ხმით სიმღერა დაიწყო, სულ უფრო ხმამაღლა და ხმამაღლა: ბატონო მამა, თქვენ უნდა მოკვდეთ!

მთელი ღამე და მომდევნო ნახევარი დღე ხანძარი არა და არ ჩაქრა. უზარმაზარი ღრუბელი შემოერტყა ეშბერგს და გარშემო ყველაფერი ელვასავით გაანათა. მსგავსი ჯერ არავის არაფერი ენახა. დედამიწამ თითქოს ცა გაანათაო. შეწითლებული ღრუბლებისკენ ცეცხლის ალები ადიოდა, დროდადრო ხეებიც ცეცხლის ალში ბრიალებდა. 15 სახლი მთლიანად დაიწვა. ორი ლოგინადჩავარდნილი მოხუცი დაიღუპა, ოთხი მცირეწლოვანი, მათ შორის ეკლესიაში ადამიანების მიერ გადათელილი ჩვილიც. დაიწვა ასამდე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. ცეცხლმა არ დაინდო ისიც, ვინც შეეცადა, რაღაც მაინც გადაერჩინა. სოფლის

მთელი ჩრდილოეთი ნახევარი გადაბუგული იყო. იმ ზარალის აღწერა, ტყესა და ნათესებს რომ მიადგა, შეუძლებელია. ვინც ამ ხანძარს შეესწრო, იცის რა არის მწუხარება. ირგვლივ ყველაფერს ტკაცატკუცი გაუდიოდა და ცეცხლის ალებად იკლაკნებოდა, ყველგან კივილი და კვნესა გაისმოდა, საშინელი სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი ბუნების უტყვი ქმნილებებიც. ტყის ცხოველები ცეცხლმა ფლატისკენ გარეკა, უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. მთელი ირმების ჯოგი უფსკრულში გადაიჩეხა. ბეწვიან ცხოველებს შიშხინით ეწვოდათ ტყავი, ბოლი ასდიოდათ, ცოცხლად იწვოდნენ, შიშისგან ადგილზე ტრიალებდნენ. ფრინველები შეტრუსული ფრთებით ეცემოდნენ ცეცხლმოდებულ მიწაზე, რადგან ალმური ცას სწვდებოდა: გავარვარებული ჰაერის ნაკადი მაღლა იჭრებოდა.

ცოტა მოგვიანებით კი, როცა ელიასი იანვრის თოვლზე მიაბიჯებდა და ჩუმი ბგერებით ცდილობდა, ტყის ბინადართათვის გაეგებინებინა, არც ერთი მათგანი არ გამოჩენილა: არც ირემი — სახელად რეზი, არც გაბღენძილი სტვენია.

ჩრდილო მხარის ნაგებობებიდან მხოლოდ ერთი პატარა სახლი გადარჩა. და აქვე უნდა დავძინოთ — აფსუს! ეს იყო ხის მჭრელის „მეტწილას“ სახლი.

ეშბერგის სამხრეთ ნახევრის ნაგებობები ისევე იდგა, გეგონება, არაფერიც არ მომხდარაო. იქ მცირედიც კი არ დაზიანებულა: არც სახურავი, არც კარმიდამო. ჩრდილოეთის მხარის მცხოვრებლებს გული ბოღმით აევსოთ, ეს უსამართლობად მიაჩნდათ.

შობადღეს რვა ოჯახმა შეკრა თავისი ღარიბული ბარგი-ბარხანა და ცრემლის ღვრით დატოვა მშობლიური ეშბერგი. ემერის კალაპოტის გაყოლებით ისინი ბარში, რაინის ხეობისკენ დაეშვნენ, სადაც მომავალში ან მათხოვრობა ელოდათ, ან მოჯამაგირეობა, რომ როგორმე თავი გამოეკვებათ. მათ შორის იყვნენ ჰაინცი და ჰაინცინიც, ასევე ალდერების, კაჭკაჭების ოჯახი. ამის შემდეგ ჩვენს თხრობაში საერთოდ ვშორდებით ამ ადამიანებს და მათთან დაკავშირებულ ამბებს.

მაგრამ ერთია, კაჭკაჭმა, ვგონებ, მხოლოდ მას შემდეგ შეძლო ეშბერგის დატოვება, როცა სოფელში საშინელი ცილისმწამებლური ჭორები გავრცელდა, რომლის სასტიკი შედეგიც წმინდა სტეფანეს დღეს აისახა. თუ თვითმხილველებს დავუჯერებთ, „მეტწილამ“ თავისი სახლის დარაბები დაკეტა და დილამდე თავის ოთახში მიდი-მოდიოდა. თმა სულ გასჩეჩოდა, პირზე ქაფი მოსდგომოდა და ასე ელაპარაკებოდა საკუთარ აჩრდილს. შემდეგ ბნედიანივით იატაკზე მოჰყვა გორაობას, მერე რაღაც დაწერა ქაღალდზე, სადაც გარკვევით ჩანდა სიტყვა „ცეცხლის წაკიდება“. ის „ავე მარიას“ ასრულებდა მუსლიმანურ ყაიდაზე, შემდეგ ჯვარცმაზე მოშარდა. ამ ყველაფერს კი, თუ ჭორებს დავუჯერებთ, თვალს ადევნებდა კაჭკაჭი.

ჭორების, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა უკანასკნელ იდიოტსაც კი. მიუხედავად ამისა, სოფელი რომ ხის მჭრელმა რომან ლამპარტერმა გადაწვა, ეს დასაბუთებულად ითვლებოდა. ძალიან დიდხანს

ითმენდნენ ეშბერგელები, ეს მოკლეფეხება, გაბურძგნულწარბება ადამიანი როგორ თავხედურად დასცინოდა მათ რწმენას, მათი ცხოვრების ყაიდას, მათ ყოველდღიურ შრომას. მას ჩვეულებად ჰქონდა სამუშაო დღეებში ჩაეცვა საკვირაო კოსტიუმი და ესეირნა სოფელში გაცხარებული თიბვის დროს. მივიდოდა მუშაობაში გაოფლილ ადამიანთან, მოიხსნიდა სათვალეს, ვითომ სათვალის მინიდან მტვერს წმენდდა, შემდეგ კი ერთხანს ხელში თავის მოჩუქურთმებულ ხელჯოხს ათამაშებდა და მედიდურად ისწორებდა გახამებულ საყელოს. ძალიან ჭკვიანური სახით იწყებდა გლეხური ცხოვრების მძიმე ტვირთზე საუბარს, ლაპარაკობდა, რომ ამდენ შრომად არ ღირდა მათ მიერ მიღწეული მწირი შედეგი; რომ მძიმე ცხოვრებით ვერ ირჩენს კაცი თავს, ამიტომ გონივრული იქნებოდა, გულხელდაკრეფილნი მსხდარიყვნენ და უზრუნველად ეცხოვრათ ამ დიდებული ცისფერი ცისქვეშ, ხეში ჩაბუდებული, მოჭიკჭიკე ფრინველების მსგავსად. ასეთ სიტყვებს ისმენდნენ გლეხები იმ ადამიანისგან, ვისაც მოთიბვაც კი არ შეეძლო. მის საუბარზე მთიბველები აღშფოთებისგან გვერდზე გადააფურთხებდნენ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ პირი მთლად გამომშრალი ჰქონდათ. მაგრამ ყველაზე მეტად გლეხებს ამ კაცის სახლი აღაშფოთებდათ. ის არც ერთხელ არ დასწრებია მესას — არც შობის წირვას — და ერთ დღესაც თავში მოუვიდა აეშენებინა ისეთი ქოხი, ეშბერგის ეკლესიაში შესაწირავ საცავს რომ ჰგავდა. ოთხი წელი დასჭირდა ხეების მოთრევას და

აშენებას. როცა, ბოლოს და ბოლოს, ქოხი დასრულდა, მისი მსგავსება წმინდა ეკლესიის საცავის ყოველ წვრილმანში გამაოგნებელი იყო. მართალია, ეშბერგელი გლეხის გაგება რთულია, მაგრამ ალბათ აშკარაა, რატომ არ უყვარდათ მათ ეს „მეტწილა“. უფრო მეტიც, რატომ სძულდათ. სოფელს ის მიაჩნდა ანტიქრისტედ, რომელმაც მაცხოვრის სამყოფელი მიითვისა. ეს იყო აღმაშფოთებელი უსამართლობა, საშინელი ცოდვა. „მეტწილა“ ულირსია, რა უფლება აქვს მაცხოვრის ბინაში იცხოვროს?!

ყველა ამ ცოდვას ახალიც დაემატა. თავის ერთადერთ გალეულ, დაჩაჩანაკებულ მეწველ ძროხას ელიზაბეტი დაარქვა. წმინდა ელიზაბეტის პატივსაცემად, რადგან მისმა ხანდაზმულმა ძროხამ გვიან ასაკში მოიგო ხბო. თანამემამულეებს ხის მჭრელის ყველა აღმაშფოთებელი საქციელისა და ცოდვის ჩამოსათვლელად ერთი დიდი წიგნი არ ეყოფათ.

წმინდა სტეფანეს დღეს, დილით, გლეხებმა ფეხით შეამტვრიეს მისი სახლის კარი, ხმაურით შეცვივდნენ ოთახში, სილის გაწვნით ღრმა ძილიდან გამოაფხიზლეს და უნდოდათ, სახე ვეება მარგილით დაესერათ, მაგრამ ერთ-ერთმა შეაჩერა და მოუწოდა ცოცხლად დაეწვათ. ორმა მასღამის პერანგი ჩამოახია, გადმოაგდო საწოლიდან და ყური მოაგლიჯა. ამასობაში მესამემ ჩაქუჩით გარშემო ყველაფერი დაამსხვრია. უცბად მესამის მზერა თუნუქის ბიდონმა მიიპყრო, მასზე ეწერა: „ლამპისთვის“. შემდეგ შიშველი კიბიდან დაუშვეს, ის მიწაზე

დაგორდა, აქ კი მას ბედმა გაუღიმა: მოახერხა მათგან თავის დაძვრენა. ისინი დაედევნენ და მარდებიც აღმოჩნდნენ, რადგან მათ სიკვდილის წყურვილის დაუნდობელი ძალა ამოძრავებდათ. მან მაინც შეძლო ფორთხვით ფერდობზე აცოცება და, როგორც იქნა, ტყეში შევარდა, იმ ხეობამდე ააღწია, პეტრიფელზს რომ ეძახდნენ. წინ უფსკრული აღემართა. ერთადერთი გამოსავალი დარჩა: კვამლის საფარქვეშ დამწვარ-დანახშირებულ ტყეში გაუჩინარებულიყო. მას მძლეთამძლე შიშის ძალა ამოქმედებდა, ის კი ბრმაა და არ უწყის, რასა იქმს. რაღაც მცირე დროით მოახერხა კიდეც კვამლში მიმალვა. ფეხისგულები ეწვოდა, მაგრამ ის ახლა ვერც სიცხეს გრძნობდა, ვერც — სიცივეს. სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა კვამლის წყვდიადში. უცბად, სრულიად ახლოს მოესმა მდევართა ხმები. მან უკან მიიხედა, აქეთ-იქით აწყდებოდა, წაქცეულ ხეს გადააწყდა, ხმამაღლა იღრიალა და იქ ბინდში ვიღაცის გამურული მუშტი მოხვდა. გაქცეული დაიჭირეს. აქეთ-იქიდან გაისმოდა დამცინავი ხმები: სად დატოვე შენი საკვირაო გამოსასვლელი კოსტიუმი? მსხვერპლმა აღარ იცოდა, რა ექნა, ხელი დასისხლიანებულ ყბაზე თუ სასირცხო ადგილზე მიეფარებინა. აქეთ-იქიდან კი ისევ გაისმოდა: სათვალეც სადღაც დაკარგე? ხომ არ გინდა, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ დამმოძღვრავი სიტყვები გლეხურ ცხოვრებაზე? რატომ არ ისწორებ გახამებულ საყელოს? და ასე შემდეგ...

ისინი ამცირებდნენ და აწვალებდნენ ორ საათზე მეტხანს. შემდეგ სქელი თოკით მიაბეს

დანახშირებულ ხეზე, გარშემო ნახევრად დამწვარი ფიჩხი შემოუწყვეს, ისე, რომ დაუფარეს ტან-ფეხი, გადაასხეს ნავთი და კმაყოფილი შეძახილებით ცეცხლი წაუკიდეს. მკვლელებმა იცოდნენ, ხანძარი მისი გაჩენილი არ იყო და იმიტომ ღრიალებდნენ ასე ხმამაღლა, რომ ამ ყვირილით საკუთარი სინდისი ჩაეხშოთ.

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს ელიასი პეტრიფელზის მახლობლად თავის დაკარგულ მეგობარს ეძებდა, იცოდა მისი თავშესაფარი, მაგრამ ღარტაფში ვერ იპოვა, ნახა მხოლოდ მკვდარი კატა და გამხმარი სოკო. უცბად რაღაც საშინელი ყვირილი მოესმა, უკან მიიხედა. თავიდან ყვირილი ხარხარს მიამსგავსა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს განწირული ადამიანის სიკვდილისწინა კივილი იყო. მკვლელების ხმაც მოესმა, მათ შორის ზეფ ალდერისაც, რომელიც სხვებს აქეზებდა. ეს იყო მამამისის ხმა, მამისა, რომელიც უყვარდა და რომელსაც ის უყვარდა.

და ეს უკვე დავაჟკაცებული სახის ბავშვი ადგილზე გაშეშდა. ტუჩები ისე მაგრად მოკუმა, მთლად დაულურჯდა. მის ბაგეებს ნაზი, დაუსრულებელი ხმით აღმოხდა: „მამაჩემი, ღმერთო ჩემო, მამაჩემი!“

მიცვალებულები ახალი წლის შემდეგ დამარხეს, უბედურებიდან ცხრა დღის შემდეგ. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ ვერსად იპოვეს ედუარდ ლამპარტერის სხეული. საშინელება იყო მისი ნაცრად ქცეული სახლის ქექვა, მაგრამ სხეულის ვერანაირი კვალი ვერც იქ აღმოაჩინეს. ერთადერთი, რაც იქ ნახეს, მისი ფაიფურის ჩიბუხი იყო. ედუარდის ცოლს ამის დანახვაზე საზარელი კივილი აღმოხდა. ეკლესიაში იდგა ხუთი კუბო, მათ შორის ოთხი ხანძრის დროს დაღუპული ჩვილების იყო. იქვე, გვერდით კი, სკამზე დადებულ ბალიშზე ესვენა ედუარდის ჩიბუხი. მწუხარეთა ტკივილი კიდევ უფრო გამძარფრდა იმის გამო, რომ ვიკარმა ბოიერლაინმა მოულოდნელად შეაწყვეტინა რეკვიემის დაკვრა, რადგან ასე ეგონა, ნათლობა იყო ჩასატარებელი. ის მიუახლოვდა მიცვალებულებს და ნათლობისთვის განკუთვნილი ლოცვა წარმოთქვა, რამაც ეშბერგელთა აღშფოთება გამოიწვია. ორი ეშბერგელი წავიდა გიოცბერგში და იქაურ ვიკარს მოახსენა, რომ ეშბერგელი მღვდლის ატანა უკვე აღარ შეიძლებოდა. მოისმინა რა გიოცბერგის ვიკარმა თავისი თანამოძმის სულიერი მდგომარეობის შესახებ, მათ დახმარება აღუთქვა. უთხრა, რომ პირადად ჩავიდოდა ეშბერგში და გენერალურ ვიკარს ყველაფერს ამცნობდა. მას შემდეგ, რაც მღვდელმა მომჩივანები ლამის მერვეჯერ დალოცა (თავადაც ხანდაზმული იყო), ეშბერგელები მიხვდნენ, რომ უკვე წასვლის დრო იყო

და უკმაყოფილო ბურტყუნით, მტკიცე ნაბიჯით შინ დაბრუნდნენ.

იმათ, ვინც რაინისკენ არ გადავიდნენ და უაზრო სიჯიუტით ებღაუჭებოდნენ ეშბერგს, უკვე დაიწყეს ნახანძრალებზე თავიანთი კარ-მიდამოების აღდგენა. ტრაქტირის მეპატრონემ ეს ოჯახები შეიხიზნა. მთელი გრძელი ზამთარი სამოცდაათ კაცზე მეტს ერთმანეთის გვერდით ტრაქტირის ვიწრო დარბაზში ეძინა.

ზეფინა კი საბრალო, ბედშავი ქალი იძულებული იყო, ყველას თვალწინ მოემშობიარებინა. მისი ერთადერთი თხოვნაც კი, რომ ზეწარი ჩამოეფარებინათ, არ შეასრულეს, კაცები ურცხვად მიშტერებოდნენ საშოს გახსნას, ბავშვები დაძაბულნი მუშტებს კუმშავდნენ, გეგონება, ასე სურდათ, დახმარებოდნენ საბრალო ქალს. ქალები კი მელოგინეს დაკაწრულ სახეს გულდასმით აკვირდებოდნენ. და აი დარბაზში ატყდა ბუტბუტი. ამ ქვეყანას მოევლინა კიდევ ერთი უჯიშო, მათ მხედველობაში ჰყავდათ გონებრივად შეზღუდული საბრალო ბავშვი.

იმ დროს, როცა ყველას ერთმანეთის გვერდით ტრაქტირში ეძინა, ელიასის გონება მთლიანად მოცული იყო საზარელი უფსკრულის ხილვით. ყველაფერი, რაც თავში გაუელვებდა, სადღაც უძირო უფსკრულში ვარდებოდა და იკარგებოდა. მას მაღალი სიცხე ჰქონდა, ოფლად იღვრებოდა. დილით გაღვიძებისას, ცრემლებს ვერ იკავებდა, მიწებებული თვალებიდან თავისით სცვიოდა. შემდეგ საათობით

გაუნძრევლად იჯდა, იატაკს მიშტერებოდა, თავის აწევას არც ცდილობდა. მუჯლუგუნი უნდა გეკრა, მისი ბაგეებიდან რაღაც გაურკვეველი ბუტბუტი რომ დაგეცდევინებინა. მის შემხედვარეს ეგონებოდა, რომ მას აღარაფერიც არ ესმოდა, არც ლაპარაკი შეეძლო. არავინ იცოდა, რომ ის შოკში იყო.

სწორედ იმ ღამეს, როცა დანაშაული მოხდა და მკვლელები ტრაქტირში დაბრუნდნენ, მას სხეული ისე აუკანკალდა, თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელები ანჯღრევდნენ. მიუხედავად საშინელი ძალისხმევისა, თავი ხელში აეყვანა, არაფერი გამოსდიოდა (ის მამას არასოდეს გასცემდა.). თავისდა უნებურად რაღაც კრუსუნის მსგავსი დასცდებოდა ხოლმე და მაშინვე პირში მუშტებს იტენიდა, კბილებს ჩაასობდა, რომ თავი აეძულებინა, როგორმე გაჩუმებულიყო. მაგრამ არც ეს შველოდა. ათობით თვალი დაჟინებით უყურებდა ელიასს. საკუთარი თავი იქამდე მიიყვანა, რომ გული შეუღონდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გულზე ხელს იჭერდა და საკუთარ თავს სუნთქვას უკრავდა. საშინელი სანახაობა იყო, ყველას ეგონა, ბნედა სჭირდა და ტრაქტირში შემოსულ ზეფს უთხრეს, რომ ბავშვი დარბაზიდან გაეყვანა. ზეფი დაემორჩილა და ის ქუჩაში გაიყვანა. მამის ხელებში გრძნობადაკარგული სხეული გამოცოცხლდა. მაგრამ, როცა ზეფმა ბიჭის თვალები დაინახა, მიხვდა, რომ ელიასმა ყველაფერი იცოდა. უცბად ზეფი მოეშვა, ბიჭი ხელიდან დაუსხლტა. ზეფმა დაინახა, ბიჭს პირიდან შავი წყალივით რაღაც როგორ გადმოეღვარა. ეს უკვე მის ძალებს აღემატებოდა,

ზეფი დაიბნა და ბავშვი ისევ ტრაქტირში წაიყვანა.

და იქ მოხდა ისეთი რამ, რასაც ვერავინ დაიჯერებდა, რომ ის ამის გაკეთებას შეძლებდა. ეს ჩუმი ბავშვი, დღეში რამდენიმე სიტყვას რომ ძლივს ამბობდა, უცბად ისე ცხარედ, აღელვებით ალაპარაკდა, გეგონება, ერთი ეშბერგელი ყბედი ვინმე ყოფილიყო. ის ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, მკვეთრად, ენა ებმოდა, მერე ყვირილზე გადავიდა, სულს ძლივს ითქვამდა. ამ დროს სხვა მამაკაცები, რომლებიც ტრაქტირში შემოვიდნენ, ზეფს გარს შემოერტყნენ, აღშფოთებულები ხმამაღლა ალაპარაკდნენ, თან გაჩუმებულ თანასოფლელებს შესცქეროდნენ.

— იმ ღვთის მგმობ ძაღლს ყველგან დავეძებთ, — გრგვინავდნენ სოფლელები, — აშკარაა, რომ სოფელი „მეტწილამ" გადაწვა, ამის მოწმეები არსებობენ. ექვსი საათი ან იქნებ მეტიც მთელ ხეობაში დაძვრებოდნენ, მაგრამ არამზადა თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

აქ ჩაერთო ნულფ ალდერი, რომელმაც იღრიალა:

— ეტყობა, ახლა უკვე სამუდამოდ დავაღწიეთ ამ ანტიქრისტეს თავი. ამიტომაც ყველას, ვისაც შეუძლია, უფლება აქვს წავიდეს ხის მჭრელის სახლის გასაქურდად. ნულფი, როგორც სოფლის მამასახლისი, ამის უფლებას იძლევა.

მკვლელებმა კი თვალთმაქცურად დაიწყეს დაქადნება: თავს გავუპობთ მაგ არამზადას, კიდევ თუ გამოჩნდა ამ სოფლის მიდამოებში. და ისინი ღრიალით ცდილობდნენ საკუთარი სინდისის ჩახშობას.

ელიასი კედელ-კედელ დაიძრა, ცდილობდა, რაც შეიძლება შორს წასულიყო ტრაქტირიდან, სურდა, სადმე სიბნელეში შთანთქმულიყო, მომკვდარიყო. იქ ვილაცის ხელი შეეხო მხარზე და მან ზურგს უკან შეცვლილი ხმით ნათქვამი გაიგონა:

— შენ ხომ არ გამცემ, შენ ხომ არ გამცემ, თუ არადა უარესი მოხდება...

ელიასი შეტრიალდა, ორივე გაირინდა. შემდეგ კი, ღმერთმა უწყის, რატომ ერთმანეთს თმაზე უსვამდნენ ხელს, ერთმანეთის სუნს ისრუტავდნენ. პეტერმა მას თავისი დასახიჩრებული ხელი აჩვენა, ამას არასოდეს ვაპატიებ, ჩაილაპარაკა მან. ელიასმა პირი მოიწმინდა, ტუჩები დაეჭიმა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე ისევ დადუმდა. მას ბაგეები უთრთოდა. სურდა, თუნდაც ერთი სიტყვა მაინც ამოეთქვა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ორივე ჩუმად იყო, მაგრამ პეტერს მაინც სწამდა, რომ მეგობარი არასოდეს გასცემდა.

მას შემდეგ, რაც ნულფ ალდერმა ეშბერგელებს „მეტწილას" სახლის აოხრების უფლება მისცა, ყველა იქით გაეშურა. ნახევარ საათში ისედაც გაპარტახებული კარმიდამოსგან მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩა, ეშბერგელები კალიებივით შესეოდნენ იქაურობას. უამრავი კუსტარული ნაწარმი, სამკაული, ჭურჭელი, სამუშაო იარაღი, ტანსაცმელი, ფანჯრის დარაბები თუ ლოგინის თეთრეული, ფიცრები და თამასები — ყველაფერი დაიტაცეს. მათე ალდერი და მიხელ მენახშირე ერთდროულად შეცვივდნენ ბაგაში. ისინი ელიზაბეტს ეძებდნენ და იმაზე კამათობდნენ,

ვის უნდა რგებოდა ძროხა. მათე ძლიერი იყო, მან ხელი ჰკრა მიხელს ნეხვით სავსე ორმოსკენ და გაძვალტყავებული საქონელი თავად გაიყვანა გარეთ. მიხელი ამან გააცოფა, დაეწია მას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლი ჰკრა ძროხას. ძროხამ წონასწორობა დაკარგა, შეტორტმანდა და ფქვილით სავსე ტომარასავით ქვევით ფერდობზე დაგორდა, კისერი მოიტეხა და მოკვდა. მიხელმა მოზეიმე სახით დაუყვირა მათეს:

— ეგეც შენ, ძროხა ჩემია-მეთქი, ხომ გითხარი!

ხანძრის შემდეგ, პირველ კვირებში, ლამის წელამდე თოვლი დადო. ყინვები დაიწყო და ამას მოჰყვა შიმშილობაც. მაგრამ ეშბერგელი გლეხები ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ვინც ცეცხლს გადაურჩა, ულუკმაპუროდ დარჩენილებს რძესაც უყოფდა, პურსაც, ტანსაცმელსაც აძლევდნენ, ანუგეშებდნენ და ფიჩხითაც უმართავდნენ ხელს. სულიერად გამხნევებულები, თავიანთი გადამწვარი სახლების აღდგენას, ჯერ კიდევ იანვრის სიცივეში შეუდგნენ. ბავშვები და ქალები თოვლს ხვეტდნენ, ერთ მხარეს გორად აქუჩებდნენ და თუ ვინმე ხანძრისგან გადარჩენილ ნივთს იპოვიდა, მაშინვე გაბრწყინებული სახით უჩვენებდა ყველას თავის მონაპოვარს. ტყეში, სოფლის სამხრეთ მხარეს, დაიწყეს ხეების გაკაფვა და მათ, ვისაც ტყე ეკუთვნოდა, ესეც არ დაუშურებიათ, ნება დართეს ყველაზე სქელი ნაძვები მოეჭრათ, საზიდრად თავიანთ ცხენებს, ხარებსა და ძროხებს აძლევდნენ. რადგან ზამთრის დღე მოკლე იყო, საქონელს უმოწყალოდ ტვირთავდნენ

და საბრალოებს, ზანზალაკის წკრიალით რომ მიდიოდნენ, სიმძიმისგან იანვრის სიცივეში ორთქლი ასდიოდათ.

ადამიანთა გულებს, გეგონება, იდუმალი დიდსულოვნება დაეუფლა. მათ, ვინც გაჭირვება გამოიარა, არ ესმოდათ, ასე უანგაროდ რატომ ეხმარებოდნენ თანასოფლელები. თავიანთ თავს შთააგონებდნენ, რომ ასე უფლის წყალობით ხდებოდა. რადგან ისინი ხანძარს გადაურჩნენ, ამის გამო მადლობას სწირავდნენ უფალს. თორემ ამ სოფლად ჯერ არავის ახსოვდა, რომ ალდერი ლამპარტერს დახმარებოდა, ალდერი — ალდერს ხომ მით უმეტეს.

უკვე იმავე წლის ზაფხულს აშკარა გახდა, რომ მათი უნდობლობა უსაფუძვლო არ იყო. თურმე გულუხვი „კეთილისმყოფელნი" ჩუმად ადგენდნენ სიას, სად რამდენი შეკვრა შეშა შეჰქონდათ ან რამდენი გირვანქის რძე, ან კარაქი თუ პური, კვერცხი თუ ალუბლის ნაყენის თითოეული წვეთიც კი; ასევე თამბაქო, რომელსაც ლამის ძალით სთავაზობდნენ მათ. აი დადგა დიდი ანგარიშგების დღეც. გამსესხებლებს ვალი არ ავიწყდებოდათ მთელი ათწლეულის განმავლობაში, სანამ უკანასკნელ ცენტამდე არ მიიღეს ყველაფერი.

1815 წლის უბედური შობის შემდეგ ელიასს ხშირად ხედავდნენ სოფელში უაზროდ მოხეტიალეს — თოვლში უჩინარდებოდა, მოუსვენრად დადიოდა ბოსტნებსა და საძოვრებზე.

დაცრეცილი, დახეული საკვირაო კოსტიუმი

ეცვა — ეს ერთადერთი იყო, რაც ტანსაცმლიდან შემორჩა. ყველას, ვინც გზაზე გადაეყრებოდა, გული შესტკიოდა მასზე. ის ქარში იდგა ნორჩი ალუბლის ხესავით, რომელსაც სუსხმა აყვავების საშუალება არ მისცა. ელიასში უკვე ჩამქრალიყო ბავშვის სული. დილაობით, ტრაქტირის დარბაზში რომ იღვიძებდა, ცრემლებს ვერ იკავებდა. შემდეგ უმოძრაოდ იჯდა, ხის ტოტებს ითვლიდა და მისი ფიქრებიც ერთი კენწეროდან მეორეზე დაფრინავდა. ხან თავის გონებასუსტ ძმაზე ფიქრობდა, ხანაც თავის მამაზე, რომლის მიმართაც დღითი დღე სიძულვილი ემატებოდა. გულში დაიფიცა კიდეც, რომ აღარასოდეს დაეხმარებოდა მამას თივის გადაბრუნებაში, აღარც ძროხას გაბანდა, აღარც სალაფავს მიუტანდა პატარა ხბოს, არც შემოდგომაზე მოკრეფდა ფოთლებს. ღამით, როცა ტრაქტირში მყოფთ ეძინათ, ზოგი ხვრინავდა, ზოგიც ახველებდა ან უსტვენდა, მისი ფიქრები ელზბეტს დასტრიალებდა, თავის სიყვარულს, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა. ელიასს არ ეძინა, ყურს უგდებდა გოგონას ნაზ სუნთქვას, მისი ბაგეების რხევას, ფიქრებში მის ქერა თმას ყნოსავდა, სათუთად ეხებოდა მის შემოდგომის ფოთოლივით სათუთ ყურებს. მერე კი ხუჭავდა თვალებს და მის გულისცემას ითვლიდა. ამ დროს მისი ფიქრები მშვიდად მიედინებოდა. ხანდახან გოგონას სხეული კრთებოდა, ეტყობა, ფიქრებში თავის წითელ კატას ეძებდა და ვერსად პოულობდა. ელიასს უნდოდა ამდგარიყო, გაევლო მძინარე ადამიანებს შორის და ნულფინასთან მისულიყო,

რომლის ფეხებთანაც ელზბეტი ინვა. როგორ სურდა, მისი ცივოფლდასხმული პატარა ხელი თავის ხელებში მოექცია, პატარა შუბლზე ხელი გადაესვა, მაგრამ ვერ ბედავდა. ის უხმოდ, ჩუმად უმღეროდა გოგონას ძილისპირულს და ბოლოს თავადაც შეუმჩნევლად ჩაეძინებოდა ხოლმე.

ელზმეცი და გაზაფხული

დრომ გაირბინა და ბუნებამ მთელი თავისი დიდებული ფერებით მოხატა მდელოები და ბოსტნები, ხანძრის იარებიც უკვე მოშუშდა, გარემო გამოცოცხლდა. ელიასის საყვარელი ხეც ისევ გაიზარდა, დადგა დრო და ახლად აშენებულმა სახლებმა ამაყად გადახედეს რაინის ხეობას და თავიანთი მბრწყინავი სახურავებით აპენცელელებ საც კი თვალი მოსჭრეს. ისინი, ვინც უფრო მეტად გაღარიბდა ხანძრის შემდეგ, სულით არ დაცემულან. საბრალო ედუარდ ლამპარტერის ქვრივი ხშირად დაიარებოდა კუნრიხ ალდერის სახლში. ერთი წლის შემდეგ ისინი დაოჯახდნენ და მათი დაოჯახებიდან ერთი წლის შემდეგ ედუარდ ლამპარტერის საფლავი უკვე მთლად გავერანდა. გავიდა დრო და დრომ წაიღო ცრემლი და დარდი, გაზაფხულმა ადამიანთა სულებს თავდაჯერებულობა, სიმტკიცე შესძინა, საეკლესიო დღესასწაულებზე ისევ იკრიბებოდნენ, იცინოდნენ, იხსენებდნენ გარდასულ დღეებსა და გადახდენილ უბედურებას, ავდრიან ღამეებში კი ოჯახის წევრებს უყვებოდნენ, რა საშინელება იყო

ცეცხლში გამომწვარი საქონლის ან დამწვარი ჩვილის ნახვა, ყვიროდნენ ბავშვის ხმით, იწყებდნენ ბღავილს, თითქოს ტკივილისაგან იკრუნჩხებოდნენ. როგორც უნდა შეექციათ თავი, განვლილი უბედურების კვალი ალბათ კიდევ დიდხანს გატანჯავდა მათ სულებს.

ეშბერგელმა გლეხებმა მშვენივრად იცოდნენ ამ პირველი ხანძრით, რისი თქმაც სურდა მათთვის ღმერთს. ამიტომ სულ უფრო ჭირვეულობდნენ და სულაც არ მალავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას ღვთისა და წმიდა ეკლესიის მიმართ. განსაკუთრებით ნულფ ალდერი, მას არ სურდა თავისი სახლის კურთხევა. იქ, სადაც ადრე მას ხატებით მოწყობილი კუთხე ჰქონდა, ახლა საწოლის ნიში მოეწყო. ამიერიდან წმინდა ადგილას თავად ეძინა.

ამასობაში იოჰანეს ელიას ალდერი უკვე გაიზარდა. თხუთმეტი წლისამ ერთბაშად აიყარა ტანი, ცხრამეტი წლის ასაკში უკვე მოწიფულ, 40 წლის კაცს ჰგავდა. გამხდარი მაჯებიც მის ვაჟკაცობას უსვამდა ხაზს. თიბვის დროს მზეზე რომ ირუჯებოდა, სახეზე ჭორფლი უჩნდებოდა. ერთხელ თიბვისას ის ცოტა დაშავდა, გავის ძვალი დაიზიანა, კანი დაუსკდა და გაუუხეშდა.

ელიასმა მამის მიმართ გულში დადებული ფიცი დაარღვია. პირველივე თიბვის დროს დაეხმარა მას, ბოსტანსაც ასუფთავებდა ფოცხით, ძროხასაც წველიდა, ხბოსაც აჭმევდა, ბალახსაც აგროვებდა — ყველაფერს ართმევდა თავს სხვების დაუხმარებლად. მაგრამ ზეფს, ოდესღაც მის საყვარელ მამას,

ხისმჭრელის „მეტწილას" მოკვლისშემდეგ გაურბოდა. იმ დღიდან თავად ზეფიც ერიდებოდა შვილს. ელიასმა, არსებითად, თავისიანებთან ურთიერთობა გაწყვიტა. მისი უფროსი ძმა მისთვის არაფერს წარმოადგენდა, დედას უბედურება არასოდეს აღელვებდა, ალბათ სულაც არ იმოქმედებდა, ერთ დღესაც ლოგინად რომ ჩავარდნილიყო და მისი სამუდამოდ გაცივებული სხეული ენახა. მხოლოდ ჭკუასუსტი ძმა აღვიძებდა მასში ნაზ გრძნობებს. თავისუფალ დროს ეთამაშებოდა, მიჰყავდა თავის პატარა ოთახში, სიარულს ასწავლიდა, ბგერების ულერადობაში ავარჯიშებდა. როცა ელიასმა ამ პატარა გონებასუსტ ბავშვში ნამდვილი მუსიკალური ნიჭი აღმოაჩინა, ის კიდევ უფრო შეუყვარდა, სულ მალე არა მარტო სისხლით მონათესავე ძმები გახდნენ, არამედ სულიერადაც.

მიუხედავად ყველაფრისა, ელიას ალდერში ადრეული ასაკის ყველა ნაკვთი იყო შენარჩუნებული. მართალია, მას ლამაზი, სწორი ტუჩები ჰქონდა, მაგრამ კიდეებში ნაოჭები დასტყობოდა, სწორი ცხვირი კიდევ უფრო გამოკვეთდა მის მუდამ უკმაყოფილო გამომეტყველებას. ის არ იყო ჩვეული მორჩილებას. ამ სოფლის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი ბრტყელი თავის მიუხედავად, ელიასი ლამაზ მამაკაცად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. ლამპარტერების კაჭკაჭმა სწორად შენიშნა, რომ მეხსიერებადაქვეითებულმა ვიკარმა ბენცერმა ელიასის სახით წარმოსადეგი სახე შეარჩია. ჩვიდმეტი წლიდან მოკლე ვარცხნილობაზე უარი

თქვა და მზისაგან დამწვარი თხელი თმა მხრებამდე სწვდებოდა. ყოველთვის შავ სერთუკს ატარებდა, საერთოდ უპირატესობას შავ ფერს ანიჭებდა. მოკლე, თავდაჯერებული ნაბიჯით სიარული შეიმუშავა, რაზეც ლამის ერთი წელი დასჭირდა. მისი სიარული ტლანქი, გლეხური სამყაროსგან აშკარად გამოარჩევდა, თუმცა არც არასოდეს სდომებია ამ სამყაროს მსგავსებოდა. თავად აცნობიერებდა ამას თუ არა, არ ვიცით, მაგრამ სიარულის მანერა მისი მუსიკალური აზროვნების ზუსტი გამოხატულება იყო. რადგან ორგანზე დაკვრა — ეს იყო ფიქრიანი მოლივლივე კომპოზიციები, რომლის დროსაც ერთი ფიქრი მეორეს ენაცვლებოდა, აახლებდა ან უარყოფდა. სწორედ ესაა ყველა გენიოსის არსი: მას სრულყოფილად შეუძლია გააცოცხლოს ის საგნები, რომლებიც არც არასოდეს უნახავს და არც გაუგონია. ელიასს არასდროს მოუსმენია პოლიფონიური მუსიკა, ოსკარ ალდერი ხომ მხოლოდ ტლანქ, მწირ აკორდებს ფლობდა.

ელიასის ნერვიული და, ამავე დროს, ლამაზი გარეგნობა თავისთავად სწორედ იმას მოწმობდა, რომ ოდესმე მთელ სამყაროს აღუდგებოდა, რადგან გულში ჩუმ ამბოხს მალავდა. თუ არ ჩავთვლით მისი სიარულის თავისებურებას და საშინელ სიკვდილს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მუსიკოსს სინამდვილეში არასოდეს გამოუვლენია უხეშობა. მან ისეთი მიიღო თავისი ცხოვრება, როგორიც იყო, ფეხს უწყობდა წელიწადის დროებსა და ბუნების კანონებს, შეეგუა წელში მოხრილობას, დაკოჟრილ ხელებს და უკეთესი

მომავლის არანაირი მოლოდინი ან იმედი არ ჰქონდა. ის თავდაუზოგავად მუშაობდა მამის კარმიდამოში, რათა მისი ზედმეტი ყურადღება არ მიეპყრო. იმ შოკს, რომელიც ბავშვობაში მიიღო, უკვალოდ არ ჩაუვლია. ისე, კაცმა რომ თქვას, რა შეგვიძლია ვურჩიოთ ელიასს? ალბათ გენიალური ნიჭი, რომელიც მას დაბადებიდან უწყალობა განგებამ, არასოდეს გაიშლება მთელი ძალით იქაც კი, სადაც აფასებენ და უყვართ მუსიკა. მაინც არაფერი შეიცვლება ამ ადამიანის ცხოვრებაში. ასეთია ბუნების კანონი. ამქვეყნად მუდამ უსამართლობა ბატონობს. იმ უბედურების შემდეგ მისმა მუსიკალურმა ნიჭმა სულ სხვა მიმართულება მიიღო — სწორედ იმ ღამის შემდეგ, როცა მან ელზბეტი იხსნა ხანძრისგან, გოგონა ისეთი გატაცებით შეუყვარდა, ადამიანის ძალებს რომ აღემატება. მან დაადგინა, რომ ცხოვრება მხოლოდ სიყვარულისთვის ღირდა. მზად იყო, ამ სიყვარულისთვის გაეღო მთელი სული და გული. მან თავისი ნება მტანჯველი განსაცდელის წინაშე დააყენა და არჩევანი ელზბეტის სასარგებლოდ გააკეთა. ელიასმა უღალატა თავის მუსიკალურ გენიას და რადგანაც გენიოსობა თავად ღვთისაგან გებოძება, აქედან გამომდინარე, ღმერთსაც უღალატა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მკითხველმა არ იფიქროს, რომ ელიასმა შეწყვიტა მუსიკის შეთხზვა. სწორედ რომ პირიქით. ის განსაკუთრებით მომთხოვნი გახდა საკუთარი თავის მიმართ, ახლა ის ხომ ელზბეტისათვის უკრავდა. კვირაში ორჯერ იკეტებოდა ეკლესიაში და ღამღამობით ორგანზე

დაკვრაში ვარჯიშობდა. ტკივილამდე, თავბრუს ხვევამდე უკრავდა ურთულეს ეტიუდებს, რომ თითები გაევარჯიშებინა. ხელის მტევანი იმდენად შეეძლო დაეჭიმა, რომ დეციმამდე მიეღწია. თავადაც ვერ იჯერებდა. პედალს მხოლოდ ტერფის წვერს აჭერდა, სწორედ ტერფის ასეთი მდებარეობის წყალობით უნაკლო ლეგატო გამოსდიოდა. როცა უკვე გასავათდებოდა ჩასაბერსა და ორღანს შორის სირბილით, პეტერის იმედი ჰქონდა, მას სთხოვდა საჰაერო ბერკეტის ჩაბერვას. პეტერი ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდა, მას ელიას ალდერი თავისებურად შეუყვარდა. როცა პირველად მოისმინა თავისი მეგობრის გასაოცარი იმპროვიზაციები, პეტერი გაოგნდა და სულ დაავიწყდა ჰაერის ჩაბერვა ბერკეტში. თუ ის ბავშვობაში ამ უცნაური ადამიანის მიმართ თავისებურ, იდუმალ ინტერესს განიცდიდა, ახლა მისი არაჩვეულებრივი ადამიანურობით იყო მოხიბლული. მას გული აუძგერდა, როცა მომღიმარი ელიასი მიუბრუნდა და სთხოვა, თავისი აზრი გამოეთქვა. პეტერმა ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. ის მზად იყო ეყვირა, მოხვეოდა მეგობარს. გულში ჩაინერგა, რომ მან უნდა მოახერხოს, ამქვეყნად ყველაზე შესანიშნავი არსება მუდამ მის გვერდით იყოს, მთელი ცხოვრება. მას თავი მის გარეშე ვერც კი წარმოედგინა.

ისიც უნდა მოვყვეთ, ერთ ღამეს რამდენი ენერგია დახარჯა ჩვენმა მუსიკოსმა, რომ ინსტრუმენტი დაეშალა. არამდგრადი ტემპერატურის გამო დაჟანგული, სინესტეშეპარული, გაქონილი ორგანი

საშინელ მდგომარეობაში იყო: ზოგიერთი კლავიში ჩავარდნოდა, მილები საზარელ ყმუილის მსგავს ხმას გამოსცემდა, ელიასს მოთმინების ფიალა აევსო და გადაწყვიტა დაეშალა, ჯერ გვერდები დაშალა, თამასები ამოაძრო, კლავიშები, რეგისტრები, მანუალები, თითოეული მათგანი ფუნჯით გაასუფთავა, გადმობერტყა ასწლიანი მტვერი. შემაღლებული ადგილი, სადაც ორგანი იდგა, ლამის სახელოსნოს ჰგავდა. თითოეულ მოქმედებაზე, თითოეულ ნაბიჯზე ელიასი წინასწარ ფიქრობდა, ანგარიშობდა ქაღალდზე. გასუფთავებისა და რესტავრაციის შემდეგ მან გასაოცარი გაწაფულობით დაიწყო რეგისტრების აწყობა, ორი თვითნაკეთი კონუსური მილიც გაასწორა, ჩაქუჩის ფრთხილი დარტყმით რელიეფი ჩააღრმავა, პეტერი კი ამ დროს მოთმინებით აჭერდა თითოეულ კლავიშს, სანამ თითოეულმა მათგანმა სათანადო ჟღერადობა არ გამოსცა. ორგანს საოცარი ბრწყინვალება დაუბრუნდა. მეგობრები კიდევ ცოტა ხანს დაყოვნდნენ იქ, რადგან ელიასს სურდა საბერველების ნაწიბურების და ხის ნაწილების გამაგრება. მან ფუნჯი ფქვილში ამოავლო, ნაწიბურებს წაუსვა და დაადო ცხვრის ტყავის საკერებელი, რომელსაც ზედ ცხელი ცვილის წებო ესვა.

უკვე შუადღე იქნებოდა, მეგობრები შემოვლითი გზით მტვრიანი, დასვრილი ტანსაცმლით თავ-თავიანთ სახლებში რომ შეიპარნენ. ელიასს გაახსენდა ფიცი, ღვთის წინაშე რომ დადო, როცა პირველი ღამე ორგანთან გაატარა. მაშინ დაიფიცა,

რომ, მანამ არ მოისვენებდა, სანამ ინსტრუმენტს სულს არ დაუბრუნებდა. აი, ახლა კი შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. ოთახში მის დანახვაზე ფილიპმა მხიარული ჭყივილი მორთო. ელიასმა დაუსტვინა, ძმა რომ გაეჩუმებინა, ისიც მაშინვე გაჩუმდა.

უმჯობესი იქნებოდა, ოსკარ ალდერს მეხსიერება თუ არასდროს დაუბრუნდებოდა. მუსიკის შესავალი ნაწილის დაკვრისას ის უცბად საშინელმა შიშმა აიტანა, „უფალო შეგვიწყალეს“ დროს სათვალე დაეორთქლა, სიტყვა „დიდებაზე“ ოფლიანი თითები კლავიატურიდან ჩამოუცურდა, მერე კი სულ დაავიწყდა, მანამ რა გააკეთა, ორგანისტს სუნთქვა შეეკრა და უგონოდ დაენარცხა იატაკს.

ორმა არამკითხემ მაშინვე წამოსვა გათქვირებული ორგანისტი. ერთ-ერთმა ალდერმა ცხვირსახოცი დაასველა და მას დალურჯებულ შუბლსა და კოპზე დაადო. ამიერიდან ელიასიც განთავისუფლდებოდა ორგანის პნევმატური ჰაერის მიმწოდებლის მოვალეობისაგან, არც ოსკარ ალდერს დაინდობდნენ. ახალმა ორგანმა შეუბრალებლად დასცინა საცოდავ დილეტანტს. ნულფ ალდერმა, რომელიც ხანძრის შემდეგ ეკლესიაში აღარ დადიოდა, ტრაქტირში ოსკარ ალდერს საშინელი განაჩენი გამოუტანა. ყველას გასაგონად თქვა — ის თაღლითია, მუსიკისა არა გაეგება რა. ყველას არწმუნებდა, რომ მან ეს თავიდანვე შენიშნა. თავლაფდასხმულ ორგანისტს მანუგეშებელიც არავინ ჰყავდა. ამდენი დაცინვა ვეღარ აიტანა და სპირტიან სასმელში სცადა თავისი დარდის ჩახრჩობა.

როცა ელიასი ორგანზე უკრავდა, ის ელზბეტს უძღვნიდა ყოველ თავის შეთხზულ მუსიკას, რომელ შიც აისახებოდა გოგონას ქერა თმის სურნელი, პატარა ბაგეების თრთოლა, მისი კაბის შრიალი. ის მუსიკაში აცოცხლებდა ამ გრძნობის ყოველ საიდუმლოს ერთმანეთის მიყოლებით, ყურს უგდებდა ელზბეტის სასაცილო ბავშვურ ტიტინს. მალე აითვისა მისი ენა. მართალია, ელიასს გატაცებით უყვარდა შვიდი წლის ბავშვი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მის მიმართ სხვა სწრაფვას ჯერ არ განიცდიდა. თუმცა თავიდანვე შეიცნო თავისი სხეულის მტანჯველი ძახილი და ცდილობდა, მუშაობაში ჩაეხშო ეს ლტოლვა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ დაღლილობა დათრგუნავდა მის ავხორცულ ვნებას. როცა გოგონა წამოიზარდა, ქალური ტანი გამოეკვეთა და მის სხეულს ცისფერი კორსეტი მჭიდროდ შემოეტმასნა, სასოწარკვეთილ ელიასს ერთადერთი სურვილი გაუჩნდა, სულ მის გვერდით ყოფილიყო, მის ლამაზ თმას მიჰფერებოდა. ერთხელ თუ მაინც შეეხებოდა მის თმას, ცდილობდა, დიდხანს აღარ დაებანა ხელები, რომ გოგონას სურნელი შეენარჩუნებინა. ელზბეტი წყნარი, სანდომიანი, კეთილი ბავშვი იყო. საკვირველი იყო, როგორ შეიძლებოდა ასეთი ბავშვი ჰყოლოდა მამამისის მსგავს ადამიანს. ის იყო უხეში, ტლანქი, ბინძური სულის გლეხი, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იყო ჯავრი არა მხოლოდ ახლობელზე, არამედ მთელ ქვეყნაზე ეყარა. ელზბეტი დედას ჰგავდა. ნულფინა იმ ქალთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელნიც მორჩილად იტანენ მთვრალი ქმრის

ყოველდღიურ ჩხუბს, ცემასაც კი. მორჩილი ქალი ქმარს ყველა ცოდვას აპატიებდა. ქმარს კი აზრადაც არ მოსდიოდა, ერთხელ მაინც ეთხოვა ცოლისთვის პატიება. უსუსური ქალი იყო. ბავშვები გააფთრებული მამისგან დედის კალთას აფარებდნენ თავს, მასთან ეძებდნენ საშველს. ის კი ქმრის შიშით ვერ ბედავდა მათ დაცვას. ელზბეტს დედამისის უამრავი თვისება გამოჰყვა. მასაც დედასავით ოცნებები, ფანტაზიები უყვარდა, მუდამ უკეთეს სამყაროზე ოცნებობდა. ელზბეტმა გულში თავისი ოცნების ყმაწვილიც შეთხზა, რომელიც ერთხელ გამოეცხადებოდა შორეული ქვეყნიდან და თავისთან წაიყვანდა. დილის ნისლში, ცხენზე ამხედრებულები, რაინისკენ გააჭენებდნენ, ყმაწვილი დაუკოცნიდა ხელებს, თმაზე გადაუსვამდა ხელს და კოცნით გაუთბობდა გათოშილ ბაგეებს. მოკლედ, გოგონას თვალები სიყვარულით იყო სავსე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოცნების ყმაწვილი ჯერ არსად ჩანდა.

ეს მოხდა 1820 წლის გაზაფხულზე. ელზბეტს უკვე ცამეტი წელი შეუსრულდა, ის ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი დადგა, შავგვრემან პირისახეზე მარტის მზე მაშინვე ეკიდებოდა. სიმაღლით თანატოლებს ჩამოუვარდებოდა. ტანდაბალი იყო. სანდომიან სახეს ოდნავ ბრტყელი ცხვირი კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა. ბიჭები ბუზებივით ეხვეოდნენ. მასში მხოლოდ მომხიბლავ ქალს ხედავდნენ, სასიყვარულო ურთიერთობას ეძებდნენ და არა ჭკვიანური საუბრის გაბმას, რადგან დიდი გონიერებით არ გამოირჩეოდა. თუმცა ეს სულაც არ იყო ასე. მართალია, ნიჭიერებით

არ ბრწყინავდა, მაგრამ სულელიც არ ეთქმოდა, ცოტა ვულგარულიც იყო. მას თავის ოცნებებში ახლობელთა წრე ჰყავდა წარმოსახული და გამუდმებით ადარებდა, რომელი გამოადგებოდა სამეგობროდ და რომელი — არა. ის ბავშვობიდან გაურბოდა მამას და თავის ძმას. მან არც კი იცოდა, რა ლამაზი შეიძლებოდა ყოფილიყო ვინმესთან საუბარი, ვიდრე მის ცხოვრებაში ელიასი არ შეიჭრა. ის კი გოგონას ცხოვრებაში იმ დღიდან შეიჭრა, როცა ხანძარს გადაარჩინა. მხოლოდ ამიტომ იტანდა ნულფი ამ „ყვითელთვალება ეშმაკს" თავის სახლში. 1820 წლის გაზაფხულზე ელიასი თითქმის ყოველდღე გადადიოდა ნაკადულზე და თავის მეგობარ პეტერს ეძახდა. სინამდვილეში კი ამ სახლისკენ მას ელზბეტი იზიდავდა. გოგონა კეთილად იყო განწყობილი ამ შავ სერთუკში გამოწყობილი თავმომწონე ბატონისადმი. იგი პატივს სცემდა მის ასაკს, მოსწონდა მისი სიარულის მანერა, ლაპარაკი. მაშინაც კი, როცა დუმდა, მუსიკასავით ჟღერდა მისი ხმა.

სწორედ იმ გაზაფხულს მოხდა ერთი უცნაური ამბავი. უბრალოდ გასაკვირია, რა ხშირად მიჰყავს რაღაც წვრილმანს ადამიანი ისტერიულ მდგომარეობამდე. ერთ ღამეში შეიძლება კაცი გახდეს ან წმინდანი, ან მკვლელი. ამჯერად საბაბი მქადაგებლის გამოსვლა გახდა. იმ დროში ეს მქადაგებლები მთელ ქვეყანას იყვნენ მოდებულნი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მათი მოწოდება იყო, რადგან მათი ზნე-ჩვეულებებები და ქმედებები პატივისცემას არ აღძრავდა. მიუხედავად ამისა, რომ

ისინი თავს ახალ ქრისტიანულ ეკლესიად ასაღებდნენ, ძველი და ჭეშმარიტი ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება მათ მიმართ შეურიგებლად მტრული იყო. მათ ეკლესიაში არც შესვლის, არც ქადაგების უფლება არ ჰქონდათ.

მქადაგებელი, ფსევდონიმით კორვინიუს ფელდაუ ფონ ფელდბერგი, ხელიდან წასულ მაწანწალას ჰგავდა. ასე ოცდაათი წლის იქნებოდა: მუდამ ნამძინარევი სახე, აწენილი წითური თმა, ცხვრის ტყავით შემოსილი. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ თავისი თვალით დაინახა, სასქესო ორგანო როგორ ურცხვად მოუჩანდა. ეს კორვინიუსი ეკლესიის წინ გამართულ პატარა ბაზრობაზე მივიდა და ქადაგებას მოჰყვა, ამან ეშბერგელ გლეხებზე ცუდად იმოქმედა, რაც შემდეგ ამბავში აშკარად ჩანს:

„გაიხარე შენი მომხიბლავი მიჯნურის თმით, ის მშვენიერია, როგორც ცხვრის ფარა, როგორც ირემი...“ და შემდეგ მქადაგებელი ტლანქი ხმით სოლომონის სიტყვების ნარმოთქმას მოჰყვა, ისე, რომ მსმენელს ლამის სუნთქვა შეეკრა. ბოლოს კი იქ მყოფთ თავი მარად ლაღი სიყვარულის მოციქულად წარუდგინა. ამ საზიზღარ სამყაროში არაფერია ღირებული, გარდა სიყვარულისა. არ არსებობს არავითარი კანონები. თითოეული, დიდიდან დაწყებული პატარით დამთავრებული, უნდა მიეცეს ამ დამათრობელ ვნებას. აღსასრული მოახლოებულია, არლბერგის იქითა მხარეს მავრების მთელი ურდოა მომდგარი. ვისაც ქალი ჰყავს, კარგად მოუფრთხილდით. ქორწინება, —

ქადაგებდა კორვინიუსი, — გაუქმებულია. სამყარო თავისუფალია ბორკილებისგან. ასე რომ, ქალს რამდენი ქმარიც უნდა იმდენი შეუძლია ჰყავდეს; თუ კაცი მეზობლის ქალს, ძროხას, ან ხარს მოისურვებს, არაფერი უდგას წინ, შეუძლია წაიყვანოს.

ამ ლაპარაკში წითურ მქადაგებელს ხმა ორგიულ კივილში გადაეზარდა და თან უხამს მოძრაობებსაც აკეთებდა, აფრქვევდა ავხორც სიტყვებსა და ფრაზებს. თან ჟესტიკულაციით ცდილობდა გამოესახა ადამიანისა და ცხოველის სქესობრივი ურთიერთობა. მდუმარე კაცებს გახშირებული სუნთქვისგან ნესტოები ებერებოდათ, ქალებს მკერდი უთრთოდათ, ზოგი კაცი აგზნებას ვეღარ მალავდა. ჯერ ეშბერგელ არც ერთ მცხოვრებს არ ახსოვდა, რომელიმე მქადაგებელს ასე გაეღვიძებინოს ადამიანში ავხორცობა. და როცა მქადაგებელმა ექსტაზის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ზოგიერთ ქალს კივილი აღმოხდა, ზოგი ატირდა. მქადაგებელმა კი ჩახლეჩილი ხმით განაგრძო — მხოლოდ ის მოხვდება სამოთხეში, ვინც თავი სიყვარულს მიუძღვნა. ერთი წამით არ უნდა მისცეთ თავს დამშვიდების უფლება. ვინც თუნდაც ერთი საათი უსიყვარულოდ იცხოვრებს, მას განსაწმენდელი ელის. ძილის უფლებაც კი არ უნდა მისცეთ საკუთარ თავს, რადგან ძილში არაა სიყვარული. მე უკვე ათი დღე და ღამეა არ მძინავს". მქადაგებელს შუბლზე ძარღვები ისე დაეჭიმა, რომ იქ მყოფთ ეგონათ, სადაცაა დაეცემოდა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა: ვისაც სძინავს, არ შეუძლია

სიყვარულიო და უგონოდ დაეცა. ამ გაიძვერა მქადაგებლის სიტყვებმა ზოგიერთზე დამღუპველად იმოქმედა. 1820 წლის საეკლესიო წიგნში, დეკემბერში რეგისტრირებულია თორმეტი ნათლობა და კიდევ სამი ქალის გარდაცვალება, რომლებიც შვილების მოკვლის გამო წესის აუგებლად დამარხეს.

უცნაური სწორედ ისაა, რომ სწორედ ამ ავხორცი მქადაგებლის სიტყვებმა აუმღვრია ელიასსაც გონება და გული. მან ეს მოწოდება სულ სხვაგვარად გაიგო. ელიასს მართლაც არ ეძინა იმ ღამეს, არც შემდეგ ღამეს, მისი ფიქრები და ოცნებები პატარა ელზბეტს დასტრიალებდა. ის მიდიოდა მთაში და სავსე მთვარის დროს ღმერთს მადლობას სწირავდა, სიცოცხლე რომ უბოძა. ახლა მიეცა მის სიცოცხლეს აზრი. ზოგჯერ ის წვებოდა დამჭკნარ ბალახზე, გაშლიდა ხელებსა და ფეხებს, ტიროდა, მღეროდა: „ვისაც უყვარს, არ სძინავს! ვისაც უყვარს, არ სძინავს“! შემდეგ თითებით ჩააფრინდებოდა გამხმარ ბალახს, თითქოს ასე ცდილობდა შერწყმოდა ამ მშვენიერ სამყაროს. არა, აქედან წასვლა არ შეიძლება, რადგან ამ სამყაროში ცხოვრობს მშვენიერი ელზბეტი.

ის მთებში კიდევ ერთ ღამესაც დარჩებოდა, რომ არა პატარა ფილიპი, რომელიც მის გარეშე ვერ ძლებდა. ეს გონებასუსტი ბავშვი ვერაფრით მშვიდდებოდა, სულ ძაღლივით ყმუოდა და არ ჩუმდებოდა.

მგზნებარე ხუთშაბათის შემდეგ ელიასი და ელზბეტი პირველად გავიდნენ ერთად სასეირნოდ, მათ პატარა გონებასუსტი ფილიპიც ახლდათ

თან. მალულად პეტერიც მიჰყვებოდათ უკან. ის მათ თავდაპირველად კვალდაკვალ დასდევდა, მოგვიანებით კი მხოლოდ თვალს აყოლებდა, ეს სამი როგორ გადიოდა ემერისკენ მიმავალ ბილიკზე და როგორ უჩინარდებოდა. ამის ატანა უკვე აღარ შეეძლო. შესაძლოა, ელიასს ესმოდა კიდეც ბუჩქებში უჩვეულო შრიალი, იქნებ ხედავდა კიდეც ველზე პეტერის ჩრდილს, ესმოდა მისი სუნთქვის ხმა. ყოველ შემთხვევაში, ელიასმა იცოდა, რომ პეტერი რაღაც გარკვეულ მანძილზე უკან მისდევდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა.

მან საგულდაგულოდ დაიბანა, აიღო მამის გახამებული პერანგი, საფეთქლებზე წაისვა დედის გადამალული, უკვე ძველი, ლამის დამჟავებული ვარდის ზეთი, გაიკრიალა ფეხსაცმელები, ხელჯოხზე ორჯერ ამოტვიფრა ასო „ე" და ასე საზეიმოდ გამოწყობილი შეხვდა მას. დიდი სიამოვნებით გაუწვდიდა ხელს და ასე აიყვანდა ციცაბო ბილიკზე, მაგრამ ვერ ბედავდა.

ზეფმა, რომელიც თავის ნაკვეთს ღობავდა, მაღლა ბილიკზე თვალი მოჰკრა სამი ადამიანის ლანდს. თვალზე ცრემლი მოადგა, როცა შავ სერთუკში გამოწყობილი ელიასი იცნო. დაძახება დააპირა, ტუჩებიც კი აამოძრავა, უნდოდა დაეყვირა: შვილო, ნუთუ არასოდეს დაივიწყებ იმ ამბავს, მაგრამ ვერ შეძლო. მან ხელი მოისვა გამეჩხერებულ თმაზე და ისევ ჩაესმა ცოცხლად დამწვარი ლამპარტერის ღრიალი. ამ მკვლელობის შემდეგ ზეფმა წვერი მოუშვა, თითქოს უნდოდა თავისი სახე მასში

ჩაემალაო.

ელზბეტის თვალებში ცნობისმოყვარეობა გამოკრთოდა.

— შორს არის შენი ქვა? — ატიკტიკდა ის და წინსაფარი მოიხსნა.

— ზოგჯერ მგონია, რომ ძალიან შორსაა, ზოგჯერ კი ახლოს, — ელიასს დაეჭიმა კისერი და თითქოს აცეკვდა.

ფილიპი თვალს არ აშორებდა თავის ძმას და ცდილობდა, მისთვის მიებაძა, რამაც ელზბეტი მეტად გაამხიარულა.

— ფილიპ, პაწაწავ, შენგან კარგი მოცეკვავე დადგება, — გაეხუმრა ის, — აღდგომას მევიოლინეები თუ მოვლენ, ერთად ვიცეკვოთ, შევთანხმდით?

ელზბეტმა ბავშვი ხელში აიყვანა, გულში ჩაიკრა და ღიღინი დაიწყო: „საყვარელი მაისი, ლამაზი და უხვი"...

იმწუთას ელიასს ძალიან უნდოდა ფილიპის ადგილას ყოფილიყო, ის სჭეროდა ხელში, პატარასავით „იავნანა" ემღერა და დაეძინებინა.

— შეჩერდით! რაღაც მელოდია ამომიტივტივდა თავში, — იყვირა მან უცებ.

ელზბეტი გაჩუმდა და შეხედა.

— მომისმინე ყურადღებით, — უთხრა ელიასმა, — შენ შენი სიმღერა განაგრძე, მე კი ჩემს მელოდიას ვიმღერებ. ოღონდ კარგად მომისმინე, რომ ჩემს ხმაზე არ გადმოხვიდე.

ელზბეტმა ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ელიასი, სიმღერის სურვილი დაკარგა, როგორ უნდა ემღერა

ასე შეკვეთით. დაჟინებული ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, დასთანხმდა. და კვლავ წაიმღერა: „საყვარელი მაისი, ლამაზი და უხვი“...

და აქ მოხდა ელზბეტისთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ: ის იყო სიმღერა დაიწყო, რომ ელიასი გოგონას ხმითვე აჰყვა. ელზბეტს შეეშინდა, კინაღამ ფილიპი ხელიდან გაუვარდა. ელიასმა ძლიერი ხელები სტაცა ორივეს და თმის ძირებამდე გაწითლებულმა ღიმილით თვალებში ჩახედა.

— ბევრს ეშინია, საკუთარი ხმა რომ ესმის, — ჩაილაპარაკა მან იდუმალად, — მინდა იცოდე, რომ მე ჩვენი სოფლის ყველა მცხოვრების თუ ბინადრის ხმას შემიძლია მივბაძო. ჩემი აზრით, ხმის ჟღერადობის მიხედვით შეიძლება განსაზღვრო ადამიანის ხასიათი.

ელზბეტი შეშინებული შეჰყურებდა და არ იცოდა, რის უფრო ეშინოდა — ამ ადამიანის უცნაური ხასიათის თუ მისი ყვითელი თვალების, რომლებიც ასე ახლოდან პირველად დაინახა.

— რა გაშინებს? მე დიდი ხანია ვიცნობ შენს ხმას. ის მშვენიერია, მასში შენი კეთილი გული იკითხება.

ელიასი შეეცადა, როგორმე გაერთო გოგონა და რამდენიმე კომიკური ეტიუდი გაითამაშა, რითაც თავისი იმიტატორული ნიჭი გამოავლინა. მან ისე ზუსტად მიბაძა მენახშირეს, რომ ელზბეტმა სიცილი ძლივს შეიკავა. შემდეგ ვიკარის ხმითაც წამოიძახა.

— სად ისწავლე ასეთი რამ? — ჰკითხა ელზბეტმა, რომელსაც შიში მთლად გაჰქრობოდა.

— სმენა ვისაც აქვს, ადვილია. შენც შეძლებდი ბევრი ქალის ხმის მიბაძვას, თუ მოინდომებდი, — და

ელიასი დაჰპირდა, რომ მალე გაანდობდა მას ხმის იმიტაციის საიდუმლოს.

ტყე თანდათან უფრო მეჩხერი ხდებოდა. აქაიქ მზის სხივით განათებულ სანაპიროზე ლელქაში მოჩანდა. ემერი შორეული ტყის მაძღარ სიმწვანეს ირეკლავდა, წყალს კი სდიოდა კუგელბერგის სუნი, საიდანაც ემერი მოედინებოდა. წყლის ნაკადს რამდენიმე ახალი მინა მიეტაცებინა. ელიასი ამის დანახვამ დაანაღვლიანა. ის ადგილი, სადაც ამ ზაფხულს უყვარდა ჯდომა, საიდანაც ნაკადულს უყურებდა, ახლა აღარ იყო. მდინარის კალაპოტის მუდმივი ცვლა ელიასში ისეთ განცდას ბადებდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი მხოლოდ წამიერია, თვით მისი ცხოვრებაც.

— ხედავ იმ დიდ წყლისაგან წაღებულ ქვას, აი იქ? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა ელიასმა ელზბეტს, თან იმ ქვამდე მისასვლელს ეძებდა.

— აბა სად? — ჰკითხა დაბნეულმა ელზბეტმა, ერთი ნაბიჯი გადადგა და ფეხი წყალში დაუცდა, ის ტირიფის ტოტს ჩაეჭიდა. ელიასმა ფილიპი კარგად შემოისვა მხრებზე და უყოყმანოდ შევიდა წყალში.

— აი იქ, ზემოთ, ჩემი ქვაა! — იყვირა მან ამაყად. ფილიპი რაღაც ბგერებს გამოსცემდა და აშკარად ხარობდა.

წყლისგან გახეხილი ქვა ურყევად იდო და ისევ ისეთი დიდებული იყო. ის გიგანტურ, გაქვავებულ ფეხისგულს მოაგონებდა კაცს. თითქოს ღმერთს სნორედ ეს ადგილი აერჩია ცისქვეშეთში ნაბიჯის დასადგმელად. ელიასმა გოგონას შესთავაზა,

ცოტა ხნით შეესვენათ. თავისი სერთუკი ქვის სწორ ზედაპირზე გაშალა და მხრებიდან ბავშვი ჩამოსვა. ელიასი და ელზბეტი ერთმანეთისგან საკმაოდ შორიშორს ისხდნენ, ფილიპი კი მათ შორის დახოხავდა. ელიასი დიდხანს მიაშტერდა მწვანე წყალს და ელზბეტს უცებ მოეჩვენა, რომ მისმა თვალებმა მწვანე ფერი მიიღო, რადგან მასში მხოლოდ მდინარე ირეკლებოდა.

— რა არის ამ ქვაში განსაკუთრებული? — ჰკითხა ელზბეტმა, რომელსაც სული ჯერ ვერ მოეთქვა.

ელიასმა შეხედა მას, მზერა მოაშორა მის ბაგეებსა და კორსეტზე მიაშტერდა, რომლის ქვეშაც მისი პატარა მკერდი მოჩანდა. ელიასს შერცხვა თავისი ურცხვი მზერის და სცადა თვალი მოეცილებინა, მაგრამ ვერ შეძლო. შემდეგ მზერა გადაიტანა მის ნაზ ხელებზე, რომლთაც მოუთმენლად ათამაშებდა შიშველ მუხლებზე, კაბის კალთიდან სუსტი ღინღლის დანახვამ გონება აურია, ლამის თავბრუ დაეხვა. საფეთქელი აუთამაშდა: „და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან!" და უცბად ქადაგებისას ვიკარის წარმოთქმული სიტყვები ჩაესმა: ცოდვაა, ქალს ვნებიანი თვალებით მიაჩერდე. დიახ, ის მზადაა იყოს კეთილი და პატიოსანი მეუღლე! ჭეშმარიტი სიყვარული ხორციელით კი არ სულდგმულობს, არამედ სულიერებით!

— რა არის ამ ქვაში ასეთი განსაკუთრებული? — გაუმეორა კითხვა ელზბეტმა მას მეორედ და მხარზე შეეხო.

ელიასი გონს მოეგო და დაიწყო:

— ამ ქვიდან რაღაც ძლიერი ძალა მოდის. ყოველთვის ასე იყო. ჯერ კიდევ ბავშვობაში გავიგონე, როგორ მიხმობდა თავისკენ ეს ქვა. საწოლიდან ავდექი და აქ მოვედი. დარწმუნებული ვარ, ეს ქვა ცოცხალი არსებაა და როცა ნაღვლიანი ვარ, მანუგეშებს.

— ჩემო საყვარელო ელზბეტ, ალბათ ფიქრობ, რომ ჭკუიდან შევიშალე, — უთხრა შეცბუნებულმა ელიასმა, — მაგრამ ასე მგონია, სწორედ აქედან ადიან ადამიანები მაღლა ცაში და ყველა სიკვდილის შემდეგ აქ უნდა დაელოდოს, როდის გაუხსნის ღმერთი გზას ღრუბლების იქით.

სანამ ელიასი ლაპარაკობდა, გარშემო უჩვეულო სიჩუმე გამეფდა. ფილიპი სრულიად დამშვიდებული თავის ძმას ამღვრეული თვალებით უყურებდა. ელზბეტიც გაშეშებული მისჩერებოდა და უსიცოცხლო მზერა ელიასისთვის მიეპყრო. ელიასს თავდაჯერება დაუბრუნდა, როგორც ერთხელ მთაში, როცა ბედნიერებით აღსავსე არ ჩქარობდა ამდგარიყო ღამის ცივი ბალახიდან. ახლაც ბედნიერი გულში ფიქრობდა: „ასე მხოლოდ იმას შეუძლია მზერა, ვისაც უყვარხარ“. მაგრამ ელზბეტის თვალებში სულ სხვა გრძნობები ჩანდა: აღტაცება და, ამავე დროს, შეფიქრიანება. ელიასმა მოხიბლა ის თავისი ლამაზი ლაპარაკით. მისი ყოველი სიტყვა მუსიკასავით ჟღერდა. ელზბეტი გაოცებული იყო და არა შეყვარებული, როგორც ელიასს ეგონა. და ის, ვისაც ნამდვილად უყვარდა, სასტიკად ცდებოდა.

გრილმა სიომ დაუბერა მდინარის კალაპოტიდან

და ელზბეტს შესცივდა. ელიასმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მან შესთავაზა, თავისი სერთუკი მოეხვია მხრებზე. ელზბეტმა მადლიერი ღიმილით მიიღო. ფილიპმა დაინახა რა, რომ სერთუკი მეტისმეტად გრძელი იყო ელზბეტისთვის, პატარა ხელებით ჩაეჭიდა მის კალთებს და ამაყად მიცუნცულებდა თავისი პრინცესას გვერდით.

— შენ როგორ ფიქრობ ელიას, — დაინტერესდა ელზბეტი, — აქ იცის დემონები და უხილავი არსებები?

პასუხისთვის არც დაუცდია, მაშინვე სოფლის მასწავლებლის მონაყოლი გაიხსენა: ღამით პეტრიფელზში კუდიანები დაძრწიან. უძველეს დროს ეშბერგში ცხოვრობდა ერთი ბოროტი ქალი, რომელიც ძლივს გადაურჩა კოცონზე დაწვას.

— მე ხშირად მივლია პეტრიფელზის გავლით, ზოგჯერ ღამითაც, — მშვიდად უპასუხა ელიასმა, მაგრამ ჯერ ერთი კუდიანი არ შემხვედრია. ალბათ ტყის ცხოველების ხმა აშინებს ხალხს, — და ფიქრში წასულმა ელიასმა დასძინა, — ან იქნებ განმარტოებულ, გზასაცდენილ ცოდვილს აწუხებს სინდისი და ის კივის. იქნებ ბოროტება ჩაიდინა და ეს მოსვენებას არ აძლევს.

ამ სიტყვებზე მან ზეფის სახე წარმოიდგინა. ელზბეტი მიხვდა, რა ჰქონდა მას მხედველობაში და უთხრა:

— ღმერთი არ დაუშვებს ბოროტებას, თუ პატიოსნად და მორჩილებით ვიცხოვრებთ. ვიცი, რომ არსებობენ ბოროტი სულები, მაგრამ წმინდა მარიამის შემწეობით ისინი განიდევნებიან — ეს დედამ მითხრა.

ისინი განაგრძობდნენ საუბარს რწმენასა და დემონებზე, იხილავდნენ ერთ მხარესაც და მეორესაც, თან სულ არ ეჭვობდნენ, რომ მათ მალულად ხორცშესხმული დემონი მიჰყვებოდა. პეტერი მათ უკან ჩუმად მიაბიჯებდა. მას არ შეეძლო გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ სახეზე ეწერა რაღაც დემონური. ნუთუ მისი და მართლა შეყვარებული იყო ამ ყვითელთვალებაზე? ის კვლავ მიაშტერდა ელიასს, მის გრძელ თმას, მხრებამდე რომ სწვდებოდა, ხარბად გააყოლა თვალი მის თეძოებს და გაიფიქრა: „აღდგომას სახლში მივიყვან ლუკას ალდერს". მერე დაინყო ფიქრი, როგორ წამოეწყო ეს საქმე.

კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკეს უკვე დამეგობრებულმა ელიასმა და ელზბეტმა, სანამ საღამო ხანს თავიანთ სახლებს მიუახლოვდებოდნენ. ელიასი გოგონას ცოცხალი, სხარტი გონებით აღტაცებული იყო. არანაკლებ გაოცებული ჩანდა ელზბეტიც. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ელიასმა უკვე სააღდგომო გალობა წამოიწყო. ელზბეტი ტკბებოდა იმ უსასრულო მელოდიური სიმდიდრით, რომელსაც ელიასი გზადაგზა ქმნიდა. უკვე სახლთან იყვნენ მისულნი, როცა ელიასი გამოუტყდა ელზბეტს, რომ მას ეშბერგის ეკლესიის ორგანისტობა სურდა. რა თქმა უნდა, არა ახლავე, დაუყოვნებლად. შესაძლოა, სამეურნეო საქმიანობამაც შეაფერხოს იგი. თუმცა, თუ ოსკარ ალდერი ასწავლის ორგანზე დაკვრას, ეგებ დადგეს დრო და ბედმაც გაუღიმოს, შეძლოს ეშბერგელებს თავისი ხელოვნება აჩვენოს.

შუაღამისას ელიასს უცებ გაეღვიძა. მას დაესიზმრა, როგორ გამოეცხადა ელზბეტი. მკერდი სულ შიშველი ჰქონდა. ის მიუახლოვდა ელიასს და მკერდით ხელებზე შეეხო. უცბად თავისი ხელის სისველემ გამოაღვიძა. წამოიწია საწოლიდან, ასანთს რომ დასწვდომოდა. ის დაბნეული უყურებდა ზეწარზე რაღაც სითხეს და ვერ აეხსნა, რა უნდა ყოფილიყო. შემდეგ შუქი ჩააქრო და სრულიად დამშვიდებულმა დაიძინა.

დადგა დრო მოგიყვეთ, რა მოხდა აღდგომის დღეს და გაგიმხილოთ ჩვენი გმირის ყველაზე დიდი ბედნიერება.

როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, ისევე ეშბერგშიც აღდგომის სასწაულს შუაღამიდან ზეიმობდნენ. ძველი წესის თანახმად, ვიკარი და მისი თანმხლები სასულიერო პირები ბნელ ეკლესიაში შევიდნენ რაღაც რიტუალის ჩასატარებლად, აანთეს სააღდგომო სანთელი, ამ სანთლით კი — უკლებლად ყველა სხვა სანთელი მთრთოლვარე ხელებით და მთელი ტაძარი განათდა. იმათ, ვისაც ჩვენი პირველი თავებიდან ჯერ კიდევ არ დავიწყებია ვიკარი ბენცერი, შეგვიძლია ვაუწყოთ, რომ, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, სანთლების ანთება საზეიმო რიტუალის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო. ამდენი სანთლის ანთებით ვიკარი ხანდახან სახიფათო მდგომარეობასაც ქმნიდა. ზოგჯერ ანთებული სანთელი რომელიმე ქალიშვილს ან მოხუცს შეიძლება თმაზე მოკიდებოდა და დასწვოდა. ვიკარი ბოიერლაინი კი ამ საქმეს სულ

სხვაგვარად ართმევდა თავს. ის გულმავიწყობის გამო სააღდგომო ქადაგებიდან უცბად საშობაო ქადაგებაზე გადადიოდა. ამჯერად მას მალევე შეაწყვეტინა მიხელ მენახშირემ, რომელიც იმ დროს უკვე ეშბერგის ეკლესიის მსახური იყო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ვიკარს აღარ შეეძლო ქადაგების წესიერად დაწყება, დასრულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სიმართლე რომ ვთქვათ, მიხელმა ბოროტად გამოიყენა მნათეს ადგილი ეკლესიაში. კერძოდ, მან ღვთისმსახურების წიგნში თავისი ლექსების ფურცელი ჩადო, რომელიც, მართალია, საეკლესიო თემაზე იყო დაწერილი, მაგრამ სააღდგომო რიტუალს არანაირად არ ეხებოდა. და ამგვარად მიხელმა მთლიანად ჩაშალა სააღდგომო ქადაგება. როცა მან როხროხა ხმით „დიდება შენდა“ წამოიწყო, წესით, ორგანი უნდა აჟღერებულიყო და სააღდგომო ქორალი დაეკრა, მაგრამ ორგანი დუმდა. ელიასი, რომელიც სამოციქულო მხარეს იდგა, მთლიანად დაიძაბა. როცა ოსკარ ალდერი ორგანის დაკვრაში ცოდვილობდა, ელიასი თავის გონებაში საკუთარ ვერსიას აჟღერებდა და ხარობდა, როცა ხედავდა, რა განსხვავება იყო ორგანისტის უსუსურ დაკრულსა და მის მელოდიას შორის. ამჯერად კი სიჩუმე და დაძაბული მოლოდინი გამეფებულიყო. თუმცა ელიასი შინაგანად უკვე უკრავდა მუსიკას. მის თავში უკვე მწიფდებოდა შესავალი ნაწილი, თავიდან დაბალი, დახშული აკორდებით გადმოსცემდა წმინდა მარიამის წუხილს ცარიელ აკლდამასთან, შემდეგ ბანი შემოდიოდა, გეგონება, მძიმედ, ნელა გადააგორეს

ქვა აკლდამიდანო. მესამე ნაწილი კი იყო აკორდების მოზეიმე ნავარდი მაღლა-მაღლა, რაც უკვე ქრისტეს ჭეშმარიტ აღდგომას მოასწავებდა. ხოლო ამას აპოთეოზის თავბრუდამხვევ გუგუნში ქორალის მელოდია ჩაენაცვლებოდა. ეს იყო გაბედული, ხმაშეწყობილი, წარმოუდგენლად უჩვეულო ხმათა ჰარმონიული შეხამება, რაც თვით ურწმუნოსაც კი შთაუნერგავდა რწმენას და მიახვედრებდა, რომ ქრისტემ მართლაც შეუძლებელი შეძლო — ფეხქვეშ გათელა სიკვდილი. მართლაც, გენიალური მუსიკაა!

მაგრამ ეს მხოლოდ ელიასის თავში იყო, იქ მყოფთ მუსიკა რომ არ ესმოდათ, მოუთმენლად ახველებდნენ და მოლოდინით გაჰყურებდნენ შემაღლებულ ადგილს. ბოლოს მიხელმა გაბედა და ქორალის გალობა დაიწყო. სააღდგომო წირვამ ორგანისა და კაპელის გარეშე ჩაიარა. ამაოდ ეჩურჩულებოდა პეტერი ელიასს, რომ ის ასულიყო ორგანთან, მაგრამ ამის გაფიქრებაზე ელიასს თვალთ დაუბნელდა. „ნუთუ ჩემი დრო დადგა“? — გაიფიქრა მან.

სააღდგომო „ალილუიას“ შემდეგ ლამპარტერი და კაჭკაჭი ეკლესიიდან ჩუმად გაიპარნენ, ისინი ოსკარ ალდერის სახლში შეიპარნენ, იმ ოთახში შეიხედეს, რომელსაც ბოლომდე ჩამწვარი სანთელი მკრთალადღა ანათებდა. ორგანისტის უზარმაზარი სხეული იატაკზე იყო გაშხლართული, ის პირქვე იწვა, ცხვირიდან მუქი ფერის, შავი სისხლი გადმოსდიოდა, ლამის უკვე გუბე იდგა იატაკზე. გარშემო არყის ექვსი ბოთლი ეყარა. ოსკარ ალდერი უგონოდ დამთვრალიყო.

ადრე უკვე ვახსენეთ, რომ ოსკარი იყო შურიანი მასწავლებელი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნდა დიდ მუსიკოსად. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მას მართლაც ჰქონდა მუსიკალური სული და ველარ აიტანა, რესტავრირებულ, განახლებულ, აწყობილ ორგანზე შეცდომებით დაკვრა, რაც თვით არამუსიკალური ყურისთვისაც კი აუტანელი გახდა. მან ეს ამბავი გულთან მიიტანა, ამან გატეხა, დააძაბუნა და აღდგომიდან 15 დღის შემდეგ ცოლმა ფარდულში იპოვა მკვდარი. ოსკარმა თავი ჩამოიხრჩო იმ ჯაჭვზე, რომლითაც ხბოს აბამდნენ. მიცვალებულის ფეხებთან ეგდო ფურცელი, რომელშიც უკიდურესად სასონარკვეთილი ორგანისტი წერდა: „ყოველთვის მინდოდა, მართლაც, საუკეთესო მუსიკოსი ვყოფილიყავი და ღვთის სადიდებლად მემსახურა, მაგრამ ჩემი ოსტატობა დაამცირეს, აბუჩად აიგდეს, ამიტომაც მივდივარ ეშმაკთან“.

ღმერთი იყოს მისი მფარველი. აღდგომის დილას უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, რატომ დუმდა აღდგომის ნინა ღამეს ორგანი.

აღდგომის ღამეს კი ელიასმა იგრძნო, რომ მოახლოვდა ის დიდებული საათი. ის პეტერთან ერთად ავიდა ამაღლებულ ადგილას, ერთი ნაბიჯიღა აკლდა იმ ადგილამდე, სადაც მოხუცი ოსკარი, მისი მასწავლებელი, უნდა მჯდარიყო. ელიასი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ეგონა, სადაცაა გამოჩნდებოდა მასწავლებელი. როგორც იქნა, გაბედა და პეტერთან ერთად ორგანთან მივიდა.

და როცა უცებ საზეიმოდ დაიგრგვინა ორგანმა, მრევლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ორგანის ჰარმონიული ბგერები დაირხა მთელ ეკლესიაში და სწორედ ისეთი სიხარული ჩაუღვარა იქ მყოფთ, როგორიც ამ დღეს ყოველი ქრისტიანის გულში უნდა ყოფილიყო. ელიასი უკრავდა ღრმად გააზრებულ ტოკატოს, რომელიც ხუთხმიანი ფუგით დაგვირგვინდა, შემდეგ კი ქორალი უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ეკლესიაში კაციშვილმა ვერ გაბედა გალობის წამოწყება. ეს იყო შიში, რომელმაც ყველა შებოჭა. უცბად ელიასმა თავისი ძლიერი ბანით დაიწყო გალობა „დიდება შენდა". ორ წუთში ხალხს შიშმაც გაუარა და ელიასის ბანს კიდევ რამდენიმე ხმა შეუერთდა, მაგრამ მალევე გაჩუმდნენ, რადგან მსგავსი ჟღერადობის გალობა დიდ ძალისხმევას საჭიროებდა. ეშბერგელები კი ამას ჩვეულნი არ იყვნენ.

ელიასი ხარობდა და ისეთი სულისშემძვრელი სისათუთით უკრავდა ადაჯოს, რომ გლეხებს ტლანქი ცივი ხელები გაუთბო. ქორალს „ქრისტე იწვა აკლდამაში" დიდებული, მებრძოლი სახე მისცა და დაასრულა გრანდიოზული პოსტლუდიით, რომლის რიტმი ელზბეტის გულის ძგერაზე ააწყო. ტაძრიდან გლეხები გასხივოსნებული სულით გამოდიოდნენ. საორგანო მუსიკამ ისინი თვინიერ ცხვრებად აქცია და იმდენად აუმაღლდათ რელიგიური გრძნობა, რომ პირველად ამდენი წლის განმავლობაში ბოლომდე დარჩნენ, წირვის დასრულებამდე. არც წყალკურთხევაზე იყო უწინდებური

თავპირისმტვრევა. ზოგიერთმა, გეგონება, უცბად გამოიცვალაო, ელეგანტური ჟესტები შეიძინა. ერთმანეთს გზას უთმობდნენ, ულოცავდნენ, დაუჯერებელია, მაგრამ, მართლაც, ფრანგული ულერადობის სიტყვები ამოსდიოდათ პირიდან.

ელზბეტი უკვე კარიბჭესთან ელოდებოდა. გაიგონა თუ არა ორგანისტის ნაბიჯის ხმა, სიხარულით შეეგება. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

— მართლაც, ღვთიური არსება ხარ! არასოდეს მსმენია ასეთი ლამაზი მუსიკა! — გაიძახოდა ის და ქერა ნაწნავი შემოდგომის ფოთოლივით მხიარულად დახტოდა მის მხარზე. ელიასმა თავი დაუკრა, ორი თითი ჩაყო ნაკურთხ წყალში, შეტრიალდა და პირჯვარი გადაიწერა.

— პოსტლუდია მხოლოდ შენთვის დავუკარი. იცი, რომ ჩვენი გულები ერთ რიტმში ფეთქავს? იცი, რომ ჩვენ ერთი ჯიშის არსებანი ვართ?

ელზბეტს, გეგონება, ოთხი თვალი გამოებაო, ისე შესცქეროდა ელიასს, მაგრამ ვერაფერი გაეგო მისი ნათქვამიდან.

— ნებას დამრთავს ქალიშვილი, რომ მშობლების სახლამდე მივაცილო? — სხაპასხუპით წარმოთქვა ელიასმა, რადგან თავადაც შეეშინდა თავისი სიტყვების.

ელიასმა ხელი გაუწოდა, ელზბეტმა ხელკავი გამოსდო და ისინი დინჯად გაუყვნენ ნულფა ალდერის სახლისკენ.

პეტერ ალდერის თვალები სიბნელეში უთვალთვალებდა ამ ორს. ის გახარებული იყო, რომ

დღესლუკასალდერიმივიდოდამათთან. ის, მართლაც, მივიდა სადილად ნულფას სახლში, მაგრამ ელზბეტი არც იყურებოდა მის მხარეს. ის გამუდმებით ელიასზე ლაპარაკობდა, თუ როგორ შეეძლო ამ ადამიანს ასე უჩვეულოდ დაეკრა ორგანზე. მას ლუკასი სულაც არ აინტერესებდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ჩვენი მუსიკოსის დაკვრამ კიდევ ორი ადამიანის სული ააფორიაქა, მაგრამ სრულიად სხვაგვარად. ერთი იყო ვიკარი ბოიერლაინი. როცა ის ეკლესიიდან გამოვიდა, იგრძნო საოცარი სულიერი გასხივოსნება. ის აღმოსავლეთისკენ შეტრიალდა და დღევანდელ სასწაულზე დაფიქრდა. რა დიდი წყალობაა, რა ბედნიერებაა, როცა ხალხში ასეთი სიმშვიდე ისადგურებს. ვიკარი ფიქრობდა იმაზეც, როგორ მოახერხა ეს ელიასმა.

ზეფინასაც სახე უბრწყინავდა. საბრალო, ნაადრევად გაჭაღარავებული ქალი იდგა კედელთან და ხელიხელგაყრილ წყვილს გაჰყურებდა, მათ შემყურეს თვალზე ცრემლი მოადგა. ნუთუ ეს მართლა ჩემი ბიჭია? ჩემი ბიჭი?! — ჩურჩულებდა თავისთვის. შემდეგ ატირდა და ფიქრებში ნავიდა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა მუცელში ფილიპის მუშტები მოხვდა. ზეფინამ ხელი დაავლო ბიჭს და სახლისკენ წაიყვანა. საღამოს ზეფმა გაიგონა, მისი ცოლი თავისი ქალიშვილობის დროინდელ სიმღერებს ბოსელში როგორ მღეროდა. მხოლოდ ერთი ადამიანი არ იზიარებდა საერთო სიხარულს, იგი მწარე ნაღველმა მოიცვა, რამაც საბედისწერო გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. ეს იყო სოფლის მასწავლებელი ოსკარ

ალდერი, რომლის ბედისწერაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ის გაუნძრევლად იჯდა ბუხართან, უზომოდ ეწეოდა თამბაქოს და უსმენდა კაჭკაჭის მოტანილ ამბავს, ახალი ორგანისტის ტრიუმფზე რომ უყვებოდა. იგი აღტაცებული ლაპარაკობდა — მისი სახით სამყაროს მართლაც დიდი ორგანისტი მოევლინა. ალბათ მალე საიდან არ ჩამოვლენ აქ, ზეფინას სახლს ხის ნაფოტებს ჩამოამტვრევენ და იამაყებენ: აი ნახეთ, დიდი ელიასის მამისეული სახლიდან მაქვს წამოღებულიო.

ასე ბაქიაობდა კაჭკაჭი და კიდევ დიდხანს არ გაჩერდებოდა, გააფთრებულ ოსკარის ცოლს კარისკენ რომ არ მიეთითებინა.

ელიასის უბედნიერეს დღეებზე კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლებოდა. ის, თუ როგორ იზრდებოდა სოფელში მისი ავტორიტეტი, რომ გლეხებმა მას არა მარტო ორგანისტის კათედრა გადასცეს, არამედ სკოლის მასწავლებლის ადგილიც. ასევე იმასაც, თუ როგორ აღაფრთოვანებდა კვირაობით თავისი მუსიკით ეკლესიაში მისულთ. ელიზაბეტისა და ელიასის მეგობრობაზე, იმაზეც, რომ ამ მეგობრობას უკვე ვნებაც ახლდა, რომლის დამალვაც უნევდა ელზბეტთან. მაგრამ შურს არ ეძინა და მალე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ის მუსიკას მეტისმეტად ხმამაღლა უკრავდა, აჯანჯლებდა და მისი მუსიკა რაღაც არეულ-დარეულად ჟღერდა — ასე ამბობდნენ ზოგჯერ ვაიდმანის ტრაქტირში. უკმაყოფილებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, როცა მოსახსენიებელ კვირადღეს ელიასმა შეწყვიტა დაკვრა, რომ ამით

მოულოდნელი სიკვდილის სიმბოლირება მოეხდინა. ამაზე მოსახლეობას ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ისინი მიხვდნენ ამით, რის თქმაც სურდა ელიასს.

— მსგავსი რამ არასოდეს ყოფილა ჩვენთან, რომ ღვთისმოსავი ხალხი ასე შეეშინებინათ, — უთხრა მისი მუსიკის ერთმა მოყვარულმა ელიასს და თან დამახინჯებული ლათინურით რამდენიმე ფრაზაც დაამატა.

ელიასი კი ბედნიერი იყო, უაღრესად ბედნიერი. დილაობით, როცა იღვიძებდა, თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. მას უყვარდა გაზაფხული. შემოდგომა კი არ იყო მისთვის კვდომის ნიშანი. მან იცოდა, რომ გულის ძგერით მონახა მისთვის განკუთვნილი საყვარელი არსება ამ სამყაროში. ერთხელ მან პეტერს უთხრა — ეს ხალხი რას ეძებს სულ, რას დაეხეტება... ერთი საყვარლისგან თავქუდმოგლეჯილი მეორისკენ მიექანება და არ იციან, რომ ღმერთმა დასაბამიდან თითოეულს მხოლოდ ერთადერთი ადამიანი არგუნა. ორივეს გულისცემა ერთმანეთისას შეაჯერა. უბედურები არიან ისინი, ვისაც ამის არ სჯერა და არ აქვთ მოთმინების უნარი; ელოდონ, სანამ ღმერთი არ მიუთითებს მათ ადგილსა და დროს!

ელიასი კეთილი მასწავლებელი იყო. მალე ბავშვები მიენდვნენ ამ კეთილგანწყობილ ადამიანს, თუმცა მისი ყვითელი თვალების შიში ბოლომდე ვერ გადაელახათ. იშვიათად თუ გაბედავდა რომელიმე მოსწავლე მისთვის თვალებში ჩახედვას. ის ყოველთვის მღეროდა მათთან ერთად, ასწავლიდა მუსიკაში წვდომას, უკრავდა მათთვის ორგანზე, ესაუბრებოდა საღვთო წერილებზე, როგორც ერთგვარ ზღაპარზე, დაჟინებით შთააგონებდა, რომ სული მხოლოდ ადამიანებს კი არ აქვთ, არამედ ყველა ქმნილებას — ყვავილსა თუ ქვას. როცა ბავშვები იღლებოდნენ, ელიასს ისინი თამაშით გამოჰყავდა მდგომარეობიდან. იწყებდა ლაპარაკს იმ ეშბერგელის ხმით, რომელსაც ბავშვებიც იცნობდნენ. თუ რომელიმე მოსწავლე მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო კვირის განმავლობაში ნატურალური შენატანით ვერ შეძლებდა სნავლის საფასურის გადახდას, ელიასი მას არ აგდებდა, ჩუმად იღებდა სხვებისგან კვერცხს, ყველს და ამ ყმაწვილს აძლევდა წასვლისას. თუ ზამთარში ვინმე შეშას ვერ მოიტანდა, ელიასი არ ტუქსავდა მოსწავლეს: ის ხედავდა, რომ პატარას ფეხზე წინდაც არ ეცვა. ელიასი ყურადღებით აკვირდებოდა თითოეულს იმ იმედით, რომელიმე მათგანში მუსიკალურ ნიჭს აღმოაჩენდა. ის პოულობდა ისეთებს, რომელთა ხმის დამუშავება შეიძლებოდა, მაგრამ მუსიკალური ნიჭით

დაჯილდოებულს — ვერა, თუ ფილიპს არ ჩავთვლით. სამწუხაროდ, გონებასუსტისთვის ბოძებული ეს ნიჭი მხოლოდ ჩასაქრობად იყო განწირული.

რაც შეეხება ელიასის დაუცხრომელ გატაცებას ელზბეტისადმი, რომელიც უკვე გასათხოვარი გოგო იყო, სწორედ ეს ანადგურებდა და აავადებდა ელიასს. დაავადების სიმპტომები დასაწყისში თითქოს წვრილმანებში ვლინდებოდა, საკმარისი იყო, ვინმეს კარი გაეჯახუნებინა, რომ ელიასს გულში ყველაფერი ეგლიჯებოდა. თუ შორიდან დაინახავდა, რომ მათ სახლს ვინმე ქალი უახლოვდებოდა, მაჯა უჩქარდებოდა. საღამოობით ჭასთან თუ ქალის სიცილს გაიგონებდა, ყოველთვის კრთებოდა, ასე ეგონა, ელზბეტი იცინოდა. მუსიკის შეთხზვა, რაც ყოველთვის ეადვილებოდა, მალე მძიმე ტვირთად დააწვა. ის იძულებული იყო თავს გამოსტყდომოდა, რომ მუსიკაში ვეღარ პოულობდა ნუგეშს. როცა ეკლესიაში ორგანისტად მუშაობა დაიწყო, ყოველდღიურად მეცადინეობდა მუსიკის დაკვრაში, ამოწმებდა ინსტრუმენტის მდგომარეობას, აკვირდებოდა რეგისტრების ჟღერადობას. ახლა კი ამის ძალაც არ ჰქონდა, ვეღარც ოჯახის სამეურნეო საქმეს უდებდა გულს, სკოლაშიც უჭირდა მუშაობა.

ვნების კვირა ახლოვდებოდა და მასშიც თითქოს ძველმა აღმაფრენამ გაიღვიძა. ქრისტეს ვნებანი მასში ყოველთვის მუსიკალურ გამოძახილს პოვებდა. უნდა ითქვას, რომ ქრისტეს ვნებანი მას შემოქმედებისკენ უბიძგებდა, ისევე, როგორც ნისლიანი გუმბათის ცის ქვეშ ყველაწმიდის დღეს,

როცა ნოემბრის განწყობა, საკმევლის სურნელი, სამგლოვიარო ფერის ტანსაცმელი აძლევდა ძალას, რომ ეს ყველაფერი მუსიკაში გამოეხატა. ელიასი თავისი დროის შვილი იყო, მას უყვარდა ყველაფერი, რაც ასე თუ ისე სიკვდილთან იყო დაკავშირებული.

ელზბეტის სიყვარულის მშვიდი მოლოდინის წლებში მისი თეოლოგია შეიცვალა. თუ ის უწინ საღად მოაზროვნე იყო, მაგრამ თავგამოდებული მორწმუნე ქრისტიანი, ახლა ეჭვი ტანჯავდა: ღმერთი რატომ ყურად არ იღებდა მის ღამეულ ლოცვებს? განა ღმერთს ნებავს, უყუროს ადამიანის ტანჯვა-წამებას? ან მცდარი გზით ატაროს? განა ღვთის მოვლენილი სასწაული არ იყო, თავისი სიყვარულის გულის ძგერა რომ გააგონა? ნუთუ ახლა ღმერთმა საბოლოოდ მიატოვა?

ამ პერიოდში ელიასი გასაოცარი თავგამოდებით ეთაყვანებოდა ქალწულ მარიამს. მან დაიწყო ღვთისმშობლის ხატების, კრიალოსნების, სტატუეტების შეგროვება, კოლექციონერის ჟინით იყო შეპყრობილი. სკოლაში მოსწავლეებსაც სთხოვდა მოეტანათ მათთვის ოჯახში გამოუყენებელი საკულტო ნივთები. ამ ნივთებს ის თავის ოთახში ინახავდა, როგორც განძს. კედლები ერთიანად ხატებით იყო დაფარული, საწოლის თავზე უამრავი კრიალოსნის გირლანდები ეკიდა, მაგიდა სავსე იყო წმინდა მარიამის ათასნაირი ფიგურით.

ტაძარში შესვლისას ის უკვე აღარ იყრიდა მუხლს მაცხოვრის წინაშე, მხოლოდ მაშინ, თუ არავინ იყო, მიდიოდა ღვთისმშობლის საკურთხეველთან,

იჩოქებდა და ბაგეებით ეხებოდა საკურთხევლის გადასაფარებელს და მგზნებარედ კოცნიდა მას. ეს ვნებიანი თაყვანისცემა დიდხანს გრძელდებოდა და ნიადაგ ახალი ყვავილების თაიგული, რომელსაც ყოველ კვირა ნულფინა დებდა, მას იმედს აძლევდა. მართალია, არ ესმოდა, რას ნიშნავდა ეს შესაწირავი, მაგრამ იცოდა, რომ ნულფინას, ელზბეტის დედას, მოჰქონდა. მისთვის კი ყველაფერი ძვირფასი იყო, რაც ელზბეტთან იყო დაკავშირებული.

მისმა ამგვარმა სულიერმა მდგომარეობამ პეტერი საგონებელში ჩააგდო და გეგმა შეადგინა. მხოლოდ მან ერთადერთმა იცოდა, რა ძალა ჰქონდა ელიასის სიყვარულს. ამ პერიოდისთვის მეგობრებს უკვე 21 წელი შეუსრულდათ. პეტერის ცხოვრებაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მას უკვე იმედი აღარ ჰქონდა, რომ ოდესმე შეძლებდა გლეხური ცხოვრების მძიმე ჭაპნის მოშორებას. იმ დღეს, როცა 20 წელი შეუსრულდა, ნულფი მასთან ერთად ფელდბერგში ადვოკატთან გაემგზავრა, რათა შვილისთვის გადაეცა მემკვიდრეობით კარმიდამო, ტყე და მთელი ქონება. მაშინ ეშბერგში ყველას გაუკვირდა მამის შვილის მიმართ ასეთი ნდობა, მემკვიდრეობას, ჩვეულებისამებრ, ხომ მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ იღებდნენ. მალე ნულფი დარწმუნდა, რომ სასტიკად მოტყუვდა პეტერში. მემკვიდრეობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორი კვირის შემდეგ პეტერმა მშობლები შეასახლა პატარა ოთახში, სადაც თავად გაიზარდა და მის ოთახში შესვლის უფლება მხოლოდ მისი ნებართვით

შეეძლოთ. ამ შეცდომის შემდეგ ნულფი ისევ ხშირად დაიარებოდა ეკლესიაში, ის მთელი სოფლის დასაცინი გახდა. პეტერის განზრახვამ საიდან იჩინა თავი, იმითაც მივხვდებით, თუ როგორ სასტიკად ექცეოდა იგი საქონელს. იმის გამო, რომ უნდოდა მეურნეობას ვითომ ეკონომიურად გასძღოლოდა, ძროხებზე ექსპერიმენტებს ატარებდა. იკვლევდა, თუ რამდენ ხანს შეეძლოთ გაეძლოთ უწყლოდ. ერთ-ერთ ხბოს მეტისმეტი სიმკვირცხლის გამო კუდი მოაჭრა. ის იყო ღორმა გოჭები დაყარა, საბრალო ღორს თვალები დასთხარა იმიტომ, რომ ორი გოჭი დაკბინა. და როცა ამ პრიმიტიული ხერხებით გული იჯერა, ახლა სასტიკ მეთოდებზე გადავიდა. საბრალო პირუტყვებს საშინლად აწამებდა. მერე ნეტარი სახით, პირდაღებული შესცქეროდა გახელებულ ცხოველებს.

პეტერი კაცი არ იყო, მას ნვერი არ ეზრდებოდა, ტანდაბალი, სუსტი აღნაგობა ჰქონდა, სახე — ნაყვავილარი, თმა კი ხუჭუჭა. მისი წარუშლელი ნიშანი დასახიჩრებული ხელი იყო. მის კაკლისებრ თვალებს ეგებ ლამაზიც ეთქმოდა, ბოროტი მზერა რომ არ ჰქონოდა.

რთული გასაგებია, რა ჰქონდა საერთო ელიასს იმ ადამიანთან, რომელიც ცხოველებს აწამებდა, თითქოს ამით შურს იძიებდა თავისი მოსაწყენი ცხოვრების გამო. ცხადია, ელიასისთვის საიდუმლოს სულაც არ წარმოადგენდა პეტერის სისასტიკე. არაერთხელ შეეედრებია პეტერს, გონს მოსულიყო, ცხოველებისთვის თავი დაენებებინა, მით უმეტეს,

როცა ცრემლმორეული ელზბეტი ძმის ამა თუ იმ სასტიკ გამოხდომაზე უყვებოდა. მაგრამ ის მაინც მადლიერი იყო მეგობრის. არასდროს ავიწყდებოდა, როგორ იდგა პეტერი ოდესღაც მის ფანჯარასთან და არასოდეს განდგომია, როცა მას ამცირებდნენ. ეს ერთგულება ძალაუნებურად მისი ავკაცობის თანამონაწილედ ხდიდა. და ესეც მშვენივრად იცოდა. წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ვინაიდან ის მეგობრობას მეტად აფასებდა.

ეს მოხდა ნოემბრის თბილ ღამეს, სავსე მთვარეობისას. ის იმ ერთი ღამეთაგანი იყო, როცა ზაფხული უმხედრდება მის შემავიწროვებელ შემოდგომას და ადამიანს გულს უფორიაქებს, იქნებ იმიტომ, რომ მან თავისი მსგავსი ნაღვლიანი სული იპოვოს. სოფელს უკვე ეძინა, ტყის შევერცხლილი ფოთლები გიგანტურ ჩრდილებს ფენდნენ მოცისფრო დამრეც მდელოებს. მოსაღამოვებამდე პეტერმა იდუმალი სახით მიანიშნა ელიასს, რომ ის აუცილებლად უნდა მისულიყო ირმის წყალთან — ეს იყო პატარა ტბა პეტრიფელზთან. თავად პეტერი უკვე იქ იქნებოდა და ელიასს ისეთ რამეს აჩვენებდა, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა — სიყვარულს შეაცნობინებდა.

ასეთი დანაპირებით აფორიაქებული ელიასი დაუყოვნებლად გაემართა დათქმულ ადგილას. იქ იწყებოდა ფართო დაჭაობებული ველი, წყალი კოჭებამდე სნვდებოდა კაცს. ასეთ ადგილებში წითელ გარეულ ფრინველებს უყვარდათ ცურვა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ელიასმა თამბაქოს სუნი

იგრძნო. ეს უცნაურად მოეჩვენა. შემდეგ მან დაინახა ხეზე მიყუდებული პეტერი, რომელიც ნაჩქარევად ეწეოდა ჩიბუხს. პეტერი მეტისმეტად აგზნებული მიესალმა მეგობარს და ელიასი მაშინვე მიხვდა, რომ მას რაღაც საზარელი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული.

სწორედ ამ დროს იმავე გზაზე ვიღაც ქალი გამოჩნდა — ეს იყო ბურგა, რომელზეც წინა თავებში გვქონდა საუბარი. ქალი, რომელსაც უყვარდა ცხოვრება და სოფლის მეძავად იქცა. ის ხანძარმა უსახლკაროდ დატოვა, იძულებული იყო, მოჯამაგირედ ემუშავა ალტიგში თავის ნათესავთან — ვალტერთან. მას იქ თავდავიწყებით შეუყვარდა პატრონის ძმა, გამხდარი, სუსტი, მაღალი ბიჭი, რომელსაც ბნედა სჭირდა. ამის შესახებ მთელმა სოფელმა იცოდა, ისევე, როგორც ის, რომ ამ კაცს ერთხელ ხის მოჭრისას დიდი უბედურება შეემთხვა, დაკარგა ის ორგანო, რომელიც მამაკაცის ღირსებას წარმოადგენდა. გასაკვირი სწორედ ის იყო, რომ ბურგას მაინცდამაინც ის შეუყვარდა. კვირაობით და სადილის შემდეგ, როცა ის თავის ჩიბუხს ტენიდა, ბურგა სიამოვნებით ისუნთქავდა თამბაქოს სუნს, იჯდა ჩუმად ფანჯარასთან, უყურებდა გოტფრიდს და ტკბებოდა.

ბურგა ჯან-ღონით სავსე, ჩასკვნილი ქალი იყო, გრძელი დაწნული თმა და ნათელი სახე ჰქონდა. მიხელ მენახშირემ მას დაწებებული წერილი გადასცა. მიხელი ყველაფერს კისრულობდა, საიდანაც ფულს მოელოდა. წერილში ეწერა, რომ გოტფრიდი შუაღამისას ირმის წყაროსთან დაელოდებოდა, რათა

რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა. ბურგა ერთი წამითაც არ დაეჭვებულა წერილის უტყუარობაში. იფიქრა: „ნამდვილად გოტფრიდის ხელითაა დაწერილიო“. ეს იყო პეტერის კარგად მოფიქრებული გეგმა.

მოეშურებოდა რა ბურგა ცისფერი შუქით მოფენილ ფერდობზე, გახარებული წამდაუწუმ ჩერდებოდა, დახედავდა წერილს და მხურვალედ კოცნიდა. უცბად თამბაქოს სუნი იგრძნო, შეკრთა და ჩუმად დაიძახა:

— გოტფრიდ! გოტფრიდ, აქ ხარ?

ბურგას სიბნელის არ ეშინოდა, ღამით სეირნობას მიჩვეული იყო, მაგრამ ახლა ცოტა შეეშინდა. შეჩერდა, ყური მიუგდო და ვერანაირი ხმა ვერ გაიგონა.

— გოტფრიდ! — უკვე ხმამაღლა იძახდა და თავის თავს ამხნევებდა, — ეს მე ვარ შენი ბურგა, გამოდი რა!

და ამ სიბნელეში გოტფრიდის ხმაც გაისმა.

— განათებულ ადგილას დადექი ბურგა, შენი დანახვა მინდა!

ქალს გული აუჩქროლდა და ტყის განაკაფ ადგილას გავიდა.

— ოი, აქ ცივა, მოდი, უკეთესი ადგილი მოვნახოთ, — მან აქეთ-იქით ცქერა დაიწყო, ცდილობდა გაეგო, საიდან მოდიოდა ეს ხმა. — ახლავე გამოდი! — გაბრაზებულმა დაიყვირა ქალმა, — ხომ ვიცი, რომ ნაძვს ხარ ამოფარებული.

— რა ლამაზი ხარ, კვლავ გაისმა წყვდიადიდან ხმა, — იცი, რომ მე შენზე იმ დღიდან ვოცნებობ, რაც ჩვენი სახლის ზღურბლზე გადმოდგი ფეხი?

— გეყოფა ლაყბობა, — უპასუხა სხარტად ქალმა და ჭაობიანი ხეობისკენ დაიძრა.

— მანდ, ნათელში იდექი! — დაუყვირა გოტფრიდმა, ხმა იმდენად ეცნო, რომ ქალს ეჭვის ნატამალიც აღარ დარჩა.

— კარგი, აქ გავჩერდები, — თქვა ჭირვეულად და გულხელი დაიკრიფა.

— გიყვარდი კი შენ ოდესმე? — იკითხა ხმამ.

შეცბუნებული ბურგა დუმდა.

— თქვი, გიყვარდი კი ოდესმე? — ჰკითხა ახლა უფრო მოღუშული ხმით.

ამ ხმამ შეყვარებული ქალის გული განგმირა და გულახდილად მოჰყვა:

— როცა დასაძინებლად ვწვები, შენ ნაცვლად საბანს ვეფერები, გოტფრიდ, არ დამცინო, არც არავის უთხრა, ხანდახან შენს ნაჭამ თეფშს ვიღებ და იმ თეფშიდან ვჭამ. რამდენჯერ მივსულვარ შენს ჩიბუხთან და დამიყნოსია. მიფიქრია, რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, ღმერთი თუ...

— შენი არც ერთი სიტყვისაც არ მჯერა! — მრისხანედ დაიძახა გოტფრიდმა, — შენ სხვებთან დადიხარ, მათთან გძინავს, ცოდვას სჩადიხარ! როგორ ბედავ იმის თქმას, რომ გიყვარვარ.

ბურგა დუმდა. ის ჯერ ვერ ხვდებოდა, რომ მას სასტიკად ასულელებდნენ. თუმცა ალბათ რომ დაფიქრებულიყო, მიხვდებოდა, გოტფრიდი მას ასე არასდროს დაელაპარაკებოდა. მისი ეს უცაბედი მჭევრმეტყველება მან ამ საოცარი მთვარიანი ღამის ზეგავლენას მიაწერა. გარდა ამისა, ეშბერგში

გავრცელებული იყო გამონათქვამი, რისაც მას ბავშვური მიამიტობით სჯეროდა: სავსე მთვარე როცა ამოვა, ანგელოზი წყვილს შეახვედრებს და მერე ამ ორს მხოლოდ სიკვდილი დააშორებსო.

— შენ თუ მართლა გინდა, ჩემი იყო, — გაისმა ისევ წყვდიადიდან, გაშიშვლდი, დამანახე შენი ლამაზი სხეული და დაგიჯერებ.

ელიასს, რომელიც პეტერის გვერდით, ხის იქით, იჯდა, უკვე ენა დაება. პეტერმა ყელზე მოუჭირა ხელი, რომ საქმე არ გეფუჭებინა.

— ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ისურვებ, ოღონდ დამპირდი, რომ ერთი წლის შემდეგ დაქორწინდები ჩემზე, — უთხრა მშვიდად ბურგამ.

და ელიასმა გოტფრიდის ხმით ყველა წმინდანის, ყველა მოციქულის და ყველა მიცვალებული ლამპარტერის სული დაიფიცა. აშკარა იყო, რომ ელიასს დაჰკარგვოდა საკუთარი ნება და მთლიანად პეტერს ემორჩილებოდა, მის სიტყვებს იმეორებდა, როგორც ჰიპნოზში მყოფი.

ბურგამ გახდა დაიწყო.

— „სხეული ყველაზე უმნიშვნელოა, რაც შემიძლია, რომ გაჩვენო" — გაიფიქრა ქალმა. მას სიშიშვლის აღარ ეშინოდა. თავსაფარი მოიძრო, ნაზად დაიწყო კორსეტის ზონრების გახსნა, მთლად შიშველი რომ წარდგომოდა თავის გოტფრიდს. თბილმა სიომ დაბერა, ხის კენწეროები შეანძრია, ყრუდ აშრიალდნენ ფოთლები. ბურგამ გადაიძრო კორსეტი და ხის იქით მდგომთ თვალი მოჰკრეს, როგორ გამოსხლტა კორსეტიდან დიდი აბრეშუმივით

ნაზი მკერდი. შემდეგ, ქვედატანის გასახდელად რომ დაიხარა, მკერდიც დაბლა დაეშვა, მწიფე მსხლებივით დაეკიდა. მთვარის შუქი დანათოდა დაწნულ თმას და ნაძვის ხის წვიმასავით აბრწყინებდა. სინათლე ელაციცებოდა თეთრ მხრებზე, გატკეცილ ზურგზე. ქვედაკაბა ისეთი სიმშვიდით გადაიძრო, თითქოს მარტო იყო. ელიასმა დაინახა, ხელების მაღლა აწევისას, როგორ გაუმაგრდა ძუძუსთავები. პირი გაუშრა, ამოსუნთქვისაც ეშინოდა. ქალმა ბოლო ქვედატანიც გადაიძრო თავიდან და სრულიად შიშველი ისევე გაირინდა. ფეხები მჭიდროდ ჰქონდა ერთმანეთთან მიდგმული, ხელები — მოშვებული, ხელის მტევნებზე ძარღვები დაჰბეროდა, გამობურცული მუცელი ხან შიგნით ეზნიქებოდა, ხან რიტმულად იბერებოდა.

ელიასი უყურებდა ფართო თეძოებს და თვალს ვერ აშორებდა დაფარულ სასირცხო ადგილს. მას არ ესმოდა, რას ჩურჩულებდა პეტერი გაცხარებით. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა პეტერი ხელზე ჩაებღაუჭა.

— კიდევ არ მჯერა შენი, — გაისმა ისევ გოტფრიდის ხმა, — ორ გამოცდას უნდა გაუძლო და თუ გაუძლებ, ამ თვეშივე დავქორწინდებით.

ბურგა მოთმინებით დუმდა.

— ქალი ყველაფერში უნდა ემორჩილებოდეს თავის ქმარს, — გოტფრიდის ხმა ისე გამართულად აღარ ისმოდა, — დაამტკიცე, რომ შეგიძლია მორჩილება!

— რასაც მეტყვი, იმას გავაკეთებ! — ნდობით

გამოეხმაურა ბურგა.

— ნაწნავი გაიშალე! — ხმა ჩაეხლიჩა გოტფირდს.

და როცა ბურგამ ნაწნავის გაშლა დაიწყო, მის ფეხებთან მბრწყინავი საგანი დაეცა.

— აიღე დანა და თმა შეიჭერი!

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ბურგამ აიღო დანა და მოიჭრა თმა. ასეთი ძლიერი იყო მისი სიყვარული გოტფრიდისადმი.

— ახლა, — გაისმა აკანკალებული ხმა, — ტალახში ჩანექი და ინებივრე მასში, როგორც დედალი ირემი!

— ეს რაში გჭირდება, — ნაილუღლუღა დამცირებულმა ბურგამ.

— გააკეთე, თორემ ჩემი ვერასდროს გახდები! — ღრიალებდა გოტფრიდი.

შიშველი ქალი მუხლებზე დაეშვა, ამოიღო ჭაობიდან ტალახი, სახეზე წაისვა, დაწვა მუცელზე, გადატრიალდა და უცებ ცხარე ცრემლით ატირდა.

აი მაშინ კი გაიგონა ყრუ სიცილი. ბურგა გაირინდა და შეშინებულმა აქეთ-იქით დაიწყო ტრიალი. ამ დროს სიცილიც ისე გაძლიერდა, რომ კლდეებმა გამოსცეს ექო. ბურგა ფეხზე წამოიჭრა და სასოწარკვეთილმა დაიძახა: ეი, თქვენ, ძაღლებო, ძაღლებო! მაგრამ მხოლოდ ორი ჩრდილის დანახვა მოასწრო, რომლებიც სწრაფად გარბოდნენ ხეობისკენ. ბურგას უნდოდა დასდევნებოდა, მაგრამ იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რადგან ფეხებში ეკლები ესობოდა. ის იდგა შიშველი, შეკრეჭილი თმით და ღრიალებდა. მაგრამ მაინც სჯეროდა იმ ძველი გამონათქვამის, რომ სავსე მთვარეობისას ანგელოზი

ორ შეყვარებულს სამუდამოდ აკავშირებს.

— ასეთია ქალი, — გაიძახოდა ზეიმით პეტერი, როცა დარწმუნდა, რომ ქალი აღარ მოსდევდათ, — სულელია, მშიშარა და მიამიტი. სიყვარულის გამო ყველაფერზე წავა.

შემდეგ აკანკალებულ, ძალაგამოცლილ ელიასს მიუახლოვდა.

— რას კანკალებ! — გაბრაზდა პეტერი, — ეს ქალი იმსახურებს ასეთ მოქცევას! ნათრევი, გარყვნილი ქალია, თავად ვერ ნახე?

— წმინდაო მარიამ, ეს რა ჩავიდინე! — წაილუღლურა ელიასმა და თავშეუკავებლად ატირდა.

პეტერმა ხელი მოხვია და გამშრალ ტუჩებში კოცნა დაუწყო. პეტერის ხელები ნაზად ჩასრიალდა დაბლა, ჯერ მკერდზე, მერე კი მის საზარდულზე და მაგრად ჩაებღაუჭა.

— ნეტავ ამ ადგილას მოვკვდებოდეთ, — პირქუშად თქვა პეტერმა. მერე ველური კივილით ხელი ჰკრა ელიასს და ტყის სიბნელეს შეერია.

უდანაშაულო ქალზე ასე მწარე დაცინვის გამო ელიასი თავს დამნაშავედ გრძნობდა და საშინლად იტანჯებოდა, გულწრფელად ნანობდა ჩადენილ ცოდვას. ის ხსნას ლოცვაში ეძებდა, შუაღამისას მოსანანიებელ სიტყვებს სულის ამოხდომამდე იმეორებდა. ისედაც ხანმოკლე ძილს იმცირებდა. მაგრამ შიშველი ქალის ხატებას მთვარის შუქზე, მეხსიერებაში ჩაბეჭდილ მკერდის მკვრივ ძუძუსთავებს ვერაფრით ივიწყებდა. ის თავს იტანჯავდა, ცდილობდა, ეს მაცდური ხილვა

მოეშორებინა, მაგრამ ყოველ ღამე შიშველი ქალი ედგა თვალწინ. ის ორგანის დაკვრაში ეძებდა თავდავიწყებას და საშინლად გაოგნებული, იძულებული იყო თავს გამოსტყდომოდა, რომ ის სულ სხვა ადამიანი გახდა. ახლა მას სულ სხვაგვარი მუსიკის შექმნა სიამოვნებდა, სმენითი აღქმის კანონზომიერების წინააღმდეგ. ინტუიცია კარნახობდა, რომ დისონანსებით, რაღაც ცოდვიანის, აკრძალულის სახით, გამოსავალს ვერ იპოვიდა, რადგან ვერც თავად, ვერც მისი ცხოვრება ვერაფრით მიდიოდა განწმენდამდე, მისი მუსიკაც უფრო და უფრო ივსებოდა დისონანსური ბგერებით. მან ცოდვა ჩაიდინა და მას გემო გაუსინჯა. მისმა ადრინდელმა გულუბრყვილო დაკვრამ ახლა დემონური ძალა შეიძინა.

ბურგამ იცოდა, რომ მხოლოდ ერთადერთ ადამიანს შეეძლო სხვა ადამიანების ხმით ლაპარაკი. იმასაც ხვდებოდა, რომ მეორე ჩრდილი პეტერის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხმას არ იღებდა, არც მათთვის უსაყვედურია. თავის ნათესავს მოატყუა, რომ თმის ძირები ჰქონდა გაფუჭებული და ამიტომ შეიჭრა თმა. მალე ის მოთმინებით ჩადგა ულიმღამო ცხოვრების ჩვეულ რიტმში. ასეთი იყო მისი ბუნება.

კვირაობით გოტფრიდი აპრიალებდა თავის ჩიბუხს, ბურგა კი სიამოვნებით ისუნთქავდა თამბაქოს კვამლს, ჩუმად იჯდა ფანჯარასთან, უყურებდა თავის გოტფრიდს და ტკბებოდა. მას უყვარდა ცხოვრება, ადამიანები და არავის ებრალებოდა მისი სიყვარული.

უკვე მესამედ გადააბიჯა ზეფ ალდერმა ელიასის ოთახის ზღურბლს, სადაც დასნეულებული ელიასი იწვა და სიცხით იწვოდა. მკვდრის უსიცოცხლო მზერა ჰქონდა. ზეფმა ღრმად ამოისუნთქა. ოთახში მოყვითალო ბინდი ჩამოწოლილიყო, საკმევლის, ქონის სანთლის სუნი იდგა, სიყვარულით დაავადებული ადამიანის სულიერი ტკივილების შესამსუბუქებლად რომ ენთო. ზეფი მიუახლოვდა პატარა კარადას, გვერდზე გაწია თაბაშირის ფიგურები და ოთხი გაფცქვნილი კარტოფილი და თავისი ხელით დაჭრილი ცოტა ყველი დადო. ეს ალბათ ერთადერთი ნუგეში იყო, რის მიცემაც მას თავისი შვილისთვის შეეძლო. ზეფი ფუჭ ლაპარაკს არ იყო ჩვეული.

მაგრამ დღეს, ეშმაკმა დალახვროს, მოუწევდა ლაპარაკი. გული უკვდებოდა ავადმყოფობით დაუძლურებულ შვილს რომ უყურებდა. დღეს მას პატიებას სთხოვს იმ ძველი ამბის გამო, რაც ხის მჭრელ ლამპარტერს გაუკეთეს — როგორც იქნა, გადაწყვიტა ზეფმა. ის მზადაა, მუხლებზეც დაუჩოქოს, თუ შვილი ამას მოსთხოვს. უნდა აუხსნას შვილს, რომ ის ნამდვილად არ იყო მკვლელი. ის ნულფმა წააქეზა, რომ ლამპარტერი ცოცხლად დაეწვათ. შვილმა უნდა გაუგოს: იმ ღამეს, მათი სახლ-კარი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ოჯახს აღარაფერი დარჩა. ის ხომ უნდა მიხვდეს ამას. მისი მამა მკვლელი

არაა. ზეფმა ხელი სტაცა არყის ბოთლს. როდის დადუმდება თავში ეს საშინელი სიცილი? საშინელი სიცილი...

— შავტუხამ ხბო მოიგო, — ძლივს წამოიწყო ზეფმა, — ბოჩოლა, გუშინ ლოცვის შემდეგ.

ელიასი გაშტერებული იწვა, ჭერის ჩამოზნექილ ფიცრებს შესცქეროდა.

— აქ ყველა კითხულობს, ორგანისტი სად არის? ავად ხომ არ გახდა? შენზე ამბობენ, — ისევ განაგრძობდა ზეფი. მან მზერა შეავლო ელიასის ჩამომხმარ, თითქმის უსიცოცხლო სხეულს. — აბა ცოტა ჭამე, თბილია! — შეეცადა გაემხნევებინა შვილი.

ელიასი გადაბრუნდა, მას ჭამა არ უნდოდა. ზეფმა შეამჩნია, უცებ როგორ აუცრემლდა გაყინული თვალები, ხოლო, როცა ჩამოგორებული ცრემლი დაინახა, ძლივს შეიკავა თავი, რომ ხმამაღლა არ ატირებულიყო. როგორ შეიძლება კაცმა ქალის გამო თავი მოიკლას? კაცს არ შეშვენის ასე თავის ტანჯვა. უკვე მეხუთე დღეა, არ დგები საწოლიდან, წევხარ ამ დახშულ სოროში, არ ჭამ არაფერს, სკოლა მიატოვე და ყველაფერი იმ ელზბეტის გამო. მამაკაცი, ეშმაკმა დალახვროს, ძლიერი უნდა იყოს. მან ველარ გაუძლო უხმოდ მტირალი შვილის ყურებას და პატარა ტყუილი მოიგონა: ელზბეტი მალე გამოჯანმრთელებას გისუვებს, — უთხრა მან ნაზი ხმით. და დაინახა სიტყვა ელზბეტზე, როგორ დახუჭა ნეტარებით თვალები, თითქოს ექიმის ხელიდან რაღაც წამალი მიიღოო.

— მართლა? — ჩახრენწილი ხმით იკითხა ელიასმა

და ხველება აუტყდა, იმიტომ რომ ოთხი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. — მართლა მისურვა გამოჯანმრთელება?

— ჰო, გამოჯანმრთელება გისურვა, — გაიმეორა ზეფმა გაცისკროვნებული სახით, „წამალმა“ ცოტა რომ გაჭრა.

ზეფმა გაიღიმა და ენის ბორძიკით გააგრძელა ტყუილი: ჰო, ელზბეტი ორგანისტის გარეშე ნაღვლიანია. ეკლესიაში სულ ორგანის მხარეს იყურება, ცქმუტავს, წამდაუწუმ ფურცლავს ლოცვანს, დაბნეულია, სხვებსაც აკლიხარ, რადგან ეკლესიაში შენი მუსიკის გარეშე სიცივემ და მოწყენილობამ დაისადგურა.

ელიასი წამოიწია, პატარა ბალიში თავქვეშ ამოიდო. გამხმარი ბალახით გამოტენილი ბალიში სასიამოვნოდ გატკაცუნდა. ზეფი დადუმდა, კვლავ სიჩუმე გამეფდა. მაგრამ ზეფმა შეამჩნია, რომ შვილის თვალებში უსიცოცხლო მზერა გაქრა. მღელვარებისგან ოფლად იღვრებოდა. ზეფმა გადანყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო იმისგან, რაც ამდენი ნელი მძიმე ტვირთად ანვა და მოსვენებას არ აძლევდა. ისინი პირველად დაელაპარაკნენ ერთმანეთს. ახლა კი, როცა ზეფი დადუმდა, სიჩუმემ დაისადგურა. ეს სიჩუმე მამა-შვილს შორის უკვე 15 წელი არსებობდა. ვიდრე ისინი დუმდნენ, ელიასს ბავშვობა გაახსენდა, მამის ოფლისა და ბოსლის სუნით გაჟღენთილი, გაპოხილი ქუდი, ძილის წინ რომ სუნავდა, რათა დამშვიდებულიყო.

მათ ერთმანეთს თვალებში შეხედეს. ზეფმა იგრძნო, რომ ელიასმა აპატია. გული სიხარულისგან უცემდა, ის მიხვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავი დააღწია მტანჯველ ტკივილს. იმ ბედნიერ კვირადღეს ზეფი იმედის სხივებს აფრქვევდა. მამა-შვილს შორის გაქრა გაუცხოება.

ახლა ზეფს ყველა საქმე გამოსდიოდა ხელიდან. თავის ტკივილებმა მართლაც გადაურა. ის შემზარავი სიცილიც მიყუჩდა მის ყურებში და საბოლოოდ დამშვიდდა. ზეფი ახალმა აზრმა მოიცვა, კარმიდამო განეახლებინა, გაეფართოვებინა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, გაზაფხულზე წასულიყო ჰოენბერგის ბაზრობაზე და ორი ხბო და ერთი ძროხა ეყიდა. უნდოდა, საღორეც გაეფართოვებინა, მაკე ღორის ყიდვას აპირებდა. ბაღში აპირებდა უფრო მეტი მსხლისა და ვაშლის დარგვას, რათა მომავალში კარგი მოსავალი აეღო. მაჭარი იქნებ იტალიელებისთვის მიეყიდა დორნბერგში: ცნობილი ფაქტია, ქალაქელი უფრო მეტს იხდის.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ეს უკვე 1825 წლის გაზაფხული იყო, ზეფ ალდერი დაიკარგა. ზეფინას სავარაუდოდ მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ ის ტყეში ხის საჭრელად წავიდა. გლეხებმა ძებნა დაუწყეს, მთელი ტყე მოიარეს გიოცბერგამდე, მაგრამ ზეფი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ამაოდ დახარჯეს ოთხი დღე, გლეხებმა გადაწყვიტეს, რვა ჯგუფად დაყოფილიყვნენ, თითოეულში ორ-ორი კაცი იყო და ასე ცალ-ცალკე დაიწყეს ძებნა, ლამის თითოეული მტკაველი მიწა გადასინჯეს. იმ დღეს

ფილიპი პატარა მდელოზე თამაშობდა თავის პატარა კნუტთან. მდელო სახლს აღმოსავლეთ მხარეს ერტყა. კატა მარდი ნახტომით დაედევნა ხვლიკს, რომელიც შეშის ფარდულისკენ მისრიალებდა. ბავშვიც გამოეკიდა კატას, უცბად ჩამონგრეული კედლის წინ შეჩერდა და იქ იპოვა გაშეშებული მამა. ნახევარი სახე გვერდზე მოჰქცეოდა, ქაფი სდიოდა, მარჯვენა მხარი დაშავებული ჰქონდა, მარცხენა ხელი — გალურჯებული. მაგრამ მის თვალებში ჯერ ისევ ბჟუტავდა იმედის მშვიდი სხივი. გახარებულმა ფილიპმა მამას გარშემო ცეკვა დაიწყო, თან კიოდა, იცინოდა, ხელით ეხებოდა, უნდოდა, მასთან ეთამაშა. ფრიცმა, უფროსმა ვაჟმა, რომელიც ის-ის იყო ლუკას ალდერთან ერთად საძებნელად აპირებდა წასვლას, მამის გახევებული სხეული სახლში გადაიტანა. ზეფს დამბლა დასცემოდა. ორმოცდარვა წლიდან სიკვდილამდე მარჯვენა მხარის პარალიზებით ლოგინად ჩავარდა. ფრიცი, რომლის შესახებაც ჩვენამდე არანაირი ცნობა არაა შემორჩენილი, ამის შემდეგაც სავსებით ჩრდილში დარჩა.

მხოლოდ იმედს აზრი არ აქვს. კაცი მარტო იმედის, თავისი ოცნებების ასრულების ფიქრით არ უნდა იყოს მოცული. უნდა მიხვდეს, რომ ცარიელ ოცნებას ხეირი არ მოაქვს და სიგიჟეა. მაგრამ, თუ ამას მიხვდება ადამიანი და მაინც გააგრძელებს ოცნებას, მისი ცხოვრებაც თავისებურ აზრს შეიძენს.

ელზბეტის თვალებშიც კრთოდა იმედი. ის უკვე თვრამეტი წლის იყო, სიცოცხლით სავსე. მას ქარგვა და საუცხოო ხელსაქმე ეხერხებოდა.

თავდაპირველად ქარგავდა და მხოლოდ საჩუქრად არიგებდა დახვეწილად მოქარგულ თავსაფრებსა და გადასაფარებლებს. შემდეგ პეტერმა აიძულა გასაყიდად გიოცბერგში წაელო, დაარწმუნა სარფიანი საქმეაო. ელზბეტისთვის საკმარისი იყო, ვინმე თუ აღფრთოვანდებოდა მისი შემოქმედებით, გასამრჯელოზე არც ფიქრობდა. გიოცბერგელი ქალები აღფთოვანებული იყვნენ ელზბეტის თავსაფრებითა და გადასაფარებლებით.

გოგონა უკვე ბევრს ოცნებობდა სიყვარულზე, რომლითაც მისი პატარა გული იყო აღსავსე. ელიასი, რომელიც ყოველთვის გულდასმით წონიდა მისი ბაგეებიდან დაცდენილ ყოველ სიტყვას, მის გასხივოსნებულ თვალებში სასიკეთო ნიშანს ხედავდა. მართალია, მათ მეგობრობა აკავშირებდათ, მაგრამ თავიანთ ყველაზე დიდ გრძნობას ერთმანეთს უმალავდნენ. ეს დამახასიათებელი იყო ალდერების გვარისთვის და ალბათ სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, ფორალბერგის ყველა მკვიდრისთვისაც. ალდერებს არ სჩვეოდათ თავიანთი სიყვარულის გამჟღავნება. უსიტყვოდ სურდათ ფონს გასვლა. ეს ხალხი სიტყვაძუნწი იყო, სულ არ გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით. ისინი სიკვდილამდე მდუმარენი იყვნენ.

მართლაც, გვიჩნდება სურვილი ამ მდუმარე, ყვითელთვალება, გრძელთმიან არსებას მხრებში ჩავავლოთ ხელი, შევანჯღრიოთ და ვუყვიროთ: ამოიდგი ენა! ბოლოს და ბოლოს, თქვი სათქმელი! უთხარი, რასაც ფიქრობ, დუმილს სიმართლის

თქმა ჯობს. მაგრამ არც ამას ექნებოდა აზრი. მისთვის რომ ეთქვათ, რა დიდი გენიოსი იყო, ალბათ მწარედ გაიღიმებდა და საყვედურით გვეტყოდა: განა სიყვარული ამქვეყნად ყველა გენიაზე მაღლა არ დგას? და ჩვენც იძულებული ვიქნებოდით გავჩუმებულიყავით.

მოხდა ისე, რომ ელიასმა ფორანში ხარები შეაბა და გიოცბერგში წასასვლელად მოემზადა, რათა თანასოფლელების დავალებით მარილი, ნავთი, სანელებლები და საჭირო ნივთები ეყიდა. ადრე ამას მიხელ მენახშირე აკეთებდა. მაგრამ ხალხი მალე მიხვდა, რომ ის ნიადაგ ითვისებდა მათ ფულს და ჩამოაშორეს ამ საქმეს. საქმე ისაა, რომ ელზბეტსაც სწორედ იმ დღეს გადაეწყვიტა გიოცბერგში წასვლა, რათა თავისი თავსაფრები და გადასაფარებლები გასაყიდად ჩაებარებინა.

შავ სერთუკში გამოწყობილი ელიასი ხარების აღკაზმულობაზე ცოდვილობდა, როცა ელზბეტი მიუახლოვდა. იმ დილას იმდენად აუწერელი სილამაზის იყო, რომ ელიასს ლამის გული საგულედან ამოუვარდა. ელზბეტმა ქერა თმა გაიშალა, დილის მზე დასთამაშებდა ტუჩებზე, სახე უჩვეულოდ ფერმკრთალი მოუჩანდა. ელიასმა ეს შენიშნა და ჯანმრთელობის შესახებ დანვრილებით გამოჰკითხა, შიშობდა, ხეობაში მგზავრობა ელზბეტს ხომ არ გადაღლიდა. ელიასი ჩუმად, ლამის ჩურჩულით ელაპარაკებოდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა ბავშვობიდანვე. დილაობით მისი სმენა თითქოს ავადმყოფური სიმახვილით გამოირჩეოდა. ის ყოველთვის სასტიკად

იტანჯებოდა, როცა ზეფინა დილაადრიან იწყებდა ყვირილსა და სამზარეულოში ჭურჭლის რაკარუკს.

— მადლობა და დიდება ჩვენს უფალს, — თქვა ელზბეტმა და მეტი სიტყვა არ დასცდენია, კალათა დადგა და მჭიდროდ მოიხურა მხრებზე ნაცრისფერი შალი, — შეიძლება დავჯდე?

ელიასმა პასუხად თავი დაუქნია. კოფოზე დასხდნენ და დაიძრნენ. ურმის თვლები ჭრიალებდა, ხარებს ორთქლი ასდიოდათ. არც ელიასს და არც ელზბეტს ხმა არ ამოულიათ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამაში დამნაშავე ადრეული დილა იყო, გეგონება, ადამიანი ჯერ წინადღის ფიქრებს ვერ განშორებიაო. მაგრამ საქმე ეს როდი იყო. ამ დროისთვის ელიასს უკვე ყველანაირი იმედი გადაწურული ჰქონდა ელზბეტთან დაკავშირებით. სოფელში ხმა დადიოდა, ეშბერგში მალე ქორწილი გაიმართებაო. ეს ხმა გაავრცელა არა კაჭკაჭმა, არამედ თავად ნულფ ალდერმა. მან თავის მომავალ სიძედ ლუკას ალდერი დაასახელა. ლუკასი ეშბერგის ყველაზე შეძლებული ოჯახიდან იყო. მსუქანი ბრგე ყმაწვილი გახლდათ. პეტერის სახლში მას უკვე მიეჩვივნენ, მაგრამ ვერ იტყოდა კაცი, რომ ის და ელზბეტი ერთმანეთის მგზნებარე სიყვარულით იწვოდნენ. უბრალოდ წლებთან ერთად ელზბეტი შეეჩვია ძმის სურვილებს დაჰყოლოდა. შეეგუა იმ აზრსაც, რომ ადრე თუ გვიან ლუკასის ცოლი გახდებოდა. და ამასობაში თითქოს შეუყვარდა კიდეც.

ელიასი ჩუმად იჯდა კოფოზე. თითქოს უხილავი კედელი აშორებდა ელზბეტთან და მთელ

სამყაროსთანო.

— „რა უცნაური ადამიანია, ნეტავ რა სჭირს“?! — ფიქრობდა ელზბეტი. აი უკვე რამდენი წელია მეგობრობენ, მაგრამ არსებითად მის შესახებ არაფერიც არ იცის. იქნებ ჩუმად ქალიც გაიჩინა? არა, ამისთვის ის მეტისმეტად წესიერია. ის ხომ ნასწავლი ადამიანია, უბრალო ცხოვრება სულაც არ ხიბლავს. აი ლუკასზე ამას ვერ იტყვი. ის მყარად დგას მიწაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, აჯობებდა, მასზე უფრო მეტს თუ იფიქრებდა, ვიდრე თავის საქონელზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეა. დედაც ხომ ამბობს და მართალიცაა: ლუკასი მზრუნველობით უვლის საქონელსო. ელზბეტი არასოდეს შესწრებია, რომ მას საქონელი ან ეცემოს, ან უხეშად მოპყრობოდეს.

ელიასი ჩუმად იჯდა კოფოზე.

ელზბეტმა კი თავი უკან გადააგდო და მოჭუტული თვალებით ზურმუხტისფერ ხის ფოთლებს შესცქეროდა, მზემ მოულოდნელად დააბრმავა და მან მაგრად დახუჭა თვალები. ასე იჯდა დახუჭული თვალებით და ცდილობდა, წარმოედგინა, როგორ აიყვანდა ლუკასი ხელში და შემდეგ რა მოჰყვებოდა ამას. თან ფიქრობდა: „იქნებ სულაც არ მიყვარს? თანაც უმზითვო ვარ, არაფერი მერგება სახლიდან. ლუკასი დადგებოდა მის წინ გაჭიმული, თვალებში ჩახედავდა და მანამ უმზერდა, სანამ არ გაწითლდებოდა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ კი გაბედავდა და ეტყოდა: ქალიშვილო, ელზბეტ, თანახმა ხარ, გახდე ჩემი ცოლი? ოი, რა სულელური აზრები მაქვს“! და ელზბეტმა თვალები გაახილა.

ელიასი ისევ ჩუმად იჯდა კოფოზე.

ელზბეტი კი ისევ ფიქრობდა:

„ელიასი ალბათ ძალიან მორცხვია — დედაც ასე ამბობს. მამა კი ამბობს, ნამდვილი მამაკაცი გაბედულად უნდა ხვდებოდეს ცხოვრებაში ყველანაირ განსაცდელს. გარდა ამისა, მისი ძმის ნათესავები დაწყევლილები არიან — ყველა ბავშვი დალეული და გონებასუსტია. ეს კი შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცესო. თუმცა იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ის ერთგული ქმარი იქნება. თუმცა წინასწარ არავინ იცის. ისე, ეს ყვითელი თვალები რომ არ ჰქონდეს და უფრო გაბედული და ძლიერი იყოს, უკვე დიდი ხნის წინ მივახვედრებდი, რომ სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად. ლუკასი, მადლობა ღმერთს, სულ სხვანარია. იმან, რაც მასთან დღესასწაულის დღეს განიცადა, მართლაც, აღუძრა სურვილი. სუსტი ქალია და გრძნობებიც ქალური აქვს. ელიასს კი ეს არ ესმის. არა, ელიას ალდერი არაა ნამდვილი მამაკაცი, სამწუხაროდ, ეს აშკარაა“!

ელიასი ისევ ჩუმად იჯდა კოფოზე.

„მე მგონი, მას საერთოდ უქალოდ ცხოვრება სურს. მისგან ალბათ სასულიერო პირი დადგება, იქნებ ეპისკოპოსიც გახდეს. თუ ასე მოხდება, მზადაა, ფეხით ჩავიდეს ფელდბერგამდე და მის კურთხევას დაესწროს. მის ფეხთით დაეცეს, ხელზე ბეჭედს ეამბოროს და გულში კი გაივლოს: „ეს ელიას ალდერია, ის ჩემი მეგობარი იყო“!

დამღლელ გზაზე ამგვარი ფიქრებით სევდას იქარვებდა ელზბეტი, უცბად ჰაერის უკმარისობა

იგრძნო. სამჯერ სცადა ამოესუნთქა, სამჯერ ფართოდ გააღო პირი, შემდეგ მკვდრისფერი დაედო და უგონოდ წინ გადავარდა. მოულოდნელად ბურანიდან გამოსულმა ელიასმა მხოლოდ ის მოასწრო, რომ თმაში სწვდა. ამ დროს ელზბეტმა მაგრად დაარტყა თავი კოფოს კუთხეს. ელიასმა სადავეები დაყარა და სწრაფად აიყვანა ქალიშვილი, რომ ბორბლებს არ ჩავარდნოდა. მისი გრძნობდაკარგული სხეული გულზე მიიხუტა და უნდოდა ეყვირა: უგონოდაა, მაგრამ თავი შეიკავა.

თავის ცხოვრებაში მეორედ და უკანასკნელად ეკვროდა ელზბეტის გული მის გულს და ეს ორი გული არა მხოლოდ შეწყობილად ძგერდა, არამედ თითქოს ერთმანეთს შერწყმოდა და ერთ პულსად ქცეულიყო, ისევე, როგორც ხუთი წლის მდინარესთან ელიასის განცდისას. მაშინ იოჰანეს ელიას ალდერმა ისე საზარლად დაიღრიალა, თითქოს მისი სიკვდილის დრო დამდგარიყო. მას ძვირად დაუჯდა თავისი გაუბედაობა, შერცხვა და ცას შეჰღაღადა, რომ ელზბეტის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლია. ან როგორ დაეჭვდა, რომ ელზბეტი თავად ღმერთმა აჩუქა მას! მან ელზბეტს უზომოდ ნაზად მოხვია ხელი და როცა ელზბეტი გონზე მოვიდა, აფორიაქებული ელზბეტის კითხვებს აცახცახებული ხმით პასუხობდა: „ყველაფერი კარგადაა, ელზბეტ, ყველაფერი კარგადაა“.

შემდეგ მან ფრთხილად დააწვინა უხეშ ტომრებზე, ხარები შემოატრიალა და შინისკენ გააქანა. ფხიზლად ეჭირა თვალი, რომ ბორბალი ორმოში არ ჩავარდნოდა

ან ქვას არ წამოსდებოდა. თან გზაზე ფიქრობდა: „ალბათ ჯობდა ფიცი დაერღვია, როგორც კი გოგონა გამოჯანმრთელდებოდა, მისთვის მიეხვედრებინა, რომ ის უყვარს და მისი ცოლად შერთვა უნდა“. ის მართლაც ფიქრობდა ამაზე, რადგან ამ წუთმა გამბედაობა შემატა.

ათი კვირის შემდეგ, ივლისის ცხელ საღამოს, როცა ეშბერგი გამომშრალი თივის სურნელებაში იყო გახვეული, პეტერი მიიპარა ზეფის სახლთან და ქვა ესროლა ელიასის ფანჯარას, ხოლო შემდეგ გასძახა, რომ ერთ გადაუდებელ საქმეზე უნდოდა დალაპარაკება. ელიასმა სთხოვა, მაღლა ასულიყო მასთან. პეტერმა შეატყობინა, რომ ელზბეტი ფეხმძიმედ იყო და მას ერთი სათხოვარი ჰქონდა, ელზბეტის ქორწილი ელიასს ორგანზე დაკვრით გაელამაზებინა. ბოლოს კი დასძინა, რომ მასთან ამის სათქმელად მოვიდა, არ უნდოდა, ეს ამბავი სხვებისგან გაეგო.

სინამდვილეში კი პეტერი იმისთვის მივიდა მასთან, რომ ენახა ამ ამბის გაგებისას რა დაემართებოდა ელიასის თვალებს. მართლაც, მან დაინახა, რომ ელიასის თვალები რაღაც დროის განმავლობაში სულ ჩაქრა.

ელიასი საბოლოოდ მიხვდა, რომ მისი იმედი ამაო იყო. მისთვის ცხადი გახდა, რომ ღმერთმა მოატყუა და გადანყვიტა, კიდევ ერთი ღამე გაეტარებინა ეშბერგის ეკლესიაში, სადაც ყვირილით ჩაკლა თავის თავში ღმერთი.

ეკლესიის კარი ისეთი ძალით გაჭახუნდა, რომ ჭერში ჩამოკიდებულმა დიდმა ჭაღმა ზანზარი დაიწყო. ან იქნებ მისმა განგმირავმა სიცილმა შეაზანზარა იქაურობა? როცა კარი გაჯახუნდა, იმდენად უსაზღვრო ტკივილი იგრძნო, ისეთი საზარელი ხარხარი დაიწყო, თითქოს ჩასახლებოდა ეშმაკი, რომელმაც საბოლოოდ დაიპყრო ეს სამყარო. გულში ისეთივე წყვდიადი გამეფებულიყო, როგორიც ტაძარში. თუ თითოეულ ადამიანში ჯერ კიდევ გაუბედავად ბუუტავდა იმედის მარადიული სხივი, ამ ადამიანში პატრუქის მხოლოდ ცივი ნაფლეთიღა დარჩენილიყო. მან ორი თითი ჩაყო ნაკურთხი წყლის ჭურჭელში და გალოკა, კიდევ ჩაყო, კიდევ გალოკა. შემდეგ გამალებულით გაეშურა წინ, გადაახტა მოჩუქურთმებულ ტიხარს და წმინდა საკურთხეველთან აღმოჩნდა. ის ჯერ ისევ იცინოდა. როდესაც მოეჩვენა, რომ ეკლესიაში მარტო არ იყო, მაშინვე გაჩუმდა, მარდად შემოტრიალდა და მიაშტერდა შავ აჩრდილს. ის ყურს უგდებდა, აშტერდებოდა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. ისევ საკურთხევლისკენ მიტრიალდა, აანთო საკურთხევლის სანთლები, შემდეგ მთელ ტაძარში დაანთო სანთლები. სურდა, უფალი დაენახა, რამეთუ ადამიანს მასთან ლაპარაკი განეზრახა. როცა მან ჯვარცმის წინაც აანთო სანთელი, ორივე ხელით შეეხო მოჩუქურთმებულ ხეს, შემდეგ სახეზე ხელი

გადაისვა და კარგა ხანს ჩუმად იყო გაშეშებული. სახე სულ უფრო და უფრო პირქუში უხდებოდა, შუბლზე ვენები დაებერა.

— ღმერთო, სად ხარ ჩემს ცხოვრებაში? — როგორც იქნა, აღმოხდა მის ბაგეებს. შემდეგ ისევ ყვირილს მოჰყვა, იმეორებდა ამ კითხვას და როცა ელიასს უკვე ხმა ჩაეხრინწა, თითები დაეკრუნჩხა და გადაეხლართა ხელები, როგორც ლოცვისას, ის მუხლებზე დაეცა და მხოლოდ ახლაღა შეძლო მშვიდად დალაპარაკება.

— დიადო და ყოვლადძლიერო, — განაგრძობდა მგზნებარედ ელიასი, — ადამიანების, ბუნების, სამყაროს, ვარსკვლავების შემქნელო, რატომ შემქმენი მე, იოჰანეს ელიას ალდერი? განა საღვთო წერილში არ წერია, რომ შენ სრულქმნილი ხარ? და თუ შენ სრულქმნილი და კეთილი ხარ, რატომაა დედამიწაზე მწუხარება და ტკივილი? რატომ ტკბები ჩემი მწუხარების მზერით, ჩემი თვალების სიმახინჯით, ჩემი უბედური სიყვარულით?

მან მზერა სადაფით მოოჭვილ კარზე შეაჩერა.

— რატომ მამცირებ? განა შენი ხატების მსგავსად არ შემქმენი? ამით ხომ შენც მდაბლდები, შე უღმერთო?

და მან თვალები დახარა:

— მე სხვა აღარაფერი მაქვს დასაკარგი და ის, რაც დაკარგულია, არც არასოდეს ყოფილა ჩემი. ისიც შენ ჩამინერგე გულში, რაც სამოთხე მეგონა. შენ მომწამლე. შენთვის რა სიხარულია დიადო, ყოვლადძლიერო, ყოვლისმცოდნევ, რომ წამართვი

სიყვარულით ბედნიერების უფლება? რა საჭირო იყო ჩემი გულის ანთება ელზბეტის სიყვარულით? თუ ფიქრობ, რომ ის ჩემი ნებით ავირჩიე? შენ, სწორედ შენ მიმიყვანე მასთან. მე შევძელი გამეგონა ის, რასაც შენს ნებად მივიჩნევდი. შენ ყოვლადძლიერი ხარ. რატომ? შენ კი ხარობ იმით, რომ მე გზას ავცდი.

თვალები გაშმაგებით აენთო, ის წამოდგა იატაკიდან, უფრო ახლოს მივიდა და ყვირილი მორთო, უკვე ყელშიც ტკივილს გრძნობდა:

— მოვედი, რომ დაგწყევლო!!! მოვედი, რომ საბოლოოდ გაგისწორო ანგარიში!!! ნუთუ შენ ხარ გულმონყალე? რა მცირე ყოფილა შენში სიყვარული!!! შენ შურს, ბოროტებას თესავ!!! განა შენ არ შექმენი ლუციფერი? შენ არ ჩააგდე მასში ბოროტების თესლი? და ანგელოზი სულით დაეცა შენი გაუთავებელი განსაცდელით.

— მაშ მომისმინე, — განაგრძობდა ის უსაზღვრო სიძულვილით შეპყრობილი, — მინდა გითხრა, თუ შენ შენი ყოვლისშემძლეობით ჩვენ, ადამიანებს, თავისუფალი ნება გვიბოძე, — ჩურჩულებდა ის, — მაშინ მე, იოჰანეს ელიას ალდერს, მსურს ვიგემო ეს თავისუფლება. და თუ მე, ელიას ალდერი, დავიღუპე ბი, იცოდე, ეს ჩემი ნებაა და არა შენი. ამიერიდან აღარ ვრცელდება შენი ძალაუფლება ჩემზე. ამ სიტყვების წარმოთქმისას მან თვითმკვლელობა ჩაიფიქრა. მთელი მისი უბედური ცხოვრების განმავლობაში ერთი სურვილიც არ ასრულებია, მას ბავშვობაც არ ჰქონია. მშობლებმაც კი ხელი ჰკრეს. ნაადრევად ჩამოყალიბებულსა და განვითარებულს,

იმის საშუალებაც არ მიეცა, რომ ფელდბერგში ნოტების წერა-კითხვა ესწავლა. მუსიკა მალულად უყვარდა, ეკლესიაში ქურდივით იპარებოდა, მუდმივი შიშის ქვეშ, რომ „დანაშაულის“ ადგილზე ვინმეს არ მიესწრო. რამდენჯერ ეხვეწა განსვენებულ ბიძია ოსკარს დახმარებოდა მუსიკის სწავლაში, მაგრამ არც ამ სურვილს ეწერა ასრულება. ის უდრტვინველად აიტანდა ყველაფერს, ღმერთს მისთვის სიყვარულში ასე სასტიკად რომ არ გაეცრუებინა იმედი.

ელიასმა დადუმებაც ვერ მოასწრო, რომ მოხდა რაღაც უცნაური რამ. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ეს იყო ელიასის წარმოსახვის ნაყოფი თუ სინამდვილე. მაგრამ უცებ მას ისევ მოეჩვენა, რომ ვიღაც იყო ეკლესიაში. მან რაღაც შეუცნობი ძალა, სითბო იგრძნო. თავდაპირველად თითქოს კეფა, მხრები აეწვა, შემდეგ — მთელი ზურგი. იმავე წამს უცნაური ხმები დაირხა მთელ ეკლესიაში და ელიასს მოეჩვენა, რომ ეს ნაზი ხმა, მხოლოდ ერთი პირიდან მოდიოდა. მერე ისევ მიწყდა ხმები, ისევ ნაზად დაირხა.

ვიღაც უკრავდა ორგანზე. ელიასი შეტრიალდა და როცა დაინახა, რა ხდებოდა ეკლესიაში, სუნთქვა შეეკრა.

ამ იდუმალი ხმების ახსნა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. როცა ელიასი ორგანთან ბოლოს იჯდა, დაკვრა რომ დაამთავრა, დაავიწყდა და რეგისტრები მოქმედ მდგომარეობაში დატოვა. გარდა ამისა, ფანჯარა, რომელიც ჩრდილოეთის მხარეს გადიოდა და ინსტრუმენტის გვერდით მდებარეობდა, ღია იყო. როგორც ჩანს, ძლიერმა ქარმა დაუბერა

და ორგანშიც შეაღწია, სწორედ ამან დაარხია ეს მრავალი ხმა. ხოლო ის, რაც ელიასმა იხილა, ამის ახსნას ჩვენ ვერ შევძლებთ.

— ვინ ხარ? — გაფითრებულმა წაიჩურჩულა მან და თვალს არ აშორებდა სახარების მხარეს შუა სკამებს. ვინ ხარ? — გაიმეორა მან და შიშისგან ტუჩები აუკანკალდა.

ორგანის მილების სუსტი გუგუნი ჯერაც ისმოდა, შემდეგ მალევე შეწყდა. მხოლოდ ჯვარცმის ქანდაკება ირხეოდა სანთლის ნამწვის მბჟუტავ შუქზე.

— საიდან მოხვედი? — იკითხა ელიასმა ჩახრინწული ხმით. მუქი ყვითელი სხივი ჩასრიალდა ბავშვის შეხვეულ თავზე, უსუსურად რომ ჩექინდრა მხრებში, სხეულზე უხეში ქსოვილის, მთლად დაფლეთილი ქურთუკი ემოსა.

— ვინც უნდა იყო, მე შენი არ მეშინია! — ამოიღო ელიასმა ხმა, თან თვალები დაძაბა. მისმა გულისცემამაც თანდათან დაიბრუნა უწინდელი, ბუნებრივი რითმი. თავს მოერია და მიუახლოვდა სააღდგომო სანთელს, სასანთლიდან ამოიღო, გადააბიჯა ტიხარს და ფრთხილად მიუახლოვდა სკამს, სადაც ბავშვი იჯდა. ელიასმა დაინახა, რომ ბავშვს ხელში რაღაც ეჭირა, ამ საგნით თამაშობდა. ბავშვმა ოდნავ თავი გადახარა და ელიასს მოეჩვენა, რომ მას მუშტისოდენა შავი ლაქა ემჩნეოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ბავშვს, მით უფრო მეტად გრძნობდა ბავშვიდან მომდინარე სითბოს. ეს იყო რაღაც უჩვეულო სითბო, რომელიც ამ არსებისგან მოდიოდა და ენით აუწერელ ნეტარებასა და სულიერ

სიმშვიდეს ანიჭებდა. ელიასმა ვერ გაბედა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა. მან ცოტა მაღლა აწია სანთელი, რომ მთლიანად დაენახა ეს პატარა არსება.

ელიასმა ბავშვის ისეთი სახე დაინახა, როგორიც ეშბერგისთვის არ იყო დამახასიათებელი. სკამზე იჯდა ბიჭი და ლოცვანით თამაშობდა. ის ფურცლავდა გვერდებს, ცნობისმოყვარე არსება თითებით ეხებოდა ქაღალდს, ისევ ფურცლავდა, წიგნი ტუჩებთან მიჰქონდა, კვნეტდა ტყავის ყდას და მერე ისევ ფურცლავდა წიგნს. ის ჩუმად ადევნებდა თვალს ბიჭს და გამოუთქმელ სიმშვიდეს გრძნობდა. შემდეგ ბავშვის თავზე შეაჩერა მზერა. უხეში ტილოთი ჰქონდა შეხვეული, მარცხენა საფეთქელზე გატყლაპული შავი ლაქა გამხმარ სისხლს ჰგავდა. ელიასმა შეხედა წაბლისფერ ძონძებს, უმწეო სხეულს რომ უფარავდა. ის მიხვდა, ბავშვი იყინებოდა, მერე დაინახა, რომ მას საშინელი ჭრილობა ჰქონდა. კიდევ ერთ უცნაურ თავისებურებას მიაქცია ყურადღება — ბავშვს ჭიპი არ ჰქონდა.

— შენ ღმერთი ხარ? — ძლივს დაიბრუნა ელიასმა თავისი ხმა და ჰკითხა ბავშვს.

ბავშვმა თავი აწია და ელიასს შეხედა. სინათლემ, რომელიც ბავშვის ნაღვლიანი თვალებიდან გამოკრთა, თითქოს მოაჯადოვა.

— უფალო, მომეც სამარადისო განსვენება და დამიფარე მარადიული სხივით. უცბად ელიასი მიხვდა, ვინ იყო მის წინაშე.

ელიასი უზომოდ გაიტაცა სილამაზემ, რომელიც ბავშვის იდუმალი თვალებიდან კრთოდა, მას სურდა,

თუნდაც მის შიშველ ფეხს შეხებოდა. ის იყო ხელი გაინვდინა, რომ ბავშვის სხეულზე ჭრილობა უფრო გაიხსნა. ბავშვი ცდილობდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ არ შეეძლო. ელიასმა დაინახა საფეთქელთან შავმა ლა ქამ, როგორ დაიწყო ელვარება, თითქოს მის გარშემო წყლიანი შარავანდი იქმნებოდა, ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა. ბავშვი საშინლად იტანჯებოდა, ცდილობდა, ხმა ამოეღო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. პირიდანაც სისხლის ნაკადმა გადმოხეთქა. ელიასმა კიდევ ერთხელ გაინვდინა ხელი. ეს იყო ხანგრძლივი და აუნერლად გაურკვეველი რამ. ჭრილობა კვლავ იხსნებოდა და კვლავ ცდილობდა, ბაგეებით რაღაცის თქმას.

ელიასი მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა, ბავშვს მიახლოებოდა. ფიზიკური ძალები ტოვებდა მას და ელიასი დაეცა, ამდენ ტანჯვას ველარ გაუძლო. ის მთელი ღამე ინვა სკამებს შორის, დილას კი მიხელ მენახშირემ შეანჯღრია და გააღვიძა. როცა ელიასმა თვალები გაახილა, მიხელმა გამყივანი ხმით წამოიყვირა. ელიასის თვალებმა უჩვეულო ფერი დაკარგა. მკვეთრი ყვითელი გარსი მუქი მწვანე გამხდარიყო და, როგორც უწინ, ავდრის შემდეგ აბიბინებულ მდელოს მოგაგონებდა. სინამდვილეში ელიასის თვალებმა თავისი ნამდვილი ფერი დაიბრუნა, მაგრამ მიხელი ამას როგორ მიხვდებოდა.

სწორედ იმ საღამოს სიხარულისგან გადარეული ზეფინა თავის შვილს უყვებოდა, ნახევრად დამბლადაცემული მამა უცებ, ცოტა ხნით როგორ გამოცოცხლდა, ლოგინიდან წამოდგა და კვლავ

ალაპარაკდა. ასე იყო ნახევარ საათზე მეტხანს. და ის მზად იყო დაეფიცა ღვთისა და ყველაწმიდის წინაშე, რომ მას ეს არ დასიზმრებია.

უცხო ქვეყანაში

ბუნებრივი თვალის ფერის დაბრუნება იმის აშკარა ნიშანი იყო, თუ რა გადაიტანა ელიასმა იმ მისტიკურ ღამეს. დაჭრილმა ბავშვმა მას კიდევ ერთი ნიშანი დაუტოვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი: ელიასმა დაკარგა სიყვარულის უნარი. მისი გული უცბად განთავისუფლდა მტანჯველი სიყვარულისგან — ელზბეტი მისთვის სულერთი გამხდარიყო.

ის უკვე აღარ კრთოდა მთელი არსებით, როცა კარი უცბად გაჯახუნდებოდა. შორს მიმავალი ქალი აღარ იწვევდა მისი გულის აძგერებას. ჭასთან გაგონილ ქალის სიცილს უკვე აღარ აიგივებდა ელზბეტის სიცილთან. ის განთავისუფლდა ამ ტანჯვა-წამებისგან.

მაგრამ ეს ხსნა განაპირობებდა სწორედ ყოფიერების უაზრობის შეცნობასაც. ეს ჩვენთვის ცნობილია დიდი ადამიანების ბიოგრაფიებიდან. იესომ, ჯვარცმის სატანჯველისგან თავდახსნილმა, აღარ ისურვა ამ სამყაროში დაბრუნება. ბოროტებისა თუ სიკეთის მოციქულები, კაცობრიობის ტირანები, აკეთებდნენ რა თავიანთ მიწიერ საქმეს, ნაადრევ სიკვდილს ეძებდნენ და პოვებდნენ კიდეც. ჩვენ არ ვაყენებთ ჩვენს გმირს ამ წმინდანების რიგში, მაგრამ მან მათი ბედი გაიზიარა: ის სიკვდილს ეძებდა და, რაც

უნდა პარადოქსული იყოს, მან სიკვდილი სწორედ მაშინ ისურვა, როცა გარეგნობის თუ შემოქმედების თვალსაზრისით უკვე წარმატება ელოდა.

1825 წლის ზაფხულის თვეებში, მისი სიკვდილის წელს, მოულოდნელად ფელდბერგის ტაძრის ორგანისტმა, საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელმა, ბრუნო გოლერმა ჩვენი მუსიკოსის გენიალური ნიჭი აღმოაჩინა. თუ როგორ მოხდა ეს და როგორ განვითარდა მოვლენები, მოგვითხრობს ჩვენი წიგნის შემდეგი გვერდები.

ვცადოთ და ელიასის გულში ჩავიხედოთ, რომელიც ელზბეტის ქორწილში ორგანს უკრავს. ეს მისი სურვილი იყო, რომ საქორწინო ზეიმი ორგანზე დაკვრით ჩატარებულიყო. იმ დროს საქორწინო ტანსაცმელი შავი ფერის იყო. ეს ტრადიცია დღესაც არსებობს ფორალბერგში და იმ რწმენაზეა დაფუძნებული, რომ ქორწინების დღე არ შეიძლება სასიხარულოდ ჩაითვალოს, რადგან სიხარულის შემდეგ ამქვეყნად ცოდვა მოვიდა. მაშინდელი ქორწინებისთვის, მართლაც, შავი ფერი მიაჩნდათ ყველაზე შესაფერისად. სიყვარულით იშვიათად ქორწინდებოდნენ, თუმცა ელზბეტი ბედნიერი პატარძალი იყო. წელში გასნორებულმა, მოხდენილმა გოგონამ მუხლი მოიყარა, როგორც ეს მიღებული იყო. მხოლოდ იშვიათად აძლევდა თავს უფლებას, ლუკასისკენ გაეხედა. ლუკასს კმაყოფილი, გულუბრყვილო და უაზრო გამოხედვა ჰქონდა. ეს აძლიერებდა ელზბეტის აზრს, რომ ისინი ღვთის სიბრძნემ შეყარა ერთად. „სახეზე აწერია — რომ

ლუკასი ცხოველებს არასოდეს მოეპყრობა ცუდად. ერთხელაც არ მინახავს, რომ ეცემოს ან ეჩხუბოს რომელიმე პირუტყვისთვის" — ფიქრობდა გულში ელზბეტი.

ელიასმა მათ მიუძღვნა ოსტატობით შესრულებული ღირსეული, მაგრამ მაინც ცივი საორგანო მუსიკა, საქორწინო ცერემონიალისთვის რომ იყო განკუთვნილი. დაკვრისას მას ის დრო გაახსენდა, როცა ელზბეტის გულის რითმმა მას მუსიკის დიდებული ტაძარი აღმოაჩენინა.

ამ გოგონას მიმართ გარკვეულმა სიმპათიამ იგი შეაგულიანა ეს კიდევ ერთხელ გაეკეთებინა — და საქორწინო მუსიკით დაესრულებინა. მან მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, სმენა დაძაბა, მაგრამ განსაკუთრებული რიტმის დაჭერა არც უცდია. უბრალო „იავნანას" მელოდიაზე შეაჩერა არჩევანი. ამ მუსიკაში გულწრფელი სურვილი ჩააქსოვა, რომ ელზბეტის მომავალი ბავშვი ჯანმრთელი დაბადებულიყო და გაზრდილიყო. საქორწინო ცერემონიალის შემდეგ ყველამ ტაძრის წინ მოიყარა თავი ახლად დაქორწინებულების გარშემო, რიგრიგობით ულოცავდნენ და ართმევდნენ ხელს. ელიასმა თავი აიძულა, რომ მილოცვებს ისიც შეერთებოდა. მან ელზბეტს თავისი ძლიერი, ნაზი ხელი გაუწოდა და ისე, რომ გარშემო მყოფთ არ გაეგოთ, ჩასჩურჩულა:

— დრო რომ მოვა, ნათლიად დამიძახეთ.

— შევთანხმდით, — თქვა ლუკასმა, მაგრამ ელზბეტი მაშინვე შეეპასუხა: ორ საქმეს ერთად

როგორ აუხვალ: ორგანზე დაკვრას და ბავშვის ნათლობას?

— რატომაც არა, — გაიცინა ელიასმა, — ხან დავუკრავ, ხანაც დაბლა ჩამოვირბენ და ნათლობაში მივიღებ მონაწილეობას, მერე ისევ ორგანს დავუბრუნდები და ასე შემდეგ.

მისმა ნათქვამმა ყველა გააცინა. ელიასი მთელი გულით იცინოდა. ელზბეტმა თვალებში ჩახედა. ის ჯერაც ვერ შესჩვეოდა მისი თვალების შეცვლილ ფერს. იმწუთას გოგონას სახეზე სევდა გაკრთა, ან იქნებ ეს სულაც ასე მოგვეჩვენა, რადგან ვერაფრით აგვიხსნია, ამ ორმა რატომ ვერ მოძებნა ერთმანეთისკენ სავალი გზა. ეგებ მკითხველმა თავად სცადოს ჩვენთან ერთად გაერკვეს, რა მელანქოლიური ჩრდილი ჩამოწვა ელზბეტის სახეზე.

— ნუთუ ეს ელიასია, — მოუსვენრობაშეყრილი ფიქრობდა პეტერი. ან რა უხარია, ან რა ხუმრობის ხასიათზეა? პეტერს აღარ ესმოდა თავისი მეგობრის.

ერთი საათის შემდეგ კი, როცა საქორწინო მაგიდასთან ელიასი სხვების გასართობად ეშბერგელების სხვადასხვა ხმას ბაძავდა, პეტერი უკვე ბრაზობდა. იჯდა გაქვავებული სახით და თითებით სუფრას ებღაუჭებოდა.

— მატყუარა! — ეცა ელიასს განთიადისას, როცა ისინი თავ-თავიანთი სახლისკენ მიდიოდნენ.

ელიასმა გაკვირვებულმა გახედა.

— ასე მოულოდნელად სად გაქრა შენი გრძნობები მის მიმართ? ესე იგი არც არასოდეს გყვარებია! — ღვარძლიანად უთხრა პეტერმა.

— ყველაფერი კეთილად დასრულდა, — უპასუხა ელიასმა.

— რას ხედავ ამაში სასიკეთოს! — მრისხანედ წამოიძახა პეტერმა.

— მეგობარო, ასე რამ გაგაცხარა? — შეეცადა ელიასი პეტერის დამშვიდებას, — მივხვდი, რომ ელზბეტი სხვას ეკუთვნოდა. ასე განვითარდა მოვლენები. ჩვენ, ადამიანებს, მხოლოდ ბრმად შეგვიძლია გავყვეთ უფლის მიერ დასახულ გზას. ამ სამყაროში მეტი სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

— შენ არც კი გიცდია. ნამდვილი მამაკაცი მას ყველაფერში გამოუტყდებოდა.

— შენ კი აღიარებ შენს გრძნობებს?

პეტერი ამაზე მაშინვე გაჩუმდა და ისე, რომ არც გამომშვიდობებია, გაშორდა.

შემდეგ კვირებში ელიასი მიხვდა, რომ მასში უკვე აღარაფერს შეეძლო მგზნებარე გრძნობების გამოწვევა. სკოლაში მუშაობა, ადრე ასე რომ იტაცებდა, ახლა სევდას გვრიდა, ბავშვების ყვირილი აღიზიანებდა. ძლივს იღვიძებდა, თვალს გაახელდა თუ არა, უკვე დაღლილად გრძნობდა თავს, საათობით იწვა ლოგინში. ეს მას არასოდეს ახასიათებდა. ადრე ის მკვირცხლად წამოხტებოდა ხოლმე საწოლიდან, ფანჯარას აეკვრებოდა და ხარობდა, როგორც კი ინათებდა. ახლა კი ზაფხულის ჰაერის სურნელება და ოქროსფერი ბრწყინვალება მასში არანაირ გრძნობას არ ბადებდა, აღარც დილა აძლევდა იმედს. ყველაფერი უშინაარსო, ფერწასული გამხდარიყო მისთვის.

გული დაუბერდა, სისხლი დაუშრა. სამზარეულოში დაგდებულ დამჭკნარ ვაშლს დაემსგავსა. მან სცადა ჩამქრალი სურვილის დასაბრუნებლად უკანასკნელი ძალა მოეკრიბა და მოგონებებს მიეცა. იმ ადგილებში მიდიოდა, რომლებიც წარსულ გატაცებებს აგონებდა, მაგრამ, გარდა მოწყენილობისა და უფერულობისა, ვერაფერს გრძნობდა.

— შენ ის არასოდეს გყვარებია, — პეტერის საყვედური განუწყვეტლად ყურში ჩაესმოდა. იქნებ მართლაც არ მყვარებია? — კვნეტდა ის მჟაუნას ფოთლებს და თავის თავს ეკითხებოდა. მე ხომ ღმერთი საბრძოლველად გამოვიწვიე. თვით უიმედო სიყვარულის ატანაც კი უფრო იოლია, ვიდრე არანაირი სიყვარულის შეგრძნება.

ასე ესაუბრებოდა ის საკუთარ თავს, რომ უცბად ხელზე თეთრი პეპელა დააჯდა. მალე ცხელი ჰაერის ტალღამ მეორეც მოიზიდა. მათ ორივემ ფარფატი დაიწყეს და მერე სადღაც სივრცეში გაუჩინარდნენ. მას პირველი ღამე გაახსენდა, ორგანთან ერთად რომ გაატარა. გაახსენდა თავისი პირველი ოპუსი, როცა საშობაო საეკლესიო გალობა სხვა მელოდიასთან გააერთიანა, პეპლების ცეკვას რომ მიამსგავსა. ელიასს ტირილი მოუნდა, მაგრამ ტირილის უნარიც აღარ ჰქონდა. ის გზაზე გავიდა და დაიფიცა, რომ სიყვარულის უნარს დაიბრუნებდა. როგორ სურდა ელიასს, დაებრუნებინა გარემოს, სუნის, იმედის, ტანჯვის უწინდელი ძალა. ის გრძნობდა, რომ მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო. სასტიკი იყო კანონი, რომლის მიხედვითაც ყველანაირ სიყვარულს

გარდაუვალ სიკვდილამდე მიჰყავხარ. და ეს სიკვდილი ამ შემთხვევაში მეტად მძიმე ფორმით განცხორციელდებოდა.

დროებით დავშორდეთ ჩვენს გმირს, ნუ შევეცდებით იმ ენითაუწერელი ქიმერის აღწერას, რომელშიც ის თავშესაფარს ეძებდა. თუმცა სავსებით გასაგებია მისი სასონარკვეთა. განა მთელი მისი ცხოვრება ღვთის სასჯელი არ იყო?

ზაფხულში, როგორც ვთქვით, სხვადასხვა სახის საკმაოდ ბევრი მოვლენა მოხდა. ივლისის დასაწყისში გადაწყდა სოფლის გზა გაეფართოვებინათ, ისე, რომ თუნდაც ორ ურემს ერთად შეძლებოდა გავლა. შუასაუკუნეობრივი ძილისგან ეშბერგელები ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყვნენ. ფორალბერგის სოფლებში კი შეუდგნენ რაღაც უცნაური ბეღლების აშენებას, რკინიგზის ურჩხულის გრუხუნიც შეიჭრა უკვე და მივარდნილი ადგილები სარფიან ცენტრებად იქცა.

გზის გაფართოება ნულფ ალდერის იდეა იყო. მას შემდეგ, რაც თანასოფლელების დასაცინად თავისი შვილის მოჯამაგირედ იქცა, მამასახლისის თანამდებობაც ჩამოართვეს. მაგრამ ახირებული ალდერის სიტყვა ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავდა. ელზბეტის ქორწილის შემდეგ ის და თავისი ცოლი ლუკას ალდერის სახლში ცხოვრობდნენ. ეს პირობა პეტერმა გამოსტყუა ლუკასს. მზითვის მიცემაშიც გააცურა. შეპირებული სამი ძროხის ნაცვლად ორი მისცა.

სწორედ იმ ზაფხულს ეშბერგის მცხოვრებნი

უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მათ სულში რაღაც აუხსნელმა მოუსვენრობამ დაისადგურა. ეს გამალებულ საქმიანობაშიც გამოიხატა. ბევრმა გლეხმა უკვე მეორედ გათიბვა მოასწრო, რადგან ადრეული ბალახიც მოთიბეს და თივის ზვინი უნინდელზე სამჯერ ნაკლები გამოვიდა. ზოგიერთი ახალგაზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის არანაირი საჭიროება არ იყო, ყოველდღე დაიარებოდა გიოცბერგში. მათ, ასე ვთქვათ, ევინროებოდათ აქაურობა და გაბეზრებული იყვნენ. იქ ისინი ვიღაც ბნელით მოცულ ადამიანებთან ამყარებდნენ კავშირს და რაც უფრო დიდხანს არ ბრუნდებოდნენ ეშბერგში, მით უფრო ერეოდათ გონება და ცხოვრების გზა. ისე მჭევრმეტყველება და აზროვნება კი გაიმდიდრეს, მაგრამ ახალი მახინჯი თვისებებიც შეიძინეს. ლამპარტერი უკვე ბაქიაობდა, მალე ძროხების ავტომატური მოწველა აქაც შემოვა, ჩემი თვალით ვნახე გიოცბერგშიო. თანამედროვე ეპოქის დრო დამდგარიყო. ზაფხულის ბოლოს, მიუხედავად მოხუცების პროტესტისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნავთის ხმარება დამკვიდრდა. ეს სწორედ ის სითხე იყო, რომლითაც ერთი წლის წინ „მეტნილა“ თავის ოთახს ანათებდა. ახალგაზრდებს სოფელში ჩამოჰქონდათ სამარცხვინო წიგნები, რომელთაც გიოცბერგის საქმოსნები დიდ ფულად ყიდდნენ. დასურათებულ წიგნებს ხელიდან იტაცებდნენ, გაოგნებულები მიშტერებოდნენ შიშველი ქალების გამოსახულებებს და დორბლი ჩამოსდიოდათ.

ამასთან დაკავშირებით მიხელ მენახშირის საკმაოდ სახიფათო ბედზე გვინდა მოგიყვეთ.

მიხელიც ესწრაფოდა სწავლა-განათლებას. ის ერთი იმათგანი იყო, ვინც ყოველდღიურად დაეხეტებოდა გიოცბერგში და გვიან საღამოს გაწითლებული ბრუნდებოდა სახლში. ვინმე მარკუს ჰუფერმა, მაწანწალა მოვაჭრემ, რომელიც მიუღებელ წიგნებს ავრცელებდა, რის გამოც არაერთხელ მოხვდა კიდეც სოფლის საპყრობილეში, მიხელს შეაჩეჩა ჰერდერის „კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის იდეები". მენახშირემ აკურატულად გადაწერა მთელი ტომი. ამ წიგნმა მასში გააღვიძა შორეული ქვეყნების აღმოჩენის სწრაფვა. ის ოცნებობდა მოეძებნა ველურ ბინადართა ადგილსამყოფელი და დარჩენილი წლები იქ გაეტარებინა. წიგნში ეწერა, რომ კალიფორნიელი ქვეყნის დასალიერში, უნაყოფო მიწაზე უძლებდა ღარიბულ ცხოვრებას და იქაურ კლიმატს. ის არ უჩიოდა არც სიცივეს, არც სიცხეს, არც შიმშილი აწუხებდა და, რა გაჭირვებულიც უნდა ყოფილიყო, მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს. ის, რომ წელიწადში ლამის რამდენჯერმე უწევდა ღამის გასათევი ადგილის გამოცვლა, არც ეს ანაღვლებდა. იქ იძინებდა, სადაც შემოაღამდებოდა. არც მავნებელი მწერები აწუხებდნენ, არც ჭუჭყი. მუქი ყავისფერი კანი ლამის უკვე ქურთუკადაც ადგებოდათ, არც ლაბადა სჭირდებოდათ, არც რამე სამოსი. იქ მცხოვრებთა მთელი ქონება იყო მშვილდი და ისარი, დანისმაგვარი ქვა, ნაჯახი და წამახვილებული ჯოხი, კუს ბაკანს აკვნად იყენებდნენ, ველური ცხოველების

ნაწლავები ჭურჭლის მაგივრობას უწევდათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ისინი ჯანმრთელნი, ძალ-ღონით სავსენი არიან. თუ რომელიმე მათგანს ხანდაზმულ ასაკში თმა გაუჭაღარავდება, ამას ისინი სასწაულად აღიქვამენ. სიცოცხლის ბოლომდე მხნედ და მხიარულად ცხოვრობენ, სიცილის უნარი არასოდეს უქრებათ...

მენახშირემ სწორედ იმ დასახლების პოვნა გადაწყვიტა, სადაც ქალები შიშვლები დარბიან და მუქი ყავისფერი კანი აქვთ, სადაც ყოველთვის მხიარულება და ბედნიერება სუფევს. უნდა მოეძებნა ეს ადგილი, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა. ამგვარად, მოემზადა ის შორეული მგზავრობისთვის, დაემშვიდობა ახლობლებს და ვიკარ ბოიერლაინსაც, რომელმაც გამოსამშვიდობებელი სიტყვების ნაცვლად უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო".

ასე გაემართა მენახშირე არლბერგის მიმართულებით და დაინყო მთელ ქვეყანაში ხეტიალი. ალალბედზე გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. მას ზურგჩანთაში საგზლის ნაცვლად წიგნი ედო — „კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის იდეები", გეგონება, ის გამოკვებავდა.

ვერავინ მიასწავლა კალიფორნიისკენ გზა, ამ ხეტიალში რეტიის ალპებამდე მიაღწია, შემდეგ მთებით ვალეს კანტონში გადავიდა და ბოლოს შიმშილისგან დაუძლურებული ვიღაც მეტყეველმ იპოვა ლეკოში. იქ მან რვა კვირა დაყო, შემდეგ იქიდან გაიპარა და ლომბარდიაში პოლიციამ მის

დაპატიმრებაზე გასცა ბრძანება. მან სწორედ ის მეტყეევე მოკლა, რომელმაც გადაარჩინა. მოკვლის მიზეზი კი ის იყო, რომ მეტყეევეს სურდა, სასაკლაოდან მოტანილი გულ-ღვიძლით გამასპინძლებოდა. მიხელი პიემონტში გაემგზავრა და კიდევ უფრო შორსაც — ლიგურიის სანაპიროსკენ. იქ ლევანტის გემზე, რომელსაც ყავა გადაჰქონდა, მეზღვაურად მოეწყო. მას არ ეხერხებოდა ფულის ეკონომიურად ხარჯვა და რამდენიმე საათში ქუჩის ქალებს ახარჯავდა მთელ ფულს. ტულონის ნაპირთან გემმა მარცხი განიცადა და ჩაიძირა, მაგრამ ღმერთმა მიხელი დასახრჩობად არ განირა და ტალღებმა ის ვიღაც ტულონელი ყასბის ფეხებთან გამორიყა. მასთან იმსახურა ათი თვე და სულაც არ განელებია თავისი ოცნება, ეპოვა კალიფორნია. ტულონში მიხელმა კიდევ რამდენიმე უზნეო დანაშაული ჩაიდინა. მან ერთი ადგილობრივი მცხოვრები შავკანიანი ქალი კალიფორნიელად ჩათვალა. ის აქედანაც იძულებული გახდა გაქცეულიყო. მიხელმა ვერსად იპოვა თავისი ოცნების ქვეყანა, ამასობაში 43 წელიც შეუსრულდა, გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო და თავისი ცხოვრება უბრალო გლეხად დაესრულებინა. უკან დასაბრუნებელი გზა უფრო რთული აღმოჩნდა, თან ვალეს კანტონში მას ნერვიული ციებ-ცხელება დაემართა და ვინც ამ გაუბედურებულ, დატანჯულ ადამიანს ნახავდა, გული სიბრალულისგან ეკუმშებოდა.

მისი ცხოვრების ყოველ წვრილმანზე შეჩერება ნამდვილად არ ღირს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ,

რომ ის მართლაც დაბრუნდა თავის სამშობლოში, მაგრამ ეშბერგში კი არ დასახლდა, არამედ ჰოენბერგში, სადაც მეჯინიბედ მოეწყო. წლების განმავლობაში თავგადასვლების წყურვილიც ჩაუქრა, სიბერეში კი დაქორწინებაც მოახერხა. ცოლმა თხუთმეტი შვილი აჩუქა და მათ ალბათ ასჯერ მაინც მოუყვა იმ მუქკანიანებზე, ეგრეთ წოდებულ კალიფორნიელებზე, მათ ქვეყანაზე, სადაც ვითომ ის მთელი ოთხი წელი ტომის ბელადი იყო. აქ უკვე სამუდამოდ ვეთხოვებით მიხელ მენახშირეს. მან ას რვა წლამდე მიაღწია და მისი სიკვდილის თარიღი ახალი საუკუნის დასაწყისს დაემთხვა. მის შვილებსა და შვილიშვილებს წინაპრების ღირსება არ შეულახავთ. ჩვენს დროში ჰოენბერგში იცნობდნენ სამ შესანიშნავ ადგილობრივ პოეტს, რომლებიც უპირატესად საეკლესიო ლექსებს წერდნენ. მიხელ მენახშირეს ბედი წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა ძალა ჰქონდა მაშინ ქაღალდზე დაწერილ სიტყვას.

სულიერი ფორიაქი, ახალ ეპოქასთან შესისხლხორცება, შორეული ქვეყნებისკენ სწრაფვა — ეს ყველაფერი ელიას ალდერს არ შეხებია. და არც შეუმჩნევია. ის იმათ რიგს არ განეკუთვნებოდა, ვინც გიოცბერგში დაიარებოდა, არც იმ გაცვეთილსურათებიან წიგნებს კითხულობდა, ხელიდან ხელში რომ გადადიოდა. მისი ლექსიკონი უწინდებური დარჩა, მეტყველება კი — ღარიბული.

საღამოობით, ვახშმად რომ გადიოდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა, ჩუმად ჯდებოდა თავის ადგილზე, მუხის მაგიდასთან და უმადოდ ჭამდა სიმინდის

შეჭამანდს. აქაღვწერთ ალდერების სერობის უცვლელ სურათს: სამხრეთის ფანჯრიდან რძისფერი მქრქალი საღამოს შუქი იჭრებოდა. ზეფინა ლურჯ წინსაფარში გამონყობილი, ნიკრისით შეპყრობილი, შეჭამანდს ასხამდა ქმარს გვერდზე მოქცეულ პირში, ჭკუასუსტი ფილიპი თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, ფრიცი პირჯვარს იწერდა და ამ გარემოცვაში იჯდა ჩვენი ნიჭიერი მუსიკოსიც. ამ სცენის შემხედვარეს არავის მოუვიდოდა აზრად, რომ იქ ცხოვრობდა გენიოსი, რომელმაც თავისი ინტელექტის წყალობით იმდენი რამ იცოდა, რასაც შეიძლება XIX საუკუნის მუსიკის ისტორიაში გადატრიალება მოეხდინა. აბა ამას ვინ წარმოიდგენდა. ეს უფრო ნაღვლიან ზღაპარს მოგვაგონებს.

ამ ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი კვირები მოჩვენებებითა და წარმოსახვებით იყო სავსე, ტანჯავდა დანაშაულის გრძნობა და სასოწარკვეთა. მან საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომ უნდა მომკვდარიყო, ის ამ იდეით უკვე შეშლილს დაემსგავსა. სხვაგვარად შეუძლებელიცაა იმის ახსნა, როგორ მოუვიდა თავში ამ წარმოუდგენელი გზით თავის მოკვლა. ეტყობა, მაინც იმედს არ კარგავდა, რომ დროს უკან დააბრუნებდა, ელიასი წარსულის მიმართ ავადმყოფურ სევდას შეეპყრო. ერთხელ მან ყველას წინაშე განაცხადა, რომ ის ჩვიდმეტი წლის იყო და მისი გარეგნობა ადრეული სქესობრივი მომწიფებით აიხსნება. თუ კალენდარს დავუჯერებთ, ის 22 წლის იყო, მაგრამ, თავისი ბიოლოგიური ასაკის მიხედვით, 40 წლისას ჰგავდა. ის სიჯიუტის თუ უკიდურესი

სასოწარკვეთილების გამო თავს ინუგეშებდა, ვითომ ელზბეტი ჯერ არ იყო გათხოვილი, ისევ ქალიშვილი იყო და ასეც დარჩებოდა, ვიდრე მოწიფულობის ასაკს მიაღწევდა, აი მაშინ კი სთხოვდა ცოლობას. რაოდენ მტანჯველიც უნდა ყოფილიყო მცდელობა, წარსულის მაჯისცემა აღედგინა, არაფერი გამოსდიოდა. მან იცოდა, რომ ელზბეტი აღარ უყვარდა. ისიც იცოდა, რომ ღმერთმა მას სიყვარულის უნარი წაართვა. ამაზე ფიქრი მისთვის იმდენად აუტანელი გახდა, რომ მაზოხისტური ტანჯვით ცდილობდა თავიდან მოეშორებინა. სინამდვილეში, ღმერთმა იხსნა იგი, მაგრამ ელიას ალდერს ამის გაგება არ სურდა. ელზბეტის სიყვარულით რომ იტანჯებოდა, უფალს შეებრალა და უნდოდა, მისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა.

განა ჩვენს მკითხველს კი არ განუცდია ასეთი მომენტი? ყოველ ჩვენგანს ალბათ მოულოდნელად, პირქუში ღრუბლებიდან თავს დაცემია ბედისწერა, მაგრამ მაინც მოუხერხებია ეპოვა ერთი მტკაველი მიწა, რომელზეც იმედის სუსტი სხივი მაინც ეცემოდა. ელიასიც ასეთ მდგომარეობაში იყო.

აგვისტოს მეორე კვირას ეშბერგს ერთი უცხო კაცი ენვია. ეს იყო შეუხედავი, ქალაქურად ჩაცმული, დაგრეხილულვაშებიანი კაცი, მაღალი, მუქი ლურჯი ქუდით. ზურგზე დიდი ზურგჩანთა ეკიდა, ხელში კი თასმით გადაკრული ქაღალდების შეკვრა. ეს იყო მუსიკოსი, რომელიც ფელდბერგის ტაძარში ორგანისტად მუშაობდა. მას ერქვა ბრუნო გოლერი. ეშბერგში უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო როდი

ჩამოვიდა. გოლერი განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც თავიანთი ინტელექტუალური შეხედულებებით, ცდილობდნენ ქვეყნის ისტორია აღეწერათ. ასე რომ, გოლერს, ფელდბერგის კლასიკური ხელოვნების ინსტიტუტის დავალებით, სადაც ასევე იყო მუსიკალური ინსტიტუტი, ქვეყნის ყველა ორგანი უნდა დაეთვალიერებინა და აკურატულად აღეწერა დიდ საერთო რეესტრში.

აგვისტოს მეორე კვირაში გოლერმა აღმოაჩინა უბრალო ხუთხმიანი ორგანი და უდიდესი ორგანისტი დაკვრის საოცარი უჩვეულო სტილით, რომელიც თვით სწავლულ ორგანისტსაც კი გააოცებდა.

— ვინ ხართ თქვენ? მითხარით, წმინდა ცეცილიას სახელით, გთხოვთ მითხარით, — ჩაილუღლუღა გოლერმა, როცა შემაღლებული ადგილიდან ელიასი ჩამოვიდა.

აღელვებული სტუმარი ძლივს სუნთქავდა, ქუდს ხელში აწვალებდა.

—მ...მ...მ... მე მქვია გოლერი, ფრიდრიხ ფიურხტეგოტ ბ... ბ... რუნო გოლერი, — ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა მან თავისი სახელი და აკანკალებული ხელის ნაცვლად ელიასს ქუდი გაუწოდა.

ელიასმა უსიცოცხლოდ მოუსმინა, უაზროდ, უსიტყვოდ შესცქეროდა გოლერს და პახუხიც არ გაუცია.

— მე ფელდბერგის ტაძრის ორგანისტი ვარ, ასევე ლ...ლოტბარიც, — მორცხვად დაამატა გოლერმა. ხოლო, როცა ასე თუ ისე დამშვიდდა, კიდევ ერთხელ

ჰკითხა სახელი.

სწორედ ამ დროს მოვიდა პეტერიც, რომელიც მათ შორიდან უთვალთვალებდა და მან გამოიყვანა ამ გაურკვევლობიდან.

— ბატონო მუსიკოსო, — დაუზარებლად დაიწყო მან ლაპარაკი, — ეს ჩვენი ელიას ალდერია, ორგანისტი და აქაური სკოლის მასწავლებელი, მე მისი ბიძაშვილი და მეგობარი ვარ. როცა ის უკრავს, მე ორგანის საბერველებს ჰაერს ვაწვდი.

რადგან ელიასი კვლავ დუმდა, გოლერს პეტერთან მოუხდა ლაპარაკი.

— ასეთი გენიალური დაკვრა დღემდე ჯერ არსად მსმენია, — აღიარა მან, — თითქოს მუსიკა თვითონ პრიმიტიულია, მაგრამ მაინც საოცარი სიდიადეა მასში, რა კონტრაპუნქტია... ეს კი უკვე შესაძლებლობების ზღვარს სცილდება. ამ ორგანისტმა ოთხი ქორალი დაუკრა ოთხხმიანი პოპურის ფორმით, ეს კი მართლაც წარმოუდგენელია. არ შეიძლება, ახლავე გავეცნო ამ კომპოზიციის ჩანაწერს, რომ უკეთ შევისწავლო? შესავალში ისეთი სიმძლავრით გაიჟღერა ფუგამ, რომელსაც ვერც ერთ საორგანო მუსიკაში ვერ შეხვდებით, პოსტლუდიაში, დამასრულებელ ქორალში — „ქრისტეს იორდანიაში შესვლა“, მართლაც, აშკარად ისმის, როგორ ეხეთქება ტალღები, ფინალში კი იქ, სადაც „სიკვდილის გამოცხადებაა“, მართლაც, შეძრავს მსმენელს ამ ადგილის მოსმენა. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ამ შესრულებული ნაწარმოების პარტიტურა ვნახო?

— მოწყალეო ბატონო, — ალაპარაკდა

მოულოდნელად ელიასი, — მე ნოტების წერა-კითხვა არ ვიცი.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოწვა. პეტერი დარცხვენილი იღიმებოდა, გოლერი კი ისევ თავის ქუდს აწვალებდა.

— თქვენ ნოტების წერა არ იცით? — გოლერს ლამის ყელში გაეჩხირა სიტყვა.

— საქმეც ესაა, — ნაჩქარევად წამოიწყო პეტერმა, — მან თავად ისწავლა დაკვრა, აწ განსვენებულმა ბატონმა მასწავლებელმაც არ იცოდა ნოტების წერა-კითხვა.

გოლერი სკამზე დაეშვა.

— არც ერთი ნოტის? — უნდობლად ჩაიჩურჩულა მან.

— კეთილი ინებეთ და თავად ნახეთ, ოსკარის წიგნების გარდა, აქ ვერაფერს ნახავთ!

როგორც იქნა, გოლერი მიხვდა.

არც ერთი ნოტი, — სუნთქვაშეკრულმა წარმოთქვა მან, — არც ერთი.

ელიასს წასვლა უნდოდა, მაგრამ გოლერი, პირდაპირ რომ იტყვიან, ჩაებღაუჭა.

— ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთი პატარა იმპროვიზაცია შეასრულოთ. დაბრძანდით ორგანთან! — დაჟინებით ემუდარებოდა ის. და სამივე შემაღლებულ ადგილზე ავიდნენ.

კვლავ მოუსმინა გოლერმა ელიასის დაკვრას, ყურებს არ უჯერებდა. შემდეგ კი პეტერს არწმუნებდა, რომ ორგანისტი დაუყოვნებლად უნდა წასულიყო ფელდბერგში და მუსიკალურ ინსტიტუტში

გამოცხადებულიყო. ბედნიერი შემთხვევა, რომ ორი კვირის შემდეგ ფელდბერგში საორგანო მუსიკის ყოველწლიური დღესასწაული იმართებოდა, ხელიდან არ უნდა გაეშვათ. ამ დღესასწაულში მონაწილე კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, თავიანთი ძალა და ნიჭი გამოსცადონ. მართალია, პეტერი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა გოლერი, მაგრამ შეეპირდა, რომ ის დანიშნულ დროს უეჭველად ჩავიდოდა მეგობართან ერთად ფელდბერგში. პეტერი ნათლად გრძნობდა დიდი ტრიუმფის მოახლოებას მეგობრის ცხოვრებაში.

იმავე დღეს ბრუნო გოლერმა ეშბერგი დატოვა, ამჯერად უღალატა თავის მოვალეობას, რომ აკურატულად შეეტანა თითოეული ორგანის მონაცემები თავის სქელ რეესტრში. აი რატომ ვერ მოხვდა ადგილობრივი ორგანისტი მის გვიანდელ ნაშრომში: „ფორალბერგის საორგანო ავლადიდება". ელიას ალდერის მუსიკამ იგი სრულიად ამოაგდო კალაპოტიდან, რამდენიმე დღეს გონს ვერ მოდიოდა. მაგრამ, როცა ამ მდგომარეობიდან გამოვიდა, მწარედ ინანა, რომ ეს ეშბერგელი ორგანისტი ფელდბერგში მოიწვია. ის ფიქრობდა: „ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეს ალდერი მისი მეტოქე გახდეს. ო, წმინდაო ცეცილია, ვაითუ, ალდერს ორგანისტის მეორე ადგილი შესთავაზონ?!" გოლერი ვარდებიან ბაღში გავიდა, მუსიკოსს ჰაერი არ ყოფნიდა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ ეს ეშმაკი ბიჭი...

აგვისტოს ბოლო კვირას მეგობრები გზას დაადგნენ. გამაბრუებელი ცხელი დილა იყო,

შემხუთველი ჰაერი ლივლივებდა მთელ ჰორიზონტზე. პეტერმა ძლივს დაითანხმა მეგობარი, რომ ქალაქში წასულიყო. ბოლო ხანებში ელიასი იმდენად აპათიური გახდა, აღარც ბანაობდა. სიამოვნებით იწვებოდა საწოლში, თვალებს დახუჭავდა და იფიქრებდა, თავისი უსიყვარულობის საიდუმლოებაზე, რაც უკვე ჩვევად ექცა. პეტერმა, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა ამ მომენტის მნიშვნელობა, ეშმაკური ხერხით აიძულა ამდგარიყო საწოლიდან და უთხრა: ლუკას ალდერს ტვინის ანთება აქვს და ვინ იცის, ეგებ ელზბეტი მალე განთავისუფლდეს კიდეც. ელიასმა იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ თავად ელზბეტზე ფიქრმა ძალა მისცა ამ შორეული მგზავრობისთვის.

გამომშვიდობებისას პარალიზებულ ზეფს უსიტყვოდ ჩახედა თვალებში. დედას ჯერ ისევ ეძინა, ფრიცი ძროხას წველიდა, ფილიპი კი რატომღაც გაჭირვეულდა. ელიასი თავის მიერ ნასწავლი ბგერების საშუალებით შეეცადა ბიჭის დამშვიდებას, მაგრამ მან უფრო ხმამაღლა მორთო ღრიალი. ახლა გაჯიუტებული ფილიპი იმ ხბოს აგონებდა ძალით რომ მიჰყავდათ ბოსლიდან სასაკლაოზე. ჭკუასუსტი ფილიპი კი წინასწარ გრძნობდა, რომ ის შინ აღარ დაბრუნდებოდა.

საღამო იქნებოდა მოახლოებული, მზე უკვე ისე ულმობლად აღარ აცხუნებდა, მეგობრები შიშველი ფეხით მიაბიჯებდნენ ქალაქ ფელდბერგის ქუჩებში. პეტერმა ქალაქი კარგად იცოდა. ის ხომ აქ ნულფთან ერთად ჩამოვიდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით და ახლა შესაძლებლობას არ უშვებდა,

რომ ელიასისთვის ეჩვენებინა ფელდბერგის ღირსშესანიშნაობები.

იმ ხანად ქალაქში ჩრდილოეთის მხრიდან შემოსული მგზავრი, თავისდა უნებურად გადააწყდებოდა ძველი ქვის სახლს. მის გვერდით ნახევრად დანგრეული ეკლესია იდგა.

— ეს „განუკურნავ ავადმყოფთა თავშესაფარია“, — მცოდნედ მოჰქონდა თავი პეტერს, — თუ ბედმა გაგვიღიმა, ეგებ აქ გამოკეტილ ერთ-ორ კეთროვანსაც მოვკრათ თვალი. მეგობრები ქვით მოკირწყლულ ეზოში შევიდნენ და ელიასმა მართლაც დაინახა ავადმყოფთა მუწუკიანი სახეები, საშინელი სნეულებით განადგურებული, დაუძლურებული ადამიანები. პეტერი არც ამით დაკმაყოფილდა ფანჯარასთან მივიდა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა ამ უძლურ არსებებს.

ძველი ქალაქის გალავანი იმ დროს თითქმის მიწასთან იყო გასწორებული და აქა-იქ ახორებული ქვები თუ გაგახსენებდათ ყოფილ ციტადელს. მაშინდელი ფელდბერგის დამახასიათებელი ნიშანი იყო რვაიარუსიანი, ოვალური საგუშაგო კოშკი. ლეგენდა გვაუწყებს, რომ, როცა ქალაქს მონფორების შტო მართავდა, მან მძიმე დღეები გადაიტანა კატების გაუგონარი შემოსევის გამო. ეს უბედურება ისეთი დიდი მასშტაბის იყო, რომ ძველ აღთქმაში კალიების შემოსევას შეიძლება შევადაროთ. ფელდბერგის მოსახლეობა სასოწარკვეთილი იყო. კატები ადამიანებს ახტებოდნენ და კაცი ქუჩაში ფეხს ვერ გაადგამდა, ყველგან კატების ველური

კნავილი ისმოდა. მოხერხებულმა ქალაქისთავმა, იორგ ბერცელმა, კოშკის აგება ბრძანა. კოშკის სიმაღლე ბაბილონისას არ ჩამოუვარდებოდა. მათ დაჭერილი კატები ქონგურიდან უნდა გადმოეყარათ. მოსახლეობამ დაუჯერა ქალაქისთავის რჩევას და უბედურებამაც გადაიარა. აი რატომ ეძახიან ამ იარუსებიან ნაგებობას დღემდე კატების კოშკს.

ელიასის პერიოდში კატების კოშკს ციხედ იყენებდნენ 12 ფრანგი ჯარისკაცისთვის. ეს ფაქტი ალბათ სულაც არ იქნებოდა აღსანიშნავი, ქალაქისთავებს ფრანგების უკან დახევის შემდეგ აქ 12 ნაწამები ჯარისკაცი რომ არ დავიწყნოდათ. ფელდბერგი დღესაც უხდის სიმბოლურად გროშებს ქალაქ არასს, საიდანაც ის ჯარისკაცები იყვნენ, რომელთაგან 8 შიმშილით დაიღუპა.

ფელდბერგთან დაკავშირებული სხვა საინტერესო ამბების გახსენებაც შეიძლებოდა, მაგრამ ალბათ ჯობს ისევ დავუბრუნდეთ ორ მეგობარს, რომლებიც უკვე გოლერის სურნელოვან ბაღში შევიდნენ. გოლერის ღამის ლოცვები არ შეისმინა უფალმა. ეს საოცრად ნიჭიერი მუსიკოსი გამოცხადდა დათქმულ ადგილას და დათქმულ დროს. ის ჩუმად იდგა კართან, ფერმკრთალი, დაძაბუნებული. აზრი, რომ გაქცეულიყო, გოლერს ძალიან გვიან მოუვიდა. ხომ შეიძლებოდა, შინ არ დახვედროდა. ოჰ, წმინდაო ცეცილია, რატომ ვერ მოიფიქრა ეს! გოლერმა მძიმედ ამოისუნთქა, საყელო შეიხსნა და მეგობრები თავის მუსიკალურ სალონში შეიპატიჟა. ელიასს სახე გაუნათდა, როცა დაინახა გოლერის

ინსტრუმენტი, რომელსაც ფელდბერგის ორგანისტი პიანოფორტეს ეძახდა. ელიასი კლავიშებს შეეხო, ერთდროულად შიშიც განიცადა და სიხარულით აღსავსე განცვიფრებაც. როცა მან თითების ყოვლად წარმოუდგენელი სისწრაფით ტერციებს გადაუარა, გოლერმა მასთან მიირბინა და ენის ბორძიკით ურჩია, ბატონ ალდერს ძალები შემოენახა, რადგან საორგანო მუსიკის დღესასწაული ერთ საათში იწყებოდა. თან გაიფიქრა: „ესღა მაკლია ამ ეშმაკის დაკვრა ჩემს სახლში მოვისმინოო“.

პეტერი მოურიდებლად სვამდა მაგიდაზე მორთმეულ წითელ ღვინოს. ელიასი კი ვერ ძღებოდა ურიცხვი ნოტების რვეულის ცქერით, სავარძელზე, იატაკზე, ფანჯრის რაფაზე რომ იყო მიმობნეული.

— „რამდენი სიბრძნეა ამ რვეულებში“, — გაიფიქრა მან ნაღვლიანად. მასპინძლის შემოთავაზებული ღვინისთვის ხელი არ უხლია. გოლერი წამდაუწუმ ნაძალადევად ხუმრობდა. უკვირდა, რომ ელიასი ქალაქში ფეხშიშველი ჩამოვიდა.

— ორგანის პედალზე არ შეიძლება შიშველი ფეხის დაჭერა. დიდება წმინდა ცეცილიას, ფელდბერგის ორგანი — ეს უბრალო ეშბერგისნაირი ზანდუკი როდია, — მშვიდად შეაპარა გოლერმა და თან მთელ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

საორგანო მუსიკის დღესასწაული ფელდბერგში, უნდა ითქვას, იყო მართლაც უდიდესი მუსიკალური მოვლენა. იქ ლიხტენშტაინიდანაც კი ჩადიოდნენ მდიდარი და ცნობილი მუსიკის მოყვარულები, რათა მოესმინათ მუსიკალური ინსტიტუტის აღსაზრდელების მიერ შესრულებული იმპროვიზაციები. ფელდბერგის მნიშვნელოვანი და უდიდესი საუნჯე გახლდათ შვიდხმიანი ორგანი. ის იყო საორგანო ოსტატობის ფრანგული და სამხრეთ-გერმანული სკოლების დიდებული სინთეზი. მასზე მხოლოდ დღესასწაულის დროს უკრავდნენ. მის არაჩვეულებრივ ჟღერადობას თან სდევდა ფანტასტიკური ილუმინაცია.

გოლერმა პეტერს ურჩია მოეძებნა თავისუფალი ადგილი, რადგან კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შენობა უკვე გადავსებული იქნებოდა. საღამოს ვიტრაჟების წითელ-ლურჯი შუქი სხივთკონად ეცემოდა მაყურებელს, ზემოდან მრგვალი ფანჯარა ზღაპრულად ანათებდა. ელიასი გოლერმა მიაცილა საცავამდე, სადაც უკვე ხუთი სტუდენტი იდგა და იმპროვიზაციისთვის ემზადებოდა. გოლერმა სტუდენტებს ელიასი ერთგვარი აბუჩად ამგდები უპატივცემულობით გააცნო. და ეს უბრალო, მაგრამ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, შავ გაპოხილ სერთუკში შემოსილი, გაზეთილი თმითა და არცთუ ისე სასიამოვნო სუნის მქონე ფეხშიშველა ელიასი შეუერთდა

მათ. ხოლო ამ ხუთმა სუფთა, კარგად ჩაცმულმა, შუაზე თმაგაყოფილმა სტუდენტმა უსიამოვნოდ აბზიკა მის დანახვაზე ცხვირი. ერთმა სტუდენტმა ქედმაღლურად აღნიშნა, რომ მისთვის უხერხული იყო ამ ხეპრეს გვერდით ჯდომა.

ყველა მსმენელი ფეხზე წამოდგა, როცა გენერალურმა ვიკარმა, რომელსაც თან ახლდა ორგანისტი გოლერი, მაყურებელს წარუდგინა მუსიკალური ინსტრუმენტის ოთხი პროფესორი და კონკურსის ექვსი მონაწილე. ის ავიდა კათედრაზე, სადაც მოოქროვილი ლირა ეკიდა და ლათინურად წაიკითხა შესავალი სიტყვა, შემდეგ საზეიმოდ წაიკითხა 150-ე ფსალმუნი, რომელიც გვმოძღვრავს, რომ მუსიკითა და სიტყვით განვადიდოთ უფალი. შემდეგ სათანადო მრავალსიტყვაობით მიესალმა ყველა პროფესორს, დოქტორსა თუ მრჩეველს და იქ მყოფ დანარჩენ ბატონებს, არავინ დავიწყებია. ბოლოს მან მოითხოვა მიეტანათ მისთვის ცნობილი ყუთი. ეს მუსიკალური შეჯიბრი წესების მკაცრი დაცვით უნდა ჩატარებულიყო. მკერდჩავარდნილმა ეკლესიის მსახურმა მას გაუწოდა ხის ყუთი, ვიკარმა ხელი ჩაყო და ამოიღო ბარათი, რომელზეც პირველი კანდიდატის გვარი ეწერა. მას ერქვა პაულ ბატლოგი. ის იყო საგადასახადო მოხელის შვილი, თექვსმეტი წელი უსრულდებოდა. შემდეგ გენერალურმა ვიკარმა მეორე მონაწილის გვარი გამოაცხადა, მესამის და ა. შ. ელიას ალდერის გვარი ბოლოდან მეორე გამოაცხადეს.

ასე დადგინდა გამომსვლელთა თანამიმდევრობა.

გენერალურმა ვიკარმა მკერდჩავარდნილს უბრძანა, ქორალის ნოტები მოეტანა. ის დაბრუნდა მძიმე წიგნით, რომელიც დადო კათედრაზე. ყველა გაიტრუნა, რადგან ამ წიგნს ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული. გენერალური ვიკარი კი გამეფებული სიჩუმით ტკბებოდა, ამონმებდა ყველა შეკრებილის მოთმინებას. შემდეგ მან ქორალის კრებული თავის წინ მოათავსა, ორივე ხელის ცერა თითები წიგნის მოოქროვილ ყდას დაადო, გახსნა და წიგნი გადაშალა. ალალბედზე გადაშლილი წიგნის მარცხენა გვერდის შესაბამის ადგილს უნდა განესაზღვრა შეჯიბრის მსვლელობა.

— კანდიდატ ბატლოგმა იმპროვიზაციით უნდა შეასრულოს ქორალი თემაზე: „ოჰ, ღმერთო, გული როგორ დამძიმებული მაქვს“! ეს გულისხმობს ქორალის დამუშავებას კლავიშებისა და პედალის ერთდროული გამოყენებით, ასევე სამხმიანი ფუგის შეჭრას.

ელიასმა, სადღაც უკანა სკამზე მარტო მჯდომმა, ვიკარის ნათქვამიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო. მხოლოდ ის დაინახა, რომ ბატლოგი სასწრაფოდ წამოდგა ადგილიდან, მუხლი მოიდრიკა და პოდიუმზე ავიდა. ელიასს ისე შეეშინდა, ლამის გაიქცა.

ბატლოგს რამდენიმე წუთი დასჭირდა, შინაგანად რომ მომზადებულიყო და დაიწყო იმპროვიზება. ორი ზორბა ბიჭი მთელი ძალით უბერავდა და ორგანს ჰაერს აწვდიდა. დასაწყისში ბატლოგი ქორალის მელოდიას მისდევდა, შემდეგ კი თემის გაშლაზე გადავიდა. ის უნიჭოდ მართლაც არ უკრავდა,

ამას მაშინვე მიხვდა ელიასი, მაგრამ ორგანის ზღაპრულმა ჟღერადობამ იმდენად დაატყვევა, სუნთქვა შეეკრა. შეიძლება ითქვას, კონკურენტის დაკვრამ უფრო მეტად შეძრა, ვიდრე შემდეგ თავისმა შესრულებულმა. როცა ბატლოგმა სამხმიანი ფუგა მეტისმეტად სწრაფად დაასრულა, ელიასმა უკვე ზუსტად იცოდა, რა იყო დამუშავება, თემის გაშლა, შესავალი ნაწილი და ფუგა. მსგავსი რამ მას ეშბერგშიც შეუსრულებია, მაგრამ სულ სხვაგვარად, გაცილებით მეტი თრთოლვითა და სიდიადით. შემდეგ კონკურენტებს ისეთი ახალი არაფერი გამოუმჟღავნებიათ, რაც მან არ იცოდა, თუმცა მათმა ტექნიკურმა მომზადებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არაჩვეულებრივი ანალიტიკური სმენის წყალობით მისთვის სირთულე არ იყო ნანარმოების ჰარმონიულობა ცალკეულ ნოტებად წარმოესახა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ცალკეულ შავ-თეთრ კლავიშებად. გონებაში მათ ჟღერადობას ცელიდა კიდეც, როგორც ამას ოდესღაც ბიძა ოსკარის დაკვრისას აკეთებდა.

და აი მისი ჯერიც დადგა. გენერალურმა ვიკარმა კვლავ ალალბედზე გახსნა სქელი წიგნი, მცირე პაუზა გააკეთა და თეატრალური ხმით წარმოთქვა:

— კანდიდატი ალდერი. იმპროვიზაციას შეასრულებს თემაზე:

„მოდი, სიკვდილო, შენ ძილის ღვიძლი ძმა ხარ“. ეს გულისხმობს ქორალის დამუშავებას კლავიშებისა და პედალის ერთდროული გამოყენებით, შესავალ ნაწილსა და ფუგას.

ელიასი სწრაფად წამოდგა ადგილიდან, როგორც ეს სხვა სტუდენტებმა გააკეთეს. მას ეგონა, ასე მოითხოვდა რიტუალი. მანაც მოიდრიკა მუხლი, მაგრამ გაემართა არა კათედრისკენ, არამედ ფრიდრიხ ფიურსტეგოტ ბრუნო გოლერისკენ, რომელიც სამოციქულო მხარეს იჯდა და ნერვიულად ინინკინდა ულვაშებს.

— მე არ ვიცი ეს მელოდია, — გაცხარებულმა ჩასჩურჩულა მან მაესტროს ყურში, — ჯერ დამიკრას ვინმემ და მე იმპროვიზაციას შევასრულებ.

განითლებული გოლერი ადგა, მუხლი მოიდრიკა და გაიჭრა გენერალური ვიკარისკენ, რომელიც მოჩუქურთმებულ სავარძელში ბრძანდებოდა.

მაყურებელი მოუსვენრად აწრიალდა. ქალებმა ჩურჩული დაიწყეს, კისრები წაიგრძელეს. ფეხშიშველა კონკურსანტმა საყოველთაო ინტერესი აღძრა. გოლერი ვიკარს მოეთათბირა. ის ავიდა კათედრაზე და გამოაცხადა, რომ დღესასწაული ცოტა ხნით შეწყდებოდა. შემდეგ ყველას აუხსნა:

„კანდიდატი ელიას ალდერი — ეს უბრალო ზნე-ჩვეულებების ადამიანი ერთი მიყრუებული სოფლიდანაა, მას არასდროს უნახავს ფელდბერგის ორგანი და სურს, ჯერ გაეცნოს მას. უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ბუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, სწორედ ამიტომაა აქ მოწვეული და ჩვენგან მცირეოდენ გულისხმიერებასა და მოთმინებას საჭიროებს.

ამის შემდეგ ზოგიერთმა დიდებულმა ტაძარი დატოვა, დროის მოსაკლავად სუფთა ჰაერზე

გავიდა. სტუმრები ლიხტენშტაინიდან კი ადგილიდან არ დაძრულან. თავიანთი ჩანთებიდან ამოიღეს ძეხვი, პური, მწვანილი და მოურიდებლად დაიწყეს ჭამა. მაღალი წრის ქალბატონები კი ხენდროს შეექცეოდნენ.

ამასობაში ელიასი გოლერთან ერთად შემაღლებულ ადგილზე ავიდა, სადაც მაესტრო წარმოუდგენელი სისწრაფით უხსნიდა კანდიდატს რეგისტრების მნიშვნელობას, თითებით მიუთითა ნოტებზე და ნაჩქარევად დაუკრა მელოდიაც. როცა ტაძარში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, ელიასი ჯერ კიდევ გონებაში იმეორებდა მელოდიას, რომელმაც პირველივე ტაქტიდანვე შეიპყრო.

„მოდი, ო, სიკვდილო! შენ ღვიძლო ძმაო ძილისა!
მოდი და წამიყვანე,
გარიყე ჩემი ნავი სადღაც შორს
და მშვიდ ნავსაყუდელში დაავანე.
ეგებ სხვას შენი ეშინოდეს,
მაგრამ მე მხოლოდ ნუგეშს მგვრი.
მხოლოდ შენა ხარ მუდამ სადარაჯოზე,
რომ აგვიყვანო ცაში, მაცხოვარ ქრისტესთან!“

სანამ ამ დიდი ხელოვნის დაკვრაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, რომელიც ადამიანის ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება, ცოტა ხნით პეტერს გვინდა დავუბრუნდეთ. ის პოდიუმის გვერდით მიჩოჩებულიყო, ჩახუთულ მხარეს იჯდა, ლამის თითები დაემტვრია, ისე გადაეჭდო, არც იცინოდა, არც სუნთქავდა, თავსაც კი არ ატრიალებდა. უცბად

სახე არაამქვეყნიური სხივით გაუბრწყინდა. ეგებ ეს ტაძარში სადღესასწაულო განათების ბრალი იყო?

ბრგე ჭაბუკები, რომლებიც ორგანში ჰაერს ტუმბავდნენ, სიბრალულით, ალმაცერად შეჰყურებდნენ ელიასის უბადრუკ ჩაცმულობას. უცბად ორგანმა ისეთი ფორტისიმო გამოსცა დაბალი ტონალობიდან მაღალში გადასვლისას, რომ ბიჭებს შეეშინდათ, ორგანს რამე არ დამართოდა. შემდეგ კი ეს მაღლა-დაბლა ტონალობების ცვლა შეწყდა, ელიასმა სული მოითქვა და ამჯერად საოცარი ულერადობის მელოდია დაირხა, პედალისა და ბანის ხმა ერთმანეთს შეერწყა და თანდათან სულ უფრო გაამდიდრა მელოდიის ჰარმონიულობა, კეთილხმოვანება. მან სანახევროდ შეანელა ბანის ხმა, რაც პედალზე ფეხის გამალებული დაჭერით შეიძლებოდა მიღწეულიყო. პასაჟი კი დაგვირგვინდა ქორალის პირველი ორი ტაქტის შერწყმით, შემდეგ ისეთი თავისუფალი, გაბედული აკორდები აიღო, რომ კაცს ეგონებოდა, საცაა ხელები კლავიშებს მოსწყდებოდა. ელიასმა მხოლოდ პატარა პაუზა გააკეთა და მკვეთრი დისონანსებით კულმინაციურ ჰარმონიულობას მიაღწია. მთელ ტაძარში ამ გაუგონარი ჰარმონიის ცეცხლი გიზგიზებდა. ის უჩვეულო სისხარტით ცვლიდა რეგისტრების კომბინაციებს, ულერადობა გამოუსწორებელ, დაუსრულებელ მინორში გადაეშვა. ასე გამოხატა მან ადამიანის სრული მორჩილება და უსუსურობა ამ უიმედო ცივ სამყაროში.

შიშისგან ცოტა გონსმოსული მსმენელი მიუხვდა ელიასს ჩანაფიქრს: ის არა მარტო უკრავდა, არამედ თითქოს ქადაგებდა კიდეც და

მათ სასტიკ ჭეშმარიტებას ამცნობდაო. სულ რაღაც რამდენიმე წუთში ეშბერგელმა გლეხმა მოახერხა გაეერთიანებინა უამრავი ადამიანის სული. მოულოდნელად ტაძარში გამეფებულმა საოცარმა მუსიკალურმა ჰარმონიამ დიდიან-პატარიანად ყველა მოიცვა: „სიკვდილი მბრძანებლობს ამ კედლებში, აი ძილი კი, მისი უცვლელი თანამგზავრი, სადაცაა დაახუჭვინებს თვალებს“. შეკრებილთა სახეები თითქოსდა ჭეშმარიტების სხივით გაბრწყინდა, ნიღბები ჩამოეხსნათ, მდუმარე ადამიანების სახეზე ამოიკითხავდა კაცი, როგორ ეშინოდათ მათ სიკვდილის ხმის! რა უსუსურობის ამსახველი დრამა იყო!

ის უკვე ნახევარი საათი უკრავდა და დაკვრას თითქოს ბოლო არ უჩანდა. მაგრამ უსასრულო ბნელი ქაოსიდან თანდათანობით გამოიკვეთა მშვიდი ბგერები. თბილი და სურნელოვანი მელოდიები ერთმანეთს ენაცვლებოდა, როგორც გაზაფხულის ბალახთან მოათამაშე ქარი. შემდეგ იქმნებოდა ახალ-ახალი მელოდიები და ქორალის მელოდიას ერწყმოდა. მაგრამ ქორალი სიკვდილი იყო. ასე იქმნებოდა მუსიკალური იდეებით მდიდარი თრთოლვა. არათანაბარი, ცვალებდი მელოდიები ერთიმეორეს მოსდევდა. ყველა გაჟღერებული ბგერა საშუალებას იძლეოდა მიმხვდარიყავი, რომ ელიასი უკვე სულ სხვა სამყაროზე გიყვებოდა. ადამიანი ქაოსიდან იშვა, დედამიწის მიზიდულობა ვეღარ იმბრძანებლებს მასზე. მიუხედავად იმისა, რომ გოლერმა რეგისტრებზე მხოლოდ გაკვრით მიუთითა,

ელიასმა შეძლო ვირტუოზულად შეეხამებინა აკორდები. მსგავსად მხატვრისა, რომელმაც არაჩვეულებრივად მდიდარი პალიტრა ჩაიგდო ხელში, ელიასი განცვიფრებული იყო ორგანის შესაძლებლობებით. დასაწყისში ის მთლიანად ინსტრუმენტს ემონებოდა, თვალს ვერ აცილებდა კლავიშებსა და პედლებს. შემდეგ დაძაბულობამ იკლო, თვალებშიც უკვე სიმშვიდე ჩაუდგა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ორგანი თავისით უკრავდა. ელიასი მის ყველა ნიუანსს დაეუფლა და შეძლო თავის ნებაზე მიეშვა. მუსიკოსმა თვალები დახუჭა, თავი ანია და ოცნებებით ეშბერგში გადაეშვა. სწორედ ამ დროს მსმენელებიც ზღაპრულ, წარმოუდგენელი ულერადობის მელოდიაში გახვია.

და მუსიკა თავად ბუნებად გარდაისახა, იმ იდუმალი ნოემბრის დღეებად, როცა ნისლს რაინის ხეობიდან ირგვლივ ყველაფერი წაელეკა, მათ შორის ალდერების კარმიდამოც და ტყეც, ხოლო ნაძვის ხეები ვერცხლისფრად დაენამა; მთვარე და მზე კი სხვადასხვა მხარეს თითქოს გაქვავებულიყო მაღლა ცაზე. მთვარე იყო მსხვერპლი, მზე კი — დედის ლოყა.

პირველი ხანძრის ალი მუსიკად იქცა. ეშბერგის ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს მოჩანდა ცეცხლში გახვეული ფანჯრები. ისმოდა პანიკური ყვირილი. იყო ქაოსი. ნულდ ალდერის ცეცხლმოდებული კარმიდამო, კვამლიან საწოლში მწოლი გოგონა, რომელსაც კბილები ნაჭრის თოჯინისთვის ჩაესო. იანვრის თოვლში მონავარდე ცხოველები,

რომელთაც ელიასი თავისებური ბგერებით აგებინებდა, მდინარის დუდუნი, რაკრაკი და შემდეგ ცხოველთა გაუჩინარება... მას შემდეგ გადამწვარ ტყეში რომ აღარც გამოჩენილან... შემდეგ კი ჩაესმა რომან ლამპარტერის, „მეტწილას" უკანასკნელი სიცილი...

მუსიკად ქცეულიყო ღამის ეპიზოდებიც, როცა ელიასი შავ ბალახზე, ახლად გამოცოცხლებულ მდელოზე იწვა. ხელფეხგაშლილი, თითებით გაშმაგებით ებღაუჭებოდა ბალახს, თითქოს მასთან შერწყმას ლამობდაო. მას ის სიტყვები ამოუტივტივდა თავში, რომელთაც იმ ღამეს ღიღინებდა: „ვინც შეყვარებულია, არ სძინავს! ვინც შეყვარებულია, არ სძინავს"!

ელზბეტიც მუსიკად ქცეულიყო. ელზბეტი! შემოდგომის ფოთოლივით ყვითელი თმა, საამო სუნი, ოდნავ შესამჩნევი სიკოჭლე, უცნაური სიცილი, მრგვალი, ცოცხალი თვალები, ბრტყელი ცხვირი, ლურჯი კუბოკრული კაბა. რა ნარნარად დასრიალებდა მინდორში, თითქოს შიშობდა, რომელიმე ყვავილი არ გადავთელოო. როგორ ეფერებოდა თავისი პატარა ხელებით ხბოს, როგორ ეჩურჩულებოდა თავისებური იდუმალი ხმით, როგორ უყრიდა ღორებს ვაშლის ქერქებს...

გადააქცია რა ეს ფიქრები გულში ჩამწვდომ მუსიკად, ელიასმა კვლავ გაიგონა ელზბეტის გულისცემა. ელიასს შეეშინდა, რომ ეს რიტმი არ დაეკარგა. მაგრამ რიტმი არსად გამქრალა, ის მის გულისცემას შეერწყა. და ელიასმა იგრძნო,

რომ მას ელზბეტი ისევ უყვარდა. გამოხატა რა ყველაფერი, რაც თავის ცხოვრებაში უღირდა, ყრუდ გაჟღერებული სეპტაკორდიდან თანდათან პიანოზე გადავიდა. შემდეგ ის ფუგაზე უნდა გადასულიყო, ღვთის ნაწარმოების აპოთეოზზე, იმ სამყაროს ოცნებაზე.

მსმენელი თითქოს ჰიპნოზში იყო, თვალსაც კი არ ახამხამებდა. მათ სუნთქვაც კი შეუნელდათ, გული კი იმავე რითმით უფეთქავდათ, რომელშიც მუსიკა სრულებოდა. არავის შეეძლო ეთქვა, რამდენ ხანს გაგრძელდა მუსიკა. პეტერმაც კი არ იცოდა ეს. არც ის ახამხამებდა თვალებს. მისი პრიმიტიული ბუნებაც კი ნეტარ სიმშვიდეს მოეცვა.

ეს უცნაური ჰიპნოზური ეფექტი მხოლოდ ელიასის მუსიკის სიძლიერით აიხსნებოდა. ალბათ მანამდეც იყვნენ მუსიკოსები, რომელთაც შეეძლოთ, თავიანთი სულიერი მდგომარეობა უჩვეულოდ გადმოეცათ მუსიკით და მუსიკის მოყვარულთა სულები აეფორიაქებინათ. მუსიკის ენაში დღემდე აუხსნელი რაღაც ფენომენია. ამოუწურავი აკორდების სიმრავლეში არსებობს ასევე განსაკუთრებული სახის კომბინაციაც, რომლის ჟღერადობაც თითქოს ათავისუფლებს ადამიანის სულს. მსგავსი სეკვენცები ელიასმა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში აღმოაჩინა როგორც საკუთარ თავში, ასევე სხვებშიც. აქ გვახსენდება ის ბრწყინვალე აღდგომა, როცა მისმა მუსიკამ გლეხების სული გააკეთილშობილა, ერთმანეთის მიმართ თავაზიანი და მზრუნველი გახადა.

ასეთი სასწაულებრივი ნიჭით ელიასს შეეძლო ადამიანთა სულის შერხევა. იგი ისე ჰარმონიულად აჟღერებდა ორგანს, რომ მსმენელი მის მუსიკას ემონებოდა. ასეთ დროს მსმენელი ტკივილის განცდის გარეშე ცრემლს ღვრიდა, ხან საშინელ შიშს ან ბავშვურ სიხარულს განიცდიდა, ზოგჯერ ეროტიკულ ოცნებებსაც ეძლეოდა. მართალია, მის მუსიკას აკორდების კლასიკური წყობა არ ჰქონდა, რადგან მას არსად სხვა არაფერი მოუსმენია ბიძია ოსკარის მოუქნელი ხელებით შესრულებული ქორალის გარდა. ალბათ მისი მუსიკის სიძლიერე წლებთან ერთად მისი სასტიკი სულიერი ტანჯვის შედეგი იყო. მან აღმოაჩინა მუსიკის იმდენად მძლავრი ენა, როგორიც არც მანამ და არც მას შემდეგ არ არსებულა. ევროპული ისტორიის დანაკლისიც სწორედ ისაა, რომ ამ დიდი ხელოვნის არც ერთი ნაწარმოების ჩანაწერი არ არსებობს. როცა ფუგის თემა საოცარი ხმოვანი ჟღერადობით გაიშალა, ერთი ჭაღარათმიანი პროფესორი წამოხტა და წამოიყვირა: ეს დაუჯერებელია!!! უბრალოდ დაუჯერებელი!!! ის ძალით დასვეს სკამზე. ფუგა ისეთი მომხიბლავი სიძლიერით ჟღერდა, რომ შეიძლება გეფიქრა: იქ, იმ შემაღლებულ ადგილას, რაღაც ზებუნებრივი რამ ხდებოდა. თემა მოცემული ქორალის მთავარ ბგერებს ეყრდნობოდა, მაგრამ იმდენად ჰაეროვანი, უჩვეულო სხივით იყო გაცისკროვნებული, რომ ვიღაც ქალმა იკივლა: მე ვხედავ ზეცას! ძირითადი თემა უსაზღვრო ნაკადად იღვრებოდა, ვარიაცია ვარიაციას ენაცვლებოდა და სულ უფრო მაღალ,

ახალ ფერებს იძენდა, ვიდრე ბოლოს დიდებული რხევით დომინანტში არ გადაეშვა, სადაც უკვე მეორე ხმაც შეეწყო.

რაც შეეხება ფუგის შესრულების ტექნიკას, რომელიც ელიასმა სხვა თანამონაწილეებში მოისმინა, იგი თავისუფლად გადაიტანა თავის იმპროვიზაციებში. ის მიხვდა, რომ თემა ციკლური გამეორებებისას და წინა ნაწილზე დაყრდნობით ვითარდებოდა. სხვა კონკურსანტების მკაცრ სერიოზულობას მან ოსტატურად დაუპირისპირა მგზნებარე სისხარტე. მას სურდა, ბუკის აპოთეოზი ხატოვნად გადმოეცა, ისევე, როგორც სამოთხისკენ სულ უფრო და უფრო მაღლა მიმავალი ანგელოზის კიბე, ადგილი, სადაც დედამიწის სინათლე უკვე მკრთალდება და სრულყოფილების ბრწყინვალება ასხივებს. ელიას ალდერის ფუგა წააგავდა უზარმაზარ მდინარეს, რომელშიც წყალი სულ უფრო მეტად დიდდებოდა და ბოლოს ზღვის მარადიულობას ერთვოდა.

გოლერი სულაც არ იყო ტრანსში. ის ჯერაც თითებს იკვნეტდა, უკვე მერვე ვარიაცია დაითვალა, შვიდ თავისუფალ კონტრაპუნქტულ ხმებში ჰარმონიულად რომ ერწყმოდა. გოლერი თავის მასწავლებელს წყევლიდა, პატივცემულ მუსიკოსს, რაინბერგერს, რომელიც არწმუნებდა, რომ ფუგას ხუთ ხმაზე მეტი არ შეიძლებოდა ჰქონოდა. „რა გონებაჩლუნგი ყოფილხართ, მაესტრო რაინბერგერ!“ — გაიფიქრა მან და გამწარებულმა, დაგრეხილი ულვაშიდან თმა ამოიგლიჯა.

როცა მუსიკა უკვე ყოვლად მიუწვდომელ სირთულეში გადავიდა და უკიდურესი ფორტისიმო აჟღერდა, ყველას ეგონა, ფინალს უახლოვდებოდა, მაგრამ ელიასს გაჩერება აღარ შეეძლო. რადგან ფორტისიმო უკვე კარგავდა ზემოქმედების ძალას, ის შეეცადა შეეცვალა მისი ხასიათი, უფრო მაღალ ტონალობას მიმართა. ელიასი აკორდებს ისე უხამებდა ერთმანეთს, რომ ჩუმი ჟღერადობისასაც კი ძლიერი ფორტეს ზემოქმედება ჰქონდა. შემდეგ ეს ხმათა მთელი სინთეზი უცბად შეწყვიტა, ისევე, როგორც დასაწყისში; სწორედ აქ უჩვეულო მოთელვა, ცეზურა გამოუვიდა, გიგანტური უფსკრულის მსგავსი, რომელშიც მთელ ქვეყნიერებას გაქრობა ეწერა.

შეწყვეტილი აკორდის გამოძახილი ჯერ არც იყო მიჩუმებული, რომ მძლავრმა სიმღერამ დააგვირგვინა: „მოდი, ო, სიკვდილო! შენ, ღვიძლო ძმაო ძილისა“... და რამდენადაც ელიასის ხელებს და ტერფებს აღარ ძალუძდა მერვე ხმის ჩაწვნა ქორალში, მუსიკოსი თავად ამღერდა და ფილტვებისა და სახმო სიმების ძალით რვაფუტიანი ორგანის საყვირის ჟღერადობის იმიტაცია მოახდინა. მან მელოდია ხანგრძლივი ტონალობიდან შემოიყვანა, ამ დროს პედალს ისე აჭერდა, რომ ქორალს კანონიკური ჟღერადობა ჰქონდა... ხელებმა ისევ ოსტატურად განავრცო თემა:

„მხოლოდ შენა ხარ მუდამ სადარაჯოზე,
რომ აგვიყვანო ცაში, მაცხოვარ ქრისტესთან!“

და იოჰანეს ელიას ალდერმა ზეიმის ზენიტს მიაღწია, ზეიმი კი დიდებულ, ძლიერ, დაუსრულებელ

მაჟორში გამოიხატა, რითაც დასრულდა ეს წარმოუდგენელი, უკიდურესად გაბედული იმპროვიზაცია. შემდეგ დუმილმა დაისადგურა, რასაც მხოლოდ ქანცგაწყვეტილი ბრგე ვაჟკაცების ხვნეშა არღვევდა, ორგანს ჰაერით რომ ტუმბავდნენ.

ამდენი ჰაერი, რაც ამ ერთი ნაწარმოების შესრულებას დასჭირდა, გოლერს მთელი წელი ეყოფოდა, — დაიჩივლა ერთმა მათგანმა.

ელიასი გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ სახელურით შუბლზე ოფლი შეიმშრალა, თხელი თმა გაისწორა და მჭმუნვარე სახით აფსიდისკენ გაიხედა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ორ საათზე მეტხანს შესრულებულმა იმპროვიზაციამ სულ გამოაცალა ძალ-ღონე. ისედაც ფერმკრთალი სახე მთლად გაუნაცრისფრდა. ლოყები ჩაუცვივდა, ღაწვის ძვლები მკაფიოდ გამოეკვეთა, ტუჩები მთლად გაუშრა. ერთბაშად რამდენიმე კილოგრამი დაიკლო.

და ეს საშინელი სიჩუმე უცბად ვიღაც მამაკაცის ყვირილმა დაარღვია:

— Vivat ალდერ! Vivat ალდერ! Vivat ალდერ!

ყვირილი საიდანღაც ქვემოდან მოდიოდა, იქიდან, სადაც პეტერი იჯდა და ამ ხმამ თითქოს განმუხტა იქაურობა. წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. ადამიანები თითქოს გამოერკვნენ, აღტაცების შეძახილები და მქუხარე ოვაციები ატეხეს. ერთბაშად წამოიმართნენ იქ მყოფნი, ყველა შემაღლებული ადგილისკენ იხედებოდა, ხეირიანად ვერც ვერაფერს ხედავდნენ, ქება-დიდებას ასხამდნენ სასწაულ მუსიკოსს. ჰაერში დაფრინავდნენ ქუდები, ყუთები,

ცხვირსახოცები, ვიღაცის თავსაფარიც ფრიალებდა ტაძრის ბოლოს.

— Vivat ალდერ! Vivat ალდერ! Vivat ალდერ! მძვინვარებდა იქ მყოფი ხალხი. გაბრუებული ვიკარი წამოხტა თავისი მოჩუქურთმებული სკამიდან, არეული ნაბიჯით გაემართა შემაღლებული ადგილისკენ, ხელი აწია და მოყიჟინე ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — ამაოდ ცდილობდა გადაეფარა ხალხის ხმა, — ღვთის გულისათვის, ეს ხომ წმინდა ადგილია!

მაგრამ უფრო მეტი ალიაქოთი ატყდა. თითოეული, პაულ ბატლოგის ნათესავების გარდა, ცდილობდა, ადგილი დაეტოვებინა, რადგან გრძნობათა მოზღვავებისგან ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. სასოწარკვეთილმა ვიკარმა ბრძანა, ყველა კარი ფართოდ გაეღოთ, რათა თავიდან აეცილებინათ ჭყლეტა. მაგრამ ტაძრის დატოვება არავის უნდოდა, ყველას ამ არაჩვეულებრივი მუსიკოსის დანახვა სურდა.

— Vivat ალდერ! Vivat ალდერ! Vivat ალდერ! — ისმოდა ისევ ქვემოდან.

როგორც იქნა, ორგანისტი ზღუდესთან მივიდა, ქვემოდან ამოღწეულმა განათებამ მისი სახე კიდევ უფრო საზარლად წარმოაჩინა. ვიღაცამ ხალხში ვიშვიში ატეხა, მერე ბავშვებისა და ქალების ტირილიც გაისმა. მაგრამ მალე აღტაცების ახალი ტალღა წამოვიდა. ადამიანთა სახეები კვლავაც იმ დიდებული მაჟორით ბრწყინავდა, რითაც

ელიასმა დაკვრა დაასრულა. თავად კი იდგა მაღლა, მოაჯირს ეყრდნობოდა და ვერავინ ამჩნევდა, რომ ის ბედნიერებისგან თუ დაქანცულობისგან ტიროდა. იქნებ ტირილის მიზეზი ის წარმოუდგენელი გადაწყვეტილება იყო, რომელიც ორგანზე დაკვრისას მიიღო?

ის ქვევით ჩავიდა და ხალხი მოკრძალებით გაარღვია, ერთმა კეთილშობილური წარმომავლობის ქალბატონმა მთელი მუჭა ხენდრო ჩაუყარა გაოფლილი პერანგის მკერდის ჯიბეში, შავი სერთუკის ჯიბეებში მონეტები ცვიოდა, აქეთ-იქიდან გამოწვდილი ხელებით ასიგნაციებს სთავაზობდნენ. როცა სხვა თანამონაწილეების მსგავსად ჭაღარათმიან პროფესორს თავაზიანად დაუკრა თავი, ტაძარში ამტყდარი ალიაქოთი ერთბაშად ჩაცხრა. გენერალურმა ვიკარმა ხელში წიგნი აიღო და ცერემონიის გაგრძელება სცადა, რომ ბოლო მონაწილე გამოეცხადებინა, მაგრამ მაყურებელმა ერთხმად იყვირა:

— აი გამარჯვებული!!! ლირა ალდერს!!! — და მუსიკოსის სახელს მანამ გაჰყვიროდნენ, სანამ უხერხულობაში ჩავარდნილი ვიკარი იძულებული არ გახდა, დაეტოვებინა კათედრა, რათა გოლერთან და პროფესორებთან ერთად საცავში სათათბიროდ გასულიყო. მაგრამ თათბირი ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლერი ყველანაირად ცდილობდა დაერწმუნებინა პროფესორები და ვიკარი, რომ ალდერმა მეტად დიდი დრო მოანდომა იმპროვიზაციას, რომ მისი დაკრული არაფრით

ჰგავდა ქორალის დამუშავებას, არც დამოუკიდებელი ნაწარმოები ეთქმოდა, მით უმეტეს, არც ფუგა იყო ძველი სულისკვეთების და ორგანისტმა არსებითად შეასრულა ერთი დიდი სიმფონია, დაარღვია რა კლასიკური დისციპლინის საზღვრები... ერთი სიტყვით, რაღა არ სცადა გოლერმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჭაღარათმიან პროფესორებსა და ვიკარს თვალები უბრწყინავდათ აღტაცებისა და თაყვანისცემის ნიშნად.

ასე და ამრიგად, ფელდბერგის დღესასწაულს ადრე ეწერა დასრულება. გენერალურმა ვიკარმა ოქროს ლირა დაადგა უაზროდ გაშტერებულ ელიას ალდერს გაზინთულ თმაზე და ქების სიტყვებიც უმღერა, როგორც ბუნების მიერ საოცარი ნიჭით დაჯილდოებულს. ხალხი ყვიროდა და მგზნებარედ უკრავდა ტაშს, ვიკარი მათ კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა და ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ლათინურად დალოცა ისინი. შემდეგ ყველა დაიშალა.

გოლერიც გავიდა, თანაც ისე სწრაფად, რომ დროც კი ვერ მონახა, ეშბერგელი ახალგაზრდებისთვის ღამის გასათევი იაფფასიანი ადგილი ერჩია. გოლერს იმედი ჰქონდა, რომ ეს გადამთიელები იმავე ღამით დაბრუნდებოდნენ შინ. მისი სურვილი ახდა. ელიას ალდერის ამაღელვებელი გამოსვლა კიდევ დიდხანს ახსოვდათ ქალაქელებს. მუსიკალური ინსტიტუტის დარბაზებში ახალგაზრდებს სისხლი უჩქეფდათ, მეცადინეობა თავიდან ჯერ კიდევ ვერ აეწყო. ყველას მხოლოდ ეს გენიოსი გლეხის შვილი ეკერა პირზე. იმ დღეებში გოლერს საშინლად ასტკივდა ყურები და

იმპროვიზაციის გაკვეთილები ერთი კვირით შეწყდა. ვერდენბერგში, ლიხტენშტაინის ერთ-ერთ სოფელში, ახალგაზრდა ენთუზიასტებმა გამოაცხადეს „ელიას ალდერის საზოგადოების“ შექმნის თაობაზე, მათ მიზნად დაისახეს ბრინჯაოს ქანდაკება დაედგათ მუსიკოსისათვის.

მაგრამ ადამიანებს რას გაუგებს კაცი. მათ აკლიათ ერთგულება და აზრთა სიმტკიცე. ეს აზრი მალევე მიეცა დავიწყებას. დრომ თავისი გაიტანა, მალე მიჩუმდა არაამქვეყნიური საორგანო კონცერტის უკანასკნელი გამოძახილი და ბრინჯაოს ქანდაკების აგებაც გადააავიწყდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ორგანისტის ადგილი პეტერ პაულ ბატლოგმა მიიღო. გოლერმა მაინც მოახერხა პროფესორების დარწმუნება, რომ ადამიანი, რომელმაც ნოტების წერა-კითხვა არ იცოდა, ვერ შეძლებდა ღვთისმსახურებისას შესასრულებელი ამაღლებული ნაწარმოების დაკვრას. გარდა ამისა, დასისა და ტაძრის ყველა მსახურის შენახვას მეტისმეტად დიდი თანხა დასჭირდებოდა. მერე ამ გლეხუჭას ახალი მდგომარეობის შესაფერისი საცხოვრებელი მოუნდებოდა, თუ ავწონ-დავწონით, არც ჰონორარზე ექნებოდა ნაკლები მადა, მოითხოვდა ჩვეულებრივზე ორჯერ-სამჯერ მეტს.

მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ვერ ეგუებოდა ელიასის ასე მალე მივიწყებას. ეს იყო ერთი იმ ჭაღარათმიან პროფესორთაგანი, სწორედ ის, ვინც ფუგის დასაწყისში წამოიძახა: „ეს დაუჯერებელია, უბრალოდ წარმოუდგენელი“. ელიასის წასვლიდან

ორმოცი დღის შემდეგ ზეფინამ წერილი მიიღო, რომელშიც, გარდა მსხვილი ასიგნაციებისა, ასევე ბატონი მუსიკოსისთვის, ალდერისთვის იყო მიმართვა, დაუყოვნებლად გამოცხადებულიყო ტაძრის ვიკარიატში. ერთმა პატივცემულმა ქალაქელმა მას საკმაოდ დიდი თანხა გამოუყო, რაც შესაძლებლობას მისცემს, მშვიდად შეისწავლოს მუსიკის ხელოვნებაო.

და ეს პატივცემული ქალაქელი სხვა არავინ იყო, თუ არა თავად წერილის ავტორი. სამწუხაროდ, წერილი ძალიან გვიან მოვიდა. ელიასი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ეს ზეფინამაც არ იცოდა, ის ფიქრობდა, რომ ელიასი ჯერ ისევ ფელდბერგში იმყოფებოდა. საერთოდაც, პეტერის გარდა, არავინ იცოდა ელიასის სიკვდილის შესახებ.

როცა მეგობრები უკან ბრუნდებოდნენ, პეტერს ველარ იცნობდა კაცი: ხან სიხარულისგან ტიროდა, ხან ცეკვავდა, ხან წინ გარბოდა, გზას უღობავდა, გულში იკრავდა მეგობარს, შუბლზე კოცნიდა, ვერაფრით მშვიდდებოდა.

— წარმოგიდენია, თავად თუ ხვდები, რა გააკეთე? — აგზნებული ლაპარაკობდა პეტერი. ასეთი რამ იმ ქალაქელებს არც დასიზმრებიათ. ესაა იოჰანეს ელიას ალდერი, ამ ღამის ღმერთი, — ლამის ტიროდა პეტერი, მუხლს იდრეკდა მეგობრის წინაშე. მერე რა დიდებული მომავალი გელის. შენი ხელოვნებით მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნები. პეტერმა ელიასის ჯიბეებიდან ფული ამოკრიფა, სქელი კუპიურები ხელიდან ხელში გადაჰქონდა.

თავად მეც კი გავყიდი ჩემს სახლს და შენთან ერთად ქალაქში გადმოვალ. ფელდბერგიდან მერე სხვაგანაც შეიძლება გამგზავრება, ინსბრუკშიც, მერე კი მთელი ქვეყნის შემოვლა. და მომავალში, ელიას, შენი მუსიკით უდიდეს სიმდიდრეს მოიხვეჭ...

პეტერი ვერა და ვერ მშვიდდებოდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი მეგობრის ფიქრები სულ სხვაგან იყო. ღამის სიგრილემაც ვერ ჩააცხრო მასში ჩასახული წარმოსახვები. როცა პეტერმა შენიშნა, რომ მეგობარი კითხვებზე არ უპასუხებდა, თავადაც გაჩუმდა. სამი საათი ასე მდუმარედ მიდიოდნენ, ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. განთიადისას უკვე გიოცბერგში იყვნენ და პეტერი ეშბერგის გზას უნდა დასდგომოდა, რომ უცბად ელიასი ალაპარაკდა.

— მინდა, ემერის კალაპოტის გაყოლებით დავბრუნდე შინ. ეს ძველი ნაღვლიანი გზაა, რომელსაც ბევრი ეშბერგელი დაადგა, როცა ხანძარმა მათი ჩვეული ცხოვრება დაანგრია.

პეტერმა ვერ გაიგო ამ უცნაური სურვილით, რა უნდოდა მეგობარს და უთხრა:

— ისედაც ბევრი ვიარეთ, მთელი დღე და ღამე.

მაგრამ ელიასმა საოცარი სიჯიუტე გამოავლინა და უცნაურად გადაუკრა სიტყვა კიდევ უფრო რთულ გზაზე. ისინი ზემოთ დაიძრნენ, უფრო შორი, მიხვეულ-მოხვეული გზით, ჩაუარეს ჩანჩქერებს და, როგორც იქნა, შინ მივიდნენ, უფრო სწორად, ელიასის ქვასთან მდინარეში.

ელიასი მდუმარედ დაეშვა ქვაზე, მკერდზე ხელები დაიწყო და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ჩემო მეგობარო, მე არავისთვის მითქვამს, რომ შენ სოფელი გადაწვი, ახლა კი შენ დაიფიცე, რომ ყველაფერი, რაც ახლა და შემდეგ აქ მოხდება, სამუდამოდ, განკითხვის დღემდე დაიმარხება შენს გულში.

პეტერი მას დაღლილი, მაგრამ შეშფოთებული სახით უყურებდა, მაგრამ მაინც აწია ორი თითი აღთქმის ნიშნად. ელიასმა უთხრა:

— წადი შინ, კარგად გამოიძინე. სოფლელებს კი უთხარი, რომ მე, ელიასი, ფელდბერგში დამტოვეს და უახლოეს მომავალში დავბრუნდები შინ. საღამოს კი ისევ მოდი. მოიტანე თოკი და ერთი კვირის საჭმლის მარაგი. არავინ, არავინ უნდა იცოდეს ჩემი დაბრუნების შესახებ, — მკაცრად გააფრთხილა ელიასმა ის.

— და თუ შენ შესახებ ელზბეტი იკითხავს? — შეაპარა პეტერმა.

ელიასს ამაზე პასუხი არ გაუცია და ისეთი უაზრო სახით შეხედა, რომ პეტერს ტანში ურუანტელმა დაუარა.

პეტერი წავიდა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ელიასმა დაავალა.

პეტერი უკვე დასაძინებლად დაწვა, რომ ზემოთ, კიბეზე, ლუკას ალდერის ხის ფეხსაცმელების ბრაგუნი გაიგონა. პეტერის არყოფნაში ლუკასი უვლიდა მის საქონელს, წველიდა ძროხებს, საბალახოდ გაპყავდა. პეტერი ადგა, ლუკასთან გავიდა და ყველაფერი მოუყვა, რაც ფელდბერგში მოხდა. არც ის დავიწყებია, რამდენჯერმე გაემეორებინა, რომ პროფესორებმა გადანყვიტეს, დროებით თავიანთთან დაეტოვებინათ მისი უჩვეულო ნიჭის გამოსაკვლევად. ლუკასი უსიტყვოდ უსმენდა და მხოლოდ ეს ჰკითხა:

— დაღლილი ჩანხარ, ძროხის მოსაწველად მე ხომ არ წავიდე? პეტერმა ჯიბიდან ხუთი მონეტა ამოიღო, დასახიჩრებული ხელით ლუკასს გაუწოდა და უთხრა, შინ წასულიყო. ნაშუადღევს ის ზეფინასთან წავიდა და ისიც ასე მოატყუა. იქიდან რომ გამოდიოდა, გზაზე შემთხვევით გადაეყარა კაჭკაჭს, სოფლის ყბედს. ამის შემდეგ პეტერი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ელიასის ამბავი მთელ სოფელს ეცოდინებოდა. მართლაც, კაჭკაჭი დაშორდა თუ არა მას, პირდაპირ სოფლის სკოლისკენ წაჩანჩალდა, სადაც მასწავლებლის მომლოდინე ბავშვები თვითნებურად შინ გაუშვა.

პეტერი შუადღის შემდეგ კი მიწვა, მაგრამ დაძინება ვეღარ შეძლო. საშინელი სიცხე იყო. ისევ ადგა და თოკებისა და სურსათ-სანოვაგის

მოსამარაგებლად წავიდა. მოსაღამოვებულზე ისევ დაწვა, ამჯერად გრილ სარდაფში. საზარელი რამ ესიზმრა, შფოთავდა.

როცა მზე რაინის ხეობაში მთებს მიეფარა, მან ზურგზე ტომარა მოიგდო და შემოვლითი გზით გაემართა იქ, სადაც მეგობარს დაშორდა. ეჭვადაც არ გაუვლია, რომ შეიძლებოდა უსასრულო, მტანჯველი თვითმკვლელობის მოწმე გამხდარიყო.

ელიასი სწორედ იმ ადგილას იჯდა, სადაც ყველაფერი დაიწყო და იქ უნდა აღსრულებულიყო. მან თავისი გრძელი თმა მოიჭრა — შორიახლოს წაწვეტებული ფიქალი იდო. პირმოკუმულ ელიასს პირში თმის კულული ჩაეჩარა, პეტერს ვერ გაეგო, ამით რისი თქმა უნდოდა მის მეგობარს. ელიასს თვალი მიეშტერებინა ემერის სწრაფი დინებისთვის. ის დასაძინებლად საერთოდ არ დაწოლილა, წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. პეტერი მიუახლოვდა, შუბლზე აკოცა და მის ცხელ თავს ხელები მოხვია. ის მიხვდა, რომ ელიასი ჭკუაზე აღარ იყო.

— ელიას, — ჩასჩურჩულა პეტერმა, — საკუთარ თავს ასე რატომ ტანჯავ? შენ ცნობილი ადამიანი გახდი, — თან ეშმაკურად გაულიმა და დასძინა, — იქ, ტაძარში, იყო უამრავი ლამაზი ქალი, რომლებიც შეყვარებული სახით შესცქეროდნენ ნიჭიერ ორგანისტს. პეტერს უნდოდა, რომ მისთვის იმედის ნაპერწკალი ჩაესახა; მაგრამ იმის გაფიქრებაც, რომ ელიასს შეიძლებოდა ქალი ჰყოლოდა, აშინებდა. ის ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ელიასს შეიძლებოდა ოდესმე მიეტოვებინა, ამიტომ ქალებზე ლაპარაკი

აღარ გაუგრძელებია.

ელიასმა პირიდან თმის კულული გამოიღო, — კარგად გამოიძინე? — ჰკითხა მან თავის მეგობარს და უაზროდ შეხედა.

— ვერ დავიძინე. ცუდი სიზმარი ვნახე, — თქვა პეტერმა და ხელები მოაცილა ელიასს.

— სანამ დაბნელდება, წავიდეთ, შევაგროვოთ ლემები, შხამა სოკოები, და ...! — თქვა ელიასმა, — ეს ყველაფერი დამჭირდება, როცა გადავიღლები.

პეტერმა იცოდა ამ მცენარეების გამაბრუებელი მოქმედების შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რას აპირებდა ელიასი.

— შენ, რა, აქ აპირებ ჯდომას განკითხვის დღემდე? — ძლივს ამოღერღა პეტერმა, ვითომ გაეხუმრა, ელიასმა კი სერიოზულად დაუდასტურა.

— შენ კარგი გამოძინება გჭირდება! — გაბრაზდა პეტერი, — თავი გიხურს. გონს მოდი, წავიდეთ სახლში!

ამ სიტყვებზე ელიასი წამოდგა, წელში გაიმართა და მოულოდნელად ნაკადულის ცივ წყალში გადახტა. ჯერ თავიანად ჩაყვინთა წყალში, შემდეგ ამოყვინთა, ისევ ჩაეშვა წყალში, ფართოდ გაშლილ ხელებს წყალში ატყლაშუნებდა და ტრიალებდა.

— რა კარგია ცივი წყალი, — წამოიძახა მან, — წყალში ძილის სურვილიც კი არ გექნება!

როცა ის ნაპირზე გამოვიდა, პეტერმა შენიშნა, რომ მას სიარული უჭირდა, მაგრამ ეს არ გაკვირვებია. მის მეგობარს მთელი დღე-ღამე და კიდევ ერთი დღე არ სძინებია. უფრო უარსედაც შეიძლებოდა ყოფილიყო.

მას შემდეგ, რაც ელიასი ცოტა დანაყრდა პურით, გამხმარი ფაფითა და კვერცხით, მან პეტერი ტყეში გაიყოლა ბალახებისა და სოკოების მოსაძებნად. ამასობაში კინაღამ ვიღაცამ არ მოჰკრა თვალი. ერთი ლამპარტერი თავის დაზე ძალადობდა, მაგრამ ქალის კივილმა დროულად შეაჩერა ისინი. უკვე დაღამებულზე მეგობრები ქვასთან დაბრუნდნენ, მათ ყველაფერი შეაგროვეს, რაც ელიასს სჭირდებოდა. გზაზე ელიასმა პეტერს გაუმხილა თავისი ფიქრები, რითაც ის ამჟამად იყო შეპყრობილი.

— გახსოვს, ერთი სასაცილო მქადაგებელი რომ იყო ჩვენს ტაძართან? — ჰკითხა ელიასმა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ის წითური ყმაწვილი, მოძღვარივით რომ ქადაგებდა.

— ის სიტყვებიც ხომ არ გახსოვს, რომლის წარმოთქმის შემდეგაც ეს წითური მქადაგებელი უგონოდ დაეცა?

პეტერი დუმდა, ელიასი კი აღელდა, ლამის ფეხი წამოჰკრა რაღაცას და განაგრძო:

— მისი სიტყვები ფელდბერგში ორგანის დაკვრისას ამომიტივტივდა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ელზბეტი მთელი გულით არ შეიძლებოდა მყვარებოდა. ამიტომაც არ მომცა უფალმა დაქორწინების უფლება. ძალზე სუსტი და არასრულყოფილი იყო ჩვენი გრძნობა. ჩემი ეგრეთ წოდებული სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა ტყუილი, სულიერი სიძაბუნე. როგორ შეუძლია ადამიანს წმინდა გულით ამტკიცოს, რომ ქალი მთელი თავისი სიცოცხლე უყვარს, როცა მისი სიყვარული მხოლოდ დღისით სულდგმულობს,

დღისით ცოცხლობს და ისევე ხანმოკლეა, როგორც მასზე ფიქრი! ამიტომაც ეს არაა მართალი. თუკი ძილი წაგართმევს თავს, სიყვარულიც დაგავიწყდება. ეს დროებით სიკვდილს ნიშნავს. ტყუილუბრალოდ როდი ეძახიან სიკვდილსა და ძილს ძმებს. მაშასადამე, ძილი დროის ფლანგვაა და ესე იგი ცოდვაც. დაძინებულ ადამიანს განსაწმენდელში მოუწევს პასუხისგება, ამიტომ გადავწყვიტე, ახლებურად ვიცხოვრო — საერთოდ არ დავიძინო. და ეს ახალი, უძილო ცხოვრება ელზბეტის სიყვარულს მივუძღვნა. ეს გახდება ჩვენი სამარადისო ნეტარების საწინდარი ზეცაში.

პეტერმა იგრძნო, რომ ამით ყველაფერი ითქვა. ელიასმა გაშალა ტანსაცმელი ქვის კიდეზე და დაწვა. შემდეგ ლემის ფოთოლი დაასველა ნერწყვით და დაგრაგნა. თან გაიცინა და თქვა:

— ჩემი თავი მამაჩემის ერთ ჯაგლაგ ცხენს მაგონებს, რომელიც რულიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, როცა ეს ფოთლები შესტენეს უკანალში.

პეტერმასცადაკიდევერთხელგადაეთქმევინებინა მეგობრისთვის უაზრო განზრახვა, მაგრამ ელიასმა გულგრილად გაიცინა და უხეშად უყვირა:

— ახლა წადი, კარგად გამოიძინე! ორი-სამი ღამის შემდეგ მხნედ უნდა იყო, რომ მომხედო.

მერე ელიასმა ერთი მუჭა ხენდრო აიღო და ნახევარი გადაყლაპა.

მოქმედება მალე დაეტყო. პეტერის წასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ ელიასი ძლიერ ეიფორიაში ჩავარდა. მან სიმღერა წამოიწყო, შემდეგ წამოდგა და

ცეკვა დაიწყო. მერე მთელი ტანით დაიკრუნჩხა და ბოლოს ატირდა.

საღამოს საშინელი დაღლილობა იგრძნო. თავი უღონოდ ჩამოუვარდა მკერდზე და როცა მიხვდა, რომ რამდენიმე წუთს ჩაეძინა, ხმამაღლა წყევლიდა თავის თავს და მდინარეში ჩახტა, ისეთი ტყლაშუნი ატეხა, გეგონება, წყალში ვეება ირემს მოედინოს ზღართანი. განთიადისას, როცა ხის ფოთლებს პირველი კაშკაშა სხივები დაეცა, ელიასი უკვე დევნის მანიამ შეიპყრო. ფოთლები რომ ირხეოდნენ, მას ვიღაც პატარა, წაწვეტებულსახიანი, ბრჭყვიალა არსებები ეჩვენებოდა. და ამ ბოროტ არსებებს მთელი გარემო აევსოთ, დახტოდნენ, დაფრინავდნენ მის თავზე, მაგრამ არ ეხებოდნენ. მეორე უძილო ღამის შემდეგ სმენა თითქოს უფრო გაუმძაფრდა, მხედველობა კი დაუქვეითდა.

როცა მზე უკვე მაღლა იყო, პეტერი ჩავიდა ქვასთან, მაგრამ ელიასი იქ ვეღარ იპოვა. ქვაზე მხოლოდ თოკი და სერთუკი ეგდო. საათზე მეტხანს ელოდა პეტერი, ხან ყვირილით უხმობდა მეგობარს, მაგრამ ამაოდ. ის უკან დაბრუნდა იმ იმედით, ელიასმა ეგებ თავის ჩანაფიქრზე ხელი აიღოო. საღამოს პეტერი ელიასის სახლთან მიიპარა, კენჭი ესროლა მისთვის ესოდენ ნაცნობ ფანჯარას, მაგრამ ამას არანაირი პასუხი არ მოჰყოლია და პეტერი დანაღვლიანდა. ის მაშინვე ემერისკენ გაქანდა, მაგრამ ამჯერადაც ვერ იპოვა ელიასი.

სამი დღე და სამი ღამე ელიასი გამქრალი იყო. მეოთხე დღეს პეტერმა უკვე გადაწყვიტა, ფიცი

დაერღვია, შეეკრიბა გლეხები და საძებნელად წასულიყო, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. პეტერი კიდევ ერთხელ ჩავიდა ქვასთან და იქ მეგობარი დაინახა. მოფარებული ადგილიდან აკვირდებოდა მას. პეტერი დარწმუნდა, რომ ელიასს ჯდომაც აღარ შეეძლო; მიხვდა, მას საერთოდ არ მოუხუჭავს თვალი.

— სად იყავი დაკარგული? — უყვირა პეტერმა. მაგრამ ელიასს, როგორც ჩანს, არ გაუგია. პეტერმა დაინახა, ელიასს ტკივილისგან როგორ შეშლოდა სახე. ბევრი ეცადა, პასუხი მიეღო და აზრი გამოეტანა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებისგან. ბოლოს მოახერხა გაერკვია, რომ ელიასი ყველაზე მაღალ მთაზე, კუგელბერგზე, იყო ასული, გზა აებნა და ძლივს გამოაღწია იქიდან.

საშინელი გადაღლილობის მიუხედავად, ელიასს ჯერ კიდევ შეეძლო ნათლად და მკაფიოდ ელაპარაკა, მაგრამ შხამა სოკოსა და ლემას გამაბრუებელი ზემოქმედების გამო მაინც უჭირდა მეტყველება. ტუჩები დასიებოდა, პირი გვერდზე მოქცეოდა, გაშეშებოდა. სიტყვებსაც მაშინვე ვერ უყრიდა თავს. როგორც იქნა, შეძლო აეხსნა მეგობრისთვის, რომ მას ძალა აღარ ჰქონდა თავისი საქმე ბოლომდე მიეყვანა. პეტერს სთხოვა, იფნის ხეზე მიება.

— ახლა როგორ უნდა დავენახო ელზბეტს, ან როგორ უნდა დავუმტკიცო, რომ მთელი გულით მიყვარს, თუკი ძილი გამიტაცებს? — უთხრა ელიასმა.

პეტერმა აიყვანა დაუძლურებული სხეული ხელში და ხეზე მიაბა. ელიასს წყურვილი კლავდა. ის ყოველთვის ბევრ წყალს სვამდა. პეტერმა ნაზად

მიუტანა ტუჩებთან პეშვი. ელიასმა რამდენიმე ყლუპი მოსვა, მაგრამ ერთი-ორი წუთის შემდეგ აღებინა.

შუადღისას, როცა პაპანაქება სიცხე იყო, უკვე დაეტყო ბალახების აღგმზნები მოქმედება და ეგონა, ძალები დაუბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, გასაგებად ლაპარაკობდა. მან სიცილითაც კი თქვა, რომ ძილი ადამიანს ყველაზე ლამაზ დროს პარავს. მას ისეთი შეგრძნება აქვს, რომ დრო უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჰგონიათ. რაც მისთვის ადრე წამიერი იყო, ახლა ძილის უსასრულობაში გადაიზარდა. მან სრული სერიოზულობით ჰკითხა პეტერს:

— როგორ წარმოგიდგენია წამები, რომელთაგანაც შედგება მარადიულობა?

პეტერს პასუხი არ გაუცია, მან მხოლოდ სველი სერთუკი წამოასხა მეგობარს, ელიასის სხეული გადახურებისაგან რომ დაეცვა. ელიასი ისევ აგრძელებდა:

— მარადიულობის წამი შეადგენს დროის შვიდ თუ რვა მონაკეთს, რომლებიც დილიდან შუადღემდე გრძელდება. შესაძლოა, უფრო ნაკლებს, მაგრამ სამს კი აუცილებლად. პეტერი ფეხმოუცველად იდგა ხეზე მიბმულ მეგობართან ახლოს. მხოლოდ საღამოობით გარბოდა სახლში ძროხის მოსაწველად და მალევე ბრუნდებოდა ქვასთან. ელიასმა სთხოვა, დროდადრო ლოყებზე გაერტყა, თუ საჭირო იქნებოდა, სილაც გაეწნა. ის ხშირად ითხოვდა წყალს, ლემის ფოთლებს. ბოლოს უთხრა, რომ დგომა აღარ შეეძლო, სთხოვა, ხიდან მოეხსნა. პეტერი მოთმინებით ასრულებდა მეგობრის თხოვნას, ეხმარებოდა ელიასს, გადაედგა

რამდენიმე ნაბიჯი, პირში სჩრიდა კენკრას და კვლავ ხეზე აბამდა უძლურ სხეულს. პეტერს მარტვილის თავზე უნდა შემოეხვია თოკი, მისი ბოლო გადაეგდო ტოტზე, დაეჭიმა და საკუთარ ფეხებზე მიება. ასე, ელიასის თქმით, ადვილი იქნებოდა ეფხიზლა მთელი ღამე. მიბმულ მეგობარს თავი თუ ჩამოუვარდებოდა, პეტერი ამას გრძნობდა, იღვიძებდა და ელიასსაც აღვიძებდა, თუ საჭირო იყო ეჩხუბებოდა კიდეც, მძინარეს სიყვარული არ შეუძლიაო.

ასე გაიარა მეექვსე ღამემ ტყეში და ელიასს კვლავ არ ეძინა. ეს საშინელ ძალისხმევას მოითხოვდა, რადგან პეტერს წამდაუწუმ უხდებოდა მისი ხიდან მოხსნა, ცოტა გასეირნება, ცივ წყალში ჩაშვება. როგორც კი პეტერი ერთი წამით ჩათვლემდა, შეშლილი ისევე იწყებდა ყვირილს: ძალა აღარ მაქვს, სულ გამომელიაო. პეტერსაც ეშინოდა, არ ჩასძინებოდა.

მეშვიდე დღეს, დილას, პეტერი ცოტა ხნით გამოეთხოვა მეგობარს, მეურნეობისთვის რომ მიეხედა. უკან რომ დაბრუნდა, ელიასს ეძინა. ისიც შენიშნა, რომ მას უკვე აღარ შეეძლო აღარც შარდის შეკავება, აღარც განავლის. პეტერს გული შეეკუმშა. ლოყებზე ხელის დარტყმით გამოაღვიძა და ყურებში ჩასძახა, რომ მას მისი ასეთ მდგომარეობაში ყურება უკვე აღარ შეეძლო.

— ახლავე თუ არ შეწყვეტ თავის წამებას, მოვიყვან ჩემს დას, და დაე დატკბეს შენი ყურებით. მოუყვები ვის გამოც იტანჯავ ასე თავს?

ამან მოიყვანა უბედური ელიასი გონს, ძლივს

გასაგონი ხმით ჩაიბურდღუნა:

— ერთგულება ხომ შემომფიცე. მეც ხომ არ მიღალატია ერთ დროს შენთვის მოცემული ფიცისთვის. ეს იყო მისი უკანასკნელი ბგერები, ამის შემდეგ მას განძრევის უნარიც არ ჰქონდა. პეტერს ბრაზი ახრჩობდა. გამწარებული ურტყამდა მას, ძილიდან რომ გამოეყვანა, ზურგზე მოიკიდა, მდინარესთან ძლივს მიათრია, წყალში ჩააყოფინა თავი, პირში ბალახები ჩასჩარა. ელიასი უკვე ვეღარ ახელდა თვალებს, ქუთუთოებიდან ჩირქივით სდიოდა. პეტერმა აიღო ცვილი, დაფხვნა, პატარა გუნდები გააკეთა და წამწამებზე ისე დაადო, რომ ქუთუთოები ღიად ჰქონდა.

დაახლოებით შუადღის ხუთი საათისთვის მოხდა რაღაც უცნაური, პეტერისთვის ძალზე გაუგებარი რამ. ტყეში მათ გარშემო ერთი ამბავი ატყდა. ბუჩქნარში რაღაცამ გაიტკაცუნა და შრიალი დაიწყო. პეტერს თავის დღეში არ ენახა, რომ ცხოველები ასე ახლოს, უშიშრად მისულიყვნენ ადამიანთან. პატარა მთის ვაცი, ყველაზე მშიშარა ცხოველი, იქვე ახლოს მშვიდად სვამდა ნაკადულის წყალს და არც უცდია გაქცევა, როცა პეტერი წამოიმართა. ცოტა დაბლა, ველზე, გამოქვაბულის ახლოს, სამი შველი ბალახს წიწკნიდა. გამოქვაბულიდან ღამურა გამოფრთხიალდა და სულ მალე გლუვ ქვაზე სალამანდრები აცოცდნენ. ეშბერგში ერთდროულად აყეფდნენ ძაღლები. მას არ ესმოდა და ვერც წარმოიდგენდა, რომ ელიასი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა რაღაც განსაკუთრებულ

ენაზე. ელიასის ხმა, როგორც ჩანს, ცხოველების მიერ აღიქმებოდა. ის მღეროდა, უშვებდა ულტრაბგერებს და მისი ესმოდათ ღამურებს. ღამურები უხმოდ უსტვენდნენ, მათი სტვენა მელიებისა და ძაღლების ყურამდე აღწევდა. ცხოველებს ესმოდათ ამ ტანჯული, გაუბედურებული ადამიანის უკანასკნელი ბგერების.

მეშვიდე დღეს სმენა მცირე ხნით განსაკუთრებით გაუმძაფრდა. ელიასს მოახლოებული სიკვდილის ხმა და გარე სამყაროში ოდნავი ჩქამი თუ გაფაჩუნებაც კი ესმოდა. აგრეთვე მას საკუთარი დასუსტებული გულის ძგერა ესმოდა, მაგრამ სადაცაა ამ ძგერას ველარ გაიგებდა, რადგან უფალმა იგი უკვე მიატოვა.

დილისთვის პულსი იმდენად აუჩქარდა, ელიასს ძილიც რომ სდომოდა, აღარ შეეძლო. უძილო ღამეებით ძალაგამოლეულმა, გადაღლილმა პეტერმა დაინახა, ელიასის სხეული უსიცოცხლოდ როგორ ჩამოეკიდა თოკიდან. მან მოხსნა ის და სხეული მოცელილივით დაეცა. პეტერმა მას გულზე ყური დაადო, ჯერ კიდევ ცემდა, მაგრამ მხოლოდ ოდნავ გასაგონად.

1825 წლის 9 სექტემბრის დილას, როცა მდინარემდე ჩამოაღნია ნირვის ზარების რეკვამ, იოჰანეს ელიას ალდერი, ვიკარ ელიას ბენცერისა და აგატა ზეფინა ალდერის უკანონო შვილი, ამქვეყნად აღარ იყო. ის მოკვდა სასუნთქი გზების პარალიზებით, რაც ბელადონას ფოთლის ჭარბმა მიღებამ გამოიწვია.

თავს უფლებას მივცემთ, თვალი მოვწყვიტოთ

საწერ მაგიდაზე დახვავებულ ფურცლებს და დაბლა მინდორს გავხედოთ, საიდანაც ბავშვების ჟრიამული და დედების მხიარული ხმა ისმის. ისინი ხარობენ, ანცობენ ღრმა თოვლში. მერე ისევ ვუბრუნდებით საწერ მაგიდას, სადაც გვიანი ზაფხულის სიცხე შეიგრძნობა.

არა, ჩვენ ამ ადამიანს არ დავტირით, ჩვენ მხოლოდ მის გენიას, მის უსიყვარულო ცხოვრებას დავტირით. რამდენ არაჩვეულებრივ ადამიანს დაუტოვებია ეს სამყარო მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვერ შეძლეს ამ სამყაროში მათთვის გამოგზავნილ ბედნიერებასა თუ უბედურებას შორის წონასწორობის შენარჩუნება.

გვინდა ამ წიგნის, ელიას ალდერის ამბის ბოლო გვერდი გადავფურცლოთ. რაც ამის შემდეგ მოხდა, არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან ეს მხოლოდ ერთი უფერული სამყაროს ამბავია.

გაუჩინარება

პეტერი მკვდართან იჯდა. დასახიჩრებული ხელით მიცვალებულს პირი მოუკუმა, თვალები დაუხუჭა. შორიდან ზარის რეკვა ისმოდა და როცა უკანასკნელი ზარის ხმაც მიყუჩდა, პეტერმა ველარ შეძლო თავის შეკავება, მან სხეულს მოფერება დაუწყო, როგორც ეს ხშირად თავის ოცნებებში გაუკეთებია.

მალე ელიასის ტუჩებს მკვდრისფერი დაედო, გული უკვე მთლად გაციებულიყო. პეტერმა გადაწყვიტა, მეგობარი ირმის წყაროსთან ახლოს

დაეკრძალა. მას გაახსენდა, ერთხელ იქ რა უთხრა ელიასმა ელზბეტს: ყველა ეშბერგელი სიკვდილის შემდეგ ალბათ აქ ეშვება, რადგან აქაა იქითა სამყაროში გასასვლელი კარი. პეტერმა ტოტების გროვა დააყარა მიცვალებულს, რომ ადამიანის თვალისგან დაემალა. შუადღისას შინ მივიდა, რათა მდინარესთან წერაქვითა და ნიჩბით დაბრუნებულიყო. არც ისე ადვილი იყო დაეფრთხო მელიები და კვერნები, რომელთაც მკვდარი სხეულის სუნი იყნოსეს.

პეტერმა მხარზე მოიგდო დამძიმებული სხეული და ირმის წყაროს მიმართულებით წავიდა. მიცვალებული რბილ ხავსზე დაასვენა და საფლავის თხრა დაიწყო. მან 8 წყრთაზე მეტი ორმო ამოთხარა, რადგან იცოდა, რომ მელიებს შეეძლოთ გაექექათ სამარე. შემდეგ კი გააკეთა ის, რაც თავის დღეში არ გაუკეთებია. ის მდელოზე დაეშვა და მინდვრის ყვავილების თაიგული შეკრიბა. როცა დაბრუნდა, ისევ მოუხდა მელიის ჯოხით გაგდება. პეტერმა თაიგული გვირგვინად დაწნა და გაყინულ თავზე, მოკლედ წაჭრილ თმაზე გაუკეთა. ცრემლმორეულმა საფლავზე წარმოსათქმელი ლოცვა წაიბუტბუტა, აწია სხეული და საფლავში ჩაასვენა. ძველი ადათ-წესების მიხედვით, აიღო მიწის კოშტი და მიცვალებულს თავზე დააყარა:

„შიშველი მოვედი ამქვეყნად და შიშველი წავალ აქედან. უფალმა გიბოძა, უფალმავე წაიღო", — ჩურჩულებდა ის. და სიტყვებზე „უფალო, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო", — პეტერი ისევ ატირდა, არა

იმდენად მწუხარებისგან, რამდენადაც სიმწრისგან.

ის დიდხანს იჯდა ღია სამარესთან. შემდეგ მიწა მიაყარა, მთლიანად მოასწორა, რომ არავინ მიმხვდარიყო, იქ თუ ვინმე იყო დაკრძალული. მაგრამ შემდეგ მაინც გამონახა ხერხი, როგორ მოენიშნა ადგილი. დასავლეთით თოთხმეტ ნაბიჯზე იდგა წითელი ნაძვის ხე. სწორედ იმ ხეზე ამოკვეთა მან მონდომებით ასო ე. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პეტერი გულმოდგინედ აახლებდა ასოს. დაასაფლავა რა თავისი ერთადერთი მეგობარი, თავისი ფარული სიყვარული, პეტერი შინ დაბრუნდა და ღრმა ძილს მიეცა. მთელი ღამე და მთელი შემდეგი დღე-ღამე ეძინა. როცა გაიღვიძა და ძროხები ბოსელში შერეკა, დაინახა, რომ მათ უკვე ჯიქნები ასკდებოდათ და რძე წვეთავდა. ტკივილისაგან თვალებამღვრეული პირუტყვის დანახვაზე გული აუჩუყდა. ის უკვე უწინდელი სასტიკი პეტერი აღარ იყო.

და მთელმა მისმა მარტოხელა ცხოვრებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. მან ხომ მშობლებიც კი გაყარა სახლიდან. ახლა მისი უხეში ხასიათი ისე შეიცვალა, რომ მხოლოდ ადამიანების მიმართ კი არა, ცხოველების მიმართაც დათბა. პეტერს სხვისთვის ტკივილის მიყენება სულაც აღარ გვრიდა სიამოვნებას. კაჭკაჭმა კი უკვე მთელ სოფელს მოსდო, რომ მის ბოსელში ძროხები ნეხვში აღარ იწვნენ. წლებთან ერთად მან პატივისცემაც მოიპოვა, ხოლო მეორე ხანძრამდე რამდენიმე თვით ადრე სოფლის მამასახლისადაც კი აირჩიეს. მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა გაუგებარი: რატომ არ ქორწინდებოდა?

იმაზე თავის მტვრევა არ ღირს, თუ რატომ შეიცვალა პეტერი ასე სასიკეთოდ. უბრალოდ, მხოლოდ იმას თუ ვიფიქრებთ, გახდა რა უნებლიე მოწმე თავისი აწ გარდაცვლილი მეგობრის ტანჯვისა, პეტერმა ახალი ცხოვრება დაიწყო. ის მიხვდა, რომ განზრახ მიყენებული ტკივილი მაინც არ უშველიდა, ჩასწვდომოდა ამ ყოვლად გაუგებარ სამყაროს. იოჰანეს ელიას ალდერის გაუბედურებულმა ცხოვრებამ ის გონს მოიყვანა. ჩვენ ბავშვური მიამიტობით გვჯერა ამის, რადგან ბოროტი ისე დიდხანს ებრძვის კეთილს, ვიდრე ბოლოს არ დამარცხდება.

ოცდაცხრამეტი წლის ასაკში, ელიას ალდერის სიკვდილიდან 16 წლის შემდეგ, პეტერი განგრენით დაიღუპა. ეს იყო მაშინ ბნელით მოცული ავადმყოფობა, რომლის მსხვერპლიც სოფლის რამდენიმე მოსახლე შეიქნა. პეტერმა დაობებული სოკო ჭამა, მოიწამლა, კიდურები გაუშავდა და ლპობა დაიწყო. მეორე ხანძრის შემდეგ პეტერმა საშინელი მწუხარება განიცადა. ცეცხლი ქარიანი მაისის დილას გაჩნდა, რატომ ან როგორ გაურკვეველი დარჩა. მეორე ხანძარმა თითქმის მთელი სოფელი გაანადგურა, ეკლესიისგან მხოლოდ საძირკველი დარჩა. ამჯერად მხოლოდ ერთადერთი ადამიანი დაიტირეს, საქონელი არ დაშავებულა, რადგან დროულად გარეკეს გიოცბერგის მიმართულებით; ეს ამბავი შეიძლება უმსხვერპლოდაც დასრულებულიყო, საშინელი გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო: ზეფინას ეგონა, ქმარი დროულად

გაიყვანეს. სინამდვილეში, ფრიცმა უსაფრთხო ადგილას თავისი ჭკუასუსტი ძმა გაიყვანა, მამას არ გაჰკარებია. ასე რომ, პარალიზებული ზეფი ხანძრის მსხვერპლი გახდა. ერთმა ლამპარტერმა, სახლის გვერდით რომ ჩაიარა, თითქოს ყვირილი გაიგონა, მაგრამ შემზარავ ხარხარად აღიქვა. მან იფიქრა, რომ სახლის მეპატრონე სასოწარკვეთილებისგან იცინოდა, როცა ხედავდა, მეორედ როგორ ნადგურდებოდა მთელი მისი ქონება. ის თავადაც ისე ხარხარებდა, რომ ცრემლად იღვრებოდა.

გვინდა ჩვენი მეგობარი მკითხველი დავიცვათ ბოლომდე ამ ამბის მოყოლისგან, იმ დეტალების აღწერისგან, რამაც ხელი შეუწყო ეშბერგის გაქრობას. მეორე ხანძრის შემდეგ ადამიანები თითქოს მიხვდნენ, რომ ღმერთს არ სურდა, ეს ადგილი დასახლებული ყოფილიყო. მათ ეშბერგი დატოვეს, მაგრამ არა ყველამ.

ლამპარტერების ორი და ალდერების ერთი ოჯახი, სულ 13 კაცი, უაზრო სიჯიუტით ებღაუჭებოდა მშობლიურ კერას. მესამე ხანძრის დროს — 1892 წლის 5 სექტემბერს — თორმეტი კაცი თავიანთ საწოლებშივე ამოიბუგა. ბოსლებში კი ორმოცდარვა სული საქონელი დაინვა. ცოცხლად მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა — ეს იყო ტანდაბალი ბერიკაცი, ლოთივით წითელი ცხვირით.

ეს იყო მისი სიკვდილიდან ცხრა წლის შემდეგ. იდგა სწორედ ის მაისის წვიმიანი დღე, კვირა, როცა ბავშვები სახლში მოწყენილობისგან ლამის გაგიჟდნენ. ამიტომაც ლუკასის ცოლმა, ელზბეტმა, თავის ექვს პატარასთან ერთად გადაწყვიტა, ნაკადულის გაყოლებით გაესეირნა. მას უნდოდა ეჩვენებინა ამღვრეული, ბობოქარი წყალი, თან აინტერესებდა წვიმის შემდეგ, რამდენად მოიმატა წყალმა.

მართალია, ახალგაზრდა ქალი ეთქმოდა, მაგრამ ამდენ მშობიარობას მისი სილამაზე წაეშალა. კბილები გაუმეჩხერდა, დაუჭიანდა, ხელები მეურნეობაში მუშაობისგან გაუუხეშდა, იძულებული იყო, ქარგვისთვისაც კი დაენებებინა თავი. მაგრამ ეს სულაც არ აწუხებდა. მან თავისი დანიშნულება იპოვა. მშვიდი, ჩუმი ხმით, როგორც სჩვეოდა, ბავშვებს უბრძანა, რომ მას მიჰყოლოდნენ და ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდათ. ასე მიდიოდნენ მიხვეულ-მოხვეული სანაპირო გზით, ხან გორაკისკენ, ხან — ქვემოთ. თავში მოქცეული კოსმასი, მისი სიყრმის შვილი, ჯარისკაცივით ამაყი სახით აძლევდა დანარჩენებს ბრძანებას: ყურადღებით! სდექ!

როცა იმ ადგილას მიუახლოვდნენ, სადაც ელზბეტი ელიასთან ერთად იჯდა ხოლმე, ელზბეტი შეკრთა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ქვა იქ აღარაა!

— ქვა? — მედიდურად იკითხა ოთხი წლის ანამ.

— ნამდვილად არ არის. მოვარდნილმა წყალმა ხომ არ წაიღო?

წვიმა შეწყდა, ბავშვებმა თავიანთი კაპიუშონები მოიხადეს. ელზბეტმა ბავშვებს უთხრა:

— მომიახლოვდით, ერთ ამბავს მოგიყვებით.

ბავშვები ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ დედას.

— აი იქ, — წამოიწყო ელზბეტმა, — მრავალი წლის წინ დიდი ქვა იდო. ჩვენი უფლის ფეხისგულს ჰგავდა. ეშბერგში მაშინ ერთი ახალგაზრდა ცხოვრობდა, განგებამ მძიმე ჯვრის ტარება არგუნა. დაბადებიდან ყვითელი თვალები ჰქონდა. ამ ზადის გამო ძალიან იტანჯებოდა. მას კარგად ვიცნობდი, სიკვდილისგანაც მიხსნა, როცა სოფელში ხანძარი გაჩნდა. ის ძალიან გულჩათხრობილი იყო, არავინ იცოდა, რა ხდებოდა მის გულში. ერთ მშვენიერ კვირადღეს ეს უცნაური ადამიანი ავიდა ეკლესიის ორგანთან და ისე ზღაპრულად დაუკრა, რომ ადამიანები სიხარულისგან ატირდნენ. მას დაკვრა არსად უსნავლია, რამდენიმე წლის შემდეგ მოულოდნელად უკვალოდ გაქრა და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა. მას ყველგან ეძებდნენ. ასე მგონია, დღესაც ცოცხალია. იქნებ იმიტომ წავიდა ეშბერგიდან, რომ თავისი სიყვარული ვერ იპოვა. აი, იქ, სადაც დიდი ქვა იდო, იყო მისი საყვარელი ადგილი — ასე დაამთავრა ელზბეტმა თავისი ზღაპარი.

ბავშვები გაფაციცებული შესცქეროდნენ თავიანთი მრგვალი თაფლისფერი თვალებით.

კოსმასი მიუახლოვდა დედას და შეეცადა, დიდი ადამიანივით სერიოზული სახე მიეღო:

— დედიკო, რა არის სიყვარული?

— რა არის სიყვარული?! — გაეცინა ელზბეტს. აკოცა მას ბრტყელ ცხვირზე და კაპიუშონი დაახურა, რადგან კვლავ წვიმა წამოვიდა.

სარჩევი:

ვინც შეყვარებულია, ძილი არ შეუძლია	გვ. 4
უკანასკნელი თავი	გვ. 5
ჯერ არ დაბადებულნი	გვ. 8
დაბადება	გვ. 10
ბავშვების მამა	გვ. 16
ღვთისგან ნაბოძები ნიჭი	გვ. 28
ჩაკეტილი	გვ. 40
ხმა, ცხოველები და ორგანი	გვ. 52
სიხარულით აღსავსე დღე	გვ. 74
1815 წლის ზამთარი	გვ. 90
ელზბეტი და გაზაფხული	გვ. 98
ქალი მთვარის შუქზე	გვ. 129
სინათლე და იმედი	გვ. 143
ღვთის შიში	გვ. 155
უცხო ქვეყანაში	გვ. 162
საორგანო დღესასწაული	გვ. 184
მოდი, ო, სიკვდილო!	
შენ, ღვიძლო ძმაო ძილისა!	გვ. 206
გაუჩინარება	გვ. 217
დედიკო, რა არის სიყვარული?	გვ. 222